თამარ შინჯიაშვილი

განათლების სოციოლოგია

ELIBRARY.SOU.EDU.GE
SOKHUMI STATE UNIVERSITY

თამარ შინჯიაშვილი
Tamar Shinjiashvili

განათლების სოციოლოგია
Sociology of Education



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University

თამარ შინჯიაშვილი
Tamar Shinjiashvili

განათლების სოციოლოგია
Sociology of Education
(სალექციო კურსი)

თბილისი, 2019
Tbilisi, 2019

UDC (უაკ) 37:316(075.8)

Შ-66

ნაშრომში განხილულია განათლების სოციოლოგიის აქტუალური საკითხები, განათლების, როგორც სოციალური ინსტიტუტის წარმოშობის, ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემები, განათლების სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები, განათლების შესწავლის სოციოლოგიური მეთოდები. ქცენტი გაკეთებულია განათლების ინსტიტუტის სოციალიზაციის ფუნქციაზე, განათლების როლზე პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. დიდი ყურადღება ეთმობა უმაღლესი განათლების თანამედროვე მდგომარეობას მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, უთანაწორობის საკითხებს განათლების სფეროში, კვლევის მეთოდებს განათლებაში, ახალ საგანმანათლებლო პარადიგმებს, ზრდასრულთა და უწყვეტი განათლების საკითხებს.

წიგნი დახმარებას გაუწევს განათლებისა და სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტის სტუდენტებს, განათლების სოციოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: **თამარ ბერეკაშვილი**
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: **კობა ნონიაშვილი**
ფილოსოფიის დოქტორი

ნინო ჭიაბრიშვილი
პედაგოგიკის დოქტორი

© თამარ შინჯიაშვილი
© Tamar Shinjiashvili

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 5

განათლება, როგორც სოციალური ინსტიტუტი. განათლების სოციოლოგიის საგანი და ობიექტი 8

სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების განვითარების ისტორია . 11

განათლება სხვადასხვა მეცნიერებების შესწავლის ჭრილში 21

განათლების სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორია 26

განათლების იდეები, პრობლემები და კონცეფციები XIX საუკუნის მეცნიერთა სოციოლოგიურ შრომებში 28

განათლების სოციოლოგიური იდეები და კონცეფციები ემილ დურკჰეიმის, კარლ მანჰეიმის, პიტირიმ სოროკინის შემოქმედებაში 36

განათლებისა და აღზრდის კონცეფცია ემილ დურკჰეიმის სოციოლოგიურ შემოქმედებაში 37

პიტირიმ სოროკინის შეხედულებები განათლებასა და სკოლაზე, როგორც სოციალურ ინტიტუტზე 41

განათლების სოციოლოგიური იდეები კარლ მაინჰეიმის შრომებში 43

განათლების და ცოდნის სოციოლოგიური კონცეფციები დასავლურ ლიტერატურაში (XX საუკუნის შუა ხანები, მეორე ნახევარი) 48

განათლების სფეროს შესწავლის სოციოლოგიური მეთოდები 68

განათლების პარადიგმები 75

თვითგანათლება, როგორც XXI საუკუნის განათლების პარადიგმა. 81

განათლება და სოციალური უთანასწორობა 85

განათლება თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში 89

ზრდასრულთა განათლება 102

საქართველოს განათლების სისტემა 137

რეფორმები ზოგადი განათლების სისტემაში 140

რეფორმები პროფესიული გ ანათლების სისტემაში 143
რეფორმები უმაღლესი განათლების სისტემაში 153
გამოყენებული ლიტერატურა 179
Sociology of Education 169

შესავალი

ბოლო რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში საზოგადოებასა და ცივილიზაციის განვითარებაში მომხდარი სერიოზული ძვრები მეცნიერებისა და განათლების პროგრესთან იყო დაკავშირებული. ქვეყნების უმრავლესობაში განათლების პარადიგმები მთლიანად შეიცვალა, კერძოდ შეიცვალა სასწავლო სტანდარტები, ნორმები, ორიენტირები და მოტივაციები. სასწავლო სტანდარტების, კურსებისა და სასწავლო გეგმების შინაარსის განახლების გარდა იცვლება სწავლების მეთოდოლოგიაც — ხდება გადასვლა ინტერაქტიულ სწავლებაზე, დიალოგზე, დამოუკიდებელ მუშაობაზე, რაც ხელს უწყობს კონკურენტუნარიან, ეკონომიკურად აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას. თანამედროვე განათლების სისტემის ძირითადი ნიშანია მრავალსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს უწყვეტად გააუმჯობესოს და განაახლოს წინათ მიღებული ცოდნა. განათლება საგანმანათლებლო მომსახურების სფეროდ გადაიქცა, რომელზედაც გარკვეულწილად შრომის ბაზრის კანონების მოქმედება ვრცელდება.

განათლების განვითარების მნიშვნელოვან თვისებას მისი გლობალური ხასიათი წარმოადგენს. ეს თვისება ასახავს თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრალური პროცესების არსებობას, ინტენსიურ ურთიერთქმედებას ქვეყნებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. განათლებამ მაღალგანვითარებული ქვეყნების ეროვნული პრიორიტეტებიდან მსოფლიო პრიორიტეტების კატეგორიაში გადაინაცვლა.

თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოსათვის დამახასითებელია ინფორმაციული რევოლუცია და საზოგადოებრივი მოწყობის ახალი ტიპის – ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება. ინფორმაცია და ცოდნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინა პლანზეა დაყენებული. განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები მჭირდოდაა იმ პროცესებათან დაკავშირებული, რომელთაც ადგილი აქვთ მსოფლიო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. განათლებას უდიდესი როლი გააჩნია ცივილიზაციის პროცესში; ის უკვე გადაიქცა მსოფლიოს ქვეყნების შეჯიბრების ფაქტორად და ტრანსნაციონალური განათლების სახე აქვს მიღებული.

განათლების როლი საზოგადოების ცხოვრებაში სულ უფრო ძლიერდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განათლების სისტემის სრულყოფა მთელს მსოფლიოში, რომელიც დაეყრდნობა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს ეროვნული თავისებურერებისა და ტრადიციების შენარჩუნების საფუძველზე.

დღეისათვის განათლების სოციალური მდგომარეობის შესახებ საკმაოდ ფართო პრობლემები არსებობს, რაც მრავალ საინტერესო და დისერტაბელურ თემას მოიცავს. მაგალითად, განათლების კვლევის მიმართულება საზოგადოე-

ბისა და ადამიანის ფასეულობების სახით, უმაღლესი სკოლის მარგინალიზაცია, კრიზისიდან გამოსვლის გზები, განათლების პრიორიტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების შერჩევა, უმაღლესი სასწავლებელების კონტინგენტი სოციალური ჯანმრთელობის, დაცვის, სტრატიფიკაციის, სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, სოციოკულტურული გარემოს ფორმირების მეთოდოლოგია, ეროვნული მენტალიტეტის ჩამოყალიბება. თუმცა ეს არ არის საკითხების სრული ჩამონათვალი, რომლებიც სამეცნიერო ანალიზს საჭიროებენ. განათლების სოციოლოგია, როგორც სოციალური პროცესი მოიცავს მოსწავლე ახალგაზრდობის პრობლემებსაც, პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის განათლების ხელმისაწვდომობას, როგორც სოციალური მობილობის საშუალება, სკოლების მონაწილეობას სამართლიანი საზოგადოების ფორმირების პროცესში.

საზოგადოების ცხოვრებაში განათლების როლი და ადგილი, მისი სოციალური ფუნქციები და ამოცანები, პრობლემები და წინააღმდეგობები, მათი გადაჭრის გზები და კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის საშუალებები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და სისტემები, საქმიანობის სახეები და სოციალური ერთობების ურთიერთქმედების პროცესები, რომლებიც განათლების სფეროშია ჩართული, მისი შესაძლო ტრანსფორმაციისა და ცვლილებების პროგნოზირება და წინასწარმეტყველება – ყოველივე ეს ცოდნის განსაკუთრებული დარგის მიერ შეისწავლება, რომელმაც **განათლების სოციოლოგიის** სახელი მიიღო.

წინამდებარე წიგნში განხილულია განათლების სოციოლოგიის აქტუალური საკითხები, განათლების, როგორც სოციალური ინსტიტუტის წარმოშობის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემები, განათლების სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებები, თეორიები და მეთოდოლოგიები, განათლების შესწავლის სოციოლოგიური მეთოდები, განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხები, აქცენტი გაკეთებულია განათლების ინსტიტუტის სოციალიზაციის ფუნქციაზე, განათლების როლზე პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. დიდი ყურადღება ეთმობა უმაღლესი განათლების თანამედროვე მდგომარეობას მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, უთანაწორობის საკითხებს განათლების სფეროში, ახალ საგანმანათლებლო პარადიგმებს, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს განათლებაში, ზრდასრულთა განათლებას.

განათლება, როგორც სოციალური ინსტიტუტი
განათლების სოციოლოგიის საგანი და ობიექტი

წინა თაობების მიერ დაგროვილი მატერიალური და სულიერი ფასეულობები, ცოდნა, გამოცდილება და ტრადიციები გადაეცემა მომავალ თაობას. კულტურული განვითარების მიღწეული დონე, მისი შემდგომი სრულყოფა წინა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ათვისების გარეშე შეუძლებელია. ეს პრობლემა წყდება ინდივიდების სოციალიზაციის პროცესში, რომლიც ამოცანასაც კულტურული ნორმებისა და ფასეულობების ათვისება და ამ ინდივიდების საზოგადოების სრულფასოვან წევრებად გადაქცევა წარმოადგენს. პიროვნებების სოციალიზაციის პროცესის არსებით კომპონენტებად გვევლინება **განათლება** — ადამიანის მიერ დაგროვილი ცოდნის და კულტურული ფასეულობების შესწავლა-ათვისება.

განათლება რელიგიას, ოჯახსა და საკანონმდებლო სისტემასთან ერთად ერთ-ერთი ინსტიტუტია, რომელიც საზოგადოების სტაბილურობას უწყობს ხელს. იგი ადამიანის საქმიანობის ყველა სახეობაზე ახდენს გავლენას და წარმოადგენს თავისებულ ფილტრს მომავალი პროფესიის არჩევაში, განსაზღვრავს ადამიანის მომავალ კარიერასა და მისაღწევი სოციალური მდომარეობის შესაძლებლობას.

განათლება, როგორც სოციალური ინსტიტუტი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში. იგი წარმოადგენს ღია სოციალურ სისტემას, რომელიც სხვა სოციალურ სისტემებთან არის დაკავშირებული და ურთიერთქმედებაშია სხვა სოციალურ პროცესებთან. განათლების პროცესი ადამიანის სოციალიზაციის ერთ-ერთ მექანიზმია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. განათლება არის სისტემატიური ცოდნის ათვისების პროცესი და შედეგი. **ნეილ სმელზერი** თავის წიგნში „სოციოლოგია" თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მრავალ პრობლემას ეხება და მათ შორის განათლების სისტემას აანალიზებს.[1] როგორც სმელზერი განმარტავს, განათლება პიროვნების ფორმირების პროცესის ნაწილია. ამ პროცესის დახმარებით საზოგადოება ადამიანების საშუალებით ერთი მეორეს გადასცემს ცოდნას, სიახლეებს. განათლება პიროვნების სოციალიზაციის ნაწილს წარმოადგენს, რაც გულისხმობს ფასეულობების, და მოლოდინების ათვისებას, რომელთა საფუძელზეც ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრება ეწყობა[2]. სმელზერს მოჰყავს ფუნქციონალური თვალსაზრისი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განათლების დადებით ფუნქციას.

---

[1] **ნეილ სმელზერი** – კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, თანამედროვე ამერიკული სოციოლოგიის ერთ-ერთი პატრიარქი. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

[2] **Смельзер, Н., Социология**, 1994, с. 427

განათლება სხვადასხვა მეცნიერებების შესწავლის ობიექტად და საგნად გვევლინება: ***პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის***. თითოეული მათგანი განათლებას თავისი კუთხით განიხილავს. ფილოსოფიაში ცნება განათლება იხმარება ადამიანის სულიერი ცხოვრების ფორმირებისა და ამ პროცესის შედეგის — ადამიანის სულიერი სახის მნიშვნელობით. განათლება განიხილება როგორც კულ-ტურულ-ისტორიული მოვლენა, კაცობრიობის მიერ დაგროვილი სულიერი კულტურის შენახვის, გადაცემისა და გამრავლების საშუალება. ფსიქოლოგიას აინტერესებს განათლების გავლენის პრობლემები პიროვნებასა და მისი ფსიქიკის ფორმირებაზე. სოციოლოგიას აინტერესებს განათლების სოციალ-ლური მხარე, კერძოდ, განათლების საშუალებით თუ როგორ ერთვება ადამიანი ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, როგორ იკავებს გარკვეულ პოზიციებს, ითვისებს და ასრულებს სხვადასხვა როლს საზოგადოებაში. სოციოლოგიის სპეციფიკური ამოცანებია: განათ-ლების აღქმა და მისი როლის შეფასება საზოგადოებისა და პირად ცხოვრებაში; ცოდნის შეფასება მისი სოციალური მიშვნელობის კონტექსტში; საზოგადობისა და ინდივიდების დამოკიდებულება განათლებისადმი, მისი სოციალური ფასეულობის შესწავლა; განათლების როლის, როგორც მისი სოციალური სტატუსის ფაქტორის გამოვლენა.

განათლების სოციოლოგია შეისწავლის სახელმწიფო დაწესებულებები და ინდივიდუალური გამოცდილება თუ რა გავლენას ახდენს განათლებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების საჯარო სასკოლო განათლების სისტემებს, მათ შორის უმაღლეს და უწყვეტი განათ-ლების გაფართოება-გავრცელებას.

განათლების სოციოლოგიის ობიექტი არის განათლების სფერო, როგორც სოციალური მოვლენა. ამრიგად, განათლების სოციოლოგია არის სპეციალური სოციოლოგიური მეცნიერება, რომლის საგნათაც გვევლინება განათლების სისტემა, აღზრდა და შემეცნება როგორც სოციოკულტურული რეალობა. ის განიხილავს განათლებას არა მარტო როგორც სპეციალურ სოციალურ ინსტი-ტუტს, არამედ როგორც საზოგადოების შესაბამის კულტურის ნაწილს, ადა-მიანთა სოციალურ-კულტურულ ურთიერთქმედების შედეგს, რომელიც გამოხატულია შემეცნების (ცოდნის) და მისი საბოლოო შედეგების სახით, მათ შორის ცოდნისა და გამოცდილების, უნარ-ჩვევების სახით. აღმზრდელობითი და შემეცნებითი საკითხები აქ განუყოფლადაა ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთთან ურთიერთგანპირობებულნი სისტემით, რომელიც შეესაბამება სპეციალურ ფასეულობებს, კულტურულ აზრებსა და ნორმებს.

სოციოლოგიაში მიღებულია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას შორის ხაზის გავლება. „ფორმალური განათლების" ქვეშ იგულისხმება საზოგა-დოებაში სპეციალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების არსებობა (სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, ინსტიტუტების და ა.

შ.), სადაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს. „არაფორმალურ განათლებაში" იგულისხმება ინდივიდის მიერ ცოდნისა და უნარების არასისტემატიზირებული შესწავლა, რომელსაც იგი სტიქიურად ითვისებს გარემომცველი სამყაროს შესწავლის პროცესში ან კულტურული ფასეულობების ინდივიდუალური შეთვისების გზით გაზეთიდან, რადიოდან, ტელევიზიიდან ინფორმაციის მიღებით. არაფორმალური განათლება დიდ როლს ასრულებს პიროვნების სოციალიზაციის პროცესში, ეხმარება მას აითვისოს ახალი სოციალური როლი, რაც მის სულიერ განვითარებას უწყობს ხელს. ფორმალური განათლებისგან განსხვავებით, თანამედროვე საზოგადოებაში ის დამხმარე როლს ასრულებს.

თითოეულ სოციალურ ინსტიტუტს გააჩნია როგორც სპეციფიკური თავისებურებანი, ასევე სხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში საერთო ნიშნები. განათლების ინსტიტუტის ნიშნებია:

1. **ქცევის განწყობა და მაგალითები** — ცოდნისადმი სიყვარული.
2. **სიმბოლური კულტურული ნიშნები** — სასკოლო ემბლემა, სასკოლო სიმღერები.
3. **უტილიტარული კულტურული შტრიხები (თვისებები)** — კლასები, ბილიოთეკები, სტადიონები.
4. **ზეპირი და წერილობითი კოდექსი** — მოსწავლის წესები.
5. **იდეოლოგია** — აკადემიური თავისუფლება, პროგრესული განათ-ლება, თანასწორობა სწავლებისას.
6. **განათლების დაწესებულების ფორმები** — კერძო, სახლემწიფო, საეკლესიო.
7. **პირები, რომლებიც განათლების პროცესს ახორციელებენ** — ოჯახი, მასწავლებლები, მოსწავლეები, სტუდენტები.
8. **აღზრდისა და სწავლის მეთოდები** — ემპირიული და კვლევითი.
9. **განათლების შინაარსი** — განისაზღვრება განათლებისა და მეცნიე-რების სამინისტროს მიერ (სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ).
10. **განათლების ინტიტუტის მიზნები** — ინტენსიური, ექტენსიური და პროდუქტიული.

განათლების სისტემა შემდეგი რგოლებისგან შედგება:

1. სკოლამდელი ასაკის აღზრდა
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
3. პროფესიული განათლება
4. საშუალო სპეციალური განათლება
5. უმაღლესი განათლება
6. უმაღლესი განათლების შემდგომი განათლება
7. კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა და კადრების გადამზადება
8. განათლება დაინტერესების მიხედვით.

განათლება ყოველთვის განიხილებოდა როგორც პრინციპულად ოპტიმისტური ადამიანური საქმიანობა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო პროგრესისკენ სწრაფვა და გაუმჯობესება.[3] ეს გაიგება როგორც უუნარობის გადალახვის, თანასწორობის და გარკვეული მდგომარეობის მიღწევისა და სიმდიდრის დაგროვების საშუალება. ის ასევე აღიქმება, როგორც დიდი სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. ბევრი იტყვის რომ, განათლების მიზანი უნდა იყოს თითოეული ადამიანის განვითარება მისი პოტენციალის მიხედვით და მათთვის საშუალების მიცემა მიაღწიონ მაქსიმალურს ცხოვრებაში თავიანთი ბუნებრივი უნარების დახმარებით (მერიტოკრატია)[4]. ცოტა ადამიანი თუ იტყვის, რომ განათლების ნებისმიერი სისტემა ამ მიზნებს იდეალურად წყვეტს. ზოგიერთი განსაკუთრებით უარყოფით აზრს გამოთქვამს, ამტკიცებენ, რომ განათლების სისტემა შემუშავებულია სოციალური უთანასწორობის წარმოშობის მიზნით.

სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების განვითარების ისტორია

რას წარმოადგენდა განათლების სფერო თავისი ძირითადი თვისებებით ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში? უპირველეს ყოვლისა, ეს იყო განათ-ლების მკაცრი და დახურული სისტემა, რომელიც თითოეული კონკრეტული ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. მისი ძირითადი მიზანი იყო ახალგაზრდა თაობის მომზადება პროფესიული საქმიანობისათვის. მიღებული განათლება საკმარისი იყო კონკრეტულ საზოგადოებრივ პირობებში ფუნქციონირებისათვის, პრაქტი-კულად ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე. საერთოდ განათლება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ცოდნის, უნარებისა და ჩვევების განსაზღვრული სისტემის ათვისების პროცესი და შედეგი, აზროვნების საშუა-ლება და ამის საფუძველზე პიროვნების განვითარების შესაბამისი დონის უზრუნველყოფა. განათლება თავის თავში მოიცავს არა მარტო შესწავლისა და სწავლების პროცესს სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგების ხელმძღვანე-ლობით, არამედ თვითგანათლებასაც. განათლებული ადამიანი — ეს არის პიროვნება, რომელსაც აქვს ლოგიკურად აზროვნების უნარი, ფლობს ინტე-ლექტის გარკვეულ დონეს და მისწაფებას თვითგანათლებისაკენ, რაც მას საშუალებას აძლევს აიმაღლოს განვითარების დონე. იმისთვის, რომ კარგად გავიგოთ განათლების ინსტიტუსის როლი და ადგილი თანამედროვე საზოგა-

[3] **Schofield, K.** (1999**).** The Purposes of Education. Queensland State Education: 2010

[4] **მერიტოკრატია** — მართვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელი თანამდებობები მხოლოდ უნარიანმა, ტალანტმა ადამიანებმა უნდა დაიკავონ ეკონომიკური მდგონარეობისა და სოციალური წარმოშობის მიუხედავად.

დოებაში, მისი ფუნქციების სპეციფიკა, მართებულია განათლების სისტემის ევოლუცია მიმოვიხილოთ.

სიტყვა **„სკოლა"** შემოვიდა ბერძნული ენიდან, სადაც იგი აღნიშნავს „თავისუფალ დროს". საქმე იმაშია, რომ წინაინდუსტრიულ საზოგადოებაში სკოლაში სწავლება ხელმისწვდომი იყო მხოლოდ იმ მცირე რაოდენობის ადამიანებისთვის, ვისაც გააჩნდა ამისათვის ფული და დრო. ძირითადად რელიგიური მოღვაწეები და მღვდლები წარმოადგენდნენ ერთადერთ სოციალურ ჯგუფს, რომელსაც განათლება გააჩნდა. განათლების ქონა აუცილებელი იყო მათთვის რელიგიური ტექსტების წასაკითხად. ადამიანთა უმრავლესობისთვის კი ზრადსრულობა მთავრდებოდა იმით, რომ უფროსი თაობიდან გადმოეცემოდათ პროფესიული ცოდნა, ხელსაქმე. ადრეული ბავშვობიდან ნორმალურად ითვლებოდა საოჯახო საქმიანობაში მონაწილეობა, მიწის დამუშავება და სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობაში დახმარება. იმ პერიოდში კითხვა მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში.

საერთო გაუნათლებლობის მეორე მიზეზი იყო ის, რომ მთელი ტექსტის გულმოდგინედ გადაწერა ხელით უხდებოდათ, რაც ძვირი იყო და ფართო გავრცელება არ ჰქონდა. წიგნის ბეჭვდის შემოღებამ მდგომარეობა შეცვალა. წიგნის ბეჭვდა შემოვიდა ევროპაში ჩინეთიდან. პირველი საბეჭდი დაზგა გამოიგონა **იოანე გუტენბერგმა** 1454 წელს. წიგნის ბეჭვდამ ტექსტები და დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახადა. ეს შეეხება არა მარტო წიგნებს და ბროშურებს, არამედ ბევრ სხვა ყოველდღიურ მასალას, რომელიც აუცილებელი ხდებოდა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში. ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ბეჭვდითი საგნების ფართოდ გამოყენებამ განათლების დონე საკმაოდ გაზარდა (ანუ წერა-კითხვის ცოდნა გარკვეულ საბაზისო დონეზე). თანდათან განათლება თანამედროვე ფორმის სახეს იძენდა, სავადაუდოდ სპეციალური სასკოლო შენობების აგების გამო. თუმცა ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ და უფრო ადრეც შეძლებული ოჯახის შვილები განათლებას იღებდნენ სახლში, კერძო მასწავლებლების მოწვევით. XIX საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც ევროპულ ქვეყნებში და აშშ-ში იქმნებოდა პირველი დაწყებითი სკოლები, მოსახლეობის უმეტესობა მაინც სასკოლო განათლების მიღმა რჩებოდა.

ინდუსტრიალიზაციის პროცესი და ქალაქების გაფართოება სპეციალიზირებული სკოლების მოთხოვნილებას აღვივებდა. თანამედროვე პერიოდში ადამიანები სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ და აღარ არის საჭირო მამიდან შვილს გადაეცეს პროფესიული ხელოვნება. ცოდნის შეძენა თითქმის უმეტეს შემთხვევაში ხდება არა სპეციფიკური ცოდნის პრაქტიკული გადაცემით, არამედ აბსტრაქტული დისციპლინების სწავლებით (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ისტორია და ა. შ.) ხალხი თანამედროვე საზოგადოებაში შეიარაღებული უნდა იყვნენ იმ საბაზისო ცოდნით, როგორიცაა კითხვა, წერა და ანგარიში; მათ ასევე წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ გარემომცველ ფიზიკურ სამყაროზე,

საზოგადოების ცხოვრებაზე, მათ სამეურნეო საქმიანობაზე.

ცალკ-ცალკე განვიხილოთ სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების განვითარების ისტორია.

სასკოლო განათლების განვითარების ისტორია

სკოლებმა და უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა, როგორც მსოფლიო საგანმანათლებლო-აღმზრდელობითმა ცენტრებმა ისტორიული განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლეს. ერთის მხრივ, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ კულტურის შენახვაზე, პროგრესსა და საზოგადოებაზე მთლიანობაში, და მეორეს მხრივ, ყველა ქვეყნისა და ხალხის სოციუმში, მეცნიერებასა და კულტურაში მომხდარი მრავალმხრივი კარდინალური ცვლილებები განიცადეს.

სკოლების, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტების დასაწყისი უძველესი ცივილიზაციების ეპოქაში იღებს სათავეს. მიუხედავად იმისა, რომ უძველესი ცივილიზაციები ერთმანეთისაგან განცალკევებით არსებობდნენ, ადამიანის განვითარების სფეროში ისინი პრინციპულად საერთო საფუძვლებით ხელმძღვანელობდნენ. ეთნოგრაფიული ცნობების მიხედვით, დამწერლობამდე პერიოდი დაახლოებით მე-3 ათასწლეულში დასრულდა და გაჩნდა ლურსმული და იეროგლიფური დამწერლობა, როგორც ინფორმაციის გადაცემის საშუალება. სწორედ დამწერლობის აღმოცენება და განვითარება სკოლის აღმოცენების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. რადგან დამწერლობა ინფორმაციის გადაცემის ტექნიკურად უფრო რთულ საშუალებად იქცა, ის სპეციალურ შესწავლას მოითხოვდა.

პირველ სასწავლო დაწესებულებებს, სადაც წერა-კითხვას ასწავლიდნენ სხვადასხვა სახელწოდებები გააჩნდათ. მაგალითად, ძველ მესოპოტამიაში წერა-კითხვის შემსწავლელ სკოლებს **„ტაბულის სახლები”** ერქვა, ხოლო ბაბილონის აყვავების პერიოდში დაერქვა **„ცოდნის სახლი”.** ძველ ეგვიპტეში სკოლები აღმოცენდნენ, როგორც საოჯახო ინსტიტუტები, ხოლო შემდეგ პერიოდში სკოლები იქმნებოდა ტაძრებში, მეფისა სასახლესა და დიდებულების სახლებში. ძველ ინდოეთში თავდაპირველად გაჩნდა საოჯახო სკოლები და ტყის სკოლები, სადაც გურუ განდეგილის გარშემო იკრიბებოდნენ მისი ერთგული მოსწავლეები და სწავლება სუფთა ჰაერზე მიმდინარეობდა. ბუდისტურ ეპოქაში იქმნებოდა ცოდნის სკოლები, სადაც სწავლა კასტულ ხასიათს ატარებდა. ინდოეთში ინდუიზმის აღმოცენების პერიოდში (II-VI სს) ტაძრებში ორი ტიპის სკოლები იქმნებოდა — დაწყებითი და უფრო მაღალი დონის სასწავლო დაწესებულებები. ჩინეთში პირველი სკოლები ჩვენს წელთაღიცხვამდე მე-3 ათასწლეულში გამოჩნდა და ეწოდებოდა „**სიანი**,” და „**სუი**”.

ძველ რომში განათლების მიზანი იყო სამხედრო პირების და სახელმწიფო მოხელეების მომზადება. ძველ საბერძნეთსა და რომში ძირითადად მაღალი წრის შვილებს ასწავლიდნენ. სხვა წრიდან გამოსული ადამიანების შვილების

სწავლება შეგირდობის სახით ხორციელდებოდა, როდესაც მოზარდებს გარკვეული ვადით მიაბარებდნენ სასწავლებლად ვაჭარს, ხელოსანს და ა. შ. მათი მეთვალყურეობის ქვეშ შეგირდები ეუფლებოდნენ პროფესიულ ცოდნას ვაჭრობისა და ხელოსნობის სფეროში. რაც შეეხება მოსახლეობის დიდ ნაწილს — გლეხებს, ისინი თავიანთ შვილებს გადასცემდნენ იმ ცოდნას, რაც მათ გააჩნდათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სახით.

რომის იმპერიაში **ტრივიალური** სკოლები არსებობდა, სადაც შეისწავლებოდა გრმატიკა, რიტორიკა და დიალექტიკა და სკოლები — უფრო მაღალი დონის სასწავლო დაწესებულებები, სადაც ოთხ საგანს ასწავლიდნენ — არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას. ამ სკოლებს **კვადრიუმი** ეწოდებოდათ. VI საუკუნეში აღმოცენდა რიტორიკული სკოლები, სადაც რომის იმპერიისათვის ორატორებს და იურისტებს ამზადებდნენ. უკვე I საუკუნის დასაწყისში ქრისტიანულმა ეკლესიამ დაიწყო საკუთარი სკოლების შექმნა — **კატეხუმენების**, რომელთა საფუძველზე კატეხიზისის სკოლები შეიქმნა, შემდგომში კათედრალურ და საეპისკოპოსო სკოლებად ტრანსფორმირებულნი. ბიზანტიაში განათლების სამსაფეხურიანი სისტემის დაარსების ეპოქაში გამოჩნდა საეკლესიო და საერო, კერძო და სახელმწიფო სკოლები.

ისლამურ სამყაროში განათლების ორი დონე არსებობდა. მეჩეთებთან არსებული რელიგიური სკოლები დაწყებით განათლებას იძლეოდნენ. ამ სკოლებს ხსნიდნენ ხელოსნების, ვაჭრებისა და მდიდარი გლეხების შვილებისათვის. განათლების მეორე დონესაც ასევე მეჩეთებთან არსებულ საგანმანათლებლო წრეებში ღებულობდნენ. აქ სწავლობდნენ შარიათს (მუსულმანულ სამართალს) და თეოლოგიას, არაბულ ფილოსოფიას, რიტორიკას, ლოგიკას, მთემატიკას, ასტრონომიას, მედიცინას. გარდა ამისა, არსებობდა დაწყებითი და უფრო მაღალი განათლების ოთხი ტიპის სკოლები: ყურანის სკოლები (ყურანი — მაჰმადიანების მთავარი წმინდა წიგნი, რომელიც შეიცავს ქადაგებათა კრებულს, ჩვევებსა და იურიდიული დადგენილებებს, წყევლასა და ლოცვას), სპარსული სკოლები, სპარსული ენისა და ყურანის სკოლები, არაბული სკოლები მოზრდილი ადამიანებისათვის.

შუასაკუნეების ევროპაში (XIII-XIV სს) აღმოცენდა ამქრული და გილდიური სკოლები ხელოსნებისა და ვაჭრის შვილებისათვის, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. ამავე დროს გაჩნდა ქალაქის სკოლები ორივე სქესის ახალგაზრდებისთვის, სადაც სწავლა როგორც მშობლიურ, ასევე ლათინურ ენაზე ხორციელდებოდა; სწავლას გამოყენებითი ხასიათი ჰქონდა. ლათინურის გარდა შეისწავლებოდა არითმეტიკა, საქმის წარმოების ელემენტები, გეოგრაფია, ტექნიკა, ბუნებრივი მეცნიერებები. ქალაქის სკოლების დიფერენციაციის პროცესში გამოყოფდნენ ლათინურ სკოლებს, სადაც უფრო მაღალის დონის განათლებას აძლევდნენ და დაწყებით და უმაღლეს განათლებას შორის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენდა. მაგალითად, საფრანგეთში ასეთი სკოლები **კოლეგიის** სახელწოდებას იღებდნენ. დროის განმავლობაში

ეს კოლეგიები თანამედროვე კოლეჯებად ან ზოგასაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებად გადაიქცნენ.

XV საუკუნიდან XVII საუკუნის პირველი მესამედს შორის პერიოდში დასავლეთ ევროპული სკოლების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული ფეოდალური საზოგადოების ინდუსტრიულზე გადასვლასთან, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა სამი ძირითადი ტიპის სკოლების ფორმირებაზე, რომლებიც ელემენტარულ, ზოგად და უმაღლეს განათლებაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

თუ შუა საუკუნეებში ევროპაში ქრისტიანული რელიგიის შეწავლაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რენესანსის ეპოქაში ძირითადი ინტერესი კულტურის, ლიტერატურის ხელოვნების მიმართ არსებობდა.

კათოლიკურ და პროტესტანტულ ქვეყნებში დაწყებითი სწავლების ქალაქური სკოლების რიცხვი იზრდებოდა, რომლებსაც ხელისუფლება და რელიგიური წრეები აფუძვნებდნენ. თუმცა რომაულ-კათოლიკური ეკლესია პროტესტანტულისაგან ჩამორჩებოდა ელემენტარული სწავლების ორგანიზების პროცესში.ამიტომაც ყველა კათოლიკურ მრევლში იხსნებოდა საკვირაო სკოლები მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის და დაწყებითი სასწავლო დაწესებულებები წარჩინებულებისათვის. ასევე იქმნებოდა მოწყალების სკოლები ღარიბებისათვის. XV-XVII საუკუნეებში დაწყებით სკოლებში მღვდელი მასწავლებელის ადგილს თანდათანობით იკავებს პროფესიონალი პედაგოგი, რომელსაც სპეციალური განათლება და მომზადება ჰქონდა გავლილი. ამასთან დაკავშირებით პედაგოგის სოციალური მდგომარეობა იცვლებოდა. XVI საუკუნის ბოლოდან პედაგოგის შრომის ანაზღურება ხდება საზოგადოების მიერ. ასევე თანდათანობით უმჯობესდებოდა საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება. კლასებში ჩნდება სახელმძვანელოები და სასკოლო დაფები.

XV-XVII სს ზოგადი განათლების სასწავლო დაწესებულებებს მიეკუთვნებოდნენ:

— ქალაქის სკოლები (ლათინური), გიმნაზიები (სტრასბურგში, გოლდელბერგში და სხვა ქალაქებში).

— გრამატიკული და საერო სკოლები (ინგლისში ვინჩესტერში, იტონში, ლონდონში).

— კოლეჯები (საფრანგეთში სორბონასა და ნავარის უნივერსიტეტებში, ბორდოში, ვანდომში, პარიზსა და ტულუზაში).

— იორონიმიტების სკოლები (რელიგიური ერთობა).

— სასახლის სკოლები (გერმანიასა და იტალიაში), იეზუტების სკოლები იეზუიტების წევრებისათვის (ვენაში, რომში, პარიზში) (იეზუიტები – კათოლიკური მონაზვნური ორდენის წევრები).

XVIII საუკუნეში სწავლების ძირითად ფორმად კლასიკური ტიპის სკოლები გახდა, რომლებშიც უპირველეს ყოვლისა ძველი ენებისა და ლიტე-

რატურის შესწავლაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

XIX საუკუნეში დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ახალი სკოლის საკანონმდებლო საფუძვლები შეიქმნა. წამყვან სამრეწველო ქვეყნებში ხორციელდებოდა სასკოლო განათლების ეროვნული სისტემების ჩამოყალიბება და სახელმწიფოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში. ამის შედეგად იქმნებოდა სახელმწიფო ბიუროები, სათათბიროები, დეპარტამენტები, კომიტეტები, განათლების სამინისტროები. ყველა სასწავლო დაწესებულება სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა. XIX საუკუნის განმავლობაში შემდეგი ტიპის სკოლები არსებობდა:

— ნეოკლასიკური გიმნაზია, შერეული ტიპის სკოლა გერმანიაში;

— მუნიციპალური კოლეჯები და ლიცეუმი საფრანგეთში;

— აკადემიები და სხვა სასწავლო დაწესებულებები (high school) ამერიკაში.

XX საუკუნეში სასკოლო რეფორმის შედეგად გამყარდა უფასო დაწყებითი სწავლების და ფასიანი სახელმწიფო საშუალო განათლების საფუძვლები. ინგლისში ზოგადსაგანმანათებლო სკოლის ორი ტიპი არსებობს — დაწყებითი 6 წლიდან 11 წლამდე და საშუალო 11 წლიდან 17 წლამდე. 14 წლის ასაკამდე ბავშვებს უფასოდ ასწავლიან. ბრიტანეთში საშუალო განათლების დაწესებულებებს მიეკუთვნება: საჯარო (ელიტური) სკოლები, რომლებიც ბავშვებს უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ამზადებენ, თანამედროვე სკოლა ბრიტანული საზოგადოების საშუალო კლასისათვის, და სკოლები პროფესიულ-ტექნიკური მომზადების მიზნით.

საფრანგეთში დაწყებითი განათლების ორი სტრუქტურა ჩამოყალიბდა: უფასო დაწყებითი სწავლება 6 წლიდან 14 წლამდე და ფასიანი სწავლება 6 დან 11 წლამდე საშუალო სკოლაში სწავლების გაგრძლების პერსპექტივით. საშუალო სასწავლო დაწესებულებები — ლიცეუმები, კოლეჯები, კერძო სკოლები (სწავლების 7 წლიანი ხანგრძლივობით) ახალგაზრდებს უნივერსიტეტებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლო დაწესებულებებისკენ ხსნიან გზას.

საქართველოში სკოლის ორი სისტემა მოქმედებს — სახელმწიფო (უფასო) და კერძო სკოლები. სკოლის ორგანიზების შემდეგი ტიპები არსებობს: დაწყებითი განათლება 6 ასაკიდან; საბაზისო განათლება — 12 წლის ასაკიდან და საშუალო განათლება 15 წლიდან (X-XII კლასები). საქართველოში ფუნქციონირებს ზოგაგსაგანმანათლებლო სკოლები, გიმნაზიები, ლიცეუმები, სკოლა-ინტერნატები.

უმაღლესი განათლების განვითარების ისტორია

ძველ საბერძნეთში შეიქმნა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი პირველსახე. ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში პლატონმა ათენთან ახლოს დაარსა ფილოსოფიური სკოლა, რომელმაც **აკადემიის** სახელწოდება მიიღო. აკადემიამ ათას წელზე მეტი ხანი იარსება და 529 წელს დაიხურა. ძვ. წ. 335 წელს ათენში დაარსა **ლიცეუმი (ლიკეიონი)**, რომელიც ცნობილია **პერიპატეტიკური სკოლის** სახელით. ამ სასწავლებელში განსაკუთრებულ მნიშველობას ანიჭებდნენ ფილოსოფიის, ფიზიკის, მათემატიკის და სხვა მეცნიერებების შესწავლას. ისტორიულ პერსპექტივაში ეს იყო თანამედროვე ლიცეუმის წინამორბედი.

ელინიზმის პერიოდში დაარსდა სასწავლო დაწესებულება მუსეუმი (ლათინური სიტყვიდან Museum – ადგილი, რომელიც მუზებს ეძღვნებათ). ექციური სწავლების ფორმის სახით ძირითად მეცნიერებებს ასწავლიდნენ — მათემატიკას, ასტრონომიას, ფილოლოგიას, ბუნებისმეტყველებას, მედიცინას, ისტორიას. აქ ასწავლიდა არქიმედე, ევკლიდე, ერატოსფენი. სწორედ ეს სასწავლებელი იყო წიგნებისა და სხვა კულტურული ფასეულობების ყველაზე მნიშვნელოვანი საცავი.

ძველ საბერძნეთში სხვა უმაღლესი სასწავლო ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ ფილოსოფიური სკოლები, სადაც ორწლიანი სწავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ათენის სრულუფლებიანი მოქალაქის სტატუსს აძლევდნენ.[5]

425 წელს კონსტანტინოპოლში უმაღლესი სკოლა – **აუდიტორიუმი** შეიქმნა, რომელსაც IX საუკუნეში დაერქვა **„მაგნავრი"** (ოქროს პალატა), რომელიც უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა. თავდაპირველად სწავლება ლათინურ და ბერძნულ ენებზე მიმდინარეობდა, ხოლო VII-VIII საუკუნეებში მხოლოდ ბერძნულ ენაზე. XV საუკუნეში სწავლების პროგრამაში დაბრუნდა ლათინური ენა და დაამატეს სხვა უცხო ენებიც. ამ ცნობილ სკოლაში, სადაც გამოჩენილი მასწავლებლების ელიტა ასწავლიდა, შეისწავლებოდა ანტიკური მემკვიდრეობა, მეტაფიზიკა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, მედიცინა, მუსიკა, ისტორია, ეთიკა, იურისპრუდენცია. სწავლება საჯარო დისკუსის სახით მიმდინარეობდა. უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობას ენციკლოპედიური განათლება ჰქონდა მიღებული და ცნობილი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეები გამოდიოდნენ. მაგნავრის გარდა, კონსტანტინოპოლში სხვა უმაღლესი სკოლებიც ფუნქციონირებდა: იურიდიული, სამედიცინო, ფილოსიური და საპატრიარქო.

ამავე დროს ბიზანტიის შეძლებული და გამოჩენილი მოქალაქეების სახლებში იქმნებოდა სალონი-წრეები — თავისებური საოჯახო აკადემიები, რომლებიც ხალხს იზიდავდნენ ინტელექტუალი მეცენატებისა და ავტორიტეტულ ფილოსოფოსების ირგვლივ. მათ „ერუდიციისა და ყოველგვარი ზნეობის

---

[5] **Невежина М. М., Пушкарева Н. В., Шарохина Е. В.,** Педагогика., М., 2005, с. 63.

სახლს” უწოდებდნენ.

უმაღლესი განათლების განვითარების საქმეში ეკლესია დიდ როლს ასრულებდა, რაც ეკლესიის ბატონობით აიხსნებოდა, განათლების სფერო რელიგიურ იდეოლოგიას ასახავდა.[6]

მუსულმანურ სამყაროში ბაღდადში (800 წელს) სიბრძნის სახლის დაარსება განათლების გავრცელების პროცესში მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. სიბრძნის სახლში ცნობილი მეცნიერები და მათი მოსწავლეები იკრიბებოდნენ, რომლებიც აწყობდნენ დისკუსიებს, კითხულობდნენ და განიხილავდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ფილოსოფიურ და სამეცნიერო თზულებებს და ტრაქტატებს, ქმნიდნენ ხელნაწერებს და კითხულობდნენ ლექციებს. XI-XIII ბაღდადში ახალი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები გაჩნდა – **მედრესე**. მედრესეები ფართოდ გავრცელდა მთელს მუსულმანურ სამყაროში. ყველაზე ცნობილი მედრესე 1067 წელს დაარსეს ბაღდადში, სადაც იღებდნენ როგორც რელიგიურ, ისე საერო განათლებას. XVI საუკუნის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში მედრესეს შემდეგი იერარქია ჩამოყალიბდა: საქალაქო, რომელიც კურსდამთავრებულებს ადმინიტრაციული კარიერისკენ უკვალავდა გზას და პროვინციული, რომლის კურსამთავრებულები მოხელეები ხდებოდნენ.

ისლამური სამყაროს მსხვილ კულტურულ და საგანმანმათლებლო ცენტრს წარმოადგენდა მუსულმანური ესპანეთი (912-976 წწ). კორდოვის, ტოლედოს, სალამანკისა და სევილიის უმაღლესი სკოლები ცოდნის ყველა დარგში პროგრამებს სთავაზობდნენ — ღვთისმეტყველებას, სამართალს, მატემატიკას, ასტრონომიას, ისტორიისა და გეოგრაფიას, გრამატიკასა და რიტორიკას, მედიცინასა და ფილოსოფიას. აღმოსავლეთში დაარსებული უნივერსიტეტის ტიპის სკოლები (სალექციო დარბაზით, მდიდარი ბიბლიოთეკით, სამეცნიერო სკოლით, თვითმართველობის სისტემით) ევროპაში შუასაკუნეების უნივერსიტეტების წინამორბედებად იქცნენ. ისლამური სამყაროს საგანმანათლებლო პრაქტიკამ, განსაკუთრებით არაბულმა, ევროპაში უმაღლესი განათლების განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

ინდოეთში მუსულმანები უმაღლეს განათლებას მედრესში და სამონასტრო სასწავლო დაწესებულებებში იღებდნენ. „ოქროს ხანაში” ჩინეთში (III-X სს) უნივერსიტეტის ტიპის სასწავლო დაწესებულელები შეიქმნა, სადაც კურსდამთავრებულები სპეციალისტის ხარისხს კონფუცის ხუთი კლასიკური ტრაქტატის მიხედვით იღებდნენ.[7] ესენია: **„ცვლილებათა წიგნი”, „ეტიკეტის ციგნი”, „ გაზაფხული და შემოდგომა”, „პოეზიის წიგნი”, „ისტორიის წიგნი”.**

XII-XV საუკენეების მანძილზე ევროპაში იქმნება უნივერსიტეტები, მაგრამ თითოეულ ქვეყანაში ეს პროცესი სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა.

---

[6] იქვე, c. 63.

[7] **კონფუცი -** ძველი ჩინელი მეცნიერი, კონფუციონიზმის დამაარსებელი.

როგორც წესი საეკლესიო სკოლების სისტემა უნივერსიტეტების აღმოცენების წყაროდ ითვლებოდა. ევროპაში კათედრალური და სამონასტრო სკოლები მსხვილ სასწავლო ცენტრებად კეთდებოდა, რომელთაც შემდგომში უნივერსიტეტები უწოდეს. მაგალითად, ასე აღმოცენდა პარიზის უნივერსიტეტი (1200 წელს), რომელიც გაიზარდა სორბონის საღვთო სკოლის გაერთიანებით სამედიცინო და იურდიულ სკოლებთან. ამგვარი გზით აღმოცენდა უნივერსიტეტები ნეაპოლში (1224 წ.), ოქსფორდში (1206 წ.), კემბრიჯში (1231 წ.), ლისაბონში (1290 წ.). უნივერსიტეტების ქსელი ევროპაში სწაფად იზრდებოდა. თუ XIII საუკუნეში მხოლოდ 19 უნივერსიტეტი არსებობდა, XIV საუკუნეში მათი რიცხვი 44-მდე გაიზარდა.

XIII საუკენეების მეორე ნახევარში უნივერსიტეტებში გამოჩნდა ფაკულტეტები და კოლეჯები. ფაკულტეტები სამეცნიერო ხასისხს ანიჭებდნენ — თავიდან ბაკალავრის (პროფესორის ხელმძღვანელობით 3-7 წლიანი წარმატებული სწავლების შემდეგ, და მერე მაგისტრის, დოქტორის. სათვისტომო და ფაკულტეტები განსაზღვრავდნენ პირველი უნივერსიტეტების ცხოვრებას და ერთად ირჩევდნენ უნივერსიტეტის ოფიციალურ მეთაურს – რექტორს, რომელიც მხოლოდ დროებით, ერთწლიან უფლებამოსილებას ფლობდა. უნივერსიტეტებში ძალაუფლება ფაქტიურად ფაკულტეტებს და სათვისტომოებს ეკუთვნოდათ. ასეთი მდგომარეობა XV საუკუნის ბოლოს შეიცვალა. უნივერსიტეტების მთავარ მმართველ პირებს უკვე ხელისუფლება ნიშნავდა.

პირველ უნივერსიტეტებს მხოლოდ რამოდენიმე ფაკულტეტი ჰქონდათ, თუმცა მათი სპეციალიზაცია თანდათანობით ღრმავდებოდა. მაგალითად, პარიზის უნივერსიტეტი განთქმული იყო თეოლოგიისა და ფილოსოფიის სწავლებით, ოქსფორდის უნივერსიტეტი — კანონიკური სამართლის, ორლეანის უნივერსიტეტი — სამოქალაქო სამართლის, იტალიიის უნივერსიტეტები — რომის სამართლის, ესპანეთის უნივერსიტეტები — მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით. ინდუსტრიალურ საზოგადოებამდე განათლების განსაკუთებულ თვისებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მხოლოდ მდიდარი და წარჩინებული ოჯახის შვილებს შეეძლოთ განათლების მიღება.

განთლების სისტემაში ნამდვილი რევოლუცია ინდუსტრიულ საზოგადოებაში მოხდა. განათლება აღარ იყო ელიტარული და გახდა მასობრივი, ხელმისაწვდომი მოსახლეობის ფართო მასებისთვის. XIX-XX სუკუნეებში იზრდება უმაღლესი დაწესებულებების რიცხვი, რომელთაც დღეისათვის სპეციალიზაციის ფართო და მრავალფეროვანი სპექტრი გააჩნიათ. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარდა განათლების სისტემა, როდესაც მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის სფეროში დიდი მიღწევები განხორციელდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ყველა განვითარებულ ქვეყანაში განათლების სფეროში მსხვილი რეფორმები განხორციელდა, რომლის ამოცა-

ნასაც წარმოადგენდა მისი ეფექტურობის ამაღლება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამყარება ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საგანმანათლებლო პროცესის ჰუმანიზაციის საფუძველზე. თანამედროვე განათლების სისტემის ძირითადი ნიშანია მრავალსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს უწყვეტად გააუმჯობესოს და განაახლოს წინათ მიღებული ცოდნა.

დღეისათვის მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე სხვადასხვა ტიპისა და დონის ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებს აერთიანებს, რომლებიც ფილოსოფიური და კულტურული ტრადიციების, მიზნებისა და ამოცანების, ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ შეიძლება ვისაუბროთ თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეზე, როგორც ერთი ორგანიზმის ფორმირებაზე თითოეულ საგანმანათლებლო სისტემაში გლობალური ტენდენციების არსებობისა და მრავალფეროვნების შენარჩუნების პირობებში.

მსოფლიოში გამოყოფენ ქვეყნების ტიპებს, რომლებიც ხასიათდებიან საგანმანათლებლო სისტემების მსაგსებით ან ურთიერთქმედებით.

- პირველ ტიპს მიეკუთვნებიან ქვეყნები, რომლებიც ინტეგრაციული პროცესების გენერატორებად წარმოგვიდგებიან. ყველაზე ნათელ მაგალითად წარმოადგენს დასავლეთ ევროპა. ერთიანობის იდეა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 1990-იანი წლების განათლების რეფორმის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა. ევროპული იდენტურობისაკენ სწრაფვა განათლებისა და კულტურის სფეროში მთელი რიგი ევროპული პროექტებით არის გამყარებული, მაგალითად, ისეთი როგორიცაა ეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაცია, უცხო ენების შესწავლის გავრცელება, ბიბლიოთეკების ქსელის გავრცელება, პროექტი „კულტურის ევროპული ქალაქი.”
- მეორე ტიპს მიეკუთვნება რეგიონები, რომლებიც ინტეგრაციულ პროცესებზე დადებითად რეაგირებენ. პირველ რიგში, ეს ლათინარული ამერიკის ქვეყნებია. როგორც ისტორიულ წარსულში, დღესაც ლათინური ამერიკა აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მხრიდან ინტეგრაციული იმპულსების მოქმედების ზონაში ექცევა. ევროპა ლათინური ამერიკის ქვეყნებს მთელი რიგი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში იყენებს.
- მესამე ტიპს მიეკუთვნება ის რეგიონები, რომლებიც საგანმანათლებლო პროცების ინტეგრაციის მიმართ ინერტულად არიან განწყობილნი. მათ მიეკუთვნება აფრიკის ქვეყნების ნაწილი, აზიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნების ნაწილი, წყნარი და ატლანტის ოკეანის ბასეინის რამოდენიმე კუნძულოვანი სახელმწიფო.
- ცალკე ტიპს მიეკუთვნებიან ქვეყნები, სადაც მთელი რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო ფერხდებოდა საგანმანათლებლო და ინტეგრაციული პროცესები. ესენია არაბული ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები.

განათლება სხვადასხვა მეცნიერებების შესწავლის ჭრილში

განათლება საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი პროცესების და მოვლენების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერებების მთელი რიგი წარმომადგენლების ყურადღებას იქცევს. ეს ყურადღება ცალკეული ადამიანის და საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან იზრდება განათლების პრობლემების აქტუალობის პროპორციულად. რაც უფრო მეტად ვრცელდება განათლება მსოფლიოში, ცალკეულ ქვეყნებში, მით უფრო ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც იზრდება სამეცნიერო კვლევები განათლების სფეროში.

განათლების შესწავლის რამოდენიმე მიდგომა არსებობს.

პედაგოგიური მიდგომა განათლებისადმი

პირველი მეცნიერება, რომელმაც განათლებისადმი ინტერესი გამოამჟღავნა **პედაგოგიკა** იყო. თვით პედაგოგიკის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის აღმოცენება განათლების განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. განათლებისადმი პედაგოგიური მიდგომა XVII-XIX სს კომენსკის, რუსოს, უშინსკის, ტოლსტოის და სხვათა თეორიებში ჩამოყალიბდა.

ტერმინი „განათლების" მთელი რიგი განმარტება არსებობს. მათ შორის: 1) განათლება – ეს არის ცოდნის ათვისების პროცესი, სწავლება, სხვისთვის ცოდნის გადაცემა. 2. განათლება - რომელიც წარმოადგენს სწავლების პროცესის შედეგს. ტერმინი „განათლების" ფართო მნიშვნელობას თუ გამოვიყენებთ, ნიშნავს განათლებას, როგორც რაღაცის შექმნა ან რაიმეს ფორმირება. განათლებისადმი პედაგოგიური მიდგომა შეიძლება ადამიანის შექმნასა და ფორმირებასთან დავაკავშიროთ, რომელიც მიიღწევა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განხორციელებით პედაგოგიური საქმიანობის განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით. ამ შემთხვევაში განათლება წარმოადგენს პედაგოგიკის საგანსაც და ობიექტსაც.

სხვა სამეცნიერო მიდგომების უმრავლესობა, რომელიც განათლების შესწავლაზეა მიმართული, ძირითადად XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. გასული საუკუნის დასაწყისში მოხდა იმის გაცნობიერება, თუ რამდენად მჭიდრო კავშირი არსებობს მეცნიერების, წარმოებისა და განათლების განვითარებას შორის. ფილოსოფიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებების წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს განათლების სფეროს; ამავე დროს ინტერესი განათლებული ადამიანისადმი გაიზარდა. მთელი XX საუკუნის მანძილზე განათლებისადმი მიდგომების ფორმულირება მუშავდებოდა და დეტალიზდებოდა ზემოთ აღნიშნული მეცნიერებების ჩარჩოებში. ამის შედეგად იქმნებოდა კვლევითი სკოლები, ფორმირდებოდა ცოდნის განსაკუთრებული განშტოებები, რომელთაც დღეს გამოკვეთილი სამეცნიერო სტატუსი გააჩნიათ: განათლების ფილოსოფია, განათლების

ეკონომიკა, განათლების სოციოლოგია და ა.შ.

ეკონომიკური მიდგომა განათლებისადმი

ამ მიდგომის ფარგლებში განათლება განიხილება, როგორც საზოგადოების და პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რესურსი. მომუშავეთა საგანმანათლებლო დონის ამაღლება პირდაპირ კავშირშია საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შრომის პროდუქტიულობასთან.

ცნობილია, რომ განათლების ეკონომიკის პირველი საკითხები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წამოიჭრა ა. სმიტის, შემდეგ კი ჯ. მილის მიერ. სმიტმა განათლება მიღებული ადამიანი, რომელსაც განათლების მიღებაზე დიდი შრომა და თანხა ჰქონდა დახარჯული, ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას მანქანას შეადარა, ხოლო მილმა განათლების განვითარება საბაზრო ეკონომიკის ფარგლებს გარეთ მოაქცია, რომელსაც თვითონ დამოუკიდებლად არ შეუძლია განათლებას თავისი კანონები უკარნახოს. ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსების მიერ წამოჭრილი განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები XX საუკუნეშიც მეცნიერების ყურადღების ცენტრში იყო.

განათლებისადმი ეკონომიკური მიდგომის არსი ლაკონურად შეიძლება განისაზღვროს ეკონომიკისა და განათლების დიალექტიკური ურთიერთქმედების გზით: 1) როგორ მოქმედებს (რა გავლენას ახდენს) ეკონომიკა განათლებაზე, რთავს რამ მას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. 2) როგორია განათლების ეკონომიკური ეფექტურობა. 3) როგორ გავლენას ახდენს (როგორ მოქმედებს) განათლება წარმოების განვითარებაზე, საზოგადოების ეკონომიკაზე მთლიანად.

XX საუკუნეში განათლებისადმი ეკონომიკურ მიდგომაზე მსოფლიო ეკონომიკური აზრის ორმა წამყვანმა მიმართულებამ მოახდინა გავლენა: **ნეოკლასიკურმა** და **კეინსიანურმა**. პირველი მიმართულების ფარგლებში განათლება განიხილებოდა, როგორც თავისუფალი წარმოება. განათლების, როგორც ეკონომიკის განშტოების განვითარება, აღიარებდა მხოლოდ მომხმარებელს, მის ინტერესებს და არჩევანს. ითვლებოდა, რომ განათლება თავისუფალი საბაზრო მექანიზმების ქმედებას ექვემდებარებოდა, ხოლო სახელმწიფო მხოლოდ ქმნიდა ამისათვის აუცილებელ პირობებს. სახელმწიფო ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლების აზრით, განათლების სფეროში აქტიურად არ უნდა ჩარეულიყო. მათი აზრით, სახელმწიფო განათლების სფეროში ჩარევით პირველ რიგში, საგანმანათლებლო მომსახურების მწარმოებელთა კონკურენციაზე ზეწოლას ახდენს, მეორეს მხრივ, განათლების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპს არღვევს. ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ არ შეიძლება ორჯერ გადაიხადო ერთსა და იმავე განათლებაზე.

რაც შეეხება კეინსიანურ მიმართულებას, მისი წარმომადგენლები ემხრობოდნენ სახელმწიფოს ჩარევას განათლებასა და ეკონომიკაში. მათი

შეხედულებით, ყოველი ადამიანი ვერ იაზრებს მთლიანად თავის პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს და ეს ხელს უშლის განათლების, როგორც საწარმოო პროცესის განვითარებას. მისი მხარდაჭერისა და საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა.

ორივე მიმართულება განათლების ეკონომიკაზე თავისი გავლენით ცვლიდა ერთმანეთს 1980-90-იან წლებამდე, სანამ მათი ინტეგრაცია არ განხორციელდა. ამასთანავე დღესაც ნათელია, რომ ცალკეულ ქვეყანაში განათლების განვითარებაში სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური „ჩარევის" ფაქტორი დომინირებს (მაგალითად, გერმანიაში, საფრანგეთში), ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, აშშ-ში) აშკარად გამოხატული ფორმით არ ხდება.

განათლებისადმი ეკონომიკური მიდგომის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს საგანმანათლებლო მარკეტინგის შემუშავება. სწორედ მისი წყალობით ვლინდება საგანმანათლებლო სფეროში მათი მომხმარებლების მოთხოვნილებები, რაც თავის მხრივ, ამ სფეროების მწარმოებლებს აიძულებს კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომაც საგანმანთლებლო სფეროს ბაზარზე ნამდვილი „ბატონი" არა მწარმოებელი, არამედ მომხმარებელია.

განათლებისადმი ეკონომიკური მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აჩვენოს საგანმანათლებლო მომსახურების თავისუფალი ბაზრის რეალური შესაძლებლობები, მისი არასაკმარისი ეფექტურობა და სახელმწიფოს არა იმდენად შეზღუდული, რამდენადაც ორგანული ჩარევის აუცილებლობა განათლების ეკონომიკაში. ეს აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ეკონომიკური რესურსები, რომელიც შეუძლია განათლების განვითარების მთელი რიგი პროგრამების განსახორციელებლად მიმართოს.

ფილოსოფიური მიდგომა განათლებისადმი

განათლების ფილოსოფიური მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე, მნიშვნელოვანი მიღწევები სწავლის, აღზრდის, პროფესიული მომზადების, სოციალიზაციის, პიროვნების განვითარების სფეროში.

ამ საკითხზე დღესაც ბევრი მეცნიერი დაობს, მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ განათლების ფილოსოფია ფილოსოფიის დანამატია, ბევრ მკითხველში ასეთი სიტყვათშეთანხმება დაბნეულობას იწვევს. რადგანაც ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების გაგება ადამიანების მიერ აღიქმება, როგორც ფუნდამენტარული ცოდნა, კვლევა, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ სამყაროსთან ურთიერთობაში, ბუნების განვითარების საერთო კანონებზე, საზოგადოება და აზროვნებაზე, ცხოვრების და შემეცნების ზოგად პრინციპებზე და ა.შ. დანამატი კი იმ გაგებით, რომ ფილოსოფიის მდგო-

მარეობის და საერთო პრინციპების გამოყენება - დამატება განათლების განსხვავებული მხარეების ანალიზისას ხდება. ამ დროს განათლება განიხილება, როგორც სისტემა, პროცესი, საქმიანობა, ღირებულება და სოციალური ინსტიტუტი. არსებობს განსხვავებული მოსაზრება განათლების ფილოსოფიის შესახებ, რომელიც უარყოფს მის, როგორც ცოდნის განსაკუთრებული განშტოების სტატუსს. ამ პოზიციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ განათლების ფილოსოფიის შინაარსი ძირითადში იგივეა, რაც პედაგოგიკის თეორიული მეთოდოლოგიური პრობლემატიკა.

მოკლედ რომ ვთქვათ, განათლების ფილოსოფია გულისხმობს იმ პრინციპებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომელიც კონკრეტული რეალობის გათვალისწინებით ეყრდნობა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინა-რეობას და გამოიყენება ადამიანის აღზრდისა და პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში.

სოციოლოგიური მიდგომა განათლებისადმი

სოციოლოგიური მიდგომა განათლებისადმი მიზნად ისახავს განსაზღვროს განათლების ადგილი და როლი საზოგადოებაში. სოციოლოგია ყურადღებას აქცევს განათლების ურთიერთკავშირს განსხვავებულ საზოგადოებრივ სტრუქტურებთან, ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან, რომლებთანაც მას მრავალი საერთო საკითხი აკავშირებს. სოციოლოგიას განათლების ეფექტურობის საკითხი აღელვებს.

განათლება, როგორც სოციალური მოვლენა და პროცესი, როგორც სოციალური სისტემა და ბოლოს, როგორც სოციალური ინსტიტუტი საზოგადოების ელემენტს, შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საკუთარ თავზე გამოცდის პრაქტიკულად ყველა ცვლილებას, რაც საზოგადოებაში ხდება. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური რეფორმები ყოველთვის გავლენას ახდენენ განათლების სოციალურ ინსტიტუტზე.

განათლების ყოველი სახე, რომელიც ჩართული არის განათლების სისტემაში ვერ დარჩება გულგრილი, მონაწილეობა არ მიიღოს მასში და ასე თუ ისე მაინც მოქმედებს მასზე, აიძულებს სისტემას რეაგირება მოახდინოს განათლების მოთხოვნებზე, მუდამ ახსენებს თავს, მუდმივად „აწუხებს" სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს თავისი პრობლემებით.

განათლებისადმი სოციოლოგიური მიდგომა ასევე ნიშნავს განათლების კვლევას, რომელიც მჭიდროდაა კავშირში ყოველდღიური საქმიანობის ელემენტებთან, ამიტომ სოციოლოგს აინტერესებს შრომის, ყოფის, თავისუფალი დროის, ცხოვრების პირობების, საქმიანობის სხვადასახვა სახეების და ფორმების ზემოქმედება განათლებაზე. ამავდროულად მას აინტერესებს უკუზემოქმედებაც; განათლების უკუზემოქმედება ადამიანის (სოციალური ჯგუფების) ცხოვრების წესის სხვადასხვა მხარეებზე.

სოციოლოგიას აინტერესებს სხვადასხვა ჯგუფების სოციალური თვითშეგრძნების გამორკვევა განათლების სფეროში, სოციალური

კომფორტისა და დისკომფორტის ფაქტორები (განსაკუთრებით აქტუალურია ეს საზოგადოებისთვის, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადადის), ადამიანთა მზაობა ისწავლონ მთელი ცხოვრება ან ცხოვრების უმეტესი ნაწილი.

სოციოლოგს აღელვებს უწყვეტი განათლების საკითხები. ეს სოციალური პოლიტიკის განსაკუთრებული მიმართულების არსებობით უნდა გამოიხატებოდეს, რომელიც დამატებითი განათლების სხვადასხვა სტრუქტურის და მისი ცენტრების შექმნას წაახალისებს და ფინანსურად შეუწყობს ხელს სასწავლო დაწესებულებების გარეთ არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ მოზრდილი ადამიანების სხვადასხვა საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის.

ამრიგად, განათლების, ცოდნის ყოველ განშტოებას, რომელიც განათლების შესწავლით არის დაკავებული, აქვს კვლევის საერთო ობიექტი და ფლობს საკუთარ სპეციფიკურ საგანს - რომლის საფუძველზეც განსაკუთრებული მიდგომები იჩენს თავს: ფილოსოფიური, პედაგოგიური, ეკონომიკური, სოციოლოგიური და სხვა. როგორც არ უნდა გვინდოდეს განათლების განშტოებებს შორის არსებული ზღვარი გადავლახოთ, ამას მაინც ვერასოდეს შევძლებთ. ნებისმიერი მკვლევარის ინდივიდუალური შემოქმედება ხორციელდებოდა და განხორციელდება გარკვეულ ჩარჩოებში, რომელსაც კონკრეტული მეცნიერების მოსაზრებათა კვალი ყოველთვის დააჩნდება. რამდენადაც მეტი მიდგომა იქნება, ეს მით უკეთესია, რადგან მოხდება განათლების სფეროს ღრმა ანალიზი.

განათლების სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორია

განათლებას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ღებულობს. ადამიანთა სწავლისადმი მოთხოვნილებას, სწავლის დაუფლებას ათეული მილიონობით სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულება აკმაყოფილებს, რომლებიც ადამიანებს მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურება – ბავშვობის წლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე.

განათლება ფუნდამენტია, რომელზეც დგას თანამედროვე საზოგადოების მთლიანი შენობა თავისი ძირითადი ინსტიტუტებით და სფეროებით (ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა, მეცნიერება, ოჯახი). ფუნდამენტის ხარისხზე, სიმტკიცეზე დამოკიდებულია სახლის ბედი, საიმედოობა და მისი არსებობის ხანგრძლივობა. თუ მშენებლები სათანადო ყურადღებას არ მიაქცევენ ფუნდამენტს და მასზე მასალას დაინანებენ, მაშინ ეს სახლი დაინგრევა.

საზოგადოების ცხოვრებაში განათლების როლი და ადგილი, მისი სოციალური ფუნქციები და ამოცანები, პრობლემები და წინააღმდეგობები, მათი გადაჭრის გზები და კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის საშუალებები, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და სისტემები, საქმიანობის სახეები და სოციალური ერთობების ურთიერთქმედების პროცესები, რომლებიც განათლების სფეროშია ჩართული, მისი შესაძლო ტრანსფორმაციისა და ცვლილებების პროგნოზირება და წინასწარმეტყველება – ყოველივე ეს ცოდნის განსაკუთრებული დარგის მიერ შეისწავლება, რომელმაც **განათლების სოციოლოგიის** სახელი მიიღო.

განათლების სოციოლოგია, როგორც სოციოლოგიური ცოდნის ნაწილი XX საუკუნის 20-30-იან წლებში გაჩნდა. მისი აღმოცენება სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო ხასიათის მრავალი სახის წინაპირობით იყო განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას, მის ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, განათლების სისტემებს. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელია დიდი ინდუსტრიალიზაცია და კაპიტალის მძლავრი კონცენტრაცია. სამრეწველო წარმოების პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების გამოჩენამ, რაც მკვეთრად ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას, კონვეირული წარმოების აღმოცენება განაპირობა. ეს პროცესები მზარდ ურბანიზაციას ახლდა თან. სწრაფად იზრდებოდა განვითარებული კაპიტალისტული ქვეყნების მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. ამასთან ერთად მისი სოციალური დიფერენციაა ძლიერდებოდა. საზოგადოების სტრატიფიკაცია, განსაკუთრებით ისეთი მაჩვენებლის მიხედვით, როგორიცაა შემოსავლებისა და სიმდიდრის დონე, სულ უფრო გამოკვეთილი ხდებოდა. ამავე პერიოდს უკავშირდება ახალი სოციალური ფენების ჩამოყალიბება, საშუალო კლასის ფორმირება.

XIX საუკუნე – ეს ის პერიოდია, როდესაც განათლებამ მრავალი მკვლე-

ვარის მზარდი ყურადღება მიიქცია და მთელი რიგი მეცნიერების და მათი დარგების შესწავლის საგნად იქცა. განათლება მასიური, თითქმის უნივერსალური გახდა, სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროდ გადაიქცა. განათლების მნიშვნელობის ზრდა სხვადასხვა დონის და კვალიფიკაციის მქონე განათლებულ ადამიანებზე მოთხოვნილების ზრდით იყო გამოწვეული, რამაც მრავალსაფეხურიანი განათლების სისტემის ფორმირებას შეუწყო ხელი, რაც როგორც სახელმწიფოსგან, ასევე განათლების საკითხებით დაინტერესებული კერძო პირებისგან მისი განვითარებისათვის აუცილებელ ძვირადღირებული მექანიზმების შექმნას მოითხოვდა. ძირითადად დასავლეთის ქვეყნებში გაჩნდა მოთხოვნილება განათლების ახალ სისტემაზე და სამრეწველო წარმოებასა და მართვისთვის კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ეს მოვლენები დამახასიათებელი იყო აშშ-ს და ევროპის წამყვანი ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთისთვის. სწორედ ამ ქვეყნებში გაჩნდა მოთხოვნილება განათლების ახალ სისტემაზე.

განათლების საკითხების წინ წამოწევას მისი სამეცნიერო-თეორიული ანალიზი და ემპირიული კვლევა მოჰყვა. დაიწყო მეცნიერების განვითარებასა და განათლების სფეროში არსებულ მდგომარეობას შორის მჭიდრო კავშირის გააზრება. მისი პროგრესის პერსპექტივამ და ამ პროცესში საზოგადოების ღვაწლმა განათლების შესახებ სამეცნიერო ცოდნის დიფერენციაციამდე მიგვიყვანა.

ვახასიათებთ რა განათლების სოციოლოგიის წინაპირობებს, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის პროცესები, რომლებიც პირველ რიგში თვითონ სოციოლოგიურ მეცნიერებასთან არის დაკავშირებული. ხდება სოციოლოგიის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბება (ქალაქის სოცოლოგია, შრომის სოციოლოგია, განათლების სოციოლოგია და ა. შ.). რადგან ემპირიული სოციოლოგიის ინსტიტუციონალიზაცია, აღიარება XX საუკუნის 20-იან წლებში მოხდა (რაც დაკავშირებულია, პირველ რიგში, ჩიკაგოს სოციოლოგიურ სკოლასთან), მეტად სავარაუდოა, რომ სოციოლოგიური მეცნიერების პირველი შემადგენელი ნაწილების (მათ შორის ღირსეულ ადგილს იკავებს განათლების სოციოლოგია) ჩამოყალიბება ამ პერიოდს ემთხვევა.

განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების დროის შესახებ სხვა მოსაზრებაც არსებობს, რაც მისი აღმოცენების დროს რამდენიმე ათეული წლით უკან გადასწევს. მაგალითად, მეცნიერი ა. ოსიპოვი ფიქრობს, რომ მეცნიერების ახალი დარგის ჩამოყალიბება და გავრცელება ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო, ეყრდნობა რა ამერიკელი მკვლევარების შრომების – დ. სნედნის, ჯ. ჰოლის, გ. სუზალოს, უ. სმიტის და სხვათა ნაშრომების სიმპტომატიურ სახელწოდებებს – "განათლება და საზოგადოება", „განათლების სოციოლოგია", საგანმანათლებლო სოციოლოგია" და ა. შ.

როდესაც საუბარია განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების პერიოდზე, მის თეორიულ წინაპირობაზე, აუცილებელია განათლების სოციოლოგიის

ინტერპრეტაციის განხილვა XIX საუკუნის პოზიტიურ და ნატურალისტურ სოციოლოგიაში. დიდი მნიშვნელობა აქვს ო. კონტის, ჰ. სპენსერის და სხვა შეხედულებებს.

განათლების იდეები, პრობლემები და კონცეფციები XIX საუკუნის მეცნიერთა სოციოლოგიურ შრომებში

განათლების იდეების, პრობლემების და კონცეფციების განხილვა XIX საუკუნის მეცნიერთა სოციოლოგიურ შრომებში აისახა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოგიუსტ კონტისა და ჰერბერტ სპენსერის შეხედულებები განათლების შესახებ.

ფრანგი სოციოლოგის **ოგიუსტ კონტის** შემოქმედებაში განათლების პრობლემები აღზრდის პრობლემებთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა. ამ უკანასკნელს ის უფრო ფართო და მნიშვნელოვან ცნებად თვლიდა. კონტი მიიჩნევდა, რომ განათლება აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც აღზრდის ძირითადი ფაქტორი, აღზრდის მიზნებისა და ამოცანების მიღწევის უმნიშვნელოვანესი საშუალება. იგი დღის წესრიგში განათლების რეფორმის განხორციელების აუცილებლობის საკითხს აყენებდა და საჭიროდ თვლიდა კათოლიკურ სწავლებასა და აღზრდის სისტემაზე უარის თქმას, რომელიც გამოსადეგარი მხოლოდ შუასაუკუნოვან პირობებში იყო. კონტი აკრიტიკებდა სქოლასტიკურ საუნივერსიტეტო განათლებას, რადგან: 1) არ იყო მასობრივი; 2) მოსახლეობის ფართო ფენებს არ მოიცავდა; 3) დოგმატიზმითა და რელიგიით იყო გაჟღენთილი. გამომდინარე აქედან, მეცნიერი მოითხოვდა განათლების და აღზრდის ხასიათისა და მიმართულების შეცვლას.[8]

ოგიუსტ კონტი. 1798-1857

[8] Конт. О. Общий обзор позитивизма. – Западно-европейская социология XIX века, М., 1996. გვ. 156.

რითი იყო გამოწვეული კათოლიკური და მთლიანად განათლების შუასაკუნეობრივ სისტემაზე უარის თქმა და მისი შეცვლა ახლით, „პოზიტიურით"? თუ კონტის პოზიციას მივყვებით, მიზეზი რამდენიმე იქნება. პირველს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი გააჩნია. საუბარია იმაზე, რომ განათლების ძველი სისტემა ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებას აფერხებდა, რადგან მასობრივს და ფართოდ ხელმისაწვდომს არ წარმოადგენდა. ახალი საზოგადოება კი დიდი რაოდენობით განათლებულ ადამიანს მოითხოვდა. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას სჭირდებოდა რეალური და სასარგებლო ცოდნა, რომლის მიცემაც განათლების ძველ სისტემას არ შეეძლო. მესამე მიზეზი კი ისაა, რომ განათლების არსებულ ძველ სისტემას არ შეეძლო განათლების მიცემა საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვან კლასისთვის – პროლეტარიატისთვის. ამიტომაც, ფრანგი სოციოლოგი აუცილებლად თვლიდა ინდუსტრიული საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი კათოლიკური განათლება ახალი „უმაღლესი განათლების" სისტემით შეეცვალათ. უმაღლესი სახალხო განათლება საყოველთაო და ყველასთვის ხელმისაწავდომი უნდა ყოფილიყო.

როგორც ჩანს, კონტი განათლების მასიურობის მომხრედ გამოდიოდა, რომლის გარეშეც ინდუსტრიული საზოგადოების წარმატებით განვითარება საეჭვო იყო. მასობრივი განათლების ქვეშ დაწყებით განათლებას გულისხმობდა, რომელიც არა მარტო ელემენტარულ ცოდნას იძლეოდა, არამედ ასევე აუცილებელ პროფესიულ სიახლეებს და უნარებს. კონტი დიდ იმედებს სახელმწიფოზე ამყარებდა, რომელიც „ვალდებულია მისცეს განათლება მხოლოდ პროლეტარიატს" (სხვა კლასების და სოციალური ფენების განათლების პრობლემას ის არ აყენებდა).

ადამიანის განათლებას (კონტის ინტერპრეტაციით მოიცავს პერიოდს დაბადებიდან სრულწლოვანობამდე) ის ყოფს ორ ნაწილად - „**თვითწარმოებულს**" და **„სისტემატიურს**". პირველი ოჯახში განათლების მიღებასთან და სოციალიზაციასთან, ესთეტიკური გემოვნების განვითარებასთან არის დაკავშირებული. პოზიტიური განათლების „სისტემატიური" ნაწილი ნიშნავს ცოდნის მიღებას სპეციალიზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სხვადასხვა მეცნიერების სწავლების ფუნქციებს, საერთო ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გადაცემას პროფესიონალი პედაგოგები ახორციელებენ, რომლებიც ამისთვის სპეციალურად უნდა იყვნენ მომზადებულნი.[9] კონტის აზრით, მათ მიერ ცოდნის გადაცემა ნებისმიერი ოფიციალური დოქტრინის და ხელისუფლების გავლენისგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო.

სწავლებისა და აღზრდის სტრუქტურის აგებისას კონტი თვლიდა, რომ განათლების „სისტემატიური" ნაწილის მნიშვნელობის მიუხედავად, არ შეიძ-

[9] Зборовский Г. Е., Шуклина Е. А. Социология образования. М., 2005. გვ. 16.

ლება ბავშვის ოჯახური ცხოვრებისგან მოწყვეტა, რომლის გარეშეც მისი პიროვნების ევოლუციის განხორციელება შეუძლებელია.

ამრიგად, ოგიუსტ კონტის სოციოლოგიაში განსაზღვრულია განათლების განვითარების საკმაოდ მნიშვნელოვანი იდეები, მისი სტრუქტურა, მასებში განათლების ფართოდ გავრცელების პროცესი, სახელმწიფოს როლი მის გავრცელებასა და განვითარებაში, ელიტური და რელიგიური განათლების შეთავსება. ეს იდეები საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა როგორც განათლების სოციოლოგიის, ასევე თვით განათლების შემდგომი განვითარებისთვის.

განათლების პრობლემის ანალიზს გვერდი ვერ აუარა ინგლისელმა სოციოლოგმა **ჰერბერტ სპენსერმა.** აღზრდისა და სწავლის პრინციპების ფორმულირებისას XIX საუკუნის ბოლოდროინდელ კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ახალ პირობებში, სპენსერს არ შეეძლო თავისი დამოკიდებულება არ გამოეხატა განათლების წინა სისტემისადმი, რომელიც იმდროინდელ საზოგადოებას მემკვიდრეობად ჰქონდა დარჩენილი. კონტის მსგავსად, სპენსერი აკრიტიკებს განათლების, აღზრდის შუასაკუნოვან სისტემას, რომელიც რელიგიური განათლების ბატონობაზე და საეკლესიო დოგმებზე იყო დაფუძნებული.



ჰერბერტ სპენსერი. 1820-1903

სპენსერი განათლებისა და აღზრდის სისტემაში მთელი რიგი პრინციპების განხორციელებას თვლიდა საჭიროდ. მათ შორის ის ასახელებდა: აღზრდის პროცესში გადასვლას მარტივიდან რთულისკენ, განუსაზღვრელიდან განსაზღვრულისკენ, ემპირიულიდან რაციონალურისკენ; გაკვეთილის დაწყების აუცილებლობას კონკრეტული მასალით და აბსტრაქტულით დამთავრებას; თვითგანვითარების, როგორც აღზრდის ბირთვის პროცესის წახალისებას; სწაფვას იქცეს განათლების პროგრამა სასიამოვნოდ მოსწავლეთათვის.

სპენსერი ამტკიცებდა, რომ განათლების პროგრამა და შინაარსი დადებით ემოციას უნდა იწვევდეს მოსწავლეებში. მათ მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩამოუყალიბდებოდათ სწავლის პროცესთან დამოკიდებულებაში საინტერესო და სასიამოვნო საქმიანობაში მონაწილეობის გრძნობა და მას აუცილებელ და

მოსაწყენ საქმიანობად არ აღიქვამდნენ. არსებითად საუბარი ეხება იმ პრინციპის რეალიზაციას, რომელსაც ეწოდა „**სწავლა სიამოვნებისთვის**". ამან ბიძგი მისცა ინგლისელ სოციოლოგს სწავლების ინოვაციური მეთოდიკის შექმნის საკითხი დაესვა, რომელიც აღნიშნული პრინციპის რეალიზაციაზე და მოსწავლეთა მხატვრული უნარების განვითარებაზე იქნებოდა მიმართული.[10] თუმცა სპენსერის მიერ საკითხის ასეთი დასმა არ ნიშნავდა მის მიერ „სწავლა სიამოვნებისთვის" განათლების მხოლოდ ერთადერთ პრინციპად აღიარებას. არა ნაკლებ მნიშვნელობას მოსწავლეთა ნებისყოფას ანიჭებდა, რაც მათ სასწავლო პროგრამის ათვისებაში უნდა დახმარებოდა.

სოციოლოგი აკრიტიკებდა სწავლებაში არა მარტო დოგმატიზმს. ის მიიჩნევდა, რომ განათლების და აღზრდის არსებულ სისტემას მოსწავლეები მასალის მექანიკურ დამახსოვრებამდე, დაზეპირებამდე მიყავდა. ასეთი სისტემის განხილვისას სპენსერი თვლიდა, რომ ეს სისტემა ახალ განათლებაში ნელ-ნელა ქრებოდა. იგი ბუნებრივ მეცნიერებებს ყველაზე მნიშვნელოვნად აღიარებდა და სასწავლო პროგრამებში ყველა დანარჩენ დისციპლინებს შორის მათ (მათემატიკას, ფიზიკას, ბიოლოგიასა და ასტრონომიას) მოწინავე ადგილს ანიჭებდა.[11]

ასევე არასწორი იქნება ვამტკიცოთ, რომ სპენსერი ჰუმანიტარული დისციპლინების როლს არ აფასებდა. ის მათ სწავლებისა და აღზრდის პროცესისთვის ასევე მნიშვნელოვნად თვლიდა და ამ დისციპლინებს ორ ჯგუფად ყოფდა. პირველს ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიას მიაკუთვნებდა, რადგან მათი ცოდნის გარეშე ინდივიდს მშობლის მოვალეობების განსახორციელებლად ვერ მოამზადებდნენ, რაც ბავშვის მორალურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებასთან იყო დაკავშირებული. ჰუმანიტარული მეცნიერების მეორე ჯგუფში ის დისციპლინები აღმოჩნდა, რომლებიც ინდივიდს ამზადებენ მოქალაქის ფუნქციის შესასრულებლად. აღზრდის ამ სახეობაში სპენსერის აზრით, გადამწყვეტ როლს ისტორია თამაშობს.

მთლიანობაში საკმარისი საფუძველი არსებობს დასკვნისთვის, რომ აღზრდასა და სწავლებაზე სპენსერის შეხედულებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს შემდგომში სოციოლოგიური ცოდნის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოყალიბების საქმეში, რომელსაც დაერქვა „განათლების სოციოლოგია". მისი შეხედულებები ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი, მაგრამ ისინი რომლებიც დღეისთვის ცნობილია, ადასტურებს ინგლისელი მეცნიერის სერიოზულ ღვაწლს განათლების შესწავლის საქმეში.

რაც შეეხება **კარლ მარქს**, მის შრომებში განათლებისა და აღზრდის ბურჟუაზიული სისტემის მკვეთრი და დაუნდობელი კრიტიკაა. მარქსის თეორია არა მარტო მისი თანამედროვე განათლებისა და აღზრდის ანალიზზე იყო

---

[10] Зборовский Г. Е., Шуклина Е. А. Социология образования. М., 2005. გვ. 19.
[11] იქვე, გვ. 20.

მიმართული, არამედ მას ხანგრძლივი პროგნოზის ხასიათი ჰქონდა, რომელშიც ბურჟუაზიული საზოგადოება იმ სოციალურ სისტემამდე მიყავდა, რასაც თვითონ მარქსი კომუნიზმს უწოდებდა.

მარქსი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების არსებულ პირობებში განათლებისა და აღზრდის სისტემა წარმოადგენდა ცალმხრივს და ამიტომ შესაბამისად — მახინჯს. მასში მთავარი მისი ცალმხრივი კლასობრივი მიმართულება იყო, რადგან იგი ბურჟუაზიის მიერ საკუთარი ინტერესებისთვის იყო შექმნილი. განათლების კაპიტალისტური მიდგომა ადამიანის შრომის გასხვისებას უწყობდა ხელს, რაც მას თავისი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის საშუალებას არ აძლევდა.

მარქსის აზრით, ბურჟუაზიული სახელმწიფო თავისი არსით პროლეტარიატის მიმართ მტრულად არის განწყობილი და მის განათლებაში, აღზრდასა და განვითარებაში დაინტერესებული არ არის. სწორედ ამიტომ, ის ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სასკოლო განათლება აუცილებელი არ არის. მისი აზრით, პროლეტარიატის იმდროინდელი განათლება და აღზრდა არა ბურჟუაზიული, არამედ სოციალისტური სახელმწიფოს რეალურ ამოცანას წარმოადგენდა, რომელიც ახალი ტიპის პიროვნების ჩამოყალიბებაში მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული.

მარქს მშვენივრად ესმოდა, რომ მის მიერ შემუშავებული განათლებისა და აღზრდის კონცეფცია მის თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ვერ განხორციელდებოდა და მისი რეალიზაციისთვის, პირველ რიგში, სოციალლისტური რევოლუციის განხორციელებას მოითხოვდა, მეორეს მხრივ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას, მესამე – სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას და მის თანდათანობით გადაყვანას კომუნისტურზე.[12]

განათლების ახალი სისტემის შექმნის უკვე ამ წინაპირობაში კარგად ჩანს მარქის შეხედულებების უტოპიზმი და იმ იდეალის ფაქტიურად მიუწვდომლობა, რომელიც ითვალისწინებდა ყოველივმხრივი და ჰარმონიულად განვითარებული სისტემის შექმნას. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მის სოციოლოგიური კონცეფციის შესწავლაზე უარის თქმას, რომელიც არც თუ ისე ცოტა რაციონალურ და მნიშვნელოვან ქმედებებს შეიცავდა. მაგალითად, მის შრომებში ნაჩვენებია, რომ პროლეტარიატის, როგორც გაბატონებული მმართველი კლასის მიერ ჩატარებულ პირველ ღონისძიებებს შორის ბავშვის საზოგადოებრივი, საერთო და უფასო აღზრდა-განათლება უნდა იყოს. მარქსის შეხედულებით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან ერთად ოჯახური აღზრდის ფუნქციის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს ხელში გადავიდოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსის საზოგადოებრივი აღზრდის კონცეფ-

[12] Маркс .К., Энгелс. Ф. Соч. Т 4. გვ. 447.

ციამ და მისმა იდეამ ამ აღზრდის ფუნქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახიდან სპეციალურ საგანმანათლებლო და აღმზრდელობით დაწესებულებებს გადაცემოდათ მომავალ სოციალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებაში, ვერ გაუძლო დროის გამოცდას, თვითონ პრობლემის დასმა საზოგადოებრივი დაწესებულებების როლის შესახებ, მომავალი თაობის აღზრდაში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის როლის შესახებ მთლიანად უტოპიურს არ წარმოადგენს.

მარქსი აღზრდისა და განათლების ისეთი საზოგადოებრივი სისტემის შექმნაზე აკეთებდა აქცენტს, რომელიც პიროვნებას საშუალებას მისცემდა განვითარებულიყო ყველა მიმართულებით. ამასთანავე აღზრდის როლი აშკარად ჰიპერტროფირებული იყო. მისი აზრით, აღზრდის დახმარებით შეიძლებოდა ყველა ძირითადი სოციალური ამოცანის გადაჭრა საზოგადოებისათვის ისეთი პიროვნების ტიპების შექმნის გზით, რომლებსაც იგი რეალურად საჭიროებდა. ე.ი. ხელისუფლებას მისთვის საჭირო და გამოსადეგარი პიროვნების ტიპების ფორმირება შეეძლო. თუმცა აქ მარქსის კონცეფციაში საწინააღმდეგო შეიმჩნევა, რადგან თეორიულად მასში პიროვნების თვითგამორკვევის და თვითგანვითარების უფლებაა გადმოცემული, რომელიც საზოგადოებრივი აღზრდის მოცემული სისტემის ბატონობის პირობებში ნაკლებად სავარაუდოა განხორციელდეს.

მარქსის აღზრდისა და განათლების კონცეფცია საზოგადოების მატერიალური გაგების საერთო სოციოლოგიური თეორიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მისი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ მან საკმაოდ მკვეთრად განსაზღვრა განათლების და აღზრდის ადგილი სოციალური ორგანიზმში, აჩვენა მათი, როგორც სოციალური ინსტიტუტის როლი.

განათლების საკითხების დამუშავებაში თავისი წვლილი ფსიქოლოგიური მიმართულების წარმომადგენლებმაც შეიტანეს. განათლებასა და აღზრდასთან დაკავშირებული კონტის, სპენსერის, მარქსისა და სხვათა მიერ ადრეული კლასიკური პერიოდის პირობებში ფორმირებული მთელი რიგი იდეები შემდგომში განვითარდა, ზოგიერთი იდეა კი პირველად გამოითქვა.

ფსიქოლოგიური მიმართულების განხილვისას აუცილებელია შევჩერდეთ ლ. უორდის. გ. ლებონისა და ჩ. კულის შეხედულებებზე. ამერიკელი სოციოლოგი **ლესტერ უორდი** თვლიდა, რომ განათლება სოციალური გარდაქმნის სტიმულად და ყველაზე საიმედო ფორმად, კაპიტალისტური საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების საშუალებად, სოციალური პროგრესის ინსტრუმენტად გვევლინება. ამიტომაც საყოველთაო თანასწორი და სავალდებულო განათლების შემოღებას (რომლის აუცილებლობას იცავდა უორდი), მისი აზრით, საკმაოდ ხელსაყრელი შედეგები ექნებოდა. ეს იყო ამერიკელი სოციოლოგის ერთ ერთი „რეფორმატორული" თეზისი. უორდი მისი მთავარი ნაშრომის სოციოლოგიური დასკვნით თავში („დინამიკური სოციოლოგია", გამოვიდა 1883 წელს) დაწვრილებით აღწერს სკოლების როლს საზო-

გადოებრივ გარდაქმნაში და მისი ღრმა სოციოლოგიური შესწავლის აუცილებლობის საკითხს სვავს.[13]

ამერიკელი მკვლევარი თავის წიგნში მიუთითებს, რომ ადამიანის ინტელექტუალური ძალები და უნარი უფრო აღზრდაზეა დამოკიდებული, ვიდრე ბუნებაზე. ამიტომ ადამიანის „გამოსწორება" ან „გაუმჯობესება" მხოლოდ განათლების სისტემის სრულყოფით არის შესაძლებელი. სწორედ ამ პროცესს, უორდის აზრით, მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური როლის შესრულება მოუწევს ადამიანის განვითარებაში, განათლებასა და აღზრდაში.

ფრანგი სოციოლოგი **გუსტავ ლებონი** თვლიდა (ისევე როგორც მისი წინამორბედი სოციოლოგები), რომ აუცილებელია განათლებისა და აღზრდის ტრადიციული სისტემის შეცვლა ახლით, რომლის საფუძველიც პროფესიული აღზრდა იქნება. ამის განსახორციელებლად დაზეპირება, დაზუთხვა არ არის საკმარისი, აუცილებელი ხდება ნამდვილი პროფესიული ცოდნის, უნარების, სიახლეების დაუფლება ამა თუ იმ კონკრეტულ პროფესიაში. ასეთ პირობებში გარდაუვალი გახდება ისეთი საქმიანობები, რომლებიც ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას შეუწყობენ ხელს.[14]

ლებონის მიხედვით პროფესიული აღზრდის ამოცანა კვალიფიციური შრომისათვის ახალგაზრდა ადამიანების ხარისხიან მომზადებაში მდგომარეობს. მომავალმა მშრომელმა ოპერაციების, მოქმედებების მექანიკური შესრულება კი არ უნდა ისწავლოს, არამედ პირიქით, მან მთელი თავისი სული შრომის პროცესში უნდა ჩადოს. ამ მიზნის მისაღწევად მან უნდა ისწავლოს და პროფესიული კუთხით აღიზარდოს.

ამერიკელი სოციოლოგის **ჩარლზ კულისთვის** პიროვნება ყურადღების მთავარი საგანი იყო. მისი აზრით, განათლება სოციალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც ადამიანის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. თავის ნაშრომში „ადამიანური ბუნება და სოციალური წესრიგი" ადამიანის ფორმირებაზე მოქმედი ბუნებრივი, ბიოლოგიური და სოციალური თანაფარდობის განხილვისას, ამერიკელი სოციოლოგი დიდ მნიშვნელობას ამ უკანასკნელს ანიჭებდა, ამასთანავე ბუნებრივ ნიჭსა და ადამიანის უნარებს არ ივიწყებდა.

სოციოლოგიაში ფსიქოლოგიური მიმართულების ფარგლებში ფორმირებულმა იდეებმა დიდი როლი შეასრულეს განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში და აქტიურად გამოიყენეს კლასიკური გერმანული სოციოლოგიის წარმომადგენლებმა — გ. ზიმელმა და მ. ვებერმა.

განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში **გეორგ ზიმელის** როლის დახასიათებისას აუცილებელია აღინიშნოს განათლებისა და აღზრდის მისი ინტერპრეტაცია სოციალური ურთიერთქმედების კონცეფციის პოზიციიდან.

---

[13] Зборовский Г. Е., Шуклина Е. А. Социология образования. М., 2005. გვ. 25.
[14] Лебон. Г. Психология Масс. М., 2000. გვ. 214.

ზიმელის აზრით, აღზრდის პროცესის გაზომვა შეიძლება უკუქმედების ძალით, განხორციელებული მისი პასიური მხარის მიერ (მოსწავლის) აქტიურ მხარეზე – მასწავლებელსა და აღმზრდელზე. პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს თავისი მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლები. პროგრესის კრიტერიუმად აღზრდის ევოლუციაში გ. ზიმელი განიხილავდა მისი ორი სუბიექტის – პედაგოგისა და მოსწავლის (აღსაზრდელი) ურთიერთქმედების ზრდას.

მაქს ვებერის მიხედვით კვალიფიკაცია, ცოდნა, უნარი, პროფესიული ხელოვნება – ყველა ეს ფაქტორი განათლების წყალობით განსაზღვრავს ადამიანის ადგილს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. მუშაკის საქმიანობის პროფესიონალიზმი მნიშვნელოვანწილად მის მიერ მიღებული განათლებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარეობს ამ უკანასკნელის, როგორც ადამიანთა ეკონომიკური ქცევის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის როლი.[15]

მაქვს ვებერი. 1864-1920

ვებერის დამსახურება განათლების სოციალური როლის განსაზღვრაში მდგომარეობს იმაში, რომ მეცნიერი ცდილობდა გაეანალიზებინა ის არა მარტო მისი თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში. გერმანელი სოციოლოგი, როგორც ცნობილია, თავის შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობდა მსოფლიო მეურნეობის ისტორიის დახასიათებას, განათლების როლს ავლენდა უძველესი პროფესიების (ხელოსნის, მკურნალის დას ხვ.) ჩამოყალიბებაში.

მთლიანობაში განათლების იდეების, პრობლემების და კონცეფციების განხილვამ XIX საუკუნის მეცნიერთა სოციოლოგიურ შრომებში მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სოციოლოგიური მეცნიერების განსაკუთრებული დარგის — განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებას. ამ პროცესში დიდი როლი აკისრია პოზიტივისტურ იდეებს (ო. კონტი, ჰ.

[15] Зборовский Г. Е., Шуклина Е. А. Социология образования. М., 2005. . გვ. 28.

სპენსერი), მარქსიზმს (კ. მარქსი), ფსიქოლოგიურ მიმართულებას (ლ. უორდი, გ. ლებონი, ჩ. კული), კლასიკურ გერმანულ სოციოლოგიას (გ. ზიმელი, მ. ვებერი). როგორც ჩანს, განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების ფაქტორად სხვადასხვა მიმართულებები და პარადიგმები იქცა. ყველა ამ სოციოლოგისთვის საერთო იყო საზოგადოების განვითარების და მისი ტრანსფორმაციის პროცესში განათლებისა და აღზრდის დიდი როლის აღქმა და აღიარება.

განათლების სოციოლოგიური იდეები და კონცეფციები ემილ დურკჰეიმის, კარლ მანჰეიმის, პიტირიმ სოროკინის შემოქმედებაში

განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ორ ცნობილ ევროპელ სოციოლოგს – ფრანგ **ემილ დურკჰეიმს** და გერმანელ **კარლ მანჰეიმს**. დურკჰეიმის იდეები XX საუკუნის დასაწყისზე მოდის, მანჰეიმის – 1930-1940-იან წლებზე. საუბარია განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბებაზე, ევროპის ისეთ წამყვან ქვეყნებში (არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ ასევე სამეცნიერო, მათ შორის სოციოლოგიური სფეროს თვალსაზრისით), როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი.

XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული სოციოლოგიისთვის ამერიკული სოციოლოგიისგან განსხვავებით, დამახასიათებელი იყო თეორიული ტრადიციის ბატონობა, სადაც ლოკალური პრობლემების კონკრეტული კვლევები უფრო სწრაფად ვითარდებოდა.

ამერიკული განათლების სოციოლოგიაში, ადრეული ეტაპის ფარგლებში (დასაწყისი - XX საუკუნის პირველი მესამედი) განათლების სფეროში სოციოლოგიური ცოდნის ორი მიმართულება აღმოცენდა – **განათლების სოციოლოგია** და **საგანმანათლებლო სოციოლოგია**. თუ პირველს ჰქონდა თეორიული ხასიათი და განათლების შესახებ სოციოლოგიური ცოდნის სამეცნიერო სისტემატიზაციის როლზე აცხადებდა პრეტენზიას, მეორე (საგანმანათლებლო სოციოლოგია) პრაქტიკულ განვითარებას მოიცავდა და ხორციელდებოდა სამეცნიერო დაწესებულებებისა და განათლების მართვის ორგანოების დაკვეთით. დროდადრო საგანმანათლებლო სოციოლოგია უფრო ახლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე პედაგოგიკასთან და ფსიქოლოგიასთან, ვიდრე სოციოლოგიასთან.

ორივე მიმართულების – განათლების სოციოლოგიის და საგანმანათლებლო სოციოლოგიის წარმომადგენლებს განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ და ზოგჯერ განსხვავებულ პოზიციას იკავედნენ ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხებოდა სოციოლოგიის როლსა და ადგილს საგანმანათლებლო სისტემის, პირველ რიგში სკოლის ფუნქციონირებაში. 1920-იანი წლების სოციოლოგიაში აღმოცენებული ეს წინააღმდეგობა თითქმის 1950-60-იან წლებამდე გრძელდებოდა. “საბოლოოდ, აღნიშნავს სოციოლოგი **გ. ოსიპივი**, ერთი

მიმართულება აგრძელებდა განათლების სოციოლოგიის საგნობრივი სფეროს განხილვას, როგორც სოციოლოგიის (განათლების სოციოლოგიის) ქვედარგს. მეორე მიმართულება (სასკოლო ადმინისტრატორების და პედაგოგიკის სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი) ახალი მეცნიერების საგნობრივი სფეროს განათლების პრაქტიკულ სისტემასთან, პედაგოგიკასთან მიკუთვნებას ადასტურებდა. ის დაინტერესული იყო სოციოლოგიური თეორიის პირდაპირი კავშირით სასკოლო პრობლემის გადაწვეტასთან. მის მომხრეებს სურდათ ყოფილიყო ბალანსი საგანმანთლებლო მეცნიერებების შიგნით (საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის და საგანმანათლებლო ფილოსოფიის) მოცემულ ბლოკში სოციოლოგიური კომპონენტის ჩართვის გზით.

განვიხილოთ განათლების და აღზრდის კონცეფცია XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპის ორი მსხვილი სოციოლოგის შემოქმედებაში – ე. დურკჰეიმის და კ. მანჰეიმის, ასევე აშშ-ში ემიგრირებული რუსი სოციოლოგის პ. სოროკინის იდეები. სწორედ ამ სოციოლოგების შრომებში განათლების სოციოლოგიის თეორიული საფუძვლები იქნა ჩადებული. მათ მიერ იქნა ფორმულირებული პრობლემები და მათი გადაჭრის საშუალებები.

თეორიული სოციოლოგიის მომავალმა წარმომადგენლებმა დურკჰეიმმა, მანჰეიმმა და სოროკინმა ბრწყინვალედ იცოდნენ თავიანთი და ევროპის სხვა ქვეყნების განათლების სისტემა. ისინი უშუალოდ იყვნენ ჩაბმულნი მასში, მუშაობდნებ მასწავლებლებად სასწავლო დაწესებულებებში. ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მის განვითარებას, აანალიზებდნენ ტენდენციებს დამახასიათებელს საგანმანათლებლო სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის. და ბოლოს, ისინი კარგად იცნობდნენ განათლების საკითხების შესახებ ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ ლიტერატურას.

განათლებისა და აღზრდის კონცეფცია ემილ დურკჰეიმის სოციოლოგიურ შემოქმედებაში

მსოფლიო სოციოლოგიის ერთ-ერთ კლასიკოსს წარმოადგენს ფრანგი მეცნიერი **ემილ დურკჰეიმი** (1858-1917), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განათლების სოციოლოგიის საგნობრივი სფეროს განსაზღვრაში და სოციოლოგიური ცოდნის ამ მიმართულების ცენტრალური პრობლემის ანალიზში.[16] იგი მიჩნეულია განათლების სოციოლოგიის ერთ-ერთ

[16] **დევიდ ემილ დურკჰეიმი** (1858-1917 წწ) — ფრანგი სოციოლოგი და პიონერი თანამედროვე სოციოლოგიისა და ანთროპოლოგიის განვითარებაში. დაარსა პირველი სოციოლოგიური ჟურნალი "L'Annee Sociologiquel" („სოციოლოგიის წლები"). შექმნა სოციოლოგიის პირველი ევროპული დეპარტამენტი. ეკუთვნის უამრავი სოციოლოგიური კვლევა განათლების, რელიგის, კრიმინალის და სხვა სფეროებში.

დამაარსებლად. ემილ დურკჰეიმის მიერ მორალურ განათლებაზე მუშაობით იწყება განათლების სოციოლოგიის სისტემატიური შესწავლა. განათლების, როგორც სოციალური ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო ინტერპრეტაცია სწორედ მას ეკუთვნის. დურკჰეიმის სოციოლოგიური იდეები გამოსადეგარია არა მარტო იმ დროის თვალსაზრისით, როცა მათი ფორმულირება ხდებოდა, არამედ XXI საუკუნის დასაწყისის პოზიციიდანაც. ისინი გასაოცრად ახლად და თანამედროვედ ჟღერს.



ემილ დურკჰეიმი. 1858-1917

პიტირიმ სოროკინი. 1889-1968

განათლების პრობლემატიკისადმი ინტერესი, პირველ რიგში, განპირობებული იყო დურკჰეიმის მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობით. თავდაპირველად რამდენიმე წელი საფრანგეთის პროვინციულ ლიცეუმებში ასწავლიდა ფილოსოფიას. შემდეგ (1987 წ.) დანიშნულ იქნა "სოციალური მეცნიერების და პედაგოგიკის" მასწავლებლად ბორდოს უნივერსიტეტში, 1902 წელს დაინიშნა სორბონის უნივერსიტეტში აღზრდის მეცნიერების კათედრის ხელმძღვანელად, რომელსაც შემდეგ "აღზრდის მეცნიერების და სოციოლოგიის" კათედრა ეწოდა.

თავის ნაშრომებში ე. დურკჰეიმმა და სხვა სოციოლოგებმა ყურადღება მიაქციეს იმ პრობლემების სოციალურ ანალიზს, რომლებიც განათლების როლს, მნიშვნელობასა და ფუნქციებს ეხებოდა. დურკჰეიმის აზრით, განათლების ძირითადი მიზანია გადასცეს გაბატონებული კულტურის ფასეულობანი. მისი სოციოლოგიური მიდგომა განათლების შესწავლის საქმეში უნიკალურს წარმოადგენს, შრომები "Moral Education" ("მორალური განათლება"), "The Evolution of Educational Thought" ("საგანმანათლებლო აზრის ევოლუცია"), Education And Sociology" ("განათლება და სოციოლოგია") აღწერს განათლების ისტორიას საფრანგეთში და აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ განათლება სხვა ინსტიტუტებთან და საზოგადოებაში არსებულ ფასეულობებსა და რწმენასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

დურკჰეიმის მთელი კონცეფციის კონტექსტში აღზრდა განისაზღვრება

ფართოდ, განიხილება, როგორც სოციალური ინსტიტუტი. ფრანგი მეცნიერის აზრით, ახალგაზრდა თაობის სოციალიზაცია განათლების საშუალებით ხორციელდება. ნაშრომში "თვითმკვლელობა" (1897 წ.) დურკჰეიმი აღზრდას განიხილავს, როგორც საზოგადოების მსგავს: „აღზრდა არსებობს ჯანმრთელი, როცა თვით ხალხი არის ჯანმრთელი, მაგრამ ფუჭდება, უარესდება მათთან ერთად და არ შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით შეცვლა." "აღზრდა რეფორმირდება მხოლოდ მაშინ, როცა თვით საზოგადოება რეფორმირდება."

დურკჰეიმის ძირითადი იდეა, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა განათლების სოციოლოგიის განვითარებას – არის პედაგოგიკის მჭიდრო კავშირი სოციოლოგიასთან, პირველის მეორეზე დამოკიდებულება. დურკჰეიმი ამბობდა: "აღზრდა – არის სოციალური, როგორც თავისი ფუნქციებით, ასევე წარმოშობით, და შესაბამისად, პედაგოგიკა სოციოლოგიაზე უფრო ძლიერადაა დამოკიდებული, ვიდრე ნებისმიერ სხვა მეცნიერებაზე." მეცნიერი ითხოვს ამ ფუნდამენტალურ აქსიომაზე ყურადღების მიქცევას, რადგან მას, როგორც წესი, არ აღიარებდნენ. ის ამბობს, რომ ბოლო დრომდე აღზრდა განიხილებოდა, როგორც ინდივიდუალური მოვლენა, პედაგოგიკა კი – მხოლოდ ფსიქოლოგიის შედეგი. დურკჰეიმი ამტკიცებს, რომ ყველა ცივილიზირებულ ქვეყანაში აღზრდას დიფერენცირების ტენდენცია გააჩნია. აღზრდა, უპირველეს ყოვლისა, არის საშუალება, რომლის დახმარებითაც საზოგადოება მუდმივად ანახლებს პირობებს საკუთარი არსებობისთვის."

აღმზრდელობით ინსტიტუტებს დურკჰეიმი სოციალურს ადარებს. მაგალითისთვის განიხილავს სკოლას, რომელიც სოციალური ინსტიტუტის შემცირებული ვერსიაა. მისი შეხედულებით, სკოლა წარმოადგენს საზოგადოებას მინიატურის სახით, სოციალური სისტემის მოდელს, რომელიც პიროვნებებს ეხმარება სიახლეების ათვისებაში იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მის ნათესავებსა და მეგობრებს არ წარმოადგენენ. სკოლაში ბავშვი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობისას ითვისებს დადგენილ წესებს. ეს გამოცდილება მას ეხმარება მოემზადოს საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობისთვის და ურთიერთქმედებისთვის საზოგადოებრივად დადგენილი ნორმების და წესების ფარგლებში. გარდა ამისა, დურკჰეიმი თვლის, რომ სასკოლო წესებზე დიდი ზეგავლენის მოხდენაა საჭირო, წესების დამრღვევნი უნდა დაისაჯონ, რათა მიხვდნენ რატომ არიან ისინი დასჯილნი. მოსწავლეები გაიგებენ, რომ სოციალური ჯგუფის ინტერესების წინააღმდეგ გამოსვლა არ არის მართებული. მათ უნდა ისწავლონ იყვნენ დისციპლინირებულნი არა იმიტომ, რომ თავიდან აირიდონ დასჯა, არამედ იმიტომ, რომ შეიგნონ, რომ ცუდი საქციელი საზოგადოებას ზიანს აყენებს. სოციალური მეცნიერებები, განსაკუთრებით სოციოლოგია მოწოდებულია დაეხმაროს ბავშვს, გაიგოს ის რაციონალური საფუძველი,

რომელზეც საზოგადოებაა აგებული. სკოლაში, როგორც საზოგადოებაში არსებობს დისციპლინა. წესები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ვალდებულებებს, მოვალეობებს მოზრდილი ადამიანის ქცევის წესების მსგავსია. მოსწავლის დასჯა ან წახალისება მოზრდილი ადამიანის მიმართ გამოყენებული ანალოგიური სანქციების მსგავსია.

დურკჰეიმისთვის სასკოლო ცხოვრება – მხოლოდ სოციალური ცხოვრების ჩანასახია. მისი აზრით, რაც უფრო უკეთად ვიცნობთ საზოგადოებას, მით უფრო უკეთესად შევძლებთ ავუხსნათ საკუთარ თავს რა ხდება იმ სოციალურ მიკროკოსმოსში, რომელსაც სკოლა წარმოადგენს."

საზოგადოებაში მიმდინარე ნებისმიერ ცვლილებას მივყავართ განათლების სფეროში ცვლილებებისკენ. დასასრულს დურკჰეიმს გამოაქვს დასკვნა აღმზრდელისათვის სერიოზული სოციოლოგიური მომზადების აუცილობლობის შესახებ. ის თვლის, რომ სოციოლოგიას შეუძლია აღმზრდელს მისცეს წამყვანი იდეების სისტემა.

დურკჰეიმის შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინეს სხვა სოციოლოგებსა და პედაგოგებზე.ამერიკელი სოციოლოგი **ტალკოტ პარსონსი**[17] აღნიშნავს, რომ სკოლა წარმოადგენს თავისებურ ადგილს, რომელიც საზოდაგოებასა და ოჯახს მთლიანობაში აკავშირებს, ბავშვებს ამზადებს მოზრდილი ცხოვრებისათვის. ოჯახში ბავშვს უფრო მეტად ათამამებენ, ვიდრე სჯიან, მაშინ როდესაც საზოგადოებაში ინდივიდებს განიხილავენ და კიცხავენ საერთოდ მიღებული სტანდარტების შესაბამისად, რაც საზოგადოების ყველა წევრზე ვრცელდება. ოჯახში ბავშვის სტატუსი მისი დაბადებისას განისაზღვრება, მაგრამ განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში სტატუსი, მდგომარეობა უმრავლეს შემთხვევაში ხელმისაწვდომი ხდება მოზრდილ ასაკში, მაგალითად პროფესიული სტატუსის მიღწევა. ამიტომაც მოსწავლეს საზოგადოებრივი სტანდარტების მიღებისა და საზოგადოებაში გარკვეული მდგომარეობის მიღწევის უნარი უნდა გააჩნდეს. სკოლა ახალგაზრდებს ამ გადასვლისთვის, გარკვეულ სოციალურ საფეხურზე გადასვლისთვის ამზადებს, წარმოადგენს რა პიროვნების შერჩევის მთავარ მექანიზმს, საზოგადოებაში ზრდასრული ადამიანისათვის დაკისრებული როლის შესრულებისათვის მზადებას.

სოციოლოგები **კ. დევისი** და **ვ. მური** განათლებაში ხედავენ საზოგადოებაში გარკვეული როლის შესრულებისთვის ახალგაზრდების მზადების საშუალებას, მაგრამ განათლებასა და სოციალურ სტრატიფიკაცის შორის ავლებენ პირდაპირ კავშირს. ისინი სტრატიფიკაციაში გულისხმობენ გარანტიის მექანიზმს იმისას, რომ საზოგადოების უფრო ნიჭიერი და უნარიანი

[17] **ტალკოტ პარსონსი** (1902-1979 წწ) — ამერიკელი სოციოლოგი-თეორეტიკოსი, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სკოლის ლიდერი, თანამედროვე თეორიული სოციოლოგიისა და სოციალური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

წევრები საზოგადოებისთვის ფუნქციონალურად უფრო მნიშველოვან პოზიციებს დაიკავებენ. განათლების სისტემა სერტიფიკაციის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და სელექციური სააგენტოს როლს თამაშობს, რომელიც ხელს უწყობს პიროვნებების განაწილებას სხვადასხვა მდგომარეობის მიხედვით თავიანთი უნარების შესაბამისად.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისი დურკჰეიმის და მისი წინამორბედების (კონტის, სპენსერის და სხვ.) განათლების საკითხებში აქტიური სოციოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღინიშნა, როგორც სოციოლოგიის გარდატეხა პედაგოგიკისაკენ, როგორც მეცნიერებისაკენ, განათლებასა და აღზრდისკენ, როგორც სოციალური ინსტიტუტებისკენ, რომლებიც მოითხოვდნენ სოციოლოგიურ შესწავლას, განათლებისა და აღზრდის იდეების რეალიზაციას. განათლების სფეროში თეორიული ძიების ევროპული სოციოლოგიური ტრადიცია იბადებოდა. მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ სოციოლოგიური ცოდნის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, რომლის თანდათანობითი შექმნა გასული საუკუნის 30-50-იან წლებში განხორციელდა.

პიტირიმ სოროკინის შეხედულებები განათლებასა და სკოლაზე, როგორც სოციალურ ინტიტუტზე

განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების კვლევისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გამოჩენილ რუს-ამერიკელი სოციოლოგის პიტირიმ სოროკინის (1889-1968 წწ) პოზიციას. უპირველეს ყოვლისა, დავახასიათოთ მისი შეხედულებები განათლებაზე მთლიანად, როგორც სოციალურ ინსტიტუ-ტზე და სკოლის როლზე, როგორც სოციალური მობილობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.

1920-იან წლებში თავისი ერთ-ერთი ძირითადი სოციოლოგიური კონცეფციის – სოციალური მობილობის თეორიის შექმნისას, სოროკინი განათლების ანალიზს დიდ ყურადღებას უთმობდა და მის დაწესებულებებს (სკოლას, კოლეჯს, უნივერსიტეტს) ვერტიკალური სოციალური გადაადგილე-ბების ძირითად ფაქტორებს შორის განიხილავდა. მისი აზრით, განათლების ინსტიტუტი თავისებურ „სოციალურ კიბეს" წარმოადგენს, უფრო სწორედ, „სოციალურ ლიფტს", რომლის დახმარებითაც ინდივიდებს უფრო მაღალი პოზიციის დაკავება შეუძლიათ.

პ. სოროკინი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში განათლების ინსტიტუტი „ვერტიკალური სოციალური ცირკულაციის" თითქმის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. ამასთან, თუ სკოლა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო, ის „სოციალურ ლიფტს" წარმოადგენდა, რომელიც ზემოდან ქვემოთ მიემართებოდა. თუ ის იყო სკოლა მოსახლეობის მხოლოდ მაღალი ფენები-სთვის, „ლიფტი" „სოციალური შენობის" მხოლოდ მაღალ სართულებზე გადაა-

დგილდებოდა. თუმცა მსგავს სიტუაციებშიც მოსახლეობის დაბალი ფენებიდან ზოგიერთი ინდივიდი ამ „სოციალურ ლიფტში" შეღწევას და მისი დახმარებით უფრო მაღალი სოციალური პოზიციის დაკავებას ახერხებდა.

ამასთანავე, სოროკინი განათლებას და სკოლას, როგორც მის ბირთვს განიხილავდა, როგორც არა მარტო სოციალური ინსტიტუტის და სოციალური მობილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების სახით. სკოლას სოციალური ცირკულაციის საერთო კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმად შეისწავლიდა. მთლიანობაში, სოროკინი თვლიდა, რომ სასკოლო სისტემა „წარმოადგენს ძალიან რთულ ცხრილს, რომელიც განასხვავებს, მომავალ „კარგ" მოქალაქეს „ცუდისგან," „უნარიანს" „უუნარისგან", „მაღალი სოციალური მდგომარეობის შესაფერისებს" „შეუფერებლებისგან".

სკოლის ძირითადი სოციალური ფუნქციების ანალიზს სოციოლოგი იმ დასკვნამდე მიყავს, რომ საერთო განათლების საერთოდმიღებული აზრის საწინააღმდეგო აზრი არა მარტო არ შლის გონებრივ და სოციალურ განსხვავებებს, არამედ მხოლოდ აძლიერებს მათ. სკოლა, ყველაზე დემოკრატიულიც კი, ყველასთვის გახსნილი, წერს სოროკინი, თუ ის თავის ამოცანას სწორედ ასრულებს, არისტოკრატიზმის და საზოგადოების სტრატიფიკაციის მექანიზმს წარმოადგენს და არა გათანაბრების და „დემოკრატიზაციის". მეცნიერის ამ განსჯის ირგვლივ ატყდა დისკუსიები, რის შედეგადაც განათლების სოციოლოგიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა საწინააღმდეგო იდეები წამოაყენა.

განათლების სოციოლოგიური იდეები კარლ მაინჰეიმის შრომებში

განათლების სოციოლოგიის თეორიული ტრადიციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ იდეებმა, რომლებიც შეიმუშავა გერმანელმა (შემდეგ ინგლისელმა) ფილოსოფოსმა და სიციოლოგმა **კარლ მანჰეინმა** (1893-1947 წწ). მანჰეიმი ლიტერატურაში უფრო ცნობილია, როგორც სოციოლოგიური ცოდნის ფუძემდებელი და არა განათლების სოციოლოგიის. თუმცა მანჰეიმის სოციოლოგიური იდეები, რომლებიც განათლების განვითარებას ეხებოდა, მეტად გამოსადეგარია არა მარტო იმ დროის თვალსაზრისით, როცა მათი ფორმულირება ხდებოდა, არამედ XX საუკუნის დასაწყისის პოზიციიდანაც. ისინი გასაოცრად თანამედროვედ და ახლად ჟღერს. მანჰეიმის მიერ წამოყენებული იდეეების ფორმულირება გაკეთებულია მის შრომებში „იდეოლოგია და უტოპია", „მასობრივი განათლება და ჯგუფური ანალიზი," „ჩვენი დროის დიაგნოზი" და სხვ.

Karl Mannheim

კარლ მანჰეიმი. 1893-1947

მანჰეიმს ეკუთვნის უამრავი ნაშრომი განათლების სოციოლოგიის სფეროში. მან ბრწყინვალედ იცოდა იმ დროის განათლების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ფილოსოფიური, სოციოლოგიური, პედაგოგიური ლიტერატურა. ნაშრომში „იდეოლოგია და უტოპია" განათლება განიხილება, როგორც სოციალური დაპირისპირების ელემენტი. მანჰეიმი განათლებას განიხილავს მისი თანამედროვე საზოგადოების სულიერ ცხოვრებასთან, ინტელიგენციის ფენის და ბურჟუაზიის კლასის ჩამოყალიბებასთან მჭიდრო კავშირში, რომელიც შეიქმნა „ერთის მხრვ – კაპიტალის მფლობელებისგან, მეორეს მხრივ – ინდივიდებისგან, რომელთა ერთადერთი კაპიტალი განათლება იყო. ამიტომ მიღებული იყო საუბარი ერთის მხრივ ქონების მფლობელ და მეორეს მხრივ, განათლებულ კლასზე, თუმცა განათლებული ადამიანების ფენა თავისი იდეოლოგიით საერთოდ არ ემთხვეოდა იმათ, ვინც კაპიტალს ფლობდა" („იდეოლოგია და უტოპია").

განათლებისადმი ფართო სოციალური მიდგომა, მისი გაანალიზებისკენ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი განმაზღვრელი ფაქტორისკენ სწრაფვა (ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერი), მისი სოციალური ფესვების გამოვლენის მცდელობა გამოჩნდა „იდეოლოგია და უტოპიის" გამოქვეყნების ათეული წლების მერე, როდესაც მეცნიერი უკვე ემიგრირებული იყო ლონდონში ფაშისტური გერმანიის მიერ (1933 წ.), სადაც სოციოლოგმა ლონდონის უნივერსიტეტში განათლების ინსტიტუტის სტრუქტურაში მუშაობის დროს უფრო პროფესიონალურად დაიწყო განათლების პრობლემატიკის შესწავლა.

განათლების სოციალურ განპირობებულობას, მის კავშირს საზოგადოებასთან მანჰეიმი ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციის – **ფრაგმენტარული** და **ინტეგრალური განათლების** ფარგლებში განიხილავს. პირველ კონცეფციაში განათლება მეტ-ნაკლებად ხასიათდება, როგორც ცხოვრების

დამოუკიდებელი სფერო. „განათლება დამოუკიდებელ სფეროდ ითვლებოდა, რადგან სკოლა და საზოგადოება ორ კატეგორიად გადაიქცა, რომლებიც ერთმანეთს კი არ ავსებდნენ, არამედ ეწინააღმდეგებოდნენ. განათლება იმ ასაკობრივი ბარიერით შემოიფარგლებოდა, რომლის მიღწევამდეც ადამიანს სწავლის უნარყ გააჩნდა" („იდეოლოგია და უტოპია").

შემდეგ, მანჰეიმის აზრით, განათლების ფრაგმენტულობა მოზრდილთა განათლების კონცეფციის გამოჩენამ დაარღვია, რამაც პოსტაგანათლებისა და კვალიფიკაციის განახლების იდეები გაგვაცნო. აღმოცენდა ინტეგრალური განათლების კონცეფცია. „მან გვაიძულა გვეცნო განათლების უწყვეტობა და საზოგადოების საშუამავლო როლი მის შეძენაში, ხაზი გაუსვა პრაქტიკული ცხოვრებისეული სიახლეების შესწავლის მნიშვნელობას სასკოლო განათლების ფარგლებში. ამ მომენტიდან, სასკოლო განათლების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მონაწილეეებისთვის გადაეცა არა მზა ცოდნის განსაზღვრული კომპლექტი, არამედ მათთვის ესწავლებინა ეფექტურად ესწავლათ თვითონ ცხოვრებისგან." („ჩვენი დროის დიაგნოზი")

პირველ რიგში საუბარია უწყვეტ განათლებაზე, რომელიც ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გრძელდებოდეს, უპირველეს ყოვლისა, მისი შრომითი საქმიანობის მანძილზე. და ბოლოს, მეცნიერი ხაზს უსვამს პრაქტიკული ცხოვრებისეული სიახლეების მნიშვნელობას, რომელთაც ადამიანი სკოლაში უნდა სწავლობდეს. სისტემაში „**ცოდნა – შესაძლებობები – უნარები**" (როგორც ჩვენ თანამედროვე ენაზე ვიტყოდით) მანჰეიმი ამ ტრიადის უკანასკნელ ნაწილზე აკეთებს აქცენტს.

მანჰეიმი საკითხს აყენებს ოჯახს, სკოლას და სხვა დაწესებულებებს (რომლებიც ბავშვების განათლებით არიან დაკავებულნი) შორის განხეთქილების ლიკვიდაციაზე. ის წერს: „თუ ოჯახი, სკოლა, კლინიკები, რომლებიც ბავშვთა აღზრდით არიან დაკავებულნი, სასამართლოები არასრულწლოვანებისთვის იზოლირებულად იმოქმედებენ და ერთმანეთის გავლენას არ გაითვალისწინებენ, ისინი სასურველ ეფექტს ვერ მიაღწევენ."

მანჰეიმი ინტეგრალურ განათლებას ორი ასპექტით განიხილავს: 1) როგორც სკოლის ინტეგრაცია განსხვავებული სოციალური ინსტიტუტების საქმიანობასთან, რომელთაც ადამიანის ფორმირებასთან აქვთ კავშირი; 2) თანამედროვე სწავლების ინტეგრაცია წინა სკოლის მუშაობის გამოცდილებასთან. „სწავლების წარმატება, წერს მეცნიერი, დღეს დამოკიდებულია იმაზე, ჩვენ როგორ დავაკავშირებთ ახალ გამოცდილებას ინდივიდის უკვე არსებულ ცოდნასთან. საბოლოო ჯამში, ადამიანის სწავლების იდეალური მოდელი მხედველობაში მიიღებს მთელ მის ისტორიას და მრავალ სოციალურ ფაქტორს, რომლებიც მასზე მოქმდებენ სკოლასთან ერთად.

მანჰეიმი ინტეგრალიზმის იდეის განვითარებას განათლების სფეროში წამყვან ტენდენციად თვლის, რადგან სწორედ მასთანაა დაკავშირებული ეთიკური და რელიგიური აღზრდის განხოციელება.

აღზრდის ეს სახეობები, თვლის სოციოლოგი, სასკოლო პროგრამის სხვა ნაწილებთან უნდა გაერთიანდნენ, რაც პიროვნების მთლიანობის ფორმირებას ოპტიმალურად შეუწყობს ხელს.

მანჰეიმის ინტეგრალური განათლების კონცეფციის კიდევ ერთი მხარე ასახვას პოვებს ლიბერალური განათლების თეორიაში. სოციოლოგი ამტკიცებს, რომ წინა ლიბერალიზმის ეპოქაში, განათლება იყო საკმაოდ იზოლირებული, ხოლო მისი მთავარი ნაკლი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების იგნორირებაში მდგომარეობდა. სანამ საზოგადოება აყვავების პროცესშია, ლიბერალური განათლება თავს კარგად გრძნობს, ამტკიცებს მანჰეიმი. მაგრამ „როცა აყვავება მთავრდება და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები დამოკიდებულნი არიან თავიანთ საკუთარ რესურსებზე," „ლიბერალური განათლება კრახს განიცდის."

განათლება — საზოგადოება – ჯგუფი – ინდივიდი

მანჰეიმი განათლებას განიხილავს, როგორც სოციალურ ფენომენს და არა „როგორც სამაგიერო გაცვლას ორ ინდივიდს შორის, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის პიროვნული ურთიერთობის დონეზე." („ჩვენი დროის დიაგნოზი") მისი აზრით, საზოგადოება „ საერთო სოციალური პროცესის ნაწილს წარმოადგენს."

მანჰეიმის მიხედვით, განათლების სოციოლოგიური მიდგომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ „განათლება სწორედ შეიძლება იქნეს გაგებული მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ განვხილავთ მას, როგორც ადამიანის ქცევაზე მოქმედ, ასევე სოციალური კონტროლის ერთ-ერთ საშუალებად." მეცნიერი ფიქრობს, რომ განათლების ყველაზე ეფექტური მეთოდები ჩავარდნისთვის განწირულია, თუ ისინი სოციალური კონტროლის სხვადასხვა ფორმებთან არ არის შეთანხმებული. სოციოლოგი სოციალური განათლების კონტროლის ქვეშ გულისხმობს მის ურთიერთკავშირს და ურთიერთქმედებას სხვა სოციალურ ქვესისტემებთან, სტრუქტურებთან, სამსახურებთან, რომლებსაც ერთად შეუძლიათ შინაარსისა და მიმართულების მიხედვით დადებითი გავლენის მოხდენა ახალ თაობაზე.

განათლების საზოგადოებასთან, მის სოციალურ ინსტიტუტებთან ურთიერთკავშირის გაგება მანჰეიმთან შემდეგ ფორმულირებას იღებს: „განათლების არც ერთ სისტემას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ახალი თაობის ემოციურ სტაბილურობას და სულიერ მთლიანობას, სანამ მას არ ექნება საერთო სტრატეგია სოციალურ სამსახურებთან, რომლებიც მოქმედებენ სკოლის გარეთ. ჩვენს დროში მხოლოდ მათთან ურთიერთკავშირშია შესაძლებელი სოციალლური გავლენის კონტროლი, რომლებიც საწინააღმდეგო შემთხვევაში საზოგადოების ცხოვრებას დეზორგანიზებას უკეთებენ."

განათლების მანჰეიმისეული ანალიზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი განათლებასა და პოლიტიკურ აქტუალობას შორის მჭიდრო კავშირის გამოვლენაში მდგომარეობს. „როგორც კი მასები პოლიტიკურად აქტიურნი

ხდებიან, განათლების ახალი ფორმის აუცილებლობა წამოიჭრება, ხოლო მაღალი ინდივიდუალური დონის ელიტის შერჩევა და მხარდაჭერა საყოველთაო მნიშვნელობის საქმედ იქცევა. ამ სტადიაზე უკვე შეუძლებელია განათლების პრობლემის შეზღუდვა სკოლის ფარგლებით."

მთლიანობაში განათლების მანჰეიმისეული სოციოლოგიური მიდგომის არსი შემდეგ ძირითად პუნქტებში გამოიხატება: 1) განათლება აყალიბებს (ფორმირებას უკეთებს) არა ადამიანს საერთოდ, არამედ ადამიანს მოცემულ საზოგადოებაში და მოცემული საზოგადოებისთვის. 2) საუკეთესო საგანმანათლებლო ერთეულად გვევლინება არა ინდივიდი, არამედ ჯგუფი. ჯფუფები განსხვავდებიან ზომის, მიზნებისა და ფუნქციების მიხედვით. სწავლების მიმდინარეობის დროს გამომუშავდება ქცევის განსხვავებული მოდელები, რომელთაც უნდა მისდიონ ინდივიდებმა ჯგუფებში."

ყურადღებას იქცევს ჯგუფის (და არა ინდივიდის) ობიექტის სახით კვლევის აუცილებლობის საკითხის დასმა. კარგად ცნობილია, რომ გავრცელებულ საგანმანათლებლო სტრუქტურებში ის სასწავლო პროცესის ძირითად ერთეულს წარმოადგენს, იქნება ეს სასკოლო კლასი თუ აკადემიური ჯგუფი პროფესიულ სასწავლო დაწესებულებაში. უკვე ამიტომ სწორედ ჯგუფი უნდა იყოს კვლევის ობიექტი. მაგრამ არის კიდევ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი. ეს არის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების სპეციფიკა, რომელიც შეისწავლის არა ინდივიდს, არამედ სოციალურ საზოგადოებას, ერთობას. სწორედ ის წარმოადგენს სოციოლოგიის საგნობრივი სფეროს „ბირთვს".

სოციოლოგიის როლი განათლების განვითარებაში

აუცილებელია აღინიშნოს ის დიდი მნიშვნელობა, რასაც მეცნიერი ანიჭებდა სოციოლოგიას განათლების განვითარების საქმეში. საუბარია სკოლის მასწავლებლისა და საერთოდ პედაგოგის მიერ სოციოლოგიური ინფორმაციის და სოციოლოგიური შრომების შესწავლის მნიშვნელობაზე, რათა სწავლება და მოსწავლეთა აღზრდა იყოს არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული და ამზადებდეს მათ ცხოვრებისთვის არსებულ საზოგადოებაში.

მანჰეიმი ოთხ მნიშვნელოვან სოციოლოგიურ კურსზე მიუთითებს, რომელიც აუცილებელია მასწავლებლებმა აითვისონ: განათლების სოციოლოგიის, ადამიანური ქცევის შესახებ მეცნიერების, კულტურის სოციოლოგიის, სოციალური სტრუქტურის კურსები.

მანჰეიმი აღნიშნავს: „ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ თანამედროვე რთულ და სწრაფად ცვლად საზოგადოებაში განათლება შეიძლება იყოს ადეკვატური მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელმა იცის სოციალური სამყარო, საიდანაც მისი მოსწავლეები მოდიან და ცხოვრება, რომლისთვისაც ისინი უნდა მოამზადოს. ამ ასპექტში სოციოლოგია წარმოადგენს განათლების აუცილებელ დამატებას ჩვენს საუკუნეში, რომელ ქვეყანაში და რომელ სოციალურ სისტემაშიც არ უნდა ვცხოვრობდეთ.

მანჰეიმის სიტყვებით შევაჯამოთ სოციოლოგიის როლი პედაგოგის

პროფესიულ საქმიანობაში: „სოციოლოგიის როლი მდგომარეობს იმაში, რომ ის მასწავლებელს ეხმარება გადალახოს განათლების სქოლასტიკური კონცეფციის იზოლაცია, შეზღუდვა, რომელიც ორიენტირებულია იქითკენ, რომ სწავლება მიმართოს საზოგადოების საჭიროებებზე. მეორეს მხრივ, სოციოლოგია შესაძლებლობას იძლევა კოორდინაცია გაუწიოს სწავლების პროცესს არასასკოლო დაწესებულებებთან ერთად (ოჯახი, საზოგადოებრივი აზრი, სოციალური სამსახურები).

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მანჰეიმმა ფორმულირება გაუკეთა სოციოლოგიის ურთიერთქმედების პროგრამას პედაგოგიკასთან და ფსიქოლოგიასთან, ასევე განათლების სისტემასთან და ადამიანებთან. მან დაბეჯითებით დაამტკიცა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების სარგებლობა და აუცილებლობა, მისი მასალების და მიღწევების გამოყენებების აუცილებლობა ახალგაზრდა თაობის აღზრდის პროცესის ოპტიმიზაციისთვის.

დღეისთვის ჩვენ იძულებულნი ვართ კვლავ და კვლავ ხაზი გავუსვათ მანჰეიმის მიერ წამოწყებული ამოცანების მნიშვნელობას და დავარწმუნოთ პედაგოგები სოციოლოგიის და განსაკუთრებით განათლების სოციოლოგიის მიზანმიმართულ შესწავლაში.

განათლების და ცოდნის სოციოლოგიური კონცეფციები დასავლურ ლიტერატურაში (XX საუკუნის შუა ხანები, მეორე ნახევარი)

განათლების სოციოლოგია, როგორც ცოდნის განსაკუთრებული, სპეციფიკური დარგი, საბოლოოდ XX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა. სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე მისი ჩამოყალიბება აშშ-ში განხორციელდა. სწორედ ამერიკულ სოციოლოგიაში ჰქონდა ადგილი „წინააღმდეგობას" განათლების სოციოლოგიასა და საგანმანათლებლო სოციოლოგიას შორის, რაც ამ უკანასკნელის სასარგებლოდ არ დასრულებულა. მისი მომხრეები პედაგოგიკის მხარეს გადავიდნენ და ამ გამარჯვების ერთ-ერთი ოფიციალური აღიარება ჟურნალის სათაურის შეცვლით დაფიქსირდა — „საგანმანათლებლო ოფიციალური ჟურნალის" ნაცვლად ეწოდა „განათლების სოციოლოგია" (1963 წ.). ახალი ჟურნალის პირველი მთავარი რედაქტორი განათლების სოციოლოგიის ცნობილი სოციოლოგი **ჩ. ბიდუელი** გახდა.

მოხდა კვლევის და საქმიანობის სფეროს მკაფიო გამიჯვნა. საგანმანათ-ლებლო სოციოლოგიის წარმომადგენლები დაკავდნენ სასწავლო დაწესებულებების წმინდა პრაქტიკული საკითხებით, განათლების შინაარსით, სკოლებში კონკრეტული ჯგუფების ურთიერთქმედებით, მათ შორის არსებული ეროვნულ-ეთნიკური განსხვავებებით და წინააღმდეგობებით. საუბარი, დისკუსიები ნაწილობრივ აშშ-ს თეთრი, შავი და ფერადი მოსახლეობის სკოლების თაობაზე მიმდინარეობდა, იმის შესახებ, თუ როგორ გადაილახოს განათლების სისტემაში არსებული მოსწავლეებისა და სკოლების დისკრიმინაცია. საგანმანათლებლო სოციოლოგიის საგნად ის პრობლემები და პროცესები გახდა, რომლებიც თვითონ განათლების შიგნით ხდებოდა. აქედანაა საგანმანათლებლო სოციოლოგიის პედაგოგიკასთან მკვეთრი დაახლოება.

რაც შეეხება განათლების სოციოლოგიას, მისი თეორეტიკოსების ძალისხმევით, ყურადღება მიაქციეს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებს ფართო სოციალური გარდაქმნების, სოციალური მობილობის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მრავალი ფუნდამენტური ასპექტების მქონე სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებაში.

განათლების ანალიზი, როგორც თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი, სოციოლოგიური ცოდნის თითქმის ერთადერთი კვლევითი მიმართულება გახდა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა მეორე მიმართულებიდან წასვლას – განათლების შიდა პრობლემების, მისი ქვესისტემების და რგოლების, სასწავლო დაწესებულებების, ასევე მათში სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედების შესწავლიდან თავის არიდებას. პირიქით, განათლების სოციოლოგიის ორივე ეს მიმართულება სულ უფრო და უფრო ერთმანეთს უახლოვდება. სხვათა შორის, ასეთი დაახლოების ხარისხი კონკრეტულ კვლევებსა და მათ მიერ განმახორციელებელ სოციოლოგებზე იყო

დამოკიდებული.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა განათლების სოციოლოგიის პრობლემატიკაზე არსებული შეხედულება, რაც ფართოდ ცნობილ „სოციოლოგიის ლექსიკონში" არის ფორმულირებული, რომელიც ბრიტანულ გამომცემლობაში „პინგვინ ბუქს-ში" გამოქვეყნდა. ლექსიკონის ავტორები თვლიან, რომ განათლების სოციოლოგიის მთავარი ამოცანაა „განათლების გავრცელება და მისი გავლენის შესწავლა სოციალურ მობილობასა და ცხოვრებისეულ გეგმებზე, განათლების სფეროში სოციალურ კლასებს შორის განსხვავების გამოვლენა და მათი ახსნა" (The Penguin Dictionary of Sociology. L., 1988. P. 235.). გარდა ამისა, განათლების სოციოლოგია მოწოდებულია „ახსნას სოციალური სისტემები სკოლებში და ყურადღება მიაქციოს საგანმანათლებლო სფეროში მასწავლებელსა და მოსწავლის ურთიერთქმედების მნიშვნელობას."

უფრო მკაფიო მისწრაფებები შეიმჩნევა დასავლურ, პირველ რიგში, ამერიკული განათლების სოციოლოგიის განვითარების ხაზში, მიღებული ჩ. ბიდუელის და ნ. ფრიდკინის მიერ. მათი აზრით, განათლების სოციოლოგიის ობიექტი და საგანი თავდაპირველად იყო ემპირიულად კონკრეტული, შეიცავდა სასწავლო დაწესებულებებს, მათ სისტემებს, მართვას, ორგანიზებას და სტრუქტურას, განათლების დონეს, სასწავლო დაწესებულებებში ჯგუფების ურთიერთქმედებას, მასწავლებლების, ადმინისტრატორების და სხვ. სოციალურ როლს.

შემდეგ კი, წერენ ამერიკელი სოციოლოგები, განათლების სოციოლოგიის საგანი გახდა საგანმანთლებლო საქმიანობის, მისი ფორმების და შინაარსის ანალიზი, ფართო სოციალურ სტრუქტურაში მისი ჩართვა, მისი შედეგები ინდივიდებისა და კოლექტივებისთვის. ეს სოციოლოგები კიდევ ერთ რამეს აქცევენ ყურადღებას – ანალიზის ცენტრალურ ხაზს – ერთის მხრივ, ურთიერთობას განათლებასა და სოციალურ სტრატიფიკაციას და მობილობას შორის, და მეორეს მხრივ, თანამედროვე საზოგადოებებში წარმოქმნილ სოციალური სამართლიანობის პრობლემას განათლების იერარქიული გავრცელების მსვლელობისას.

განათლების სოციოლოგიის განვითარებას ხელი შეუწყო მის შესწავლაში დოკუმენტური მეთოდის, სოციოლოგიური დაკვირვების, წერითი და ზეპირი გამოკითხვების, სოციომეტრიის, ექსპერტული შეფასებების მეთოდების, ჯგუფური ინტერვიუების და სხვ. გამოყენებამ. ამასთან ერთად, განათლების კვლევებმა სოციოლოგიის თეორიული მიღწევების გავლენა განიცადა. ამერიკელმა სოციოლოგმა ტ. პარსოსმა თვითონ გამოიკვლია სკოლა, როგორც სოციალური მრავალსახეობა და სასკოლო კლასი, როგორც მისი ქვესისტემა. ის განიხილავდა სკოლის და კლასის სტრუქტურებს, ფუნქციას, სოციალური როლების გავრცელებას და შესრულებას, სტატუსს, მასწავლებელსა და მოსწავლის ურთიერთგავლენას, დაძაბულ სიტუაციებს და მათ შორის

კონფლიქტს.

განათლების სოციოლოგიაში სამი ძირითადი თეორია არსებობს: **ფუნქციონალიზმი, ინტერაქციონიზმი და კონფლიქტების თეორია**. ფუნქციონალიზმი წარმოადგენს სოციოლოგიაში თეორიული მიდგომებიდან ერთ-ერთ მნიშველოვან მიდგომას და საზოგადოებას განიხილავს, როგორც სისტემას, რომელიც ურთიერთდამოკიდებული ნაწილებისგან შედგება და საზოგადოებისთვის გადარჩენისთვის არის აუცილებელი. სოციოლოგები მოცემულ თეორიულ მიდგომას განათლების სისტემის შესწავლისას იყენებენ, ფოკუსირდება რა მათი ყურადღება ორგანიზაციის სტრუქტურულ ნაწილებზე, სუბსისტემებსა და სტრუქტურის შიგნით პოზიციებზე, მათ ფუნქციონირებაზე განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

ფუნქციონალიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს **„ადამიანური კაპიტალის"** თეორია, რომლის მიხედვითაც განათლება არის კაპიტალდაბანდება ადამიანის მიერ მომავალში გამოსაყენებლად. როგორც ყველა კაპიტალდაბანდებას, მასაც მომავალში მოგება მოაქვს. ეს თეორია ამტკიცებს, რომ წარსულში დახარჯული ყველა მცდელობა მომავალში ანაზღაურდება.

ფუნქციონალურ მიდგომას აკრიტიკებენ მისი კონსერვატიული მიმართულების გამო. მას არ შეუძლია სოციალური ცვლილებების პირობებში ახსნას სოციალური ცვლილებების არასტაბილურობა. გარდა ამისა, ეს პარადიგმა არ განიხილავს განათლების სიტემაში ინდივიდუალურ ურთიერთქმედებას მასწავლებელი-მოსწავლის დონეზე. ფუნქციონალიზმის თეორიას საგანმანათლებლო პროცესების შინაარსთან შეხება არ აქვს: მას არ აინტერესებს რა შეისწავლება და როგორ შეისწავლება.

ფუნქციონალიზმი განათლების სოციოლოგიაში XX საუკუნის 60-იან წლებში დომინირებდა, მაგრამ კონფლიქტების თეორიის მომხრეების მიერ ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული. ისინი თვლიდნენ, რომ განათლება შეიძლება განხილული იქნეს როგორც ჯგუფური კონფლიქტების განხორციელება, რომ ჯგუფებს შორის წარმოიშვება კონფლიქტი განათლების შინაარსის გამო. ეს მიდგომა ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ სოციალურ ჯგუფებს პრინციპულად განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ და რომ ზოგიერთი განათლებიდან უფრო მეტ სარგებელს იღებს, ვიდრე დანარჩენი სხვები.

ფუნქციონალიზმისა და კონქფლიქტების თეორიის მომხრეებს შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ფუნქციონალისტები სოციალიზაციას განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ გამოვლენილ უნივერსალურ ფასეულობას, რომელიც საზოგადოებას კრავს ერთიანობაში. კონფლიქტოლოგების აზრით, სოციალიზაცია განსხვავდება ადამიანთა კლასობრივი კუთვნილების მიხედვით. ფუნქციონალისტები თვლიან, რომ განათლების სისტემა ინდივიდუალური მობილობის შესაძლებლობას იძლევა, კონფლიქტოლოგები ხაზს უსვამენ განათლების როლს სტრუქტურული

სოციალური უთანასწორობის შენარჩუნების საქმეში. თუ ფუნქციონალისტები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ხაზს უსვამენ განთლების პოზიტიურ ზემოქმედებას საზოგადოების განვითარებაზე, კონფლიქტების თეორიის მომხრეები უფრო მძიმე სურათს ხატავენ, თვლიან რა, რომ განათლება ხელს უწყობს გჯუფების ექსპლუატაციასა და ჩაგვრას, რომლებიც არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან. [18]

განათლების სოციოლოგიის განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება 1970-იანი ელებიდან. გამოჩნდნენ სოციოლოგები, რომლებიც თეორიებს იკვლევდნენ. თვით სკოლები, საკლასო ოთახები და სასწავლო პროგრამები სოციოლოგიური ანალიზის ობიექტები გახდნენ, მოხდა წინა პარადიგმების ცვლილება ინტერაქციონიზმის თეორიით. აღნიშნული თეორია აქცენტს აკეთებს სწავლების სოციალურ-ფსიქიკურ საკითხებზე. სოციოლოგები იყენებენ რა აღნიშნულ მეთოდს განათლების სფეროში, დიდი ყურადღებას უთმობენ მასწავლებელი-მოსწავლის ურთიერთქმედებას, მოსწავლეებს შორის ურთიერთობას, მოსწავლეთა განწყობებს, ფასეულობებს და მიღწევებს, შეისწავლიან მოსწავლეთა მიღწევებსა და მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდომარეობას შორის დამოკიდებულებას. სხვა მიმართულების სოციოლოგებისგან განსხვავებით, ამ მიდგომის მომხრეები სკოლაში ყოველდღიურ ცხოვრებას იკვლევენ. ეს მიდგომა იძლევა ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს უკეთეს სწავლებას, სკოლაში კონფლიქტების შემცირებასა და დევიაციას. თუმცა ხშირად მსგავსი კვლევები მხოლოდ აღწერილობით ხასიათს ატარებს და ხშირად ვერ ხსნის იმ ფენომენს, რომელსაც აღწერენ.

ამრიგად, ეს სამივე მიდგომა ანალიზის განსხვავებულ დონეს იძლევა: ფუნქციონალური და კონფლიქტური მიდგომები მიდრეკილია მაკროკოსმიურ შეხედულებისკენ სკოლის სოციალური ურთიერთობებისა და კულტურის შესახებ, მაშინ როდესაც ინტერაქციონისტული მეთოდოლოგია ფოკუსირდება ინდივიდებსა და პატარა ჯგუფებს შორის მცირემაშტაბიან ურთიერთქმედებაზე. სკოლა გამოდის როგორც მინიატურა საზოგადოებაში, სოციალური სისტემის მოდელი.

ყველა ეს მეთოდოლოგია და თეორიული მიდგომა იმისთვისაა საჭირო, რომ მთლიანობაში გავიგოთ განათლების ინსტიტუტის სტრატიფიცირებული როლი. სოციოლოგები ან ამჯობინებენ აქედან ერთ-ერთი მიდგომით ისარგებლონ თავიანთ საქმიანობაში, ან ირჩევენ მიდგომას, რომელიც მოცემული პრობლემის გადაჭრას შეესაბამება.

განათლების სოციოლოგიის განვითარებაში ხარისხობრივი ნახტომი დასავლეთში, პირველ რიგში კი აშშ-ში, 1960-1970-იან წლებში განხორციელდა,

---

[18] **Ярская В., Лошакова И., Зайцев Д., Шалаева Л., Григорьева О.**, Социология Образования, раздел третий, Саратов, 2004. с. 13.

შესაძლოა არა მარტო შიდა პროცესების, არამედ პოლიტიკური და სოციალური ხასიათის ფაქტორების შედეგად. ამასთან დაკავშირებით, განათლების სოციოლოგიის მიმართ ინტერესის ზრდის ძირითადი მიზეზი შეიძლება დავასახელოთ. ყველას საერთოსოციალური ხასიათი გააჩნია.

პირველ რიგში, ეს არის წმინდა გარეშე მიზეზი, (გარედან კარგად დასაკვირვებელი) აშშ-ს „ჩამორჩენილობა" ყოფილ სსრკ-გან კოსმოსის ათვისებაში, რაც პირდაპირ დასავლეთის განათლების სისტემის ან ჩამორჩენილობასთან ან მანკიერებასთან იყო დაკავშირებული; ახალგაზრდობის, პირველ რიგში სტუდენტების მასობრივი გამოსვლების მკვეთრი გააქტიურება („სტუდენტური რევოლუცია, 1968 წ.), რომლებიც უმაღლესი და საშუალო სკოლის დემოკრატიზაციას მოითხოვდნენ.

წარმოიშვა „განათლების კრიზისის" ვითარება (ჯ. კოულმანი, ფ. კუმბსი). მალე ის უკვე განიხილებოდა არა მხოლოდ ეროვნულ, ნაციონალურ (აშშ-თვის), არამედ მსოფლიო კრიზისად. მოგვიანებით, 1985 წ. ფ. კუმბსი განათლების სფეროში მსოფლიო კრიზისზე აქვეყნებს მორიგ წიგნს. განათლების სფეროში მსოფლიო კრიზისის შესახებ საკითხის დასმის გამო, მისი პრობლემატიკა თანამედროვეობის გლობალური პრობლემების ჩამონათვალში შედის და ყველაზე ცოტა სამ გარემოებასთანაა დაკავშირებული.

პირველ რიგში, განათლების პრობლემების გადაწყვეტამ (როგორც ნებისმიერი გლობალური პრობლემის) ქვეყანაში ამ სფეროზე, ზოგად სიტუაციაზე არ შეიძლება არ იმოქმედოს. მეორეს მხრივ, განათლების საკითხების კომპლექსური გადაჭრა, მისი კრიზისიდან გამოსვლასთან დაკავშირებული, შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული მხოლოდ მთელი რიგი ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით ან კაცობრიობის საერთო მცდელობით. მესამე, განათლება, როგორც თანამედროვეობის გლობალური პრობლემა, მყარად უნდა შევიდეს სოციოლოგიის პრობლემურ სფეროში.

ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამომდინარე იქიდან, რომ პლანეტის ყოველი მეხუთე ადამიანი გაუნათლებელია, რომ არაფერი ვთქვათ ფუნქციონალური გაუნათლებლობის არსებობაზე, რაც როგორც ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებმაც არა ერთ წარმატებას მიაღწიეს განათლების სფეროში, მოსახლეობის ყველაზე ფართო ფენებში. განათლების სოციოლოგიას არ შეუძლია გაუნათლებლობის გლობალურ საკითხებს გვერდი აუაროს.

განათლების სფეროში პრობლემის გლობალური მნიშვნელობის აღიარებისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სფეროში XXI საუკუნის მსოფლიო ვითარების წინაპირობები და კონტურები XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, უფრო სწორედ უკანასკნელ მესამედში არსებულ და განვითარების მქონე განათლების სისტემაში. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ რეალური საფრთხე, რომლის

შესახებაც დღეს განათლების სოციოლოგები საუბრობენ: განუვითარებელი განათლების და განათლებაზე დაბალი დანახარჯების მქონე ქვეყნები (მაგალითად, აფრიკის მრავალ ქვეყანაში განათლებაზე დანახარჯი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 90-100-ჯერ დაბალია, ვიდრე აშშ-ში ან კანადაში) ვერასდროს შეძლებენ საშუალოდ განვითარებული ქვეყნების, მით უმეტეს მაღალგანვითარებული სახელმწიფოების ჯგუფში მოხვდნენ.

XX საუკუნის 60-90-იან წლებში დასავლურ სოციოლოგიაში განათლების სოციოლოგიის საგნის შეფასებაში ორი ძირითადი პოზიცია ჩამოყალიბდა: ევროპული (უპირატესად ფრანგული) და ამერიკული. მათ ჩარჩოებში ტარდება განათლების ამა თუ იმ სახეობის და საფეხურის ხელმისაწვდომობის მრავალრიცხოვანი კვლევა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის და სოციალური ჯგუფისთვის. განათლება ხასიათდება, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საზოგადო-სელექციური ფაქტორი, რომელსაც სოციალურ მობილობამდე მივყავართ (ფრანგი სოციოლოგი – რ. ბუდონი, პ. ბურდიე, ჟ. მარკევიჩ-ლანიუ, პ. ბურდიე, ჟ. მარკევიჩ-ლანიუ, ლ. ტანგი). ამასთან ერთად, ფრანგი სოციოლოგები თვლიან, რომ განათლება სხვადასხვა სახით ათანაბრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების შანსს და უფრო აახლოებს მათ, ვიდრე აძლიერებს სოციალურ უთანასწორობას. არაერთგვაროვანი შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია განათლების, განსაკუთრებით უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ ხელმისაწვდომობასთან, მოსახლეობის ელიტარულ და არაელიტარულ ფენებს გააჩნია. თუმცა დასავლეთის ქვეყნებში განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმები, ლიბერალიზაციის და დემოკრატიზაციის ზოგადი პროცესები საბოლოო ჯამში მისი კრიზისის გადალახვასთან მიგვიყვანს. ასეთია განათლების ფრანგული სკოლის პოზიცია, რომელსაც შეიძლება ზომიერად ოპტიმისტური ვუწოდოთ.

სოციალური ინტეგრაციის პრობლემის შესწავლის გაღრმავების კვალდაკვალ განათლების სოციოლოგია სკოლების კვლევის მიღმა გავიდა და ყურადღება მიაქცია ოჯახური განათლების ანალიზს, ბავშვობის სოციოანტროპოლოგიას, ახალგაზრდების არაფორმალურ თვითგანათლებას და სხვ. თანაბარი შესაძლებლობების იდეალების კრიზისმა უწყვეტი განათლების კვლევასთან მიგვიყვანა.

ფრანგული განათლების სოციოლოგიის ჩამოყალიბების ახალი ეტაპი (იწყება XX საუკუნის 80-იან წწ.) საგანმანათლებლო სფეროსადმი სხვადასხვაგვარი მეთოდოლოგიური მიდგომების მკვეთრ ზრდასთან იყო დაკავშირებული. მეტად აქტუალური გახდა დემოკრატიზაციის საკითხების შესწავლა სკოლის ორგანიზაციაში, ასევე სასწავლო დაწესებულებების დიფერენციაციის საკითხი, სახელმწიფოსა და სხვა სოციალური ინსტიტუტების შესაძლებლობები ამ პროცესებზე კონტროლის განხორციელებაში. ყურადღება გაიზარდა იმ ჯგუფების სოციალური სამყაროს

მრავალფეროვნების ანალიზისადმი, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესებშია ჩაბმული. პიროვნების სოციალიზაციის საფუძველში ჩადებული ცოდნის და ფასეულობების შესწავლა გაღრმავდა.

რაც შეეხება განათლების სოციოლოგიის განვითარებას (XX საუკუნის 60-90-იან წლებში) აშშ-ში, საინტერესო შრომებში (უ. ბრუკოვერი, ჯ. ბელენშტაინი, ჯ. ჯენსენი, ჯ. კოულმანი, კ. ფიტერმანი და სხვ.) დაისმის განათლების საერთოთეორიული საკითხები, მისი კავშირი სოციალურ პროცესებთან - სოციალური სტრატიფიკაცია და მობილობა, სქესი, რასა, სოციალური უთანასწორობა, რელიგია, კულტურა, პოლიტიკა, ეკონომიკა და სხვ.

განვიხილავთ რა დასავლეთში განათლების სოციოლოგიის განვითარებას, მოკლედ შევეხოთ ამ მიმართულების მოკლე დახასიათებას, რაც მოცემულია სოციოლოგიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში.

პირველ რიგში, ასეთ გამოცემებში (1990-იან წლებში გამოქვეყნებული ე. გიდენსის, ჯ. მასოუნისის, ნ. სმელზერის და სხვ. შრომებში მოცემულია ცალკე თავი (პარაგრაფი) „განათლების" სათაურით) მსოფლიოს ცნობილი სოციოლოგები გადმოსცემენ განათლების პრობლემის საკუთარ შეხედულებას სოციოლოგიის განვითარების კონტექსტში.,

მეორე, მათში ნაჩვენებია განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურის განვითარების თავისებურებები (როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი) და მისი სტრუქტურა, სასწავლო პროცესი და მათში სოციალური ჯგუფების ურთიერთ-ქმედება მთელი რიგი ქვეყნების შედარებითი ანალიზის ფარგლებში. იმ ქვეყნებს შორის, რომელთა განათლების სისტემას კონკრეტული განხილვისას იყენებენ (მოჰყავთ სამაგალითოდ) ფიგურირებს აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, საფრანგეთი.

მესამე, განათლების ანალიზი და მისი თეორიები კონცენტრირებული სახით მოიცავენ მოცემული სფეროს კვლევების საუკეთესო მიღწევებს და დიდ სტატისტიკურ მასალას.

მეოთხე, სოციოლოგიის ნებისმიერ საზღვარგარეთულ სახელმძღვანე-ლოში, სადაც ცალკე თავია განათლების შესახებ, ეს უკანასკნელი ანალიზდება სოციალური უთანასწორობის, სოციალური სტრატიფიკაციის და მობილობის, სქესის, სოციალიზაციის, კულტურის, წერა-კითხვის ცოდნის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრობლემებთან მჭიდრო კავშირში.

განათლების პრობლემების ანალიზის შედეგად სახელმძღვანელოების ავტორები ხშირად შემდეგ დასკვნებს იძლევიან.

1. განათლება – არის ძირითადი სოციალური ინსტიტუტი ცოდნისა და უნარების გადაცემისთვის, ასევე კულტურული ნორმებისა და ფასეულობის ახალგაზრდების გადასაცემად. თუ ინდუსტრიულამდელ საზოგადოებაში ძირითადად არაფორმალური განათლება არსებობდა ოჯახის პირობებში, ინდუსტრიალურში მისი ფორმალური სისტემები

ვითარდება. მლიანობაში, განათლების აღმოცენება და გავრცელება მჭიდროდაა დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა, მცოდნე და დისციპლინირებული სამუშაო ძალის მოთხოვნილებების ზრდასთან.

2. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ინდუსტრიალურ საზოგადოებაში განათლების სისტემების გაფართოებას ხელს უწყობდნენ, გახდა: სამრეწველო რევოლუცია, წარმატებები ტექნოლოგიის განვითარებაში, სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაზე საზოგადოების გავლენა, განათლების განვითარებით დაინტერესებული სოციალური ჯგუფების ფორმირება, რომლებიც მიისწრაფვიან სიმდიდრის, ხელისუფლების, სტატუსის, პრესტიჟის შენარჩუნებისა და გაზრდისკენ განათლების დახმარებით.
3. განათლება არის კაპილადაბანდება, რომელიც მომავალში მოუტანს სარგებელს როგორც ადამიანს, ასევე მთლიანად საზოგადოებას.
4. თანამედროვე განათლება ხაზს უსვამს და ადასტურებს დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსულთა არაპირდაპირ დისკრიმინაციას, სოციალური, ეკონომიკური უთანასწორობის არსებობას, მაგრამ რეალურ ვითარებას ნაკლებად ცვლის.
5. არსებობს მჭიდრო კავშირი განათლებაში მიღწევებს, მის დონეებსა და სამუშაოზე წარმატებებს შორის. თუმცა ამ უკანასკნელზე განათლების გარდა შეიძლება გავლენა სხვა ფაქტორებმაც იქონიოს: კლასობრივმა კუთვნილებამ, მშობელთა სოციალურ-ეკონომიკურმა სტატუსმა, სქესმა და სხვ. თუმცა ყველაზე დიდ გავლენას განათლება ახდენს.
6. XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოში განათლების გავრცელებას ღრმა დიფერენცირებული ხასიათი ჰქონდა. დღემდე არსებობენ ქვეყნები, სადაც სავალდებულო ზოგადი დაწყებითი განათლება კანონით არ არის დადგენილი, ხოლო გაუნათლებელი ადამიანების რიცხვი მსოფლიოში უფრო სწაფად იზრდება, ვიდრე მცირდება. წერა-კითხვის უცოდინარობა ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა არა მარტო სუსტად განვითარებული, არამედ მოწინავე ქვეყნებისთვისაც.
7. განათლებაში არსებული თანამედროვე მდგომარეობა, პირველ რიგში განვითარებულ ქვეყნებში, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ აღიქმება, როგორც კრიტიკული, ზოგიერთი სოციოლოგის მიერ კი – კრიზისული. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფო სასკოლო განათლებას, რომელიც ბიუროკრატიის ბატონობით, მოსწავლეთა პასიურობით და დანაშაულის მაღალი დონით ხასიათდება.

1970-1990-იან წლებში დასავლურ სოციოლოგიაში ინტერესი უწყვეტი განათლების პრობლემატიკის მიმართ გაიზარდა. თითქმის ყოველწლიურად ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები მოზრდილთა განათლების საკითხებზე (თავდაპირველად მას განსაზღვრავდნენ, როგორც

განათლებას თავისუფალ დროს). ინტერესის გაზრდაზე გავლენა გადამზადების სხვადასხვა ფორმების ეფექტურობის შესწავლამ და მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებამ (რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი უწყვეტი განათლების სისტემასთან ან მასში არიან ჩაბმულნი) მოახდინა. უწყვეტი განათლების განვითარების შემადგენელ ნაწილს პოსტპროფესიული მომზადების და გადამზადების სრულყოფა წარ-მოადგენდა. სოციოლოგიის მხრიდან ამ პრობლემატიკისადმი მზარდი ინტერე-სი იყო ასახვა ობიექტური პროცესებისა, რომლებმაც ადამიანების მიერ მიღებული პროფესიული განათლების სწრაფად მოძველება დააჩქარეს და პროფესიაში გამოყენებული ცოდნის რეგულარულად განახლება აუცილებელი გახადეს (ანუ სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე).

დიდ პოპულარობას იძენდა საქმიანობა, რაც დაკავშირებული იყო საგანმანათლებლო საქმიანობის სხვადასხვა ფორმებთან. განათლება მისი სივრცითი-დროითი ხასიათიდან გამომდინარე, საქმიანობის ლოკალური სახეობიდან (როდესაც ადამიანები მხოლოდ სკოლაში და პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში სწავლობდნენ, რომლის შემდეგაც სწავლას აღარ განაგრძონდნენ) ადამიანის უნივერსალურ საქმიანობად გადაიქცა, რომელსაც ახორციელებს მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ მიზნების მისაღწევად ადამიანის დასახმარებლად მისი საგანმანათლებლო მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის საჭირო გახდა უწყვეტი განათლების შექმნა შესაბამისი ცენტრებით, დაწესებულებებით, ორგანიზაციებით, პერსნალით, აღჭურვილობით და სხვ. შეიქმნა უწყვეტი განათლების მთელი „ინდუსტრია". ამიერიდან განათლების სოციოლოგია სულ უფრო ხშირად მიმართავს ახალი ტენდენციების ანალიზს და კვლევის ახალ რაკურსს – განათლების მოქმედი და პერსპექტიული პარადიგმების გამოვლენას.

ახლა რაც შეეხება ***ცოდნის სოციოლოგიას***. სოციოლოგიური ცოდნის ორი ქვედარგი – განათლების სოციოლოგია და ცოდნის სოციოლოგია გარკვეულ დრომდე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, რადგან ერთი და იგივე ფილოსოფიურ-სოციოლოგიური კონცეფციიდან გამომდინარეობდნენ (ე. დურკჰეიმი, მ. ვებერი. ჯ. მიდა). თუმცა 1920-30-იან წწ ისინი საკმაოდ სწაფად გაიმიჯნენ. ცოდნის სოციოლოგია ფილოსოფიაში „გადავიდა". განათლების სოციოლოგიამ კი განვითარების სხვა გზა აირჩია.

ცოდნის სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გერმანელი მეცნიერი **მ. შელერი,** რომელმაც ხმარებაში შემოიტანა ტერმინი „ცოდნის სოციოლოგია", ცოდნას განიხილავს, როგორც ფასეულ ფენომენს და გამოყოფს მის სამ „უმაღლეს სახეობას": ცოდნა ბატონობისთვის ან პოზიტიური მეცნიერებების შემოქმედებითი ცოდნა, ცოდნა განათლებისათვის ან ფილოსოფიის საგანმანათლებლო ცოდნა, ცოდნა გადარჩენისთვის ან რელიგიური ცოდნა. შელერი მათ შემოკლებით უწოდებს: პოზიტიურს, მეტაფიზიკურს და რელიგიურ ცოდნას. ისინი ერთმანეთისგან სოციალური

ფორმების, მიტივაციის, შემეცნების, ცოდნის მიზნების მიხედვით განსხვავდებიან.

შემეცნების მიხედვით ცოდნის პირველი სახეობა (პოზიტიური) ხასიათდება დაკვირვებით, ექპერიმენტებით, ინდუქციით, დედუქციით; მეორე (მეტაფიზიკური, საგანმანათლებლო) – არსით შემეცნებით, მესამე (რელიგიური) – რწმენით, შიშით, იმედით, სიყვარულით, პიროვნების სამაგალითო ტიპების თვალსაზრისით. ცოდნის პირველი სახეობა მოითხოვს მკვლევარს, მეორე – ბრძენს, მესამე – წმინდანს.

ცოდნის თითოეული სახეობის განსაზღვრისას შელერი თვლის, რომ პოზიტიური ცოდნისთვის არსებობს სასწავლო და კვლევითი ადწესებულებები, მეტნაკლებად მჭიდროთ დაკავშირებულნი ტექნიკრ და სამრეწველო ორგანიზაციებთან, პროფესიულ საზოგადოებებთან (იურისტების, ექიმების, მეცნიერებების, სახელმწიფო მოხელეების). საგანმანათლებლო ცოდნის შესაქმნელად და გასავრცელებლად განკუთვნილია „სიბრძნის სკოლები" (ანტიკური მნიშვნელობით) და საგანმანათლებლო საზოგადოებები, რომლებიც აერთიანებენ თავიანთი წევრების სასწავლო, კვლევით და ცხოვრებისეულ პრაქტიკას. რელიგიური ცოდნისთვის არსებობს ეკლესიები, სექტები, თეოლოგიური გაერთიანებები.

ზემოდნახსენები ცოდნის სამივე სახეობა ადამიანის ბუნებაშია „ჩადებული". შელერის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს განმსაზ-ღვრელი შინაგანი ნათესაობა (სიახლოვე) ცოდნის მოცემულ სახეობებს შორის (სამეცნიერო-პოზიტიური, საგანმანათლელო, რელიგიური), მის მატარებელი სახეობებს (მეცნიერი, მკვლევარი; ბრძენი, მოაზროვნე, ფილოსოფოსი; წმინდანი) და ორგანიზაციის ტიპებს (ფორმებს) შორის (სკოლა თანამედროვე გაგებით, კვლევითი ინსტიტუტი; სიბრძნის სკოლა ანტიკური გაგებით; ეკლესია ან სექტა).

ცოდნისა (მისი ფორმების) და განათლების ურთიერთობის შელერისეული პოზიციაზე ხშირად ამახვილებენ ყურადღებას, რათა ხაზი გაუსვან ცოდნის განსაკუთრებული სახის – საგანმანათლებლოს გამოყოფას (თუმცა შელერი მას ფილოსოფიის საგანმანათლებლო ცოდნას უწოდებს).

დასავლეთის განათლების სოციოლოგია ცოდნას განსაზღვრავს, როგორც თავისი შესწავლის საგნის ნაწილს. 1920-30-იან წლებში, როცა განათლების სოციოლოგიის და ცოდნის სოციოლოგიის ცალკ-ცალკე ჩამოყა-ლიბება მოხდა, განათლების სოციოლოგიის შესწავლის საგნის ცვლილება დაკავშირებული იყო განათლების სისტემის განვითარებაში მიმდინარე ტრანსფორმაციასთან. ეს ცვლილებები დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ ფორმალური საგანმანათლებლო სტრუქტურის შესწავ-ლის ნაცვლად, ახლა უკვე მათი საქმიანობის შინაარსის ანალიზზე გამახვილდა ყურადღება.

სამი ძირითადი სოციოლოგიური ინტერესი განათლების შინაარსის

შესწავლას საფუძვლად უდევს. ესენია: სასწავლო (საგანმანათლებლო პროცესები); ცოდნა; კავშირის გამოვლენა სასწავლო პროცესსა და საგანმანათლებლო ცოდნას შორის. თავისი არსით ეს სამივე არის განათლების შინაარსის შესწავლის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც თანამედროვე დასავლეთის სოციოლოგების ყურადღებას იპყრობენ.

განათლების სფეროს შესწავლის სოციოლოგიური მეთოდები

სოციალური სინამდვილის სულ უფრო და უფრო მეტი მხარე შეისწავლება სოციოლოგიური გამოკვლევების საშუალებით, ხოლო ამ გამოკვლევის შედეგები ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. სოციოლოგიურ გამოკვლევებს შეუძლიათ ძალიან ბევრი. კერძოდ: გაიგონ მოსახლეობის უმრავლესობის აზრი, იწინასწარმეტყველონ პოლიტიკური არჩევნების შედეგები (პოლიტიკოსები აწარმოებენ წინასაარჩევნო კამპანიას ამომრჩეველთა სიმპათიების შესწავლის საფუძველზე), ახსნან მოსახლეობის მასიური უკმაყოფილება საზოგადოებაზე, კომპანიები აწარმოებენ პროდუქციას მარკეტინგული კვლევების შედეგების გათვალისწინებით და ა.შ. არც ერთი სოციოლოგი, არც ერთი ხელმძღვანელი დასავლეთში არ გააკეთებს სერიოზულ განცხადებას, სანამ არ გაიგებს, თუ რას ფიქრობს ამ საკითხზე ხალხი. სოციოლოგებს შეუძლიათ აჩვენონ, თუ როგორ მერყეობს პოლიტიკოსის რეიტინგი მისი სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ. სოციოლოგიური კვლევებით შეიძლება შესწავლილ იქნეს ადამიანის ფასეული ორიენტაციები და განწყობა, შრომითი საქმიანობის მოტივები, ქცევითი ასპექტები.

სოციალოგიური კვლევა მონაცემების შეგროვებას, ორგანიზებას და ანალიზს ემსახურება. ის ფართოდ გამოიყენება მთელ რიგ სოციალურ მეცნიერებებში, როგორიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ბიზნესის ადმინისტრაცია და ა.შ. აკადემიური სამყაროს მიღმა, თითქმის ყველას სმენია მოსახლეობის აღწერის, მარკეტინგული კვლევის, წინასაარჩევნო პროგნოზისა და სხვა მსგავსი კვლევების შესახებ.

სოციოლოგიური კვლევა მოიცავს ავტონომიურ, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპებს:

1. სოციოლოგიური კვლევის პროგრამის დამუშავება;
2. კვლევის მეთოდიკის შექმნა;
3. პილოტაჟური გამოკვლევის ჩატარება;
4. შერჩევის მოდელის შემუშავება;

5. საველე სამუშაოების ჩატარება, ანუ პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვება;
6. მიღებული მონაცემების მომზადება დამუშავებისათვის (კოდირება) და მათი მანქანური (კომპიუტერული) დამუშავება;
7. დამუშავებული მასალის ანალიზი და დასკვნითი ანგარიშის შედგენა.

მკვლევარი, რომლის მიზანია სოციალური ცხოვრების შემეცნება, საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგას – კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, მონაცემების დამუშავება და ანალიზი შესაბამის ცოდნას, გამოცდილებას და საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ამ ყველაფერს კი წინ უსწრებს ერთი უმნიშვნელოვანესი არჩევანი: კვლევის რა მეთოდის გამოყენებაა მიზანშეწონილი დასმული პრობლემის გადასაჭრელად? ეს ის არსებითი გადაწყვეტილებაა, რომელიც შემდგომი კვლევის წარმატებასა და შედეგების ადეკვატურობას განსაზღვრავს. მეთოდები სოციოლოგიაში - ეს არის წესები და პროცედურები, რომელთა დახმარებითაც მყარდება კავშირი ფაქტებს, ჰიპოთეზებსა და თეორიებს შორის.

სოციალური კვლევის მეთოდებს, ჩვეულებრივ, ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: **რაოდენობრივ** და **თვისებრივ** მეთოდებად. მათ საერთო მიზანი ამოძრავებთ - სოციალურ ფენომენთა გაგება და ახსნა - თუმცა ამისთვის განსხვავებულ ტექნიკას მიმართავენ.

სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები ეყრდნობა რაოდენობრივ მაჩვენებლებს და მიზნად ისახავს დაადგინოს ამა თუ იმ სოციალური მოვლენის გამოვლენის სიხშირე. რაოდენობრივი კვლევისას სოციოლოგები გამოითვლიან რომელიმე სოციალური ფენომენის ცალკეულ შემთხვევებს და ცდილობენ დაუკავშირონ ისინი სხვა სოციალურ ფაქტორებს სტატისტიკური ანალიზით. რაოდენობრივი მეთოდები პასუხობენ კითხვებს: რა? რამდენი? ეს მეთოდები ვერ გვეხმარება რესპოდენტების მიერ გამოთქმული აზრების მოტივაციის შესწავლაში. რესპოდენტებს არ ეძლევათ საშუალება, ახსნან თუ რატომ ფიქრობენ ასე და არა სხვაგვარად. ღაოდენობრივი კვლევის მეთოდები უაღრესად პოპულარული და ფართოდ გავრცელებულია მთელ რიგ სამეცნიერო დისციპლინებში, როგორც სოციალურ, ისე ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. უდავოა, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მონაცემების მოპოვების საიმედო და აღიარებულ ტექნიკადაა მიჩნეული, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მთელ მსოფლიოში სისტემატურად ხდება მოსახლეობის აღწერა, ყოველწლიურად ტარდება შინამეურნეობის კვლევები და ყოველდღიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კვლევები, რაც სწორედ რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით ხორციელდება. სტრუქტურული თვალსაზრისით, რაოდენობრივი კვლევა მეტად ორგანიზებულად მიიჩნევა, ვიდრე თვისებრივი კვლევა. თუ თვისებრივი კვლევის დიზაინი ყალიბდება და იხვეწება თავად კვლევის პროცესში, რაოდენობრივი კვლევის ნებისმიერი ასპექტი დეტალურად

მოფიქრებული და წინასწარ დაგეგმილია. ამდენად, მკვლევარისთვის უფრო იოლია თვალყურის მიდევნება, თუ როგორი წარმატებით გაიარა თითოეული ეტაპი და როდის გადაუხვია დაგეგმილი კურსიდან. შესაბამისად, სხვებსაც მეტი შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ მოცემული კვლევის ხარისხი და სანდოობა. რაოდენობრივი კვლევისას კი მკვლევარმა წინასწარ იცის, თუ რას უნდა მოელოდეს კვლევისგან.

ყველა სოციალური მოვლენა არ შეიძლება იყოს გამოთვლილი და შეფასებული რაოდენობრივი თვალსაზრისით. მაგალითად, შესაძლოა რაოდენობრივად შევაფასოთ თვითმკვლელობის სიხშირე ცალკეული შემთხვევისათვის, მაგრამ არა თვიმთკვლელობის აქტის მნიშვნელობა თვითმკვლელობის ჩამდენისათვის.

ამრიგად, თვისებრივი ანალიზი მნიშვნელოვანია სოციოლოგისთვის. თვისებრივი მეთოდები ღრმად შეისწავლის სოციალურ ცხოვრებას. ამ მეთოდებს აკლია მათემატიკური სიზუსტე. მათი დახმარებით მიღებული შედეგების შეჯამება ციფრებისა და პროცენტების სახით არ ხდება, ისევე როგორც არ ხდება მათი განზოგადება ფართო სოციალურ ჯგუფებზე. თვისებრივი მეთოდების მეშვეობით ჩვენ უფრო ღრმა ცოდნას ვიღებთ იმ ხალხის შესახებ, ვის ცხოვრებას ან ვის მოსაზრებებსაც შევისწავლით. ჩვენ არა მხოლოდ ვაფიქსირებთ მათ მიერ გამოთქმულ აზრებს, არამედ აგრეთვე საშუალებას ვაძლევთ, ახსნან თავისი პოზიცია, მიუთითონ თუ რატომ ფიქრობენ ასე, როგორ ფიქრობენ; რა ფაქტორმა იქონია გავლენა მათ ცხოვრებაზე და როგორ აფასებენ ყოველი ამ ფაქტის როლს თავის ცხოვრებაში. კვლევის მხოლოდ ეს მეთოდები გვაძლევს საშუალებას, შევისწავლოთ ამა თუ იმ მოვლენის მიზეზები, ვუპასუხოთ კითხვებს: “რატომ?”, “როგორ?” ანუ ამ მეთოდის მიზანია შეისწავლოს ის, თუ როგორ ხსნის ადამიანი სოციალურ სამყაროს და თავის ადგილს მასში.

სოციალურ მეცნიერებებში რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს შორის განსაკუთრებით გავრცელებულია **მასობრივი გამოკითხვა**, **სოციალური ექსპერიმენტ**ი და **რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი**. რაოდენობრივი მონაცემების მოპოვების მთავარი ინსტრუმენტია მასობრივი გამოკითხვა, რომელიც ჩვეულებრივ გულისხმობს კითხვარის შედგენას ამა თუ იმ საკითხის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად, მთელი პოპულაციიდან უშუალოდ კვლევაში მონაწილე ადამიანთა ჯგუფის გამოყოფას, ჯერ პილოტური გამოკვლევის, შემდეგ კი ძირითადი გამოკვლევის ჩატარებას, მიღებული მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, და ბოლოს, კვლევის ანგარიშის შექმნას.

სოციოლოგიური გამოკითხვები - ძვირადღირებული ღონისძიებებია, განსაკუთრებით თუ ერთდროულად ხდება რამდენიმე ათასი კაცის გამოკითხვა. ამჟამად ტელეფონი და კომპიუტერი წარმოადგენენ ლიდერებს იმ ტექნიკურ საშუალებებს შორის, რომელიც ეხმარება სოციოლოგს. პირველი

საშუალებას გვაძლევს გამოვიკითხოთ რესპონდენტების დიდი რაოდენობა მოკლე დროში და ჩვენგან ათასობით კილომეტრებით დაშორებით. მეორე - ონლაინ რეჟიმში შესაძლებლობას გვაძლევს გამოვკითხოთ უფრო მეტი ხალხი მინიმალური თვითღირებულებით და ამასთან ერთად, სპეციალური პროგრამების დახმარებით სწრაფად დავამუშავოთ მონაცემები.

თანამედროვე ტიპის მასობრივ გამოკითხვას XX საუკუნის 20-იან წლებში ამერიკელმა მკვლევრებმა ჩაუყარეს საფუძველი. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს საქმიანობა; მეორე მხრივ, სხვადასხვა კომერციული საარჩევნო ორგანიზაციის მოღვაწეობა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ **ჯორჯ გელაპი**, **ელმო როპერი**, **ლუის ჰარისი** და სხვ.; და ბოლოს, მასობრივი გამოკითხვის მეცნიერულ ინსტრუმენტად გადაქცევა და დახვეწა ცალკეულ ამერიკულ უნივერსიტეტებში, დაწყებული **სამუელ სტაუფერისა** და **პოლ ლაზარსფელდის** კვლევებით. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს დიდი წვლილი მიუძღვის შერჩევისა და მონაცემების მოპოვების მეთოდების განვითარების საკითხში. მართალია, ის უმეტესად ათ წელიწადში ერთხელ ჩატარებული მოსახლეობის აღწერით გახდა ცნობილი, მისი საქმიანობის დიდი ნაწილი მაინც მასობრივი გამოკითხვის უწყვეტ ჯაჭვს ეძღვნება, რომელიც აღწერებს შორის პერიოდში უახლეს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ მონაცემებს აწვდის საზოგადოებას. აღწერის ბიუროს მიერ მოპოვებული მონაცემები ფასდაუდებელი წყაროა სხვადასხვა კვლევისთვის შერჩევის დიზაინის შესამუშავებლად.

ამერიკულ კომერციულ საარჩევნო ორგანიზაციებს დიდი დამსახურება მიუძღვით რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებაში როგორც საარჩევნო კამპანიების შესწავლისას, ისე მარკეტინგული კვლევებისას. იმ პერიოდში, როცა არ არსებობდა აკადემიური კვლევების დაფინანსების შესაძლებლობა, კომერციული ორგანიზაციები წარმატებით ატარებდნენ რაოდენობრივ კვლევებს და ცდიდნენ შერჩევისა და მონაცემთა მოპოვების სხვადასხვა ტექნიკას. გარდა ამისა, მათ მიერ მოპოვებული მონაცემები მეორადი ანალიზის ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენდა და საფუძვლად დაედო უამრავ აკადემიურ ნაშრომს, რომელიც სწორედ აღწერითი, კომერციული მიზნით მოპოვებული მონაცემების დეტალურ ანალიზს ეძღვნება. მოგვიანებით ამერიკული უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა რაოდენობრივი მეთოდების მეცნიერულ დახვეწას შეუწყო ხელი. ამ მხრივ, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სამუელ სტაუფერსა და პოლ ლაზარსფელდს, რომლებიც თანამედროვე რაოდენობრივი კვლევის პიონერებად არიან მიჩნეულნი.

სოციოლოგიური კვლევების მეთოდების ეფექტურობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება მკვლევარის პროფესიონალიზმის დონით, ასევე იმ მეთოდების კომბინირებულად გამოყენებით, რომლებიც მის მიზნებსა და ჩატარების

პირობებს შეესაბამება.

განათლების სფეროში გამოკითხვისას ხშირად იყენებენ ტესტირების შედეგებს, ცდის პირის მიერ შევსებულ კითხვარებსა და დამოკიდებულებების სკალებს. მკვლევრი, რომელიც ამ მოდელს იყენებს, ჩვეულებრივ, ფართომასშტაბიანი მონაცემების მოგროვებას ცდილობს შეძლებისდაგვარად რეპრეზენტაციული შერჩევიდან. მისი მიზანია, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით სანდო განაცხადი გააკეთოს იმის თაობაზე, რომ გარკვეული მახასიათებლები, რომლებსაც აკვირდებოდა, გარკვეული რეგულარობით გვხვდება, გარკვეული ფაქტორები ერთად ჯგუფდება, ისინი კორელირებენ ერთმანეთთან, იცვლებიან დროსა და სივრცეში.

გამოკითხვები გამოგვადგება როგორც წარსულის, ისე აწმყოს შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის, დამოკიდებულებებისა და პრიორიტეტების, რწმენებისა და წინასწარმეტყველებათა, ქცევისა და გამოცდილებების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად.

გამოკითხვები, როგორც წესი (თუმცა არსებობს გამონაკლისებიც), ფართომასშტაბიან მონაცემებს ეყრდნობა, მაგალითად, კითხვარებით, ტესტირების ქულებით, დასწრების სიხშირით, საჯარო გამოცდებით და ა. შ. მიღებულ მონაცემებს. ყოველი მათგანი იძლევა დროში ან ჯგუფებს შორის შედარების საშუალებას. ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია გამოკითხვების მცირემასშტაბით გამოყენება. ნამდვილად შესაძლებელია. ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთი მცირე მოცულობის მონაცემთა განზოგადება უმნიშვნელო იქნება.

განურჩევლად იმისა, როგორია გამოკითხვა - დიდმასშტაბიანი თუ მცირე, რომელიმე სამთავრობო უწყება ატარებს მას, თუ ცალკეული მკვლევრი - ინფორმაციის შეგროვება, როგორც წესი, მონაცემების მოგროვების შემდეგ ერთ ან მეტ ტექნიკას იყენებს. ესენია: სტრუქტურირებული ან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, ცდის პირის მიერ შევსებულ, ან საფოსტო კითხვარები, სატელეფონო ინტერვიუ, ინტერნეტ-გამოკითხვები, მიღწევის ან შესრულების სტანდარტიზებული ტესტები და დამოკიდებულების სკალები.

მასობრივი გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის ყველაზე გავრცელებული მეთოდია. ფართო გაგებით, ის მოიცავს ნებისმიერ პროცედურას, რომელიც რესპონდენტებისთვის შეკითხვების დასმას გულისხმობს. მასობრივი გამოკითხვა მთელი რიგი საფეხურებისგან შედგება, დაწყებული პრობლემის დასმით და დამთავრებული მონაცემების ანალიზით. მასობრივი გამოკითხვის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: ***ანკეტირება*** **და** ***ინტერვიუ***. თავის მხრივ, ანკეტირება უმთავრესად ორი სახისაა: ერთ შემთხვევაში რესპონდენტი დამოუკიდებლად ავსებს კითხვარს, რომელსაც უშუალოდ მკვლევარი აძლევს (ანკეტირების ამ სახეს პირობითად თვითადმინისტრირებულს ვუწოდებთ); მეორე შემთხვევაში კი რესპონდენტი ფოსტით ღებულობს კითხვარს, დამოუკიდებლად ავსებს და ფოსტითვე უგზავნის უკან ორგანიზაციას, რომლისგანაც ის მიიღო (ანკეტირების ამ სახეს

საფოსტოს ვუწოდებთ). 1990-იანი წლების ბოლოდან აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პოპულარული გახდა ინტერნეტით კვლევების ჩატარებაც, რაც ან მეილზე მოსული კითხვარების გზით ხორციელდება ან ვებგვერდზე განთავსებული კითხვარების გზით. ინტერვიუ ორი სახისაა: ერთ შემთხვევაში ინტერვიუერი უშუალოდ უსვამს შეკითხვებს რესპონდენტს (ინტერვიუს ამ სახეს პირისპირ ინტერვიუს ვუწოდებთ); მეორე შემთხვევაში კი ინტერვიუერი ურეკავს რესპონდენტს და ტელეფონით უსვამს შეკითხვებს (ინტერვიუს ამ სახეს სატელეფონოს ვუწოდებთ).

ამრიგად, გამოკითხვა — ეს არის შესასწავლი ობიექტის შესახებ სოციალური ინფორმაციის შეგროვების მეთოდი უშუალოდ ინტერვიუს ან სოციოლოგისა და გამოსაკითხი პირის სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობის საშუალებით (ანკეტირება) იმ კითხვებზე პასუხის გაცემის გზით, რომლებიც გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარეობს. Xოლო **ანკეტირება** განათლების პროცესის კვლევებში მასობრივი სოციალური მოვლენების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება და მოკლე პერიოდში ემპირიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი მოცულობის მიღების საშუალებას იძლება, და რაც მთავარია ანონიმური ხასიათი გააჩნია. ამ მეთოდის ნაკლს წარმოადგენს ის რომ, ვერ ხდება სიტუაციის გაკონტროლება კითხვაზე პასუხის გაცემისას. **ინტერვიუს** მეთოდი ეხმარება მას ამ ნაკლის გადალახვაში, მის დროს შესასწავლ ობიექტზე ინფორმაციას ვღებულობთ რესპონდენტთან პირადი ურთიერთობის საფუძველზე სპეციალურად შედგენილი ანკეტის მიხედვით. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა დაზუსტდეს პასუხები, მოხდეს შინაარსის კორექტირება და კითხვების თანმიმდევრობის დაცვა, პასუხების ქვეტექსტების დაჭერა, რაც სულ უფრო ღრმა და სრული ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. ინტერვიუს მეთოდის ერთ-ერთ თანამედროვე სახეს წარმოადგენს ჯგუფური ინტერვიუს ფოკუსირება, რომელიც დისკუსიურ ხასიათს ატარებს და კვლევის საგანზე შეხედულების გაღრმავებას ასტიმულირებს.

საფოსტო გამოკითხვისას შესაძლებელია დიდი რაოდენობით ადამიანებისთვის ხმის მიწვდენა, მონაცემების შედარებით იაფად და საკმაოდ სწრაფად მოპოვება და კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, კითხვარის შევსება რესპონდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში შეიძლება, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების (მაგალითად, პირადი საბუთების) და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას აძლევს. სტანდარტული ფორმულირებების გამოყენების გამო საკმაოდ მაღალია მიღებული პასუხების შედარებადობის ხარისხი და ვინაიდან ინტერვიუერი არ ესწრება კითხვარის შევასებას, არ არსებობს ინტერვიუერის მიკერძოებულობის რისკი. ამასთან, საფოსტო კითხვარები ფართოდ გაფანტული მოსახლეობის მიწვდომის საშუალებასაც იძლევა.

მეორე მხრივ, საფოსტო გამოკითხვებს, როგორც წესი, პასუხების

დაბალი სიხშირე ახასიათებთ და ვინაიდან მკვლევარს არავითარი ინფორმაცია არა აქვს მათ შესახებ, ვინც არ უპასუხა, მან არ იცის, რამდენად რეპრეზენტაციულია მიღებული შერჩევა. გარდა ამისა, რესპონდენტებმა შეიძლება თავი არ შეიწუხონ კითხვარის ზედმიწევნით შევსებით, ან სწორად ვერ გაიგონ კითხვები. ამის გადამოწმების არავითარი საშუალება არ არსებობს. ზუსტად ერთი და იგივე საკითხები ამცირებს საფოსტო გამოკითხვებით დაინტერესებას და მატებს მას მიმზიდველობას. მაგალითად:

- კითხვების სტანდარტული ფორმულირება;
- მხოლოდ სიტყვიერი პასუხები;
- გარემო, რომელშიც რესპონდენტი კითხულობს და პასუხობს კითხვარს,უკონტროლოა;
- ზოგიერთი კითხვის უპასუხოდ დატოვების რისკი;
- სპონტანური პასუხების ჩაწერის შეუძლებლობა;
- პასუხის გაუცემლობისა და ვერ გაცემული პასუხების ერთმანეთისგანგამიჯვნის შუძლებლობა (პირველ შემთხვევაში დაგეგმილი რესპონდენტიიღებს კითხვარს, მაგრამ არ პასუხობს, ხოლო მეორე შემთხვევაშიდაგეგმილი რესპონდენტი ვერ იღებს კითხვარს იმ მიზეზით, რომ,მაგალითად, სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად);
- კითხვარის ფორმატის სიმარტივის აუცილებლობა, რადგან არ არისინტერვიუერი, რომელიც რესპონდენტს უფრო რთულ ფორმატში გარკვევაშიდაეხმარებოდა.

თუ საფოსტო გამოკითხვისას რესპონდენტი თავად ავსებს კითხვარს, ინტერვიუს გამოყენებით წარმოებულ გამოკითხვებს მკვლევარი ატარებს და, შესაბამისად, ნაკლები სირთულეა მოსალოდნელი. გამოკითხვის მონაცემების შეგროვების ინტერვიუს მეთოდი იმით არის სასარგებლო, რომ ინტერვიუერის დასწრება საქმეს უიოლებს რესპონდენტს და მას სრული პასუხების გაცემის მოტივაციას უქმნის რეალურად იქ მყოფი ინტერვიუერისთვის და არა - ანონიმური უცნობისათვის, რომელსაც მხოლოდ წერილებით იცნობს. რეალურად არსებობს მტკიცებულება, რომ პირისპირ შეხვედრა აუმჯობესებს პასუხების სიხშირეს. გარდა ამისა, ვინაიდან ინტერვიუ შეიძლება მოქნილი იყოს, დასმული კითხვები უფრო სრულად არის მოცემული და ახსნილი . ინტერვიუ მაშინაც გამოსადეგია, როცა რესპოდენტებს წერა-კითხვის პრობლემები აქვთ. ამ დროს შესაძლებელია მონაწილეობის წასახალისებლად არავერბალური ქცევის გამოყენებაც. მეტიც, ინტერვიუს დროს გაცილებით უკეთ შეიძლება გამოკითხვის ჩატარების გარემოს გაკონტროლება, განსაკუთრებით პირადულობის, ხმაურის და გარეგანი გამღიზიანებლების თვალსაზრისით.

პირისპირ შეხვედრისას მეტია ინტერვიუერისა და რესპოდენტის ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა . გარდა ამისა, ინტერვიუერებს შეუძლიათ მკაცრად დაიცვან გამოკითხვის დადგენილი

თანმიმდევრობა, ან პასუხების მიმდევრობა ცალკეულ რესპონდენტებს მოარგონ - არეულად დაუსვან კითხვები და ამ გზით ყველა კითხვაზე პასუხი მიიღონ. მეტიც, გამოკითხვის ინტერვიუში სრული გარანტიაა იმისა, რომ კითხვებს თავად რესპონდენტი პასუხობს მაშინ, როცა საფოსტო გამოკითხვაში მკვლევარმა არასოდეს იცის, ვინმე სხვამ შეავსო კითხვარი, ვინმე დაეხმარა რესპონდენტს პასუხების გაცემაში, თუ მან თავად გაართვა თავი ამოცანას. ინტერვიუს გამოყენებით წარმოებულ გამოკითხვებში შესაძლებელია სპონტანური ქცევისა და პასუხების ფიქსირება. ამასთან, ინტერვიუს შეიძლება გაცილებით რთული სტრუქტურა ჰქონდეს, ვიდრე საფოსტო გამოკითხვებს, რადგან მკვლევარს შეუძლია რესპონდენტი მეტად გაარკვიოს პროცედურაში. მეორე მხრივ, ზუსტად იგივე თვისებები, რაც ინტერვიუს მეთოდს მიმზიდველს ხდის, შეიძლება პრობლემების წყაროც იყოს. მაგალითად, ინტერვიუს გამოყენებით წარმოებული გამოკითხვებზე შეიძლება გავლენა იქონიოს ინტერვიუერის მახასიათებლებმა (მაგალითად, სქესმა, რასამ, ეთნიკურმა წარმომავლობამ, პიროვნებამ, უნარებმა, სოციალურმა სტატუსმა, ჩაცმულობამ და გარეგნობამ). მასზე თავად ინტერვიუერის ქცევამაც შეიძლება იმოქმედოს (მაგალითად, რაპორტი ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის) და რესპონდენტმა შეიძლება უარი თქვას ზოგიერთი ინფორმაციის გამჟღავნებაზე, თუ არ გრძნობენ, რომ ინტერვიუ ანონიმურია, ან სენსიტიურ ინფორმაციას სთხოვენ. მოქნილობა, რომელსაც ინტერვიუ იძლევა, გამოკითხვის სტანდარტიზების ნაკლებობის პოტენციურ საფრთხეს ქმნის, რამაც, შეიძლება, თანმიმდევრულობა და, შესაბამისად, სანდოობა პრობლემური გახადოს. გარდა ამისა, გამოკითხვისას ინტერვიუ მკვლევრისა და რესპონდენტისგან გარკვეულ დროს მოითხოვს და ვინაიდან ინტერვიუები ფიქსირებულ დროს ტარდება, რესპონდენტმა შეიძლება ვერ მოახერხოს იმ ჩანაწერების გადათვალიერება, რომელიც პასუხების გაცემაში დაეხმარებოდა. ასევე, რესპონდენტთან შესახვედრად მკვლევარს შეიძლება დიდ მანძილებზე უწევდეს გადაადგილება, რაც ძვირია როგორც დროის თვალსაზრისით, ისე თანხობრივად. თუ ინტერვიუები მონაწილის სახლში უნდა ჩატარდეს, მაშინ მათ შეიძლება არ სურდეთ უცხო ადამიანის სახლში მიღება. და კიდევ: ზოგიერთი მკვლევრისთვის ის უბანი შეიძლება სახიფათო იყოს, სადაც კვლევის ჩატარებაა განზრახული.

ინტერნეტ გამოკითხვა. სოციალური მეცნიერების ბევრ მიმართულებაში გამოკითხვების ჩასატარებლად ინტერნეტის გამოყენება უფრო და უფრო გავრცელებულ პრაქტიკად იქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტზე დაფუძნებულ გამოკითხვებს ბევრი რამ საერთო აქვთ ჩვეულებრივ გამოკითხვებთან, მათ თავიანთი სპეფიციკური მახასიათებლებიც აქვთ.

ინტერნეტ-გამოკითხვებმა ფორმა იცვალა და ელექტრონული გზავნილებიდან ან მიბმული ფაილით გაგზავნილი კითხვარიდან ელექტრონულ

გზავნილად გადაიქცა, რომელიც პოტენციურ რესპონდენტებს სათანადო ვებგვერდზე ამისამართებს. თუ ელექტრონული ფოსტა ოპერატიულობითაა მიმზიდველი, ვებგამოკითხვებში გრაფიკული გამოსახულებების ჩართვის შესაძლებლობა დიდი ცდუნებაა მკვლევრებისთვის. ხშირად გამოიყენება მათი კომბინაცია: ელექტრონული გზავნილით პოტენციურ მონაწილეებს უთითებენ ვებ გვერდზე, რომელზეც კითხვარი HTML ფორმატით არის მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ფოსტით გამოკითხვები უფრო მეტი პასუხების მოზიდვის ტენდენციით ხასიათდებიან, ვიდრე ვებ-გამოკითხვები, ამ უკანასკნელს უფრო მეტი მონაწილის მიწვდომის შესაძლებლობა აქვს, ამიტომაც უპირატესობა მათ ენიჭება. ელექტრონული გზავნილი შეიძლება დამატების სახით იქნას გამოყენებული მონაწილეებთან კონტაქტის დასამყარებლად და კონკრეტულ ვებგვერდზე შესვლის რჩევის მისაცემად.

ინტერნეტკვლევა ყოველთვის უფრო ეკონომიურია, ვიდრე - სატელეფონო გამოკითხვა, მაგრამ, ინტერნეტ-გამოკითხვა საფოსტო გამოკითხვასთან შედარებით ოდნავ იაფია, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ვებ-გამოკითხვაში 500-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობს, რადგან ვებ-კითხვარის შექმნა გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება დიზაინისა და დროის თვალსაზრისით და თუ მასში მცირე რაოდენობის ადამიანი მონაწილეობს, ეს ხარჯები გაუმართებელია. როდესაც 500-ზე მეტი მონაწილეა ინტერნეტ-გამოკითხვაში, უკვე შეიძლება მნიშვნელოვან ეკონომიაზე საუბარი. გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მტკიცებები ინტერნეტ-გამოკითხვის სიიაფესა და სისწრაფის შესახებ ყოველთვის არ ეყრდნობა ემპირიულ მონაცემებს და თუ გავითვალისწინებთ დროს, რომელსაც ითხოვს ინტერნეტ-გამოკითხვის დაგეგმვა, პროგრამირება, ტესტირება და მოდიფიკაცია, საწყისი კონტაქტი და შემდგომი კავშირი პასუხების სიხშირის მაღალი მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, მაშინ დანაზოგი შეიძლება არც ისე დიდი იყოს, როგორ ამტკიცებენ.

ინტერნეტში კვლევის მონაცემების შენახვა და მოძიება მნიშვნელოვანია არამარტო მკვლევრებისთვის, რომ არ ჩამორჩნენ მიმდინარე პროცესებს/განვითარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ იმიტომ, რომ ხელმისაწვდომი ხდება მონაცემები, რომელიც მკვლევარს ლიტერატურის მოძიებისა და მიმოხილვის საშუალებას აძლევს და ხელს უწყობს საკუთარ კვლევაში კონსტრუქტის და შინაარსობრივი ვალიდობა უზრუნველყოს. ზოგიერთი კვლევა რეალურად დიდი მოცულობის ლიტერატურას ქმნის (მაგალითად, ჟურნალში Review of Educational Research გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომები). ელექტრონული ჟურნალები, ამონარიდები და სათაურები მკვლევარს მიმდინარე თანამედროვე კვლევებთან გაცნობის და მისთვის საინტერესო თემის შესატყვისი მასალების მოძიების საშუალებას აძლევს. ვებგვერდები და ელექტრონული ფოსტა ქსელებისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებას იძლევა. მაგალითად, თუ მკვლევრებს სურთ, რომ

გლობალური უწყვეტი მიწვდომა ჰქოდეთ კვლევით ლიტერატურასა და კვლევაში უახლეს მიღწევებზე, ავსტრალიაში, აღმოსავლეთ აზიაში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ ასოციაციებთან დაკავშირება მხოლოდ რამდენიმე წამის საქმეა ისეთი ვებ გვერდების საშუალებით, როგორიცაა, მაგალითად:

• ამერიკის განათლების კვლევის ასოციაცია (American Educational Research Association);

• ავსტრალიის განათლების კვლევის საბჭო (Australian Council for Educational Research);

• ბრიტანეთის განათლების კვლევის ასოციაცია (British Educational Research Association);

• ჩინურ-ამერიკური განათლების კვლევის ასოციაცია (Chinese American Educational Research Association);

• კურიკულუმის, შეფასებისა და მართვის ცენტრი (Curriculum, Evaluation and Management Centre) (დიდი ბრიტანეთი: მსოფლიოში ამ ტიპის მონიტორინგის ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი);

• ეკონომიკური და სოციალური კვლევის საბჭო (Economic an Social Research Council) (დიდი ბრიტანეთი);;

• Educators' Reference Desk (the sourse of ERIC in the United States, publications of the American Educational Research Association);

• ევროპის განათლების კვლევის ასოციაცია (European Educational Research Association);

• ჰონგ-კონგის განათლების კვლევის asociacia (Hong Kong Educational Research Association);

• ცენტრალური სამხრეთის განათლების კვლევის ასოციაცია (Mid-South Educational Research Association) (ძალიან მსხვილი რეგიონული ასოციაცია აშშ-ში);

• განათლების კვლევის ეროვნული ფონდი (დიდი ბრიტანეთი) (National FOundation for Educational Research);

• განათლებაში კვლევის შოტლანდიური ცენტრი (შცოტტისჰ ჩოუნცილ ფორ ღესეარცჰ ინ დუცატიონ);

• ვაშინგტონის განათლების კვლევის ასოციაცია (აშშ) (Washington Educational Research Association).

მკვლევრებისთვის, რომლებმაც არ იციან ვებგვერდების მისამართები, ხელმისაწვდომია სხვადასხვა საძიებო სისტემა. ამ სისტემებით მათ კონკრეტული ვებგვერდების მოძიება შეუძლიათ. დღეისათვის ყველაზე ფართო გამოიყენება შემდეგი საძიებო სისტემები:

- Google;
- MsN Search;

- AOL Search;
- Netscape Navigator;
- Fast Search;
- Internet Explorer;
- Alta Vista;
- Direct Hit;
- Excite;
- Ask Jeeves;
- Lycos;
- Go To;
- Yahoo;
- Hotbot;
- Northern Light;
- Metacrawler;

კიდევ ბევრი სხვა ასეთი ვებგვერდი არსებობს. ყველა ამ საძიებო სისტემაში მკვლევარს "სიტყვა-გასაღებებით" შეუძლია ძებნა. ზოგიერთი მათგანი პარალელური საძიებო სისტემაა (რომელიც სხვა საძიებო სისტემებს ეძებს), ზოგიერთი კი - "ფაილების" საძიებელია (რომელიც მთელ მსოფლიოში ეძებს "ფაილებს").

კვლევის შესახებ ინფორმაციის პოვნა, იქნება ეს მონაცემთა ბაზებიდან თუ დისკებზე მოცემული ინდექსებიდან, ერთი ან რამდენიმე "სიტყვა-გასაღების" კომბინაციის (ორმაგ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვების) გამოყენებით, ხშირად, ინტერნეტით ცდისა და შეცდომის მეთოდით ხდება. ვებგვერდების „ჩანიშვნის" ("bookmarking") სისტემა მომავალში ამ გვერდების სწრაფად მიწვდომის საშუალებას იძლევა. ეს, ალბათ, მნიშვნელოვანია, რადგან ზოგიერთი ინტერნეტკავშირი ნელია, ხოლო ვებგვერდებზე განთავზებული მასალის დიდი ნაწილი, საუკეთესო შემთხვევაში - უსარგებლოა!

იმისათვის, რომ განათლების სფეროში კვლევისთვის ინტერნეტი გამოვიყენოთ, საჭიროა ვიცოდეთ ვებგვერდების შეფასება. ინტერნეტი არაორგანიზებული და, ძირითადად, გადაუმოწმებელი მასალის უზარმაზარი საწყობია და მკვლევრებს საკმაოდ სწრაფად უნდა შეეძლოთ იმის დადგენა, თუ რამდენად გამოსადეგია ვებგვერდიდან აღებული მასალა. ვებგვერდების შეფასების რამდენიმე კრიტერიუმი არსებობს, მათ შორის:

ვებგვერდის მიზანი, რაც მომხმარებელს მისი რელევანტურობისა და შესატყვისობის დადგენის საშუალებას მისცემს;

• მასალის ოფიციალურობა და აუთენტურობა, რაც ნიშნავს, რომ ოფიციალური უნდა იყოს და უნდა სახელდებოდეს წყარო, საიდანაც მიღებულია ეს მასალა;

• მასალის შინაარსი - სიახლე, შესატყვისობა და დაფარვის სფერო;

• მასალის დამაჯერებლობა, სანდოობა და ლეგიტიმურობა

(მაგალითად, აღიარებული წყაროდან ან ინსტიტუტიდან არის თუ არა);

• მასალის სისწორე, სიზუსტე, სისრულე და კეთილსინდისიერება;

• წარმოდგენილი და/ან განხილული მასალის ობიექტურობა და სიზუსტე. განათლების სფეროში კვლევის ვებგვერდზე წარმოდგენილი მასალების შეფასებისას მკვლევრებსა და მასწავლებლებს რამდენიმე კითხვის დასმა შეუძლიათ დასახელებულია თუ არა ავტორი?

• ამბობს თუ არა ავტორი რაიმეს მოცემულ სფეროში თავისი გამოცდილების/პროფესიონალიზმის შესახებ და ნათელია თუ არა მისი ინსტიტუციური სტატუსი?

• ავტორიტეტულია თუ არა დასახელებული ორგანიზაცია?

• არის თუ არა მასალებში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა. ამბობს თუ არა ავტორი, როგორ მოაგროვა მასალა?

• რა მიზნით შეიქმნა ეს ვებგვერდი? რას აკეთებს (მაგალითად, ინფორმაციის მიწოდება, დარწმუნება)?

• ახალია თუ არა მასალა?

• რამდენად თავისუფალია მოცემული მასალა ტენდენციურობისგან, პირადი მოსაზრებებისგან და შეურაცხყოფებისგან?

მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარმა შეინახოს ვებგვერდებიდან აღებული მასალების სრული ბიბლიოგრაფია, მასალის აღების თარიღისა და ვებგვერდის მისამართის ჩათვლით.

სატელეფონო გამოკითხვები. ამტკიცებენ, რომ სატელეფონო გამოკითხვების უპირატესობა დროისა და მოგზაურობის ხარჯების შემცირებაა. როცა რესპონდენტი სახლში არ არის, მხოლოდ რამდენიმე მონეტა და ხელმეორედ დარეკვისთვის საჭირო დრო თუ დაიხარჯება. შორ მანძილებზე განმეორებით მისვლა კი, შეიძლება დროისა და მგზავრობის მნიშვნელოვან ხარჯებს უკავშირდებოდეს. გარდა ამისა, თუ სავარაუდო მონაწილეს არ შეუძლია, ან არ სურს პასუხის გაცემა, შედარებით იოლია საჭირო მოცულობის შერჩევის შენარჩუნება სხვასთან - თუ ამ რესპონდენტის შემცვლელთან დარეკავ. და ისევ, როდესაც რესპონდენტებს არ შეუძლიათ, ან არ სურთ ყველა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაშინ შესაძლებელია მათ მიერ მოცემული ნაწილობრივი პასუხების გაუქმება და შერჩევის სიიდან შემდეგ ჩამნაცვლებელთან დარეკვა. ადვილია იმის მიხვედრა, თუ რატომ უნდა იქონიოთ სატელეფონო ინტერვიუს პოტენციურ რესპონდენტთა შეძლებისდაგვარად გრძელი სია, შერჩევის საჭირო მოცულობის მისაღებად. არც ყველა ადამიანია ინტერვიუირებისთვის ხელმისაწვდომი, თუ ისინი მუშაობენ. ასევე, ბევრი ადამიანის ტელეფონის ნომერი არ არის მოცემული ცნობარში, ანუ, მათი ნომრები არ არის საჯაროდ ცნობილი. ბევრი ადამიანი - ახალგაზრდა, დაუოჯახებელი და მაღალი სამსახურეობრივი პოზიციის მქონე - ავტომოპასუხეებს იყენებს და შეუძლია მოისმინოს და წაშალოს მკვლევრის შემომავალი ზარი. ამანაც შეიძლება მიგვიყვანოს გადახრილ შერჩევამდე.

მაშინაც კი, როცა ტელეფონს პასუხობენ, მოპასუხე პიროვნება შეიძლება არ იყოს ის, ვინც უნდა მიიღოს ზარი. მან შეიძლება არ იცოდეს კითხვებზე პასუხი, ან ხელი არ მიუწვდებოდეს მოთხოვნილი ტიპის ინფორმაციაზე. მაგალითად, შინამეურნეობის ბიუჯეტის კვლევაში რესპონდენტი შეიძლება უბრალოდ ყურადღებას არ აქცევდეს ოჯახის შემოსავალს, ან ბიუჯეტის გარკვეულ პუნქტებთან დაკავშირებულ ხარჯებს. ტელეფონს შეიძლება ბავშვმა ან ხანშესულმა ადამიანმა უპასუხოს, რომელიც ოჯახის უფროსი არ არის. ინტერვიუერებს სჭირდებათ წინასწარი სკრინინგის კითხვების მომზადება, ან განმეორებით დარეკვის დროზე (როცა დასმულ კითხვებზე უფრო შესატყვისი ადამიანი შეძლებს პასუხების გაცემას) შეთანხმება. სატელეფონო გამოკითხვებს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მაგალითად, ძალიან ხშირად რესპონდენტის სქესი გასაგებია მისი ხმის მიხედვით, ამიტომ გარკვეული კითხვები შეიძლება უადგილო იყოს და აღარ დაისვას. მეორე მხრივ, სატელეფონო გამოკითხვისას არამიზანშეწონილია კითხვები მრავალი არჩევითი პასუხითტიპის კითხვების გამოყენება, რადგან რესპონდენტებს შეიძლება უბრალოდ დაავიწყდეთ დასახელებული კატეგორიები და დახმარებისთვის ვერ მიმართავენ წერილობით ბარათებს.

ანალოგიურად, შეიძლება ძალიან დიდი იყოს თანმიმდევრობის ეფექტი: ინტერვიუს დასაწყისში მოსმენილი დებულებები მოგვიანებით წაკითხულებზე ახდენენ გავლენას; ასევე, პასუხების ჩამონათვალის დასაწყისში მოცემულ პასუხებზე რესპონდენტი შეიძლება მეტად დაფიქრდეს, ვიდრე - მოგვიანებით მოცემულებზე. ეს ის საკითხია, რომელიც ზოგადად კითხვარებს ეხება და სატელეფონო გამოკითხვებით არ შემოიფარგლება. თუ კითხვების დასმა ძალზე სენსიტიური ხდება, რესპონდენტებმა შეიძლება შუა ინტერვიუს დროს უბრალოდ დაკიდონ ყურმილი, მოიტყუონ, ან არ გაამჟღავნონ ინფორმაცია. პირისპირ ინტერვიუსთან შედარებით, სატელეფონო რესპონდენტების შემთხვევაში ნაკლული მონაცემი უფრო მეტია, პასუხების გაცემას მეტად არიდებენ თავს, უფრო დამთმობნი არიან. ვინაიდან სატელეფონო ინტერვიუ მოკლებულია ვიზუალურ სენსორულ სტიმულაციას, პირისპირ ინტერვიუირებას ან წერილობით ინსტრუქციებსა და წარდგენას, სატელეფონო გამოკითხვის ხანგრძლივი ზარის დაგეგმვა არამიზანშეწონილია. 10-15 წუთი ხშირად ის მაქსიმალური დროა, რომლის ატანაც რესპონდენტთა უმრავლსობას შეუძლია და მრავალი მათგანისთვის 15 წუთიც შეიძლება ძალიან ბევრი აღმოჩნდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ საგულდაგულო პილოტირებაა საჭირო, რომ ინტერვიუს გეგმაში მხოლოდ და მხოლოდ კვლევისთვის აუცილებელი დებულებები შევიდეს.

ამრიგად, რაოდენობრივი კვლევის ანგარიში, ჩვეულებრივ, გვთავაზობს მონაცემების პროცენტულ განაწილებას ცხრილების, დიაგრამების და გრაფიკების სახით. აქ მკვლევარს შეუძლია ცალკე წარმოადგინოს მონაცემები და ცალკე მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია. მკვლევარმა უნდა განიხილოს

ცხრილისა თუ დიაგრამის სახით წარმოდგენილი ძირითადი შედეგები, მაგრამ ტექსტი შედარებითი დამოუკიდებლობით უნდა გამოირჩეოდეს და გასაგები იყოს ცხრილში ჩახედვის გარეშეც. თვისებრივ კვლევებში კი მონაცემები და მათი ინტერპრეტაცია განუყოფელია. მკვლევარნი ცდილობენ დააბალანსონ მონაცემების პრეზენტაცია და მათი ანალიზი იმგვარად, რომ სეგრეგაციის ცდომილება არ მოხდეს, ანუ ისეთი ვითარება, როცა მკვლევარი იმდენად გამოყოფს მონაცემებს მათი ანალიზისაგან, რომ

მკითხველისთვის ძნელია მათ შორის კავშირის დანახვა. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ რაოდენობრივი კვლევის ანგარიშის შედეგების სექცია ძირითადად ცხრილებისა და გრაფიკებისგან შედგება, თვისებრივი კვლევის ანგარიში მოიცავს ინტერვიუს ჩანაწერებს, ფოტოებს, ნახატებს, რუკებს და ა.შ.

საექპერტო გამოკითხვა გამოსაკითხ პირებში გაცილებით კომპეტენტური პირების (ექსპერტების) გამოყენებას გულისხმობს. საექსპერტო გამოკითხვის სახეებს შორის გამოყოფენ ანკეტირებას და ინტერვიუს, დისკუსიას, რჩევებს, საქმიან თამაშებს.

ხანდახან ფსიქოლოგიური მეთოდებიც გამოიყენება: **ტესტირება, სოციომეტრია** და ა. შ. სოციომეტრია დაკვირვების მეთოდს კარგად ავსებს. სოციომეტრიულ მეთოდში იგულისხმება ამა თუ იმ ჯგუფის გამოკითხვა მასში სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების დადგენის მიზნით. ჯვარედინი კითხვების გზით ვლინდება ჯგუფის წევრები ერთმანეთის მიმართ რა ავტორიტეტითა და დაფასებით სარგებლობენ და ეს კითხვები ადგენენ სოციომეტრიულ მატრიცას — თითოეული მათგანის არჩევანის ხარისხოვრივი სამისამართო ცხრილი. ეს მეთოდი ნათლად ამჟღავნებს სტრუქტურას კოლექტიურ კავშირებისა და ურთიერთობების შიგნით, მაგრამ ამ დამოკიდებულების მიზეზის ახსნას არ იძლევა.

კონტენტ ანალიზი წარმოადგენს ტექსტური ან სხვა მასიური ინფორმაციის რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანას შემდგომში მისი სტატისტიკური დამუშავების მიზნით. მისი იდეა მარტივია. უნდა დაითვალოს ყველაზე ხშირად განმეორებული სიტყვები ან თემები, მაგალითად, საგაზეთო მასალებში და განისაზღვროს, რა იგულისხმება მასში. კონტენტ ანალიზი არის ინფორმაციული წყაროს შინაარსის და ფორმების სისტემატიური რიცხობრივი გადამუშავება, შეფასება და ინტერპრეტაცია. არაგამოკითხვისთი გამოკვლევის ამ ტიპს ასევე უწოდებენ დოკუმენტების ფორმალურ ანალიზს. კონტენტ ანალიზის იდეა გულისხმობს დიდი ინფორმაციული მასივების ანალიზს. კონტენტ ანალიზი რამდენიმე დონეზე ტარდება: პირველი, ცალკეული სიტყვებისა და ტერმინების, ან ცაკეული პიროვნებების ხსენმების სიხშირე; მეორე, აბზაცებსა და ტექსტის უფრო ვრცელ ფრაგმენებში გამოხატული აზრი; მესამე, საზოგადოების მოვლენის მნიშვნელობის შეფასება - ამ მოვლენის მოხსენიების სიხშირე, ხანგრძლივობა და სხვ.

სოციალური ექპერიმენტი - ეს არის დახვეწილი სოციალურ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხასიათისა და სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მეთოდი. ეს მეთოდი განკუთვნილია განათლების დანერგილი ფორმებისა და მეთოდების შესამოწმებლად, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების სოციალური მართვის ახალი მეთოდების სამართავად, სოციოლოგიური კვლევების ჰიპოტეზის შესამოწმებლად. საბოლოო ჯამში, შესასწავლი პირის ქცევაში სხვადასხვა ფაქტორის გავლენით მომხდარი ცვლილებების შესახებ იღებენ ინფორმაციას.

ხშირად გამოიყენება **დაკვირვების მეთოდი**, ანუ ობიექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უშუალო აღქმის გზით და მოვლენების პირდაპირი რეგისტრაციით, ჩაწერით გამომდინარე კვლევის მიზნებიდან. დაკვირვება არის შემდეგი სახის:

— ***სისტემატიური***, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ტარდება;

— ***მარტივი***, რომელსაც ეპიზოდური, შემთხვევითი ხასიათი გააჩნია;

— ***ჩართული***, ანუ როცა სოციოლოგი უშუალოდაა ჩართული შესასწავლ საკითხში, დაკვირვების ობიექტთან უშუალოდ კონტაქტობს და მასთან ერთად მოქმედებს.

— გამოკვლევა, როცა დამკვირვებელი დაკვირვების ობიექტთან არ არის აქტიურად ჩართული და ამისთვის იყენებს ტექნიკური საშუალებებს.

— ***მოკლევადიანი***, მიმდინარე 1-2 საათის განმავლობაში;

— ***ხანგრძლივი***, მიმდინარე წლების მანძილზე.

დაკვირვების მეთოდი გამოკითხვის მეთოდებთან ერთად კავშირში კარგ ეფექტს იძლევა.

ამრიგად, სოციოლოგიური კვლევები სოციალური ინფორმაციის ერთ-ერთ შედარებით საიმედო და უტყუარ წყაროს წარმოადგენს, რაც გამოიყენება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მართვისთვის და პროგნოზულ და გამოყენებით ფუნქციას იძლევა. სოციოლოგიურ კვლევებით შესაძლოა განისაზღვროს საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ნებისმიერი აქტუალური მნიშვნელობის პრობლემის მიმართ, მათ შორის განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ.

საქართველოს განათლების სისტემაში არსებული რეალური ვითარების გამოვლენისთვის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ხშირად ტარდება სოციოლოგიური კვლევები, რომლებსაც ატარებენ როგორც კერძო მკვლევარები, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. კვლევების შედეგად მოიპოვება მნიშვნელოვანი ინფორმაცია განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

კვლევის ანგარიშები მნიშვნელოვანი და ღირებული დოკუმენტებია საქართველოში განათლების სფეროს ანალიზისა და ამ მიმართულებით

შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისათვის. კვლევის შედეგები ეხმარება შესაბამის ორგანიზაციებს სამომავლო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოს სკოლებში.

კვლევების შედეგად მოიპოვება ისეთი ემპირიული მასალა, რომლებიც სწორ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, ასევე, მოსწავლეთა მშობლების დამოკიდებულებების, განწყობებისა და პრაქტიკული მიდგომების შესახებ სხვადასხვა საგნის მიმართ.

კვლევების ნაწილი ეხება ამა თუ იმ საგნის საგნის სწავლებას საქართველოს სკოლებში, რაც გულისხმობს შემდეგი საკითხების დადგენას: როგორია სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა შეფასებით, ამ დისციპლინების სწავლების პროცესის გამართულობა და ხარისხი; რამდენად აკმაყოფილებთ სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტებს სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების ხარისხი; როგორია მოსწავლეთა, მასწავლებელთა, ამ დისციპლინების შესახებ, მათი დამოკიდებულება ამ საგნებისადმი. რამდენად ხდება გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება მოსწავლეთა მიერ, ხოლო ამ პროცესის ხელშეწყობა პედაგოგების, ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მშობლების მიერ. კვლევები განათლების სფეროში შეიცავენ აგრეთვე ისეთ საკითხებს როგორიცაა: საგანმანათლებლო პროცესების შედეგების გავლენა სხვა სოციალურ პროცესებზე; პროფესიულ-შრომით, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სხვა პროცესებზე და პირიქით, მათი კავშირი განათლების სისტემასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევების მეშვეობით შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენად არის მზად თავად სკოლა იმისათვის, რომ მოსწავლემ საკუთარ სკოლაშივე მოახდინოს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება; რამდენად ეძლევა მას საშუალება მიიღოს მონაწილეობა სკოლის მუშაობაში არა მხოლოდ როგორც მოსწავლემ, არამედ როგორც სასკოლო თვითმმართველობის წევრმა. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტარში გამოყენებული ღია და დახურული კითხვები, ანუ კონკრეტული მაგალითების მოთხოვნა, ასევე სხვა კატეგორიის რესპონდენტებთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებები იძლევა რესპონდენტთა მიერ გაკეთებული შეფასებების დაზუსტების საშუალებას.

მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური რაოდენობრივი კვლევა განათლების სფეროში ჩატარდა 2010 წლის შემოდგომაზე. სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამოქალაქო განათლების საჭიროებათა პირველი მასშტაბური

კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობისა თუ ამგვარი აქტივობისათვის მათი მზაობის შესწავლას; იმის გარკვევას, თუ მოსწავლეთა რა ნაწილი არის სოციალურად უფრო აქტიური; მიუღიათ თუ არა მონაწილეობა რაიმე სოციალურ აქტივობებში და თუ მიუღიათ, კონკრეტულად რა სფერო სარგებლობს მეტი პოპულარობით. ხოლო, თუ არ მიუღიათ, რამდენად აქვთ ამის გაკეთების სურვილი.

გარდა ამისა, რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით შესწავლილ იქნა მოსწავლეთა მიერ ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენების საკითხი, კერძოდ, ის, თუ რამდენად იყენებენ საქართველოს სკოლების მოსწავლეები ისეთ პოპულარულ ვებ-გვერდებს, როგორიცაა Facebook, Myspace, YouTube, თუ იყენებენ მოსწავლეები სოციალურ ქსელებს არა მხოლოდ ურთიერთობისათვის, არამედ იმისათვის, რომ გაავრცელონ ან მიიღონ რაიმე სახის ინფორმაცია. ეს მონაცემებიც, თავის მხრივ, სოციალური აქტივობის დონის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს.

განათლების სფეროში კვლევები შეიძლება ჩატარდეს ასევე შემდეგი საკითხების დასადგენად, როგორიცაა: საგნების სწავლების ეფექტიანობა, პედაგოგთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, დამხმარე მასალები, სხვადახვა საგნის სწავლების აუცილებლობა და მოსწავლეთა ინტერესის შეფასება, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მასალების შეფასება, მოსწავლეთა მიერ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის სკოლაში გამოყენება და სასკოლო გარემოს შეფასება, რამდენად კარგად ისწავლება საგნები სკოლაში, ტარდება თუ არა გაკვეთილები განრიგის მიხედვით, რამდენად კმაყოფილები არიან მოსწავლეები სასწავლო მასალითა და სახელმძღვანელოებით, სკოლის თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურობა, იყენებენ თუ არა სოციალურ ქსელებს სხვადასხვა ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად, ელექტრონული სოციალური ქსელების გამოყენების სიხშირე.

ამრიგად, განათლების სფეროს სოციოლოგიური კვლევები (თეორიული, კონკრეტული სოციოლოგიური) სოციალური ინფორმაციის ერთ-ერთ შედარებით საიმედო და უტყუარ წყაროს წარმოადგენს, რაც გამოიყენება ამ სფეროს მართვისთვის და და განათლების სოციოლოგიის პროგნოზულ და გამოყენებით ფუნქციას იძლევა

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად მიმდინარე განათლების რეფორმის წარმატებით დასრულება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული სოციოლოგიურ გამოკვლევებზე, საზოგადოებრივი აზრის შესწავლასა და პრაქტიკულ რეკომენდაციებზე. გარდა ამისა, აუცილებელია ეს გამოკვლევები კომპეტენტურად და პროფესიონალურად იყოს ჩატარებული.

განათლების პარადიგმები

მეცნიერებაში განათლების შესახებ ერთ-ერთი ყველაზე მეტად შემუშავებული თეორიული პრობლემებიდან კითხვების გარკვეულ სპექტრს ეხება, რომლებიც მისი პარადიგმების ანალიზთანაა დაკავშირებული. რამდენად მართებულია ამ ცნების გამოყენება განათლებასთან მიმართებაში? რა არის პარადიგმა და რატომ გამოიყო ესა თუ ის განათლების პარადიგმა, როგორც განათლების ცალკეული ნაწილი.

როგორც ცნობილია ტერმინი „პარადიგმა" მეცნიერებაში შემოღებული იქნა ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის **ტ. კუნის** მიერ XX საუკუნის 70-იან წლებში და აღნიშნავს ჩვენი მსოფლიო ყოფის (ან მისი ცალკეული ნაწილის, სტრუქტურის, სფეროს) განსაზღვრულ სურათს, პრობლემების დაყენების და მათი გადაწყვეტის ხერხების სახით. მეორე გაგებით, პარადიგმა არის მეცნიერებაში მიღწეული წარმატებების აღიარება, რომლებიც თეორიების სახითაა წარმოდგენილი და მეცნიერების განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

ცოდნის ყოველ კონკრეტულ სფეროში რეალურად არსებობს შესაბამისი პარადიგმები. არსებობს ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში და ა. შ. მაგალითად, სოციოლოგიური პარადიგმებია სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ეთნომეთოდოლოგია, კონფლიქტის, პოსტმოდერნიზმის თეორია და სხვ. თანამედროვე პედაგოგიკის პარადიგმების გადახედვის შედეგად შეიძლება გამოიყოს თანამშრომლობითი პედაგოგიკა, დიალოგის პედაგოგიკა, პიროვნებაზე ორიენტირებული განათლების პარადიგმა და ა.შ.

პარადიგმა აუცილებელი არ არის შეიქმნას ცალკე სამეცნიერო ცოდნის კონკრეტულ სფეროში. ისინი იძენენ დისციპლინათშორის ხასიათს. მაგალითად, განათლების პარადიგმების ფორმირებას მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებთან აქვს კავშირი (პედაგოგიკასთან, განათლების ფილოსოფიასთან, განათლების სოციოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან და ა. შ).

თუ XIX საუკუნემდე განათლების განვითარება კონცეპტუალურ დონემდე ძირითადად პედაგოგიური ცოდნის სისტემაში მიმდინარეობდა, შემდეგ პერიოდში მის მიმართ ინტერესის გამომჟღავნება ფილოსოფოსებმა, მწერლებმა, ფართოდ მოაზროვნე სოციალურმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დაიწყეს, ხოლო XX საუკუნეში განათლების სფერო სოციოლოგების, ეკონომისტების, ფსიქოლოგების და სხვათა დიდი ყურადღების და საკვლევი ინტერესის სფერო გახდა.

პარადიგმების აღმოცენებას წინა პარადიგმული პერიოდი უსწრებს წინ. ჩნდება ერთი პარადიგმის მეორეთი შეცვლის ობიექტური აუცილებლობა, რაც, კუნის მიხედვით, ყოველთვის ხორციელდება მეცნიერებაში რევოლუციის ფორმით. ახალი პარადიგმა ყველა თეორიასა და მეთოდს გამორიცხავს, რაც

მას არ ეხება, რაც მოძველებულია და სამეცნიერო საზოგადოების ორიენ-ტაციას სხვა კონცეპტუალური შეხედულებების მიღებისკენ მიმართავს. გარკვეული დროის შემდეგ უკვე ამ ახალ პარადიგმაში ხდება ეჭვის შეტანა, რაც მისი კრიზისის დასაწყისს ნიშნავს.

პარადიგმების გაგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებაში მიმდინარე პროცესებისა გააზრებისათვის და მათი პერს-პექტივებისა და შესაძლებლობების დანახვისათვის. ნებისმიერი აღმოცე-ნებული პარადიგმა არა მარტო წარსული ფაქტების სხვა ინტერპრეტაციას იძლევა, არამედ მათი ახსნის სხვა საშუალებებს ეძებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო საზოგადოების განვითარებსიათვის.

განათლების პარადიგმები – პედაგოგიური წარმოდგენები

თანამედროვე, უპირველეს ყოვლისა კი პედაგოგიურ ლიტერატურაში, არაერთი მცდელობაა გადაიხედოს განათლების პარადიგმები. ქართველი მეცნიერი, ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი **შალვა ამონაშვილი,** პირველ რიგში, ყურადღებას ავტორიტარულ-იმპერატიულ და განათლების ჰუმანურ პარადიგმებზე ამახვილებს. პირველი პარადიგმის ჩარჩოებში მოქცეულია მოსწავლე, რომელიც უფროსის (აღმზრდელის) ნება-სურვილს ემორჩილება, რასაც მთელი რიგი უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მეორე პარადიგმა კი ბავშვის მიმართ ჰუმანურ მიდგომას უსვამს ხაზს, რომელსაც დადებითი შედეგები გააჩნია.

თანამედროვე პედაგოგიკის კონსტრუირების კიდევ ერთი მცდელობა ეკუთვნის **ე. იამბურგს,** რომელიც ორ მთავარ პარადიგმას გამოყოფს – *კოგნიტურსა და პიროვნულს.* პირველის შემთხვევაში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – მოსწავლეთა ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე. იამბურგის პათოსი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე მიდგომა საგანმანათლებლო პროცესებისადმი კომბინირებულად გამოიყენებოდა, ურთიერთს ავსებდნენ.

იმისათვის, რომ პარადიგმებმა შეძლონ ეფექტურად ახსნან და მოახდინონ განათლების განვითარებასთან დაკავშირებული პროცესების პროგნოზირება, ისინი უნდა პასუხობდნენ მთელ რიგ მოთხოვნებს.

განათლების პარადიგმები – სოციოლოგიური მიდგომა

ა) სახელმწიფო-საგანმანათლებლო პარადიგმა

სახელმწიფო-საგანმანათლებლო პარადიგმა ეფუძნება სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების გამოვლენას სახელმწიფოსა და განათლებას შორის. ეს დამოკიდებულება, ძირითადად, სამი სახის შეიძლება იყოს: *მკაცრი, შესუსტებული* ან *თავისუფალი.* მსგავსი ტიპის დამოკიდებულება პრიმიტიულ საზოგადოებაში არ არსებობდა, როცა სახელმწიფოს ინსტიტუტი არ იყო შექმნილი (შესაბამისად არ არსებობდა განათლების ინსტიტუტი), თუმცა არსებობდა ცოდნის, გამოცდილების, ტრადიციების გადაცემა და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი კავშირების (მკაცრი, შესუსტებული ან თავისუფალი) ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ტიპზეა დამოკიდებული, რომლის ფარგლებშიც განიხილება განათლება. რაც უფრო ტოტალიტარული და ავტორიტარულია სახელმწიფოს ტიპი, მით უფრო ძლიერადაა განათლება „მიჯაჭვული" მასზე და მისით განისაზღვრება. ეს დამოკიდებულება ორი ძირითადი ფორმით გამოიხატება - ეკონომიკური (მატერიალურ-ფინანსური) და სულიერი (იდეოლოგიური). რაც უფრო განვითარებული და დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო ნაკლებად იგრძნობა განათლების მასზე დამოკიდებულების ხარისხი.

ამრიგად, სახელმწიფო-საგანმანათლებლო პარადიგმის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის იძლევა საშუალებას, განათლების შესაძლებლობები და პერსპექტივები განვიხილოთ სახელმწიფოს ტიპთან, ხასიათსა და განვითარების დონესთან მჭიდრო კავშირში.

განათლების განვითარებისთვის ოპტიმალურ ტიპს წარმოადგენს კავშირის თავისუფალი ტიპი, რომელსაც განათლების სრულფასოვანი განვითარებისთვის აუცილებელი პირობები გააჩნია. ამასთანავე, სახელმწიფოზე დამოკიდებულების არ არსებობა არ განიხილება, როგორც მხარდაჭერის და სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული კონტროლის უკმარისობად, არამედ განიხილება როგორც ერთისა და მეორის არსებობა, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელიც განათლების განვითარებას არ ზღუდავს, არამედ რეალურ პირობებს ქმნის მოცემული სოციალური ინსტიტუტის, მისი მთელი სისტემის სრულყოფისათვის.

რაც შეეხება კავშირის შესუსტებულ ტიპს განათლებასა და სახელმწიფოს შორის, ის თავისი არსით გულისხმობს სახელმწიფოსთან დამოკიდებულების შესუსტებას გარკვეულ საკითხებში, ხოლო არის საკითხების მთელი სპექტრი, რომელსაც სახელმწიფო განათლებას თვითონ კარნახობს. მაგალითად, არის ქვეყნები, სადაც განათლება ეკონომიკური თვალსაზრისით ბედის ანაბარად არის დატოვებული, ხოლო სულიერ-იდეოლოგიური კუთხით განაგრძობს მასზე კონტროლს.

ბ) საწარმოო-საგანმანათლებლო პარადგიგმა

მეორე პარადიგმას საწარმოო-საგანმანათლებლო პარადიგმა წარმოადგენს. ეს პარადიგმა წარმოებასა და განათლებას შორის კავშირს ეფუძნება. ამ შემთხვევაში განათლებაში გამოყოფენ პროფესიონალამდელ და პროფესიულ განათლებას. კავშირი პროფესიონალამდელ განათლებასთან არ არის ისეთი ნათელი, როგორც პროფესიულთან. წარმოებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო პროფესიული განათლება. მისი განვითარების ეტაპიდან ეტაპამდე წარმოება პროფესიული განათლების დაქვემდებარებას მოითხოვდა, რაც განვითარებული სამრეწველო წარმოების პირობებში თანდათან შესუსტდა. წინათ პროფესიული

განათლება კონკრეტული საწარმოო საქმიანობისთვის ადამიანის მომზადებისკენ იყო მიმართული, რაც ამჟამად გარკვეულწილად შეცვლილია.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე წარმოების მოთხოვნები პროფესიული განათლებისადმი განსხვავებულია იმისგან, რაც ერთი საუკუნის წინ არსებობდა. ისინი მდგომარეობს იმაში, რომ მიღებული ცოდნა და უნარები მსუბუქად უნდა მოდიფიცირდეს, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიო ცვლილებებთან პროფესიული განათლება მიღებული მუშაკის წარმატებით ადაპტაციას საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში.

ასეთი პროფესიული განათლების მიზანი არ არის მხოლოდ კვალიფიციური ადამიანების მომზადება საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაში მონაწილეობის მისაღებად. მხედველობაში ვიღებთ რა ქვეყნებს შორის ადამიანების თავისუფალ გაცვლას, ვთვლით, რომ მასში თითოეული კონკრეტული საზოგადოების პროფესიული განათლება უნდა მონაწილეობდეს საერთაშორისო სტრატიფიკაციის სისტემის განვითარების წყალობით (ე. წ. ნოსტრიფიკაცია). ეს ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის, უპირველეს ყოვლისა, ევროპული სივრცის (ე. წ. ბოლონიის პროცესი) შექმნის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

საწარმოო-საგანმანათლებლო პარადიგმა განიხილავს წარმოების მოთხოვნების შეცვლის სხვადასხვა ფორმებს პროფესიული განათლების ამა თუ იმ სისტემაში, ასევე მათთვის კადრების მომზადებას. არსებობს ამ მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო „მაჩვენებლები", რომელთაც მიიღეს სახელწოდება **„საგანმანათლებლო სტანდარტები"** და პროფესიული განათლების განვითარების საშუალებას წარმოადგენენ. საწარმოო-საგანმანათლებლო პარადიგმა გარკვეულწილად ამ სტანდარტების ცვლილებების პერსპექტივას და პროცესს ეხება.

განათლება საკუთარ განვითარებაში გრძნობს სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პროგრესის „სუნთქვას", ასევე ადამიანს ამზადებს სასწავლო დაწესებულებებში ახალი დონის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და პროფესიული საქმიანობის რთული ამოცანების შესასრულებლად.

გ) სამეცნიერო-საგანმანათლებლო პარადიგმა

სამეცნიერო-საგანმანათლებლო პარადიგმის დასახასიათებლადაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კავშირის სამი სახე მეცნიერებას და განათლებას შორის. მსგავსი კავშირი პრიმიტიულ საზოგადოებაში არ არსებობდა, ვინაიდან მეცნიერების შესახებ არა მარტო, როგორც სოციალურ ინსტიტუტზე, ისე საზოგადოებრივი შემოქმედების ფორმაზე საუბარიც კი შეუძლებელი იყო.

განათლების დამოკიდებულება მეცნიერებაზე და პირიქით, განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრულად და ღრმად გამოიყენება მეცნიერების მიღწევები განათლების განვითარებაში, როგორ აირეკლებიან ისინი მის შემადგენლობაში. ეს დამოკიდებულება განსაზღვრავს განათლების დონეს: რაც უფრო უკეთ გამოიყენება მეცნიერების უახლესი მიღწევები, მით უფრო

მაღალია განათლების დონე. ამ თვალსაზრისით, კავშირის მკაცრი ტიპი განათლებას და მეცნიერებას შორის უფრო მისაღებია, ვიდრე შემსუბუქებული და თავისუფალი.

ბევრი არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განხორციელდება **სამეცნიერო ცოდნის** გავლენა ცოდნის მეორე სპეციალურ სახეობაზე – **საგანმანათლებლოზე.** ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრა მეცნიერების მიღწევებზე და განათლების პოტენციალზეა დამოკიდებული. პრობლემა იმაში მდგომარეობს, როგორ მიეწოდოს მეცნიერების ახალი მიღწევები სტუდენტებსა და მოსწავლეებს. ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებები დღეისთვის ნამდვილად ამოუწურავია. ესენია თანამედროვე სახელმძღვანელოები და ყოველდღიური სწავლების პრაქტიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება და, რა თქმა უნდა, მეცნიერების ცოცხალი ურთიერთობა პედაგოგებთან, სტუდენტებთან მრავალი სხვ. იმაზე, თუ რამდენად წარმატებით წარიმართება ეს პროცესი, დამოკიდებულია მეცნიერების პერსპექტივები: მოხდება თუ არა მისი შევსება ახალგაზრდებით, ახალგაზრდა კადრებით, რომლებიც მისი მიზნების განხორციელებისთვის იქნებიან მზად.

რაც არ უნდა იყოს, სამეცნიერო-საგანმანათლებლო პარადიგმა განათლებაში მიმდინარე პროცესების მოდელირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.

კულტურულ-საგანმანათლებლო პარადიგმა

კულტურასა და განათლებას შორის კავშირი ყველა ეპოქაში ძალიან მჭიდრო იყო, თანაც იმდენად, რომ განათლება ხშირად ხასიათდება, როგორც კულტურის ნაწილი. ზოგიერთი მეცნიერი წინადადებას იძლევა განათლების სოციოლოგია კულტურის სოციოლოგიის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდეს. არც ერთ სოციალურ ინსტიტუტთან განათლება არაა ისე მჭიდროდ დაკავშირებული, როგორც კულტურასთან. ამ კავშირს ფუნქციონალურ-გენეტიკური ხასიათი გააჩნია. განათლებაც და კულტურაც, როგორც სოციალური ინსტიტუტები გადასცემენ თაობების გამოცდილებას, ინახავენ და აღადგენენ ღირებულებებს, ახორციელებენ სოციალურ კონტროლს იმაზე, თუ როგორ იქმნება და ნაწილდება სულიერი ცხოვრების პროდუქცია საზოგადოებაში, ორგანიზებას უწევენ ადამიანთა ჯგუფების ურთიერთქმედებებს წარმოებაში, იცავენ და ავრცელებენ ადამიანის სულიერ ღირებულებებს და ა. შ.

განათლებისა და კულტურის მიერ ამ ფუნქციების განხორციელება საზოგადოების განვითარების მთელი პროცესის მანძილზე სინქრონულად ხდებოდა. არ არსებობს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ მომავალშიც განათლებასა და კულტურას შორის მჭიდრო ურიერთკავშირის არსებობაზე.

საოჯახო-საგანმანათლებლო პარადიგმა

ოჯახი ითვლება პირველად „საგანმანათლებლო” ინტიტუტად. სწორედ მისგან იწყება სწავლება და აღზრდა, რომელიც შემდგომ სპეციალურ

საგანმანათლებლო დაწესებულებებში გრძელდება. ამ თვალსაზრისით, განათლების განვითარების დონე იმ ბაზისზეა დამოკიდებული, რომლითაც ბავშვები შესაბამის სასწავლო დაწესებულებებში მიდიან. განათლებასა და ოჯახს შორის კავშირი დამოკიდებულია ოჯახის მდგომარეობაზე, მის, როგორც სოციალური ინსტიტუტის სიმტკიცეზე.

ბოლო ათწლეულებში განათლებამ ოჯახური ცხოვრების ახალი მოდელების და ფორმების გავლენა გადაიტანა. იცვლება ოჯახის დანიშნულებაც. ათასწლეულის მანძილზე გაბატონებული პრინციპი „ადამიანი ოჯახისთვის" შეიცვალა პრინციპით „ოჯახი ადამიანისთვის". „მოძველებული ძალები", რომლებიც ტრადიციულ ოჯახურ ურთიერთობებს უჭერდნენ მხარს, წარსულს ბარდება, ხოლო ახალი ძალები, რომლებიც მოწოდებულნი არიან გაამყარონ წარმოქმნილი თანამედროვე ოჯახები, ჯერ კიდევ არ ამოქმედებულან მთელი თავისი ძალით. ამ პროცესში განათლება, რა თქმა უნდა, მონაწილეობას იღებს, რაც ასე თუ ისე აისახება მის ახალ პარადიგმებში.

განათლებასა და ოჯახს შორის კავშირის სამი ტიპი არსებობს – *მკაცრი, შესუსტებული, თავისუფალი.* მკაცრი ტიპის დროს ოჯახში მისი წევრების განათლების პრობლემები პრიორიტეტულია, შესუსტებულის დროს – ეს პრობლემები არ არის პრიორიტებული, თუმცა თავისი გარკვეული ადგილი მაინც უჭირავს და თავისუფალი, სადაც ისინი გადაიჭრება მისი წევრების თავისუფალი და შეგნებული არჩევანის საფუძველზე განათლების მიღების გზით. ამავე დროს არაერთი ოჯახი არსებობს, სადაც განათლების მიღების საკითხი საერთოდ არ დაისმის.

განათლების განვითარებაში თითოეული ეტაპი დაკავშირებულია მისი სრულყოფის ცენტრალური კონცეპტუალური იდეების და გზების გააზრებასთან. ამასთან თითოეული პარადიგმის საფუძველში ჩადებულია, უპირველეს ყოვლისა, განათლების შინაარსი, ფორმა, მიმართულება, მისი განხორციელების მეთოდები აღზრდასთან შესაბამისობაში. განათლების განვითარება და მისი ახალი პარადიგმები განისაზღვრება შინაგანი, სოციალლური დამოკიდებულებებით, რომელთა შორის მთავარია საზოგადოებრივი სტრუქტურები და ინსტიტუტები, პირველ რიგში, სახელმწიფო, წარმოება, მეცნიერება, კულტურა, ოჯახი.

განათლების პარადიგმების შინაგანი და გარეგანი დეტერმინატების უფრო ღრმა ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ისინი საკმაოდ მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. საზოგადოების განვითარების კვალობაზე ეს კავშირი ძლიერდება და რთულად გასაგები ხდება, თუ რომელი ფაქტორები ახდენენ უფრო ძლიერ გავლენას განათლების პარადიგმებზე.

ამრიგად, პარადიგმები საშუალებას გვაძლევენ გამოვავლინოთ განათლებაში მიმდინარე ტრანსფორმაცია თეორიული მიდგომების გათვალისწინებით

თვითგანათლება, როგორც XXI საუკუნის განათლების პარადიგმა

განათლება არა მხოლოდ სხვების სწავლება და აღზრდაა, არამედ საკუთარი თავის ფორმირებაც. თუ განათლება საზოგადოებისა და მისი სტრუქტურის, ასევე სოციალური ჯგუფებისა და პიროვნების ღირებულებების რეალიზაციას მოიცავს, მაშინ თვითგანათლება განსაკუთრებულ ინდივიდუალურ-პიროვნულ ხასიათს ატარებს. თვითგანათლების, როგორც საქმიანობის განსაკუთებული სახეობის აუცილებლობა ბევრი პროფესიული ჯგუფისთვის არ გაითვალისწინება და ნორმატიულ დოკუმენტებში არ ფიქსირდება. საქმიანობის ეს სახე არ შეაქვთ სამუშაო დროში. თვითგანათლების (როგორც განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი საქმიანობა საზოგადოების მთელი რიგი ჯგუფებისთვის) ნორმატიული აქტებით გამყარება დროის ფაქტორია და განათლების და საწარმოო შრომის სფეროში სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საგანი უნდა გახდეს.

თვითგანათლებაზე აქცენტის გადატანა წარმოადგენს უკვე აუცილებლობას და არა მხოლოდ კეთილ სურვილს. ეს პრობლემა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში სულ უფრო იზრდება, ვინაიდან სწორედ მასში ვლინდება მთლიანად ადამიანის ინტელექტისა და განათლების პოტენციალის შესაბამისობა ახალ მოთხოვნებთან.

სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ანალიზი თვითგანათლებას მიიჩნევს ისეთ რამედ, რაც ადამიანს ქმნის ანუ რაც მის გარდაქმნას, ფორმირებას ახდენს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თვითგანათლება კონკრეტული სუბიექტის საკუთრებას წარმოადგენს, რადგანაც ის მის თვითორგანიზებასა და თვითგანვითარებას ეხება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითგანათლება ფსიქოლოგიაში არის ის, რაც პიროვნებიდან მოდის. პედაგოგიური შეხედულება თვითგანათლებაზე რეალიზდება ინდივიდისათვის იმის ჩვენებით, თუ როგორ უნდა ამ პროცესს განხორციელება. პედაგოგიური მიდგომის ჩარჩოებში განიხილება სასწავლო-აღმზრდელობითი ზემოქმედება პიროვნებაზე, რომელიც თვითგანათლებას ეწევა. სოციალური მიდგომის წყალობით ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ თვითგანათლების მეშვეობით პიროვნება ერთვება სოციუმში და ამავე დროს შეუძლია მისგან დისტანცია დაიკავოს. მას შეუძლია თავი იგრძნოს საზოგადოების ნაწილად. სოციალური მიდგომა აქცენტს აკეთებს პიროვნების თვითგანათლების სოციალურ ასპექტებზე, მის საზოგადოებრივ ფუნქციებსა და დანიშნულებებზე.

თვითგანათლება, როგორც მშობლიურ, ისე საზღვარგარეთულ ლიტერატურაში დღევანდელ დღემდე სპეციალური ანალიზის საგანს არ წარმოადგენდა, ამიტომ თვითგანათლების გაგების განსაზღვრება ძალიან იშვიათად გხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულმა კვლევებმა თვითგანათლების დეფინიციის, მისი ანალიზისა და სოციალური მიდგომების ინტერპრეტაციის

ჩარჩოებში საშუალება მოგვცა მოცემული ფენომენის არსებითი მახასიათებლები გამოგვეყო.

- თვითგანათლება – არის შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფალი სახე.
- თვითგანათლება – აქვს მჭიდრო კავშირი განათლებასთან, როგორც სისტემასა და სოციალურ ინსტიტუტთან, წარმოადგენს რა განათლების კომპონენტს.
- თვითგანათლება – უწყვეტი განათლების სახეობა.
- თვითგანათლება – პიროვნების თვითკონსტრუირების საშუალება.

თვითგანათლებას განვიხილავთ, როგორც პიროვნების თავისუფალი საქმიანობის სახედ, რომლისთვისაც დამახასიათებელია დასაქმების თავისუფალ არჩევანი, რაც კულტურულ, საგანმანათლებლო, პროფესიულ, სამეცნიერო დონის ამაღლებასთანაა დაკავშირებული და მისი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის მიმართული.

სოციოლოგიური მიდგომის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თვითგანათლების სოციალური სუბიექტი ინფორმაციული ეპოქის პირობებში. სოციოლოგიას აინტერესებს არა კონკრეტული ინდივიდი, როგორც პიროვნება, რომელიც „თვითგანათლების" როლში გამოდის, არა ამ სფეროსთან დაკავშირებული მისი ინდივიდუალური მოთხოვნილებები და ინტერესები, არამედ ტიპიური, მასიური, განმეორებადი, დამახასიათებელი ადამიანთა ჯგუფისთვის, რომლებიც თვითგანათლებით არიან დაკავებულნი. სოციოლოგია იმ სოციალური ერთობებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს ავლენს, რომლებიც საქმიანობის ამ სფეროში არიან ჩაბმულნი და ადამიანთა ცხოვრების წესში მის ადგილს განსაზღვრავს ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში.

თვითგანათლების ფუნქციები

სხვადასხვა დონის თვითგანათლების ფუნქციებს აქვთ საკუთარი სპეციფიკა. სოციალური ჯგუფებისა და ერთობების დონეზე თვითგანათლების ფუნქციები ორმაგად ვლინდება. პირველ რიგში, სოციალური ერთობების ზემოქმედება პიროვნებაზე და მეორე შემთხვევაში, პიროვნების თვითგანათლების გავლენა თვით სოციალურ ერთობებზე.

თვითგანათლების ფუნქციების დახასიათებისას ჩვენ მას განათლების ფუნქციებს ვადარებთ, რადგან თვითგანათლება მის ელემენტს წარმოადგენს. განათლება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ხასიათის მრავალრიცხოვან ფუნქციებს წარმოადგენს, მათ შორის: საზოგადოების და მომუშავეთა (რომლებიც ფლობენ აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და სიახლეებს) სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის ფორმირება და კვლავწარმოებას; საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ან მისი კონკრეტული ელემენტების ცვალებადობა და კვლავწარმოება, სოციალური მობილობა, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მატერიალური და სულიერი კულტურის კვლავწარმოება და განვითარება და სხვ.

თვითგანათლების ფუნქციებია: განათლების, სოციალური ინსტიტუტების, მეცნიერების, კულტურის, წარმოების, ბაზრის განვითარება და სოციალური ერთობების სტრუქტურის, სოციალური მობილობის პროცესების, სოციოკულტურული დინამიკის რეგულაცია. განათლება ასრულებს ეკონომიკური, სოციოლოგიური, კულტურული ხასიათის მრავალრიცხოვან ფუნქციებს.

თვითგანათლების სახეები

თვითგანათლების სახეების გამოყოფისას გამოიყენება სხვადასხვა კრიტერიუმები. დროის ლოკალიზაციის თვალსაზრისით, თვითგანათლება შეიძლება განხორციელდეს როგორც სამუშაო ისე, თავისუფალ დროს. ამასთანავე, თვითგანათლება სამუშაო დროს, როგორც წესი, დაკავშირებულია რომელიმე პროფესიული, საწარმოო მიზნებისა და ამოცანების მიღწევასთან, მაშინ როცა თვითგანათლება თავისუფალ დროს შეიძლება დაკავშირებული იყოს ან მათთან, ან სულ სხვა ხასიათის პრობლემის გადაწყვეტასთან (საერთოჰუმანიტარული, კულტურული, კითხვიდან მიღებული სიამოვნება, თავის თავზე მუშაობა და ა. შ.)

თვითგანთლება იმისდა მიხედვით, თუ რა დრო ეთმობა მას, შეიძლება იყოს რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული. შეიძლება ასევე გამოვყოთ ისეთი სახის თვითგანათლების სახეები, რომლებიც პროფესიულ და საერთო განმავითარებელი განათლების იდეებს ემსახურება. ესენია: სამეწარმეო-პროფესიული ანდა საერთოჰუმანიტარული, კულტურული.

სივრცითი მიმართულების მიხედვით თვითგანათლება შეიძლება განხორციელდეს სახლში, სამსახურში, იმ საზოგადოებრივ დაწესებულებებში (მაგ., ბიბლიოთეკაში), რომლებიც ამ საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

შემოქმედებითი სფეროსთან მიმართებაში თვითგანათლება შეიძლება იყოს პროფესიული, სოციოკულტურული, რელიგიური, სამართლებრივი, ეკონომიკური, უფლებრივი, საოჯახო-საყოფაცხოვრებო და სხვ.

რომელი სოციალური ჯგუფები და ფენები არიან ამ ტიპების მატარებელი? პირველ რიგში, ის სოციალური ჯგუფები და ფენები უნდა გამოვყოთ, რომელთა საქმიანობისთვის ეს აუცილებელია, რადგან მის გარეშე ვერ განახორციელებენ თავიანთ მთავარ სოციალურ როლს – პედაგოგის, მეცნიერების, ჟურნალისტის, მოსწავლის, მხატვრის და ა. შ.

მეორე – არსებობს რამოდენიმე სოციალური ჯგუფი, რომელთათვისაც თვითგანათლება, როგორც საქმიანობის სახე და ცხოვრების წესი არ არის დამახასიათებელი. ეს არ ნიშნავს, რომ თვითგანათლება საერთოდ არ არსებობს ადამიანთა საქმიანობაში, მაგალითად მძიმე ფიზიკური შრომით დასაქმებული ადამიანებისთვის. მათი ძირითადი პროფესია თვითგანათლების საქმიანობას არ მოითხოვს. თუმცა მომუშავეთა ასეთი ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენლის ცხოვრების წესში მას შეიძლება ჰქონდეს

ადგილი კომპესაციის სახით იმ ინტელექტუალური დანაკარგისთვის, რომელსაც ადამიანი განიცდის შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ.

არსებობს ისეთი სოციალური ჯგუფები და ფენები, რომელთათვისაც თვითგანათლება მათი სოციალური (პროფესიული) მობილობის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. საუბარია საქმიანობის ამ სახის გამოყენებაზე ახალ სოციალურ (პროფესიულ)სტატუსზე გადასასვლელად.

თანამედროვე პერიოდში არსებობს განათლების ახალი პარადიგმების ჩამოყალიბების სოციალური და თეორიული წინაპირობის სოციოლოგიური ანალიზის მოთხოვნილება. ეს დაკავშირებულია თვითგანათლების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური მდგომარეობის და მიდგომების დამუშავებასთან.

თვითგანათლების შესწავლის პრობლემური სფერო საკმაოდ ფართოა. ის მოიცავს:

- თვითგანათლების ანალიზისადმი სოციოლოგიური მიდგომის სპეციფიკური განხილვა;
- თვითგანათლების განვითარების კვლევა სოციოკულტურული დინამიკის კონტექსტში (ინდუსტრიულამდელი-ინდუსტრიული-პოსტინდუსტრიული საზოგადოება);
- თვითგანათლების სუბიექტების გამოვლენა და მათი სპეციფიკური თავისებურებების ანალიზი;
- თვითგანათლების რეალიზაციის მექანიზმების შესწავლა;
- თვითგანათლების სახეების და დონეების შესწავლა;
- თვითგანათლების სოციალური ფუნქციების შესწავლა;
- თვითგანათლების სოციალურ ინსტიტუტებზე, პირველ რიგში, განათლების, მეცნიერების, რელიგიის, ინსტიტუტებზე გავლენის შესწავლა, მასზე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციოკულტურული ფაქტორების გავლენა;
- მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში თვითგანათლების საქმიანობის დინამიკის შესწავლა;
- თვითგანათლების საქმიანობის მოთხოვნილებებისა და მოტივების კვლევა, მათი ხასიათისა და დონის შესწავლა და სხვ.

თვითგანათლების სფეროში ამ პრობლემების კვლევა ძირითად სოციალურ პოლიტიკად იქცევა.

განათლება და სოციალური უთანასწორობა

განათლება მთელს მსოფლიოში სამართლიანად არის მიჩნეული, როგორც სოციალური მდგომარეობის შეცვლის მთავარი საშუალება, როგორც წესი, მას მივყავართ დიდ შემოსავლებთან და პრესტიჟთან. განათლების საშუალებით კლასობრივი სტრუქტურა ხდება უფრო ღია, სოციალური სტრუქტურა — უფრო ეგალიტური, ხოლო არასასიამოვნო განსხვავებანი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფების განვითარებაში რეალურად სუსტება.

განათლება პიროვნებას საშუალებას აძლევს განავითაროს თავისი უნარები და შესაძლებლობები. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში განათლება განიხილება როგორც თანასწორობის უზრუნველყოფის საშულება. უნივერსალურია განათლება, რომელიც ახალგაზრდებს ცოდნით აიარაღებს და ეხმარება მათ დაიკავონ საზოგადოებაში ღირსეული ადგილი. მას შეუძლია შეარბილოს მატერიალური კეთილდღეობის დონესა და სოციალურ მდგომარეობაში არსებული კონტრასტები. რამდენად რეალურია ეს? ამ საკითხის გამოკვლევას მრავალი სოციოლოგიური კვლევა მიეძღვნა. გამოკვლევის შედეგები აშკარად აჩვენებენ, რომ ხშირ შემთხვევაში განათლებას შეუძლია ასახოს და დაადასტუროს არსებული უთანასწორობა, ვიდრე ხელი შეუწყოს მის აღმოფხვრას.

მთელ რიგ ქვეყნებში ჩატარდა გამოკვლევები, რომლებმაც აჩვენეს, რომ სასკოლო განათლების შედეგებზე უდიდეს გავლენას ახდენს სოციალური და ოჯახური გარემო, რაც შემდეგში განსაზღვრავს შემოსავლების დონეს. ერთ-ერთი ასეთი კლასიკური გამოკვლევა ჩატარდა აშშ-ში XX საუკუნის 60-იან წლებში. 1964 წლის კანონი მოქალაქეობის უფლებების შესახებ მოითხოვდა, რომ განათლების ეროვნულ კომისიას წარმოედგინა მოხსენება განათლების სფეროში არსებულ უთანასწორობის შესახებ, რაც განპირობებული იყო სხვადასხვა ეკონომიკური, რელიგიური და ნაციონალური ხასიათით. სოციოლოგი **ჯეიმს კოულმანი** დაინიშნა აღნიშნული კვლევითი პროგრამის ხელმძღვანელად.[19] 150000 ათასი მოსწავლის შესახებ მოიპოვეს ინფორმაცია. მათ შეავსეს ტესტები ვერბალური და არავერბალური უნარების შესაფასებლად, მათი ნაკითხობის დონის და მათემატიკის უნარის გამოსავლენად. 4 ათასი სკოლიდან 60 ათასი მასწავლებელი გამოიკითხა. მიღებული შედეგების მიხედვით ქვეყანაში სკოლებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ზოგადი სურათი დაიხატა. ზოგიერთი შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლების სფეროში პოლიტიკის ფორმირებისათვის.

---

[19] **ჯეიმს სამუელ კოულმანი** — (1926-1995) ამერიკელი სოციოლოგი თეორეტიკოსი, რომელიც შეისწავლიდა განათლების სოციოლოგიის საკითხებს. მისი სოციალური თეორიის საფუძვლების მე-20 საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციოლოგიური შენაძენია.

გამოკვლევის შედეგებში, რომელიც 700 გვერდისგან შედგებოდა და დაერქვა „თანასწორობა საგანმანათლებლო შესაძლებლობებში”, აღნიშნული იყო, რომ სკოლაში გარკვეულწილად ხდებოდა ბავშვების დაყოფა კანის ფერის მიხედვით. სკოლებში (სკოლების 80 %), სადაც თეთრი ბავშვები სწავლობდნენ, მხოლოდ 10 და ნაკლები პროცენტი შავკანიანი მოსწავლეები დადიოდნენ. თეთრი ამერიკელები და აზიის ქვეყნის წარმომადგენელი მოსწავლეები უფრო მაღალ ნიშნებს იღებდნენ, ვიდრე მათი შავკანიანი თანატოლები. კოულმანი ვარაუდობდა, რომ გამოკვლევა აჩვენებდა შავკანიანი მოსახლეობის სკოლების ცუდ მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას და შენობების ცუდ მდგომარეობას იმ სკოლებთან შედარებით, სადაც ძირითადად თეთრკანიანი ბავშვები სწავლობდნენ, თუმცა შედეგებმა უფრო მოკრძალებული განსხვავება აჩვენა.

კოულმანის დასკვნის მიხედვით, სასწავლო პროცესის ეფექტურობაზე სკოლის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დონე დიდ გავლენას ვერ ახდენს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ სკოლების მოსწავლეთა სოციალურმა კუთვნილებამ იქონია. როგორც კოულმანი აღნიშნავდა, უთანასწორობა, რომელშიც ბავშვები იმყოფებიან თავიანთ სახლში და სახლს გარეთ, მომდევნო პერიოდშიც, სკოლის დამთავრების შემდეგაც თან სდევთ. თუმცა ბოლომდე ვერ დავეთანხმებით კოულმანს, რადგან ასევე ცნობილია ისეთი მაგალითებიც, როცა დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული მოსწავლეები, რომლებსაც მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა გააჩნიათ სხვა სოციალური ფენის თანატოლებთან, სწავლაში შეძლებულ თანაკლასელებთან შედარებით უფრო მეტს აღწევენ.

კოულმანის გამოკვლევა დროის განსაზღვრულ მომენტს ეხებოდა, ის ვერ იძლეოდა მომხდარი ცვლილებების ანალიზის საშუალებას. **მაიკლ რატერის** გამოკვლევაში, რომელიც ლონდონში ჩატარდა, განხილული იყო ბიჭების ჯგუფის განვითარება რამოდენიმე წლის მანძილზე. ბავშვები პირველად დაწყებითი სკოლის დამთავრებისას გამოიკვლიეს. გამოკვლევა ბიჭების საშუალო სკოლაში სწავლების სამი წლის შემდეგ განახლდა. გამოსაკვლევ ჯგუფში რამოდენიმე სკოლა უფრო დეტალური შესწავლის მიზნით გამოყვეს. გამოიკითხნენ მოსწავლეები და მასწავლებლები, ასევე აკვირდებოდნენ კლასებში მუშაობის პროცესს.

შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლის შერჩევა ნამდვილად გავლენას ახდენს ბავშვის სწავლის შედეგებზე. ასევე ზოგიერთი ფაქტორები, რომლებსაც რატერის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, კოულმანის გამოკვლევის ჩარჩოებს გასცდა. მაგალითად ის, რომ სკოლები, რომლებიც სწავლისთვის საუკეთესო პირობებს სთავაზობდნენ სრულიადაც არ იყო უკეთესი სხვა მატერიალურად უზრუნველყოფილი სკოლებზე. რატერის გამოკვლევის შედეგები გვეხმარება გავიგოთ, თუ რატომ ცდილობენ სკოლები უთანასწორობის შენარჩუნებას. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ისეთი

გარემოებაა შექმნილი, რომ არსებობს ჩაკეტილი ციკლი, სადაც შედარებით პრივილიგირებული ოჯახის წარმომადგენლები დადიან კერძო სკოლებში და იღებენ მაღალი ხარისხის ცოდნას. ხდება კარგი მასწავლებლების მიზიდვა და მათი საქმიანობის მოტივაციის უზრუნველყოფა. სკოლა ყოველივე ამას თავისი ინტერესებისთვის იყენებს. სკოლებმა, სადაც ძირითადად ღარიბი ოჯახის შვილები სწავლობენ მეტი უნდა იმუშაონ ასეთივე შედეგების მისაღწევად. რატერის დასკვნაში ნათქვამია, რომ სკოლების ორგანიზებასა და მათ მიკროკლიმატს შორის განსხვავება შეიძლება წიმააღმდეგობაში მოვიდეს ბავშვების აკადემიურ მოსწრებასთან.

უთანაწორობა სოციალური მობილურობის შესაძლებლობაში ადრეც არსებობდა სხვადასხვა მიზეზის გამო. საგანმანათლებლო სფეროში სოციალურ უთანასწორობას ბავშვობის ასაკიდან დაწყებული მივყავართ იმ ადამიანთა სოციალურ სეგრეგაციამდე, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა მიიღონ ხარისხიანი საშუალო, ხოლო შემდეგ უმაღლესი განათლება. მნიშვნელოვანია გარკვეული ქონებრივი ფენისადმი კუთვნილება სკოლის დამთავრების შემდეგაც. მშობლების ქონებრივი შესაძლებლობები უმაღლესში მისაღები გამოცდების ხარისხზე და უმაღლესში ჩაბარების სტრატეგიის არჩევანზე დიდ გავლენას ახდენს. ნაკლენად შეძლებული ფენის წარმომადგენლებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სპეციალური მომზადება მისაღები გამოცდებისთვის, ისინი დამოუკიდებლად სწავლობენ სპეციალურ ლიტერატურას. შეძლებული ოჯახის წარმომადგენლები უმაღ-ლესი განათლების შეფასებისას უფრო პრაგმატულად არიან განწყობილნი ვიდრე სხვა ჯგუფის წარმომადგენელი აბიტურიენტები. ასეთ შემთხვევაში განათლების მიზანი ორი რამ ხდება: სახელმწიფო ანგაჟირებული ელიტის ჩამოყალიბება, რომელიც ქმნის სახელმწიფო მექანიზმის ფუნქციონალურ ბლოკებს და სახელმწიფოებრივ-ლოიალური მასების ჩამოყალიბება, რომელიც ამ მექანიზმის დასაყრდენს წარმოადგენს.[20]

სკოლაში მოსწავლეებს შორისკონფლიქტების განვითარება განათლების სისტემისა და აღზრდის გარკვეულ ხარვეზებს მოწმობს. აუცილებელია სხვად-სხვა კულტურისა და სოციალური ფენის ბავშვებისათვის თანაბარი შესა-ძლებლობების მიცემა. სოციალიზაცია, ოჯახი, სკოლა, ჩხუბი, ძალადობა, ტერორი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. სიღარიბე და ოჯახების დაბალი კულტურა არც თუ ისე უვნებელია, როგორც შორიდან ჩანს. ეს ხშირად ურთიერთობის მახინჯ ფორმებს, უსამართლობასა და ძალადობას წარმოშობს. სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელ მოსწავლეებს შორის ხშირად ხდება სკოლაში ჩხუბი და გარჩევები. ოჯახში, საზოგადოებასა და სახელ-მწიფოში ძალადობის აღმოფხვრა უნდა წარმოადგენდს სახელმწიფო განათ-

[20] **Ярская В., Лошакова И., Зайцев Д., Шалаева Л., Григорьева О.,** Социология Образования, раздел третий, Саратов, 2004, с. 106-108.

ლების უმნიშვნელოვანეს მიზანს.

საგანმანმათლებლო სისტემაში მკვეთრად არის გამოხატული ასევე გენდერული უთანასწორობა. სკოლა არის სოციალური სამართლიანობის საწინდარი, უფლებათა გარანტი, სადაც ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბარი შესაძლებლობები აქვთ მინიჭებული. თუმცა ლატენტურად მაინც არსებობს გენდერული უთანასწორობა.[21] გენდერულ უთანასწორობაზე ამჯერად არ შევჩერდებით.

საერთოდ ამერიკელები ყოველგვარი წარმატების საფუძვლად განათლებას მიიჩნევენ. არსებობს მჭიდრო კავშირი განათლების დონესა და სამსახურში წარმატების მიღწევას შორის. თუმცა წარმატების შესაძლებლობას სხვა ფაქტორებიც განაპირობებენ, მაგალითად, მშობლების სოციალურ-ეკონომიური სტატუსი. სოციოლოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ კლასობრივი კუთვნილება უფრო დიდად მოქმედებს წარმატებაზე კარიერაში, ვიდრე განათლების ხარისხი.[22] ეს მოსაზრება საკმაოდ აქტუალურია ყველა დროში. რა თქმა სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო სისტემის მოღვაწეობა მიმართული იქნება იქითკენ, რომ მოხდეს ნაკლებად შეძლებულების, ღარიბების და პრივილიგირებული ადამიანების ინტეგრაცია. სკოლებში და უმაღლეს სასწავ-ლებლებში ჯანმრთელი სოციალური კლიმატის შექმნა შესაძლებელს გახდის აღნიშნულს. განათლება თუ ვერ მოსპობს უთანასწორობას სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის, მნიშვნელოვმად მაინც უნდა შეასუსტოს მატე-რიალურ კეთილდღეობის დონესა და სოციალურ მდგომარეობაში არსებული კონტრასტები.

[21] იქვე, გვ.109-111.
[22] **Смельзер, Н.,** Социология, 1994.

განათლება თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში

თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლება

გლობალიზაციის ეპოქამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა უმაღლესი განათლების სისტემაზე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, და საქართველოც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ისტორიულად უნივერსიტეტები რადიკალური ცვლილებების მოწმენი გახდნენ შუასაუკუნეების მოსაზრებებიდან დაწყებული, მოდერნისტული მსოფლმხედველობით დამთავ-რებული. ამჟამად უნივერსიტეტი, როგორც სოციალური დაწესებულება, კვლავ ცვლილებების მიჯნაზეა. ქვეყნების უმრავლესობაში საუნივერსიტეტო განათლების პარადიგმები მთლიანად შეიცვალა, კერძოდ შეიცვალა სასწავლო ნორმები, ორიენტირები და მოტივაციები. საუნივერსიტეტო განათლების ახალმა ტიპმა საუნივერსიტეტი სტრუქტურის ყველა შემადგენელი კომპონენტი შეცვალა. თუ უწინ ცოდნა, საერთოდ მეცნიერება განიხილებოდა როგორც აბსოლუტური და უსაზღვრო ფასეულობა, ახლა გადაწონა ცნებამ „სასარგებლო ცოდნა", ეს არის ცოდნა, ფოკუსირებული ერთ კონკრეტულ სფეროზე და მიზანმიმართულია შედეგზე, რომელსაც მოაქვს დაუყოვნებლივი ეკონომიკური სარგებელი.

ზოგადად საზოგადოებაში უნივერსიტეტის როლი ყოველთვის ტრანსფორმაციული იყო და განვითარების სოციალურ საჭიროებასა და ხედვასთან შეთანხმებაში არსებობდა. უნივერსიტეტი როგორც დაწესებულება იყო და არის არსებულ და მომავალ ფასეულობათა სისტემის უნიკალური სარკე. უნივერსიტეტის ფასეულობათა სისტემის და მისი სამეცნიერო დის-ციპლინების შიდა სტრუქტურის ცვლილება არის სოციალური აზროვნების ანარეკლი და ასევე მისი სტრუქტურის და შემადგნელობის ცვლილების საჭიროების მტკიცებულება.[23]

საუნივერსიტეტო სისტემის შეცვლამ ხელი შეუწყო ცოდნისა და განათლების სხვადასხვა სახის ვირტუალური ფორმების აღმოცენებას, რომელიც ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ ცოდნას ამ სიტყვის სრული მნიშვნე-ლობით. ფუნდამენტური ცოდნა უკანა პლანზე გადადის და უმრავლესობის ინტერესებს აღარ წარმოადგენს. გლობალიზაციის ეპოქაში უნივერსიტეტები გადაიქცნენ როგორც ეკონომიკური კორპორაციები და ისინი იმართებიან, როგორც წარმოებასა და ცოდნის გავრცელებასთან დაკავშირებული კორპორაციები. უნივერსიტეტები დიდი კორპორაციები გახდნენ, რომლებიც წარადგენენ და ყიდიან ცოდნას.[24] უნივერსიტეტის სტრუქტურის ყველა

---

[23] **Belousa, I. & and Stalke A.** (2007). *Development and Reorientation of Education toward ustainability in Latvia after 1991*, Education & Sustainable Development: Fisrts Steps Toward Changes, Volume 2, 2007, Daugavpils Universitates, p.109.

[24] **იქვე**, p.109

რგოლი თვითგანისაზღვრება კონკურენტუნარიანობისა და შემოსავლების მიხედვით.

ჩვეულებრივ საუბარშიც საუნივერსიტეტო ლექსიკონში შემოვიდა ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „კორპორატიზაცია," „აკადემიური/სამეცნიერო წარმოება," „სტუდენტები როგორც კლიენტები". ფაკულტეტები, ლაბორატორიები, სამეცნიერო ცენტრები და გარკვეული პროფესორებიც კი განიხილებიან იმ თვალსაზრისით, თუ რამდენი სტუდენტის მოზიდვა შეძლეს, რამდენი საერთაშორისო გრანტი მოიპოვეს. შემოაქვთ წინადადება, რომ უნივერსიტეტებს მოეხსნათ განსაკუთრებული სტატუსი და ისინი გაუთანაბრონ საბაზრო ურთიერთობების ნებისმიერ სხვა სუბიექტს შემდეგი პრინციპით: ის, რაც არ იყიდება, არ იწარმოება.[25] ბევრ ქვეყანაში სასწავლო დაწესებულება საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე დამოუკიდებელი მოთამაშის რანგში გამოდის. სახელმწიფო ფინანსური დახმარება ხარჯების მხოლოდ ნაწილს ფარავს, დანარჩენი თანხა თვითონ უნივერსიტეტმა უნდა მოიძიოს სხვა წყაროებიდან. ეს არსებითად ცვლის უმაღლესი განათლების ხასიათს, რომელიც ბაზარზე უკვე გამოდის როგორც მოთამაშე.

საუნივერსიტეტო სფეროში უდავოდ ლიდერები ხდებიან ისინი, ვინც ნებისმიერი საშუალებით (რაც ხშირად აკადემიურ საქციელს სცილდება) იზიდავენ სტუდენტებს, ფონდებიდან და კერძო დონორებიდან გრანტის მოზიდვას ახერხებენ. ასევე მუდმივად მუშაობენ თავიანთ საკუთარ იმიჯზე საერთაშორისო მასშტაბით, პრესტიჟული პრემიის, ხმაურიანი პუბლიკაციების ჩათვლით, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით და ა. შ. საუნივერსიტეტო სისტემაში გადარჩება ის, ვისაც არა მარტო ახალი ცოდნის შექმნა შეუძლია, არამედ ვისაც აქვს უნარი ხელსაყრელად მოახდინოს ამ ცოდნის რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, რომ თითოეულ პედაგოგს ჰქონდეს მინიმალური ნიჭი მენეჯმენტის სფეროში.

იკვეთება სტუდენტების ახალი როლიც. თანამედროვე საზოგადოებაში უნივერსიტეტის გარდამავალი როლის აღწერისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ,,მთავარი ამოცანაა სტუდენტების გარდაქმნა ისე, რომ მათ ესმოდეთ სამყაროში საკუთარი როლი. სწავლების წარმატებული პროგრამები მოიცავს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას საკუთარი და სხვათა კონცეფციის შემუშავებაში, რის მეშვეობითაც თვითშემეცნებისა და სამყაროში ყოფნის ახალ გზებს პოულობენ".[26]

ისინი ასევე უკვე კორპორაციის „კლიენტების" როლში გამოდიან, უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებულ საგანმანათლებლო მომსახურების

---

[25] **Покровский, Н. Е.**, Трансформация университетов, Журнал Социологии и социальной антропологии. 2004. Том .№4.VII. с.153.

[26] **Belousa, I. & and Stalke A.** (2007). *Development and Reorientation of Education toward ustainability in Latvia after 1991*, Education & Sustainable Development: Fisrts Steps Toward Changes, Volume 2, 2007, Daugavpils Universitates, p.110

ბაზარზე მყიდველების სახით. და თუმცა სტუდენტობასთან დაკავშირებული ცნობილი დისციპლინარული შეზღუდვები კვლავინდებურად არსებობს, მაინც სტუდენტის სტატუსი შეიცვალა. კორპორაცია, როგორც არასდროს დამოკიდებული ხდება თავის კლიენტებზე, მათ მოთხოვნობზე, სურვილებზე, სასიცოცხლო მიზნებსა და პრეტენზიებზეც კი.

ამიტომაც, პროფესურიდან და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მმართველებიდანაც მოითხოვება არაკონფლიქტურობა სტუდენტი-კლიენტების მიმართებაში. სასწავლო პროცესში აღმოცენებული ნებისმიერი პრობლემური სიტუაცია სტუდენტის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს შემდეგი პრინციპის მიხედვით — „ისე უნდა გავაკეთოთ, რომ კონფლიქტი საერთოდ არ წარმოიშვას" სტუდენტის გარიცხვა უკუდურეს მდგომარეობად განიხილება, რადგან ამ დროს კლიენტის ხდება დაკარგვა. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ამა თუ იმ მიზეზით სასწავლო პროგრამას ვერ ითვისებს, მისთვის ადგენენ სამუშაო რეჟიმს, შემსუბუქებულ პროგრამას და ა. შ. მაგრამ სტუდენტს ყველა შესაძლო მეთოდებით ინარჩუნებენ, რასაც ხელს უწყობს თანამედროვე საგანმანათლებლო ფორმატები. [27]

თუმცა ეს ყველაფერი არ მიმდინარეობს საერთო მოთხოვნათა დონის შემცირების და საგანმანათლებლო სტანდარტების შემცირების ხარჯზე. საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი საკმაოდ მაღალ დონეზე ნარჩუნდება, თუმცა შესაძლოა ეს ხდება სხვა საშუალებების გამოყენებით — უპირველეს ყოვლისა სასწავლო პროცესის დინამიურობისა და ცოდნის მიღების მრავალგვარი ფორმატის არსებობით.

უნივერსიტეტი კორპორაცია დიდ ყურადღებას უთმობს იმ სტუდენტებთან კონტაქტს, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო დატოვეს უნივერსიტეტი, მაგრამ შეძლეს კვლავ ჩართულიყვნენ მის პროგრამაში საბოლოო ხარისხის მისაღებად. ასეთი სტუდენტებისათვის დასავლეთის წამყვან არსებობს მთელი რიგი შეღავათები, ხელს უწყობენ არატრაციციულ სტუდენტებსაც — ესენი ძირითადად არიან პენსიონერები, რომლებსაც გარკვეული სფერო აინტერესებთ, მაგრამ სურთ ცოდნის მიღება გამოცდილებისა და ხარისხის მიღების გარეშე. აშშ-ს უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი ნაწილში არატრაციციული სტუდენტების რიცხვი განუხრელად იზრდება.[28]

ამჟამად მსოფლიოში უნივერსიტეტები და კოლეჯები იმართებიან ნამდვილი მენეჯერების მიერ, მართალია მათ აკადემიური ხარისხი და ცოდნა გააჩნიათ, თუმცა ისინი პროფესიონალურად ასრულებენ საკმაოდ განსხვავებულ რილს. მაგრამ ამას მივყავართ ცოდნის სფეროში დიდ

---

[27] **Ярская В., Лошакова И., Зайцев Д., Шалаева Л., Григорьева О.,** Социология Образования, раздел третий, Саратов, 2004. с. 29.

[28] **Покровский, Н. Е.,** Трансформация университетов, Журнал Социологии и социальной антропологии. 2004. Том .№4.VII, с. 155.

დანაკარგებთან, რომელსაც არ გააჩნია პირდაპირი საბაზრო ბრუნვა.

საუნივერსიტეტო სისტემის ცვლილების ერთ ერთი ძირითადი ნიშანია:

საგანთაკავშირი — ტრადიციული სასწავლო საგნების, ტრადიციული სპეციალობების უმრავლესობა სტუდენტებს აღარ იზიდავს. როგორც უკვე აღინიშნა ფუნდამენტური ცოდნა სულ უფრო და უფრო ნაკლებად მიმზიდველი ხდება სტუდენტებისა და საუნივერსიტეტო სტრუქტურისათვის. მაგალითად, ტრადიციულ ფუნდამენტურ სოციოლოგიას ცოტა ვინმეს თუ სურს დაეუფლოს. იგი ვერ აგროვებს სპეციალიზირებული სტუდენტების საჭირო რიცხვს. უცხოეთშიც და საქართველოშიც სოციალური მეცნიერების ფაკულტეტებს უკვე აღარ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ სხვა ფაკულტეტებს მიზიდული სტუდენტების რაოდენობით. ამიტომ ამ უნივერსიტეტებში ტრადიციულმა ფაკულტეტურმა სტრუქტურამ თავის გადასარჩენად გამოსავალი საერთო საუნივერსიტეტო და ფაკულტეტთა-შორისი პროგრამების გახსნაში ჰპოვა. ამ საკმაოდ წარმატებულ პროგრამაში ფუნდამენტალური სოციოლოგიის ტრადიციული დისციპლინები ტრანსფორ-მირდნენ იმ საგნებში, რომლებიც სტუდენტებისათვის უფრო მიმზიდველია და მათ მომავალ დასაქმებასაც უზრუნველყოფს. მრავალი საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და სამედიცინო სპეციალობები ერთიანდება კონკრეტულ საზოგადოებათმცოდნე სპეციალობებთან განათლების ერთიანი პროგრამის ჩარჩოებში.

როგორც ზოგიერი მეცნიერი ვარაუდობს, მაგალითად რუსი პროფესორი პოკროვსკი, არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში ფაკულტეტები, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულები გაუქმდეს და ადგილი დაუთმონ დინამიურ დისციპლინათაშორის პროგრამებს, რომლებიც შიდა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად გაიხსება და დაიხურება. მთლიანობაში, თანამედროვე პირობებში უნივერსიტეტების უმრავლესობა თავიდან იხსნიან პასუხისმგებლობას პროფესორების საშტატო შემადგენლობის წინაშე, იწვევენ რა პროფესურას დროებით საგანთაშორის პროგრამებში, სადაც ყველაფერი დამოკიდებულია ამ პროგრამების საბაზრო ეფექტურობაზე. ეს მოითხოვს პროფესორების ახალ ტიპის არსებობას, რომელთაც უნარი აქვთ ადვიოლად გადაეწყვნენ სწავლების ახალ მეთოდზე და თანამედროვე ტექნოლოგიების თავისუფლად მფლობელნი არიან.[29]

დამახასიათებელია, რომ თანამედროვე პირობებში პერსპექტიული დამსაქმებლები ხშირ შემხვევაში არ საჭიროებენ უნივერსიტეტის კურსდამ-თავრებულებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ფუნდამენტური განათლება. თანამედროვე ფირმაში ან კორპორაციაში ეს სულაც არ მოითხოვება. საჭიროა სხვა: შეეძლოს დინამიურად გარდაიქმნას სხვა პროგრამაზე, ფლობდეს

[29] **Покровский, Н. Е.,** Трансформация университетов, Журнал Социологии и социальной антропологии. 2004. Том .№4.VII, с. 157.

გარკვეულ საბაზისო ცოდნას და კულტურის საერთო დონეს.

საუნივერსიტეტო განათლებაში დიდი გამოყენება შეიძინა დისტანციური სწავლების პროგრამებმა, ტელეკონფერენციებმა, განათლების მიღებამ ინტერნეტის საშუალებით.[30] თვით სწავლების ტრადიციული ფორმებიც კი უაზრობა იქნებოდა ინტერნეტისა და ვირტუალური ბიბლიოთეკების გამოყენების გარეშე.

თანამედროვე საგანმანათლებო სისტემა ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია. კომპიუტერიზაციამ მეტად შთამბეჭდავ მასშტაბებს მიაღწია. უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების სერვერები მრავალმიზნობრივ საინფორმაციო პორტალებადაა ქცეული და უზრუნველყოფს მომხმარებელს სათანადო ინფორმაციით. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია აუდიტორიაში მულტიმდიური საშუალებების გამოყენება. დღეისათვის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ისევე როგორც ნაკლებად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში არც ერთი კურსი არ იკითხება პროგრამა ოწერ ოინტ-ის ტექნოლოგიის გარეშე. მისი გამოყენება ცვლის ლექციის მთელ სპეციფიკას და სტრუქტურას, მასალის გადმოცემის თეზისურ ხასიათს, მათ შორის ხმისა და ვიდეოს გამოყენებას და სხვ. კურსის მთელი მასალა პროფესორის საიტზეა განთავსებული და სტუდენტებს საშუალება აქვთ 24 საათის განმავლობაში ისარგებლონ ამ საიტით, დაუკავშირდნენ თავიანთ პროფესორს და დაუტოვონ შეტყობინებები. განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობენ ის ლექტორები, რომლებიც ვიზუალურად უკეთესად წარმოაჩენენ თავიანთ კურსს.

ამრიგად, უნივერსიტეტი უნდა იყოს ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის მესაჭეები, რომელიც სტუდენტებს სასწავლო პროცესსა და სტუდენტურ ცხოვრებაში არსებულ ახალ მიღწევებს მიაწვდის. ასევე ჰოლისტიკური მიდგომის მიხედვით, უნივერსიტეტს არა მხოლოს ბიზნეს პროექტის როლი გააჩნია, არამედ ეს მიდგომა ასევე წარმოაჩენს უნივერსიტეტის, როგორც სოციალური დაწესებულების კავშირს პიროვნებასა და საზოგადოებასთან რეგიონალურ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე.[31]

გლობალიზაციის ეპოქამ ასევე საფუძვლიანად შეცვალა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა. 1990-იანი წლებიდან დაიწყო უნივერსიტეტების გადაწყობა ახალ სისტემაზე. დაარსდა უამრავი კერძო უნივერსიტეტი, რომელთა უმრავლესობამ შრომის ბაზრის და ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებს ვერ გაუძლო და დაიხურა. დღეისათვის საქართველოში მოქმედებს 63 ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო

---

[30] **Ярская В.,. Лошакова И., Зайцев Д., Шалаева Л,. Григорьева О.,** Социология Образования, раздел третий, Саратов, 2004 с. 15.

[31] **Belousa, I. & and Stalke A**. (2007). *Development and Reorientation of Education toward ustainability in Latvia after 1991*, Education & Sustainable Development: Fisrts Steps Toward Changes, Volume 2, 2007, Daugavpils Universitates, p.109

დაწესებულება, რომელთაც ინსტიტუციური აკრედიტაცია აქვთ გავლილი.

როგორც მსოფლიოში ისე საქართველოშიც შეცვლილია სასწავლო ნორმები, ორიენტირები და მოტივაციები და საუნივერსიტეტო სტრუქტურის ყველა შემადგენელი კომპონენტი. სასწავლო პროცესი ხორციელდება კრედიტების დაგეგმვის ევროპულ სისტემასთან შესაბამისობაში, ყოველ-წლიურად იხვეწება სასწავლო გეგმები და პროგრამები, რაც უნივერსიტეტების შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა. თუმცა ხარვეზებისგან დაზღვეულნი არ ვართ. სტუდენტებისთვის იქმნება მიმზიდველი პირობები სწავლისთვის, სამეცნიერო მუშაობისთვის და დამოუკიდებელი განვითარე-ბისთვის. რა თქმა უნდა ქართული უნივერსიტეტები მეტნაკლები წარმატებით ახორციელებენ დასახულ მიზნებს. და იმედია, მომავალში თანდათანობით დაიხვეწება და უფრო მოქნილი გახდება საუნივერსიტეტო განათლება.

ახალი საგანმანათლებლო პარადიგმები

თანამედროვე ეტაპზე საგანმანათლებლო სისტემა სოციალური ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და დინამიურ ელემენტს წარმოადგენს. XX საუკუნის ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სისტემა მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ძვრების გამო ნგრევის გამუდმებული საფრთხის წინაშე დადგა. თანამედროვე პერიოდმა საგანმანათლებლო სფეროს ახალი მოთხოვნები წაუყენა. კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში პრიორიტეტების ცვლილებამ განათლების ტრადიციული სისტემის კრიზისი გამოიწვია. აუცილებელი გახდა განათლების ახალი მოვლენების სისტემატიზაცია და უწყვეტი განათლების კონცეფციის საფუძველზე სწავლების პროცესის განვითარების პროგნოზული მოდელების დამუშავება და პროფესიული მომზადება.

განსაკუთრებით ძირფესვიანი ცვლილებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განხორციელდა. ცვლილების ძირითადი ელემენტი იყო საბჭოთა ეპოქის პასიური, ინდუქტიური, ნორმაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ, კონსტრუციულ, სტუდენტზე ორიენტირებულ პროცესზე გადასვლა, რაც შერწყმულია შესაბამისი სფეროს თანამედროვე მიღწევებთან, საზოგადოების თანამედროვე სტრუქტურასთან, თანამედროვე აზროვნების მოდელთან[32].

XXI საუკუნის დასაწყისის სოციალური მოვლენის ერთ-ერთი მახასიათებელი – **უწყვეტი განათლება** იმ ფაქტის აღიარებას ნიშნავს, რომ უწყვეტი განათლების სისტემის კონცეფცია წარმოშობის მომენტიდანვე იქმნებოდა არა როგორც რეალური ცხოვრებიდან მოწყვეტილი უაღრესად თეორიული ინოვაცია, არამედ როგორც სწავლების ორგანიზების პროცესში

[32] **Belousa, I. & and Stalke A**. *Development and Reorientation of Education toward sustainability in Latvia after 1991*, Education & Sustainable Development: First Steps Toward Changes, Volume 2, 2007, Daugavpils Universitates, p. 99-113.

ახალი პრაქტიკური გადაწყვეტილებების სამეცნიერო განზოგადება.[33]

განათლების თანამედროვე სისტემის ფუძემდებლად, რომლითაც მსოფლიო ბოლო მეოთხე საუკუნე სარგებლობს სამართლიანად არის მიჩნეული **იან კამენსკი**. მას შემდეგ იცლებოდა განათლების სისტემის მხოლოდ მართვის ფორმები პოლიტიკური რეჟიმების სცენარის მიხედვით, ხოლო სკოლა განაგრძობდა და დღესაც განაგრძობს ბავშვების სწავლებას იმ სასკოლო სისტემის გაკვეთილების ჩარჩოებში, რომელიც დიდმა პედაგოგმა XVII საუკუნეში შექმნა. კამენსკის იდეები წიგნის ბეჭდის აღმოცენებას დაემთხვა. საბეჭდი მანქანის შექმნამ იმ განათლების სისტემას ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ეყრდნობოდა ბეჭდით ინფორმაციას, წიგნი ცოდნის მატარებელი და ცოდნის წყარო გახდა.[34] სამეცნიერო ტექნიკურმა რევოლუციამ ინფორმაციის ელექტრო დამუშავება და გავრცელება დანერგა. ინტერნეტის ქსელი თავისი მომხმარებლების წინაშე წარმოდგა როგორც ინფორმაციის ინტეგრალური ბაზა. განათლების თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მთელი მსოფლიო მოიცვა და კომენსკის კლასიკურ საკლასო სწავლების სისტემას დიდი დარტყმა მიაყენა. 2004 წელს ტუნისში ჩატარებულმა სამეცნიერო საზოგადოების მსოფლიო სამიტზე ინფორმაციის ზრდის უპრეცენდენტო დაჩქარება აღინიშნა. ელექტრო სწალების ტექნოლოგიის მასობრივი გამოყენება არა მარტო პედაგოგიური საზოგადოების, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცა.

მიმდინარეობს საინფორმაციო პარადიგმების ცვლა. თუ წინა პარადიგმის დროს სწავლება მიმდინარეობდა უმაღლესი დაწესებულებების კედლებში, ახალი პარადიგმის დროს განათლების მიღება და შრომითი საქმიანობა ერთმანეთის პარალელურად და ურთიერთკავშირში ხორციელდება და **უწყვეტი განათლების** სისტემას ეფუძნება.[35]

ცვლილებებმა ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, სოციალურ სფეროში სწავლების ახალი ფორმები წარმოშვეს, რომლებიც მეტწილად პასუხობენ თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს. ბოლო ათწლეულში ფართო გავრცელება ჰპოვა დისტანციურმა სწავლებამ. სწავლების დისტანციური ფორმა არის საგანმანათლებლო მომსახურების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში სიარულის გარეშე ისეთი თანამედროვე საინფორმაციო-საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების სისტემის დახმარებით, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, ტელევიზია და ინტერნეტი.

---

[33] **Belousa, I. (**2002) Sustainable education and spirituality in the university: Looking for a way of complementation. *Journal of Teacher Education and Training*, p. 1, 3-12.

[34] ილოსოფოსები - http://intencia.ru/Filosof-view-30.html

[35] **Жуковская, З.Д.** О концепции непрерывного образования / З.Д. Жуковская, Л.В. Квасова, В.Н. Фролов // Высшее образование сегодня. - 2007. - № 8. с. 12-17.

დისტანციური სწავლების გამოყენება შესაძლებელია არა მარტო უმაღლესი განათლების მისაღებად, არამედ კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სპეციალისტების გადასამზადებლად. ასეთი სახის სწავლებას მთელს მსოფლიოში ფართო გამოყენება გააჩნია. თანამედროვე საინფორმაციო საგანმანათლებლო ტექნოლოგიები დისტანციური სწავლების ჩათვლით ინვალიდ ადამიანებს განათლების მიღების საშუალება აძლევს.

თანამედროვე და ტრადიციული საზოგადოება ორი ურთიერთდაპირისპირებული, ურთიერთსაწინააღმდეგო საზოგადოებაა. თანამედროვე საზოგადოება ცხოვრობს და ვითარდება ***„განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე"*** კონცეფციის შესაბამისად. ეს არის ადამიანის მიერ განათლების მიღების პროცესი, რომელიც დროის ამა თუ იმ ინტერვალით არ განიზაღვრება. მოცემული კონცეფცია ადამიანის ცხოვრების მთლიან ციკლს განეკუთვნება (დაწყებული ადრეული ბავშვობიდან საპენსიო ასაკამდე) და ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ისწავლოს არა მხოლოდ აუცილებლობის, მაგალითად პროფესიის დაუფლების გამო, არამედ ცოდნის და სიახლეების დაუფლების შინაგანი მოთხოვნილების გამოც. ტრადიციული საზოგადოება სხვა პრინციპის მიხედვით ცხოვრობს: **„განათლება მთელი ცხოვრებისთვის"** პრინციპის მიხედვით. ასეთ საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრება დაყოფილია სწავლის დაუფლების და მუშაობის პერიოდებად, განათლების მიღება ხდება ერთხელ და ფორმალურად და მიღებული ცოდნა მთელი დანარჩენი ცხოვრებისთვის უნდა იყოს საკმარისი.

ტრადიციულ საზოგადოებაში სწავლება მიმდინარეობს უპირატესად უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ცოდნის ძირითად წყაროს წარმოადგენს წიგნები, სახელმძღვანელოები და სხვა ბეჭდითი მასალები, რომლებიც ბიბლიოთეკებში მოიპოვება. სწავლების ტრადიციულ ცნებაში, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ჭარბობდა, ზედმეტი ყურადღება ენიჭებოდა ცოდნის შეძენას ყოველდღიური ცხოვრებისაგან მოწყვეტით. ამის შედეგად ჭარბობდა კონცეპტუალური ცოდნა, შეინიშნებოდა მოსწავლეთა დეპერსონალიზაცია და დაბალი თვითშეფასების კომპლექსი, შემოქმედებითობის დაცემა და ინტერესის და თვითაქტულიზაციის ნაკლებობა. განათლების ტრადიციული ცნების მიზანი იყო ინსტრუქტაჟის უზრუნველყოფა. სასწავლო გარემო მასწავლებელზე იყო კონცენტრირებული და ითვლებოდა, რომ მის მიერ იმართებოდა. სასწავლო მასალის წარდგენა ხდებოდა ობიექტურად, სადაც ინტელექტის ღირებულება იყო ხაზგასმული.[36]

თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწავლება და შრომითი საქმიანობა მიმდინარეობს პარალელურად და დაკავშირებულია ყველა სოციალურ ინსტიტუტთან. ცოდნის ძირითადი წყაროებია ელექტ-

[36] **Barr, R. & Tagg, J.** From teaching to learning: A new paradigm for undergraduate education. *Change*, 27(6), (1995) p. 12-25.

რონული საგანმანათლებლო რესურსები, მონაცემთა ბაზა და ინტერნეტის საშუალებით მიღებული ცოდნა. თანამედროვე საზოგადოებაში განათლების რეფორმები ჯერ კიდევ გრძელდება და შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცნებების გადანაცვლების პროცესი. მოცემული პროცესი მასწავლებლებს აიძულებს, მოახდინონ თავიანთი პროფესიული საქმიანობის გადაფასება და გარდაქმნან საგანმანათლებლო პრაქტიკა ახალი აზროვნების კონტექსტში. დღეს მასწავლებლის ამოცანა აღარ არის მოსწავლისათვის გარკვეულ საგანში ცოდნის გაზიარება და იმის შემოწმება თუ როგორ ისწავლა. დღეს მასწავ-ლებლის მიზანია განავითაროს მოსწავლის სწავლის უნარი სკოლაში და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ,,სწავლა ასწავლოს", მისი პროფესიული საქმიანობისათვიოს საჭირო ცოდნა მიაღებინოს.[37]

ტრადიციულ საზოგადოებაში ცენტრალური ადგილი უკავია ცენტ-რალური განათლების სისტემას – სწავლებას სკოლაში. გამოდის, რომ სკოლა არის ცოდნის მიღების ერთ ერთი ძირითადი წყარო. თანამედროვე საზოგა-დოებაში კი არსებობს აშკარად გამოყოფილი ცენტრები, სადაც ყველა საგანმა-ნათლებლო სისტემა ერთ სისტემასთან არის ინტეგრირებული და დაკავ-შირებული.

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებასა და განათლებაში განხორცი-ელეუბლი ცვლილებების შედეგად შეიცვალა გაანთლების სტატუსი და როლი ცხოვრებაში. ის საგანმანათლებლო მომსახურების სფეროდ გადაიქცა, რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი სპეციფიკური თვისებები, რაც მას განათლების ტრადიციული სისტემისგან განასხვავებს: სწავლების შინაარსის, სახეობების, ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება, მომხმარებლების მოთხოვნებზე ორიენტაცია, როდესაც ისეთი საგანმანათლებლო მომსახურება იქმნება, რომელიც მომხარებლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სხვადასხვა სახის მომსახურეობას შორის კონკურენციის მაღალი დონე, ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების შემოღება.

საგანმანათლებლო მოსახურეობის სფერო დიდ ავტონომიას შეიცავს და გარდაიქმნება სოციალურ ორგანიზაციად, რომელიც ემსახურება დამკვეთებს, პირველ რიგში ცალკეულ პიროვნებებს, შემდეგ სოციალურ ჯგუფებს, სოციალურ ინსტიტუტებს, მათ შორის სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგა-დოებას. ადამიანის ცხოვრებაში განათლების როლი იმაში გამოიხატება, რომ ის სოციალური ინსტიტუტიდან, რომელიც სახელმწიფო მოწყობის ნაწილს წარმოადგენს, თავის პირობებს ადგენს და თავის სურვილებს კარნახობს, სულ უფრო მეტად გარდაიქმნება მომსახურეობის სფეროდ, რომელიც ზემოთ დასახელებული სუბიექტების დაკვეთით მოქმედებს.[38]

---

[37] **Belousa, I. & and Stalke A.** *Development and Reorientation of Education toward sustainability in Latvia after 1991*, Education & Sustainable Development: First Steps Toward Changes, Volume 2, 2007, Daugavpils Universitates, p. 105.

[38] **Киввa, Н.** Социально-экономические проблемы непрерывного образования / Н. Киввa //

ამრიგად, რომ გავაანალიზოთ ტრადიციული და თანამედროვე საზოგადოება, ნათლად დავინახავთ, რომ თანამედროვე საზოგადოება უწყვეტი განათლების პრინციპზეა დაფუძნებული, მაგრამ თუ რატომ მოხდა საზოგადოების ცვლილება და შესაბამისად, ახსნას საჭიროებს თუ რატომ წარმოიშვა უწყვეტი განათლების სისტემის აუცილებლობა. ამისათვის ყველაზე ცოტა ორი ძირითადი მიზეზი არსებობს: 1) საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი ფაქტორი ხდება ინფორმაცია, ცოდნა და მათი მუდმივი განახლების მოტივაცია და შეასბამისად მათზე მოთხოვნა იზრდება; 2) კონკურენტუნარიანობისა და ეფექტური შრომითი მოწყობის მოთხოვნილება ადამიანებისთვის განათლების მიღების ძლიერ მოტივს წარმოადგენს.

როგორც დავინახეთ ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანის სიცოცხლე დაყოფილია სწავლებისა და მუშაობის პერიოდებად, ცენტრალურ ადგილს იკავებს რეგულარული განათლების სისტემა (სკოლაცენტრიზმი), ხოლო შრომით მოწყობაში გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება დილომის არსებობა. თანამედროვე საზოგადოებაში კი პირიქით, სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს და ყველა სოციალური ინსტიტიტის ფარგლებში ხორციელდება.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში განათლების ახალი მიზნებისა და ამოცანების აღქმამ, რაც განპირობებულია ცივილიზაციის ახალი გამოწვევებითა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებით, მიგვიყვანა სოციალურ ცხოვრებაში განათლების სისტემის ცვლამდე. იგი საგანმანათლებლო მომსახურების სფეროდ გადაიქცა, რომელზედაც გარკვეულწილად შრომის ბაზრის კანონების მოქმედება ვრცელდება. განათლების სფეროში რეფორმების მიუხედავად უამრავი პრობლემა და გადაუწყვეტელი ამოცანა რჩება, რომელთა გადაწყვეტა უახლოეს მომავალში უწყვეტი განათლების სისტემის კონცეფციის ამოქმედებითაა შესაძლებელი.

Учитель. - 2006. - № 4. С. 74-76.

განათლების გლობალური ხასიათი

განათლების სფეროს საკითხები მეტად აქტუალურია თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინფორმაციული რევოლუცია და საზოგადოებრივი მოწყობის ახალი ტიპის – **ინფორმაციული საზოგადოების** ფორმირება. ინფორმაცია და ცოდნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინა პლანზეა დაყენებული. განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები მჭირდოდაა იმ პროცესებათან დაკავშირებული, რომელთაც ადგილი აქვთ მსოფლიო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. განათლებას უდიდესი როლი გააჩნია ცივილიზაციის პროცესში; ის უკვე გადაიქცა მსოფლიოს ქვეყნების შეჯიბრების ფაქტორად და ტრანსნაციონალური განათლების სახე აქვს მიღებული. ტრანსნაციონალური განათლება გეოპოლიტიკის ერთ-ერთი საშუალებაა.[39]

განათლების განვითარების მნიშვნელობან თვისებას მისი გლობალური ხასიათი წარმოადგენს. ეს თვისება ასახავს თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრალური პროცესების არსებობას, ინტენსიურ ურთიერთქმედებას ქვეყნებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. განათლებამ მაღალგანვითარებული ქვეყნების ეროვნული პრიორიტეტებიდან მსოფლიო პრიორიტეტების კატეგორიაში გადაინაცვლა. მსოფლიოს ლიდერები სხვადასხვა რეგიონში ცდილობენ გააკონტროლონ საგანმანათლებლო კომპლექსები ავრცელებენ რა ამ ქვეყნებისათვის სპეციალურად შემუშავებულ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს. ამით საზოგადოებრივ ინტელექტში იქმნება რეციპიენტის დონორ ქვეყანაზე დამოკიდებულება.

თანამედროვე ცივილიზაცია განვითარების პრინციპულად ახალ ინფორმაციულ საფეხურზე გადავიდა, სადაც მსოფლიო ტენდენციების წამყვანად სოციალური და კულტურული პროცესების გლობალიზაციაა აღიარებული. თუმცა გლობალიზაციამ დადებით მხარეებთან ერთად მთელი რიგი სერიოზული პრობლემები გამოიწვია: სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და მორალური. თანამედროვე ცივილიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც მიღებულ იქნა 1992 წელს გაეროს კონფერენციაზე რიო დე ჟანეიროში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში განათლების ახალი კონცეფციის შემუშავისა და განხორციელების საჭიროება დადგა, რომელიც XXI საუკუნის პერსპექტივებს წინ გაუსწრებდა.[40] ასეთი კონცეფციები შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა კიდეც

---

[39] **Ярская В., Лошакова И., Зайцев Д., Шалаева Л., Григорьева О.,** Социология Образования, раздел третий, Саратов, 2004. с. 23-25.

[40] **Соуза Э.Г.** Университет ООН: глобальная миссия // Перспективы: вопросы образования. Париж: ЮНЕСКО, 1990" N3 . с. 10.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. განათლების სფეროში გლობალურ მისიას ახორციელებს **გაეროს უნივერსიტეტი** (ქ. ტოკიო), რომელიც 1975 წელს დაარსდა და გაეროს სისტემის ნაწილს წარმოადგენს. ეს უნივერსიტეტი უნიკალური საგანმანათლებლო კვლევითი სტრუქტურაა, რომელიც ცნობილ მეცნიერთა საზოგადოებას აერთიანებს და სხვადასხვა ფუნქციას ანხორციელებს, მათ შორის მსოფლიო პრობლემების შემუშავებასა და ახალი კონცეპტუალური მიდგომების ძიებას.[41]

განათლების მოდერნიზაციის მიზნების, ფორმებისა და საშუალებების დამუშავებასა და ყოველმხრივ ანალიზს იუნესკო ანხორციელებს. განათლების სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობა წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და იუნესკოს საქმიანობის ერთ-ერთ არსებით მხარეს.

ევროპის სივრცეში შემავალი ქვეყნების დაახლოება, ბოლონიის პროცესში ჩართვა, საკრედიტო სისტემის შემოღება, ინოვაციური ტიპის სასწავლო დაწესებულელების განვითარება განათლების ახალი ფენომენისადმი ახალ მიდგომას აყალიბებს. საერთაშორისო მასშტაბით კონვეგერციის პროცესი (იდეების, უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური მოდელების დაახლოება) შესაძლოა კიდევ უფრო გაღრმავდეს. ამაზე მოწმობს განათლების ახალი საერთაშორისო მოდელის ფართო გავცელება, სადაც განათლების სხვადასხვა სისტემებში ერთიანი სტრუქტურისა და პრაქტიკის შემოღება შეინიშნება. ამის შესაბამისად განათლების ახალი მოდელი უნდა იყოს დემოკრატიული, რელევანტური, უწყვეტი და მოქნილი.[42]

საერთაშორისო თანამშრომლობა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის სფეროშიც ხორციელდება. ასეთი თანამშრომლობის მაგალითს განათლების სფეროში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინფორმაცია და თეორიული ცოდნა სახელმწიფოთა სტრატეგიულ რესურსია და განათლების განვითარების დონესთან ერთად მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ცალკეული ქვეყნის სუვერენიტეტს და ეროვნულ უსაფრთხოებას. აცობრიობის დიდი ნაწილისათვის განათლება ჩამორჩენილობის დაძლევის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ინდუსტრიალურიდან ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლამ შესაძლოა უკიდურესად გაამწვავოს თანამედროვეობის ერთ-ერთი გლობალური პრობლემა – განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობის დაძლევა. განვითარებად ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის მიზნით აუცილებელია ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რისთვისაც საჭიროა თანამედროვე ტექნიკურ სისტემები და განსაზღვრული ცოდნა, სიახლეები. ინფორმაციული საზოგადოების

---

[41]United Nations University. http://unu.edu/about/

[42] **Ярская В., Лошакова И., Зайцев Д., Шалаева Л., Григорьева О.,** Социология Образования, раздел третий, Саратов, 2004. с. 28.

ჩამოყალიბება მოითხოვს განვითარებადი ქვეყნების ადამიანური, ინტელექ-ტუალური პოტენციალის ხარისხობრივ ამაღლებას და სწორედ ამით განათლების სფეროს საზოგადოებრივი განვითარების წინა პლანზე აყენებს. განათლების პრობლემების გადაწყვეტაზეა დამოკიდებული (რაც ყოველთვის მწვავედ იდგა ამ ქვეყნებში და განსაკუთრებით ბოლო ათლეულებში გაღრ-მავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების ძლიერ განვითარების შედეგად) განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექ-ტივები, მსოფლიოში ჩამორჩენილობის დაძლევის გლობალური პრობლემა.

თანამედროვე განათლების ახალი ტენდენცების განხილვისას შეუძლებელია არ შევეხოთ ორი გლობლური პროცესს, რომლებიც ერთის მხრივ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და მეორეს მხრივ, ურთიერთ-დაკავშირებულნი არიან და ურთიერთს ავსებენ. ეს არის განათლების **დივერ-სიფიკაცია** და **ინტერნაციონალიზაცია.** დივერსიფიკაცია დაკავშირებულია ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციების მინიჭებასთან, განათლების ახალი მიმართულებების ახალი კურსებისა და დისციპლინების, ახალი დისციპლინათაშორისი პროგრამების შემოღებასთან. ხდება განათ-ლების მართვის სისტემის, სასწავლო დაწესებულელების სტრუქტურისა და მათი დაფინანსების საკითხის რეორგანიზაცია.

განათლების ინტერნაციონალიზაცია კი პირიქით, მიმართულია ეროვ-ნული სისტემების დაახლოებისაკენ, მათში საერთო უნივერსალური კომპონენტებისა და კონცეფციების განვითარებისაკენ, რაც ეროვნული კულტურების მრავალფეროვნებაზეა დაფუძვნებული და მათ ურთიერთ-გამდიდრებას უწყობს ხელს.[43] ინტერნაციონალიზაციის ინსტრუმენტად გვევლინება სტუდენტების, მასწავლებლებისა და მკვლევარების გაცვლა, დიპლომებისა და სამეცნიერო ხარისხების აღიარება, განათლების ზოგადი სტანდარტი და სხვ. ევროპის ქვეყნების უმაღლესი განათლების სფეროში ინტ-ეგრაციული პროცესების მაგალითს წარმოადგენს ერაზმუსის და სხვა პროგრამები.

უნდა ღინიშნოს ისიც, რომ ინტერნაციონალიზაცია არ უნდა მივიჩნიოთ როგორც განათლების უნივერსალიზაცია ანუ როგორც იდენტური ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის შექმნა. უფრო მეტიც, ინტერნაციონალიზაციის პროცესი ხელს უწყობს განათლების ეროვნული სისტემების განვითარებას, სტიმულს აძლევს რა მათ განათლების ერთიანი უმაღლესი სტანდარტების მიღწევაში. რაც შეეხება ასეთი სტანდარტების მიღწევების საშუალებებს, თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად განსაზღვრავს და ირჩევს მათ თავისი შესაძლებლობების კულტურისა და საგანმანათლებლო ტრადიციების თავისე-ბურებებთან შესაბამისობაში.

---

[43] **Купцов О.В.,** Непрерывное образование его структура. // Высшее образование в Европе. Том XVI. N1, 199, 29-30.

ამრიგად, განათლების დივერსიფიკაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესები არ არიან წინააღმდეგობრივნი, პირიქით ერთმანეთს ავსებენ, განსაზღვარვენ რა განათლების განვითარებას და უმაღლესი სტანდარტების მიღწევაში შეაქვთ დიდი წვლილი. საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის ნებისმიერი გლობალური პრობლემის გადაჭრა, რაც დაკავშირებულია ადამიანისა და სოციუმის სულიერ-მორალურ მსოფლმხედველობით პოტიენ-ციალთან, განათლების სფეროში ძირეული ცვლილების მიუხედავად არ ხერ-ხდება, რაც შესაძლებელია მხოლოდ განათლების სხვადასხვა სისტემების ინტეგრაციის საშუალებით, რა თქმა უნდა, ეროვნული თავისებურერებისა და ტრადიციების შენარჩუნების საფუძველზე.

ზრდასრულთა განათლება

ზრდასრულთა სოციალური განათლების კონცეფცია

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ჰუმანიტარული ცოდნის სპეციალისტები კონსტატირებდნენ, რომ მთელ კაცობრიობას სოციალური და პროფესიო-ნალური კონპეტენციის კრიზისი დაუდგა, რომლის არსიც ადამიანის გარშემო სამყაროში განვითარებულ ცვლილებებთან გამკლავების შესაძლებლობის მყისიერ ჩამორჩენაში მდგომარეობს ამ ცვლილებების ტემპიდან გამომდინარე. ეს კრიზისი არც მსოფლიო განვითარების ქვეყნებს ასცდა, რომლებიც XXI საუკუნეში ძლიერ მყისიერ ტრანსფორმაციულ პროცესებს განიცდის.

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების წინაშე ბევრი მათთვის ახალი და სერიოზული პრობლემა წარმოიშვა. ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, დემოკრატიული პროცესები საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთის მხრივ, პიროვნების სხვადასხვა ყოფით სფეროებში იდეურ-ესთეტიკური პლურალიზმის გამომჟღავნება, მეორეს მხრივ, თვითრეალიზაციის შესაძლებლობების გამოჩენამ და ახალი ინფორმაციული სოციალური და პროფესიონალური სიტუაციის წარმოქმნამ გამოიწვია ლიბერალური საბაზრო ურთიერთობისაკენ მიმართული ეკონომიკის ცვლი-ლება, ტრანსფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბება, სახელმწიფო განათლების ახალი სისტემის წარმოქმნა, რომელიც აქამდე ორ ფუნქციას ასრულებდა - სამუშაო ძალის მომზადებას და ახალი თაობის სოციალიზაციას.

მთელი ცხოვრების მანძილზე ზრდასრულების სოციალური განათლების აქტუალურ და ფსიქოლოგიურ კონსულტაციებთან ერთად, განათლება მოწოდებულია მისცეს მას საჭირო პედაგოგიური მხარდაჭერა.

საზოგადოება XXI ს-ში განათლების ადეკვატურ დონეს ითხოვს. ამით განპირობებულია მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის მოზღვავებული ყურა-

დღება თავიანთი განათლების სისტემის, მათი მოდერნიზაციის მიმართ დიდი ეფექტურობის მიღწევის მიზნით. ტრადიციული საბაზისო განათლების მოდელის ნაცვლად განვითარებულ ქვეყნებში შეიქმნა უწყვეტი განათლების სისტემა.დასავლელი საგანმანათლებლო სფეროს სპეციალისტები 40 წლის წინ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო იმ დროს არსებული საგანმანათლებლო პოლიტიკის პარადიგმის ცვლილება. ამან გამოიწვია ის, რომ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით პრიორიტეტული ზრდასრულთა განათლება გახდა.

თანამედროვე პერიოდში უწყვეტი განათლების აუცილებლობა საყოველთაოდ აღიარებული საჭიროებად იქცა, ხოლო ევროკავშირში ის განიხილება, როგორც სოციალური მოდელის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. ”იუნესკოს” უწყვეტი განათლების ძირითად პოსტულატებია: აღქმის შესწავლა; ერთად ცხოვრების სწავლა და სწავლება. მოხდა როგორც სხვადასხვა, აგრეთვე აქამდე არარსებული განათლების სახეების ინსტიტუციონალიზაცია. იუნესკომ შემოიღო სპეციალური განათლების სხვადასხვა დონეების ტერმინოლოგია: ფორმალური, არაფორმალური, ინფორმალური განათლება.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეეჩეხნენ კრიზისულ მოვლენებს და პრობლემებს, რომლის ძირითადი მიზეზი მოქალაქეების სოციალური და პროფესიონალური კონპეტენტობის კრიზისია. ეს კრიზისი, რომელიც ათასწლეულების ზღვარზე თავს დაატყდა მთელ კაცობრიობას, განსაკუთრებით მძაფრად ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში გამოისახა, რომელმაც სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციები განიცადა. თანამედროვეობის ძირითადი მიზანია ადამიანს შეეძლოს გაუმკლავდეს ცვლილებებს, რომელიც მის ირგვლივ სამყაროში ვითარდება.

ადამიანები შეეჩეხნენ უამრავ პრობლემას, როგორიცაა: საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობებთან გადასვლა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროს დემოკრატიული პროცესების დაწყება, იდეურ-ზნეობრივი და პლურალიზმის დადგომა, პიროვნების თვითრეალიზაციის არაერთი გამოხატვის შექმნა ცხოვრების სხვადახვა სფეროში, სოციალური გარანტიების შეცვლა, რაც ქმნის ახალ ინფორმაციულ, სოციალურ და პროფესიონალურ გარემოს, რომელშიც სამწუხაროდ სულ აქამდე შექმნილი სოციალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური სტერეოტიპები არ მოქმედებს. ეს წარმოქმნის კრიზისებს. „კრიზისი” ბერძნულად ნიშნავს გადაწყვეტილებას, რომელშიც ადამიანმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი და საპასუხისმგებლო არჩევანი, იზრუნოს მის რეალიზაციაზე, რაც პიროვნებისგან სოციალური კონპეტენციის ახალ დონეს მოითხოვს.

დღეს ზრდასრული ადამიანის პირველი პრობლემა გახდა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში განვითარებული ცვლილებების ტემპებისაგან მისი კონპეტენციის ჩამორჩენა. მოცემული წინააღმდეგობა განსაკუთრებით მძაფრდება კრიზისულ სიტუაციებში, ამიტომაც იზრდება ზრდა-

სრულთა რიცხვი, რომლებიც აპირებენ განათლების მეშვეობით მოაგვარონ ყოფითი პრობლემები. დღეს მტკიცდება ფრანგი საზოგადოებრივი მოღვაწის ედგარ ფორომის (1972წ.) მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სწავლა არსებობისთვისაა აუცილებელი. ადამიანების ეს მისწრაფება ეხება საგანმანათლებლო ინსტიტუტების, კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების ნაკლებობას, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ მათი სოციალური და პროფესიონალური, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მოთხოვნილებები.

რაც უფრო განვითარებული ხდება საზოგადოება, მით უფრო განვითარებულ სივრცეში შედის პიროვნება, მით მეტ პიროვნულ რესურსს ითხოვს მისი საქმიანობა. ეს ვითარება ადამიანის სოციალიზაციის პროცესს ართულებს, როგორც სტრუქტურული შემადგენლობით, ისე ტქნოლოგიურ დონეზე, რაც მისი პიროვნული ხარჯების გაზრდას იწვევს.

XX-XXI სს-ში განვითარებულ ქვეყნებში არსებულმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ შესაძლებლობა მოგვცა არ შეიზღუდოს განათლების მიღების დრო. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ ყოველდღიურ ცხოვ-რებაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ, ახალი პრინციპების დანერგვამ, ახალი პროფესიების გამოჩენამ საზოგადოება პროფესიონალური კვალიფიკაციისა და სოციალური კონპეტენტურობის რეგულარულად ამაღლების საჭიროების წინაშე დააყენა.

თანამედროვე პერიოდი ხასიათდება სოციალური ცხოვრების ძლიერი აჩქარებით. საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების, მრავალფეროვანი სახალხო მოძრაობების და პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება, სხვადასხვა აზრის და მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობის გაფართოება - ყველა ეს ფაქტორი უბიძგებს ადამიანს აითვისოს და გააანალიზოს ინფორმაციის მზარდი მოცულობა, განსაზღვროს თავისი პოზიცია. წინანდელთან შედარებით სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული კითხვების რაოდენობა ბით მეტია, ამისთვის აუცილებელია განათლების გაცილებით მაღალი დონე და სოციალური განათლება.ბოლო პერიოდში დროდადრო შექმნილმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ის, რომ ხალხის დიდმა ნაწილმა დაკარგა სამსახური. მათი დასაქმების ერთ-ერთი ოპტიმალური გზა რომელიმე სხვა პროფესიონალური საქმიანობისთვის გადამზადებაა.

სისტემური სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში რთული ცვლილებებს აქვს ადგილი, ხდება საზოგადოების და სოციალური ჯგუფების მორალურ-ფსიქოლოგიური ნორმების გარდატეხა. ასეთ პერიოდში, როგორც წესი, საგრძნობლად იზრდება საზოგადოების ცხოვრების ზნეობრივი წილი, ძლიერდება მისი ყურადღება პრობლემების მიმართ. ამას თავის დროზე მივ-ყავართ ადამიანის აღზრდის მწვავე პრობლემისაკენ, განსაკუთრებით მოზარ-დი თაობის აღზრდასთან, რამაც ზრდასრული ადამიანების ეთიკისა და პედაგოგიკის საფუძვლების შესწავლის აუცილებლობა გამოიწვია.

ზრდასრულთა განათლების არსი და მასთან დაკავშირებული ცნებები

ზრდასრულთა განათლება, ეს არის კომპლექსური და მრავალწახნაგოვანი ასპექტების მომცველი არაფორმალური განათლების მოდელი, რომელიც თავის თავში ადამიანთა როგორც პიროვნულ, ასევე სოციალურად განვითარების საკითხებს აერთიანებს. ეს არ გახლავთ განათლება განათლებისთვის, დიპლომისათვის, რომელიც მიიღება და შემდეგ შესაძლოა საერთოდ ვერ გამოიყენოთ იგი. განათლების ეს ფორმა ძირითადად პიროვნული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული და მას ადამიანი კონკრეტული ინტერესებიდან, მიზნებიდან მოთხოვნებიდან გამომდინარე მიმართავს. ეს პიროვნება შესაძლოა იყოს უმაღლესი განათლების მქონეც, რომელიც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მიხვდა, რომ საკუთარ პროფესიაში სათანადოდ ვერ რეალიზირდება და უჩნდება სურვილი შეისწავლოს რაღაც ახალი, უფრო პრაქტიკული და რეალურად საჭირო საქმე. როგორც წესი, ეს ხდება ზრდასრულ ასაკში, ფორმალური განათლების ასაკიდან (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი) და სპექტრიდან გამოსვლის შემდეგ და ამიტომაც უწოდებენ ასე - "ზრდასრულთა განათლება". [44]

ევროპაში მას ხშირად ახალგაზრდებიც მიმართავენ. სკოლადამთავრებულთა დიდი ნაწილი იქ იმთავითვე პროფესიული განათლების გზას ირჩევს, შეისწავლის მისთვის საინტერესო სპეციალობას და შემდეგ ამ ხელობით იმკვიდრებს ადგილს ცხოვრებაში და ეს მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდების უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებს ესწრაფვის, შემდგომ კი მიუხედავად დიპლომისა დასაქმების პრობლემის წინაშე მაინც დგებიან. ამგვარად, ზრდასრულთა განათლებას შეუძლია შეუძლიათ მათაც მიმართონ, ვინც პირველ არჩევანს აკეთებს პროფესიაში და მათაც, ვისაც შემდგომ დასჭირდა ცოდნის და შრომითი უნარების გაღრმავება, კვალიფიკაციის ამაღლება თავის საქმეში ან ახალი პროფესიის ათვისება. თუმცა, გარდა იმისა, რომ ზრდასრულთა განათლება უპირველესად პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, რაც 80 წლის მოხუცსაც კი აძლევს საშუალებას, სურვილის შემთხვევაში, მიაკითხოს ზრდასრულთა განათლების ცენტრებს და სურვილისამებრ მიიღოს პროფესიული განათლება, ის აგრეთვე იძლევა საშუალებას ახალი უნარებისა და ხელობის ათვისების გზით ახალი საქმის წამოწყებისას პიროვნებამ შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების უკეთესად რეალიზირება, დასაქმება და შემოსავლის წყაროს გაჩენა.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, როცა საზოგადოებას ეკონომიურად

---

[44] ევროკომისია, ევროკომისიის კომუნიკე. სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე და ევროპული რეალობა. 2001. გვ. 69-87.

უჭირს და უმუშევრობის პრობლემაც მწვავედ აწუხებს, განათლების ამ რეფორმას ჩვენში სწორედაც უმეტესწილად დასაქმების მიზნით მიმართავენ ხოლმე და სიღარიბის დაძლევის გზად ესახებად.

ბენეფიციართა უმრავლესობა ისეთი ხელობის ათვისებას ესწრაფვის, რომლითაც შემდეგ დასაქმდება და თავს დაიმკვიდრებს შრომით ბაზარზე. ამიტომაცაა, რომ ზრდასრულთა განათლება ერთობ კომპლექსური და ამორფული თემაა, რომელიც თავის შესაძლებლობებით საზოგადოებრივი ცხოვრების ლამის ყველა სფეროში შედის და ამდენად, მისი მნიშვნელობაც საკმაოდ დიდია.

არსებობს ზრდასრულთა განათლების რამდენიმე დეფინიცია, მათგან ყველაზე უფრო ფართოა „**ზრდასრულთა სწავლებისა და სწავლის სისტემა“.** გამომდინარე საქართველოში არსებული რეალობიდან (წიგნიერების თითქმის 100%-ანი ხარისხი, ფორმალური განათლების ტრადიციული და მომცველი სისტემა), ზრდასრულთა განათლება განიხილება, როგორც საბაზო განათლების მქონე ზრდასრული ასაკს მიღწეულ პირთა განათლება.

1997 ჰამბურგში ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო CONFINTEA V-ის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ზრდასრულთა განათლება შემდეგნაირად არის განმარტებული: ის “წარმოადგენს ფორმალური ან არაფორმალური განათლების იმ სფეროებს, სადაც ადამიანები, რომლებსაც საზოგადოება მიიჩნევს ზრდასრულად, განავითარებენ თავის უნარებს, იმდიდრებენ ცოდნას, იმაღლებენ თავიანთ ტექნიკურ თუ პროფესიულ კვალიფიკაციას ან მიმართავენ მათ ახალი მიმართულებით, რათა მოახდინონ მათი თანხვედრა საკუთარ და საზოგადოების (ბაზრის) მოთხოვნებთან”. ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილმა მომდევნო საერთაშორისო კონფერენციამ CONFINTEA VI-მა ბელემში (ბრაზილია) ზრდასულთა განათლებას მცოდნე (ინფორმირებული) საზოგადოების და ცოდნის ეკონომიკის ჩამოყალიბებაში პრიორიტეტული მნიშვნელობა მიანიჭა და მონაწილე ქვეყნების მთავრობებს, მათ შორის საქართველოს მოსთხოვა, შეასრულონ კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც ძირითადად ზრდასრულთა განათლების როლის გაზრდას ეძღვნება გლობალური გამოწვევების პირობებში.

ზრდასრულთა განათლება არის „განათლების ნებისმიერი პროცესი, რომელიც შექმნილია იმ ადამიანებისთვის, ვისაც ასაკიდან გამომდინარე მუშაობის, ხმის მიცემის, ქორწინებისა და ჯარში სამსახურის უფლება აქვს “.

ფორმალური განათლება გულისხმობს (ზრდასრულთა შემთხვევაში) პროფესიულ სკოლებსა და უნივერსიტეტებში აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად მიღებულ განათლებას და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) მიღებას ითვალისწინებს.

არაფორმალური განათლება გულისხმობს სწავლების კურსის დამთავ-

რების სერტიფიცირებულ, არადიპლომირებულ შეფასებას და ნიშნავს ორგანიზებულ, სტრუქტურირებულ და მიზანმიმართულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, ანუ სწავლის პროცესს, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების (სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლება) მიღმა (მაგალითად, ტრენინგებზე). არაფორმალური განათლების მიღება არ ხდება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად და არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუ-მენტის მიღებას;

ინფორმალური განათლება გულისხმობს მიზანმიმართულ, მაგრამ ნაკლებად ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ სწავლის პროცესს, რომლის შეფასების მიზნით არ გაიცემა დიპლომა ან სერტიფიკატი (ან გაიცემა სიმბო-ლური ხასიათის მატარებელი დიპლომი და სერტიფიკატი). ასეთი პროცესი შეიძლება ოჯახში, სამუშაო ადგილას, ან ყოფით გარემოში მიმდინარეობდეს.

ზრდასრულთა ტრენინგი გარკვეული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენას ემასახურება. მას გააჩნია კონკრეტული მიზნები, გააუმჯობესოს ადამიანთა ჯგუფის ნიჭიერება, გონებრივი თუ ფიზიკური უნარები და მოქმედება მათთვის სასარგებლო მიმართულებით.

ყველა ზემოაღნიშნული სასწავლო პროცესი უნდა მოიცავდეს სწავლის გარკვეულ სტრატეგიას, რომელიც ზრდასრულებისთვისაა გათვალი-სწინებული, ხოლო თვითონ პროცესს, რომელიც ზრდასრულ მსმენელებს სწავლის ამ სტრატეგიებთან აკავშირებს, სამეცნიერო წრეებში **ანდრაგოგიკას** უწოდებენ.

ტერმინი **ანდრაგოგიკა** გერმანელმა პედაგოგიკის ისტორიკოსმა ***ა. კაპმა*** თავის ნაშრომებში ზრდასრულთა განათლების შესახებ ჯერ კიდევ 1833 წელს, ტერმინ "პედაგოგიკის" ანალოგად შემოიტანა. ბერძნული წარმოშობის სიტყვების "ანდროს" – მამაკაცი და "აგოგეინ" – ტარება, შერწყმით. შიტყვა-სიტყვით თუ გადავთარგმნით, ანდრაგოგიკა ნიშნავს "ზრდასრული ადამიანის მცოდნეობას," მაგრამ ვინაიდან ტერმინი ანდრაგოგიკა გაჩნდა პედაგოგიური მოღვაწეობის სინამდვილეში, საუბარია ზრდასრული ადამიანის მცოდნეობაზე განათლების ჭრილში. ტერმინების "პედაგოგიკა" და "ანდრაგოგიკა" ნათესაობა და ურთიერთკავშირი მრავალი წელია, პროფესიული კამათის საგანია და რადგან აზრობრივი მემკვიდრეობა პედაგოგიკისგან მიიღო და ადამიანის განათლებას ეხება, მეცნიერების უმეტესობა დღემდე მას აღიქვამს, როგორც პედაგოგიკის ერთ-ერთ მიმართულებას. სხვები მას მიიჩნევენ სოციალური პრაქტიკის სფეროდ, სასწავლო დისციპლინად, ერთი ნაწილი მეცნიერული ცოდნის ცელკე სფეროდაც მიიჩნევს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდრაგოგიკა, როგორც ზრდასრულთა განათლების შემსწავლელი პედაგოგიური მეცნიერება, დიდი ხანია, ქართველი მკვლევარების ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან ის უშუალო კავშირშია ადამიანური კაპიტალის განვითარების საქმეში.

აკადემიკოს ***ა. ბოდალევის*** (რუსეთი) აზრით, ზრდასრულთა ასაკობრივი

გრადაცია რამდენიმე სტადიას მოიცავს: 1) ადრეული ზრდასრულობის ასაკი (18-30 წ.), როდესაც ადამიანი ეცნობა და ასრულებს თავის იურიდიულ და სოციალურ მოვალეობებს; 2) საშუალო ზრდასრულობის ასაკი (30-45 წ.), როდესაც ადამიანი სრულყოფს და ასრულებს თავის პროფესიულ და სოციალურ მოვალეობებს; 3) გვიანი ზრდასრულობის ასაკი (45-55 წ.), როდესაც ადამიანი მაღალკვალიფიციური ხდება თავისი პროფესიული და სოციალური ფუნქციის შესრულებაში; 4) წინა საპენსიო ასაკი (55-65 წ.), ეს პერიოდი ხშირად მოტივაციის ცვლილებებით აღინიშნება; 5) საპენსიო ასაკი (60-65 წლის და ზევით).

ზრდასრული ადამიანები გამოირჩევიან იმით, რომ მათ შეუძლიათ აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე; შეუძლიათ ცვალებად პირობებეთან ადაპტირება; აქვთ მოტივაცია და გააჩნიათ გარკვეული გამოცდილება, ანუ შესაბამისი ცოდნის ბაზა; შეუძლიათ კრიტიკის მიღება; აქვთ შედარებით მაღალი პროფესიული, მორალური და ეთიკური სტანდარტები; აქვთ სურვილი, გაიუმჯობესონ სოციალური პირობები; კარგად აცნობიერებენ იმ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებს, რომლებშიც უწევთ მუშაობა.

ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის დროს ზემოთ მითითებული ასაკის ზრდასრული მსმენელები კონცენტრირებულნი არიან, აქვთ მზაობა და სწავლის სურვილი, ისწრაფვიან თვითრეალიზაციისკენ, ანუ მოტივირებულნი არიან. სწავლება მიმდინარეობს სწორად და შეესაბამება მათ გამოცდილებას, ცოდნასა და აღქმის უნარს და ბოლოს, ზრდასრული მსმენელები აქტიურად არიან ჩართულნი ერთობლივ მუშაობაში.

ზრდასრულთა განათლების პრინციპები ეხმარება პრაქტიკას, რომელიც ეხება დაგეგმვას, პრაქტიკაში გატარებასა და ზრდასრულთა განათლების აქტივობების შეფასებას. სწავლის პროცესის შემსუბუქების მიზნით ზრდასრულთა განმანათლებლებს უნდა ესმოდეთ ზრდასრულთა სწავლების პროცესი. ზრდასრულთა ტრენინგების ორგანიზების პროცესებში ზრდასრულთა განათლების პრინციპები სახელმძღვანელოა გადაწყვეტილების მიღებისთვის. ასეთ გადაწყვეტილებებზე კი დამოკიდებულია ზრდასრულთა განათლების შედეგების ეფექტურობა, რაც, თავის მხრივ, ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების გარანტიაა.

ზრდასრულთა განათლების ისტორია საქართველოში

ზრდასრულთა განათლების ისტორია ანტიკური ხანიდან იღებს სათავეს, მაგრამ ინსტიტუციურ სახეს მე-18 საუკუნეში ღებულობს. პირველი სახალხო უნივერსიტეტები გაჩნდა სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, პოლონეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ხშირად ამ მიმართულების განვითარება ქვეყანაში მოსახლეობის ეროვნული ან სოციალური თავისუფლების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული. დიდი როლი ეკავა ზრდასრულთა განათლების განვითარების საქმეში ეკლესია-მონასტრებს. განათლების ამ სისტემის დეგრადაცია კი, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის ოკუპაციასთან, ან კომუნისტური სისტემის დამკვიდრებასთან იყო დაკავშირებული.

ზრდასრულთა განათლებას გარკვეული ფორმით ჯერ კიდევ ძველ საქართველოში ეწეოდნენ. მაგალითად, ცნობილი რიტორიკის სკოლა კოლხეთში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე, პეტრე იბერის სირიული სკოლა ადრე ქრისტიანულ ხანაში და სხვ. მე-4 საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის (317—188 წწ) ერთ-ერთ წერილში წერია, რომ ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად რიტორიკის სკოლა არებობდა, სადაც თემისტიოსის მამას და თვით მასაც „რიტორიკული განათლება“ მიუღიათ. აღნიშნული სასწავლებლიდან იმდენად განათლებული და განსწავლული პირები გამოდიოდნენ, რომ თურმე რიტორიკაში დახელოვნებულ ბერძნებს ეჯიბრებოდნენ და ჯობნიდნენ კიდეც. სამწუხაროდ, არ არსებობს ცნობები იმის შესახებ, თუ რა სახის პროგრამით მიმდინარეობდა სწავლება ან ვინ ასწავლიდა კოლხეთის „რიტორიკის სასწავლებელში“.

იმდროინდელი მსოფლმხედველობის შემცველმა ცნობებმა ფრაგმენტულად მოაღწია ჩვენამდე და მთლიანობაში მათი მოძღვრების გააზრების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ თავისთავად ორატორობა, აშკარაა, გარკვეული უნარების ცოდნას მოითხოვდა. ცნობილი რომაელი ორატორისა და პოლიტიკური მოღვაწის, ციცერონის შეხედულებით, ორატორი უპირველესად დაუფლებული უნდა ყოფილიყო ფილოსოფიურ მეცნიერებებს. მისი მოსაზრება გაიზიარა და განავითარა პირველი საუკუნის ცნობილმა ფილოსოფოსმა კვინტილიანემ. კვინტილიანეს მიხედვით, აღსაზრდელი ჯერ გრამატიკულ სკოლაში უნდა სწავლობდეს, ხოლო რიტორიკულ სკოლაში სწავლის ვადა განსაზღვრული არ არის. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ საამისოდ რამდენად მომზადებული იქნება მოსწავლე. ამ შემთხვევისთვის მოსწავლის ასაკი კი არაა აღებული კრიტერიუმად, არამედ სწავლაში წარმატება.

ადრეული ხანის ქართული აზროვნებითი კულტურის შესწავლა რთულდებოდა გარკვეული ისტორიული ვითარებისა და მასალები ნაკლებობის გამო. ყოველი რელიგიურ-იდეოლოგიური მიმდინარეობა ხშირად პოლიტიკურ ელფერს იღებდა. ასეთი რთული პოლიტიკური ვითარების გამო გარკვეული პერიოდისათვის ზრდასრულთა სწავლა-განათლების შესახებ ცნობების

ამოკრება მხოლოდ გვიანდელი მეტაფრასული თხზულებებიდან თუ შეიძლება (IX-Xს.ს.)

რა თქმა უნდა, ადრეფეოდალური ხანის ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ისტორიული აზროვნება, რომელიც თავის მხრივ, XI-XII საუკუნეების საქართველოს კულტურული აღორძინების მომამზადებელი ეტაპი იყო, გარკვეული ტრადიციული გზის გაგრძელება უნდა ყოფილიყო ამ მიმართულებით.

ზრდასრულთა განათლებამ, როგორც განათლების ცალკე სფერომ საქართველოში XIX საუკუნის 60-80 წ.წ. იჩინა თავი და თანდათან პოპულარობაც მოიპოვა. ამის წინაპირობები იყო: ბატონყმობის მოსპობა და კაპიტალიზმის პირველი ჩანასახის გამოჩენა ქვეყანაში; ქართული ინტელიგენციის მიერ ევროპაში მიღებული განათლება; რუსი დემოკრატების ზეგავლენა; და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.

ზრდასრულთა განათლების იდეას აღიარებდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც მიზნად დაისახეს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის განათლების და კულტურული დონის ამაღლება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძემ სამოციანელთა სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად, როგორიც არიან აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები, დააფუძნა რამდენიმე საგანმანათლებლო საზოგადოება, მათ შორის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ პერიოდში საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება სახალხო განათლების ინსტიტუტებისადმი გამოწვეული იყო კლასობრივი ომისა და სისტემის შეცვლით, ევროპული გამოცდილების გაზიარებით, უპირატესობას ანიჭებდნენ ზრდასრულთა სახალხო განათლების იმ ასპექტს, რომ შედარებით მცირე სახსრებით შეიძლებოდა მოსახლეობაში პროგრესული იდეების, ელემენტარული და საბაზო ცოდნის გავრცელება და ამით კულტურული დონის ამაღლება.

ქართველი განმანათლებლები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რუსეთისა და ევროპის ქვეყნების გამოცდილებით. მათ ზრდასრულთა განათლების განვითარებაში შექონდათ საკუთარი წვლილიც რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განათლებისა და კულტურის ისეთი მოღვაწეების შრომებს, როგორებიც არიან: იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, იაკობ ნიკოლაძე, რაფაელ ერისთავი და სხვა. მათი დაუღალავი შრომის წყალობით იხსნებოდა დამატებითი განათლების სკოლები, ბიბლიოთეკები, სახალხო უნივერსიტეტები, ეთნოგრაფიული მუზეუმები დ სხვა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქართული გაზეთების გვერდებზე ჩნდებოდა სტატიები და ჩანაწერები, რომლებიც ზრდასრულთა განათლებას ეძღვნებოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა ეგნატე ნინოშვილის „როგორი განათლება გვჭირდება'' (1893 წ.) და იაკობ გოგებაშვილის „როგორ გავაუმჯობესოთ კავკასიური სახალხო სკოლა'' (1903 წ.). აქ საუბარია აუდი-

ტორიის ასაკობრივ თავისებურებებზე, სასწავლო პროცესებისადმი შემოქ-მედებით დამოკიდებულებაზე, საკვირაო სკოლებზე და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, ქართველი განმანათლებლები ამ პერიოდში მსჯელობდნენ ზრდასრულთა განათლების მეცნიერულ ხასიათზე და მის ხელმისაწვდომობაზე; სახალხო უნივერსიტეტების ორგანიზაციულ მხა-რეზე. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სახალხო უნივერსიტეტებში საგნის სწავლების მკაცრად გამოკვეთილი სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულება უნდა ჰქოდნეს.

XX საუკუნის 20-40 წლებში, საბჭოთა ერის დასაწყისში, ზრდასრულთა განათლება ძირითადად მშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრას ემსახურებოდა. 1921 წლის 4 ივლისს გამოიცა საქართველოს „რევკომის'' დეკრეტი „მოსახლეობაში წერა-კითხვის'' ლიოკვიდაციის შესახებ, რომლის მიხედვით 14-დან 50 წლის ასაკის ყველა ის ადამიანი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ვალდებული იყო ესწავლა. ამ მიზნით სახალხო უნივერსიტეტები გაიხსნა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ფოთში, სენაკში,ზუგდიდში, ხონში, თელავში, სიღნაღსა და ახალციხეში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზრდასრულთა საგანმანათლებლო ორგანიზაციები ძირითადად ფართო პროპაგანდული და სამხედრო-პატრიო-ტული სწავლების ადგილად იქცა. ომის შემდგომ პერიოდში გაჩნდა კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-პოლიტიკური განათლების ცენტრების ქსელი, რომელიც შემდგომში საზოგადოება „ცოდნად'' ჩამოყა-ლიბდა. ეს ქსელი სახელმწიფო შეკვეთაზე იყო აგებული და განათლებისადმი ინდივიდუალურ და შემოქმედებით მიდგომას არ ითვალისწინებდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში საზოგადოება „ცოდნის'' სახალხო უნივერსიტეტების რაოდენობა გაიზარდა (139-დან 502-მდე) და ათი ათასობით ადამიანი გახდა მათი მსმენელი. ლექციებს გამუდმებით პოლიტიკური ელფერი დაჰკრავდა და მათზე დასწრება სავალდებულო ხასიათს ატარებდა. საზოგადოება „ცოდნას'' პროპაგანდისტული მიზანი ჰქონდა და მსმენელთა მომზადების ხარისხი არ შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს. საბჭოთა პერიოდის ზრდასრულთა განათლების სისტემა სოციალისტური შრომის პრინციპებზე იყო ორიენტირებული, საბაზრო ეკონომიკის თავისებურებებს არ ითვალისწინებდა და თემატიკაც ხშირად მეორდებოდა. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ზრდასრულთა განათლების სისტემა საბჭოთა პერიოდში არ შედგა.[45]

---

[45] ც. ანთაძე, ლ. ბაქრაძე, თ. ბრეგვაძე, ირინე დარჩია, ლ. ღლონტი, სტრატეგია ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების კონტექსტში, თბ., 2009. გვ. 20.

ამრიგად, ზრდასრულთა განათლება მე-20 საუკუნის საქართველოში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს სახელმწიფოს დაკვეთაზე ააგეს და მიმართავეს მხოლოდ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისკენ. გარდაქმნის პერიოდში გაჩნდა საქართველოში მოღვაწე მკვლევართა პირველი თეორიული პუბლიკაციები დასავლეთში გავრცელებული ზრდასრულთა განათლების მიმართულებების შესახებ, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების თანმდევი კატაკლიზმების გამო, მათ არ მიეცათ საშუალება პრაქტიკულად შეესხათ ხორცი თეორიულად ჩამოყალიბებული იდეებისთვის. მხოლოდ მეორე ათასწლეულის დასაწყისში გახდა შესაძლებელი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით გადაგმულიყო პირველი პრაქტიკული ნაბიჯები.

მერაბ მამარდაშვილის თეორიული ნაშრომების როლი ზრდასრულთა განათლების განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია და მას საქართველოშიც გაუჩნდნენ მიმდევრები. ამ სფეროში თავისი ნამუშევრები გამოქვეყნებული აქვთ პროფესორებს კ. რამიშვილს, ნ. იმედაძეს, ლ. ჩიკვაიძეს, ე. დავითულიანს და სხვა. თუმცა, გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების თანმდევი კატაკლიზმების გამო, მკვლევარებს არ მიეცათ პრაქტიკული ნაბიჯების გაკეთების საშუალება განათლების სისტემაში ზრდასრულთა განათლების განვითარების მიმართულებით.

მხოლოდ 2000 წლიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, გახდა შესაძლებელი ამ მიმართულებით გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარება, რომელშიც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა ახლად შექმნილმა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციების ასოციაციამ. ამ ასოციაციის წევრებმა მოახერხეს და ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრეს ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობისკენ.

2002 წლის ოქტომბერში IIZ/DVV-ის (ახლა უკვე dvv international) წარმომადგენლობის ინიციატივით, საქართველოში პირველად გაიმართა ზრდასრულთა განათლების დღეები დევიზით, "სწავლა სიბერემდე''. მომდევნო 2003 წელს ღონისძიება ფესტივალში გადაიზარდა, რომლის ცენტრალური ღონისძიება ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ორგანიზაციათა პირველი გამოფენა იყო. გამოფენის ფარგლებში მოეწყო ღია გაკვეთილები, სემინარები და მრავალრიცხოვანი პრეზენტაციები ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა თემებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ფესტივალის კულტურულმა პროგრამამაც. მთლიანობაში, ფესტივალში მონაწილე პირთა რიცხვმა 3000-ს მიაღწია. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ზრდასრულთა განათლების ორგანიზატორებმა აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან და სომხეთიდან. 2004 წელს ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილი მთავარი ღონისძიება იყო ივნისში გამართული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ,,ზრდასრულთა განათლება და სწავლება მთელი სიცოცხლის მანძილზე

სამხრეთ კავკასიაში - არსებული ვითარება და განვითარების პერსპექტივები“. კონფერენციაში, რომელიც იუნესკოს განათლების ინსტიტუტისა (ჰამბურგში) და ფონდ ,,ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა, 12 ქვეყნის 120-ზე მეტმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული კონფერენცია საქართველოს ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციებისათვის იქცა სერიოზულ იმპულსად და მათ 2004 წლის ნოემბერში დააფუძნეს საქართველოს განათლების ასოციაცია (AEAG) და პირველად საქართველოში გამოაქვეყნეს მონაცემთა ბაზა ზრდასრულთა განათლების მსურველთათვის. 2005 წლიდან ასოციაცია IIZ/DVV-ის მთავარი პარტნიორი და კვირეულის სრულუფლებიანი თანაორგანიზატორია.[46]

ამავე წელს გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის კავკასიის ფილიალმა საქართველოს განათლების სამინისტროს დაწყებითი პროფესიული განათლების დეპარტამენტთან და პროფესიული განათლების მუშაკთა ასოციაცია “პირამიდასთან'' ერთად გახსნა დამატებითი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი. ასევე, ქალთა ორგანიზაციების კოალიციის განათლების სამუშაო ჯგუფმა გერმანულ ორგანიზაციას IIZ/DVV მხარდაჭერით გამოაქვეყნა საქართველოში დღეს არსებული საგანმანათლებლო ფასიანი კურსების საინფორმაციო ბაზა ზრდასრულთათვის.

2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის შედგა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობს ხელს. გაჩნდა ე.წ. ევროდირექტივები განათლების სფეროში რეფორმების გატარების დროს გასათვალისწინებლად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით. შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად ხორციელდება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამეზობლო გეგმის (ENPAP) განხორციელების ანგარიშის მომზადება. გამომდინარე აქედან, 2009 წელს საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე ბრაზილიაში, CONFINTEA VI. ერთი წლით ადრე კონფერენციისთვის მზადების პროცესში საქართველომ შეიქმნა ზრდასრულთა განათლების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი

[46] საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, მონაცემთა ბაზა. მოამზადა და გამოსცა ორგანიზაციამ IZZ-DVV, თბ., 2004, ISBN 99928- 995- 4- 9.

ინტერსექტოლარული დიალოგი. მასში მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორების წარმომადგენელი დაინტერესებული პირები და მისი მიზანი იყო ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება. კონფერენციაზე საქართველომ სხვა მონაწილე ქვეყნებთან ერთად მიიღო მნიშვნელოვანი მოწოდება ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ეფექტური მოქმედებებისკენ.

ზრდასრულთა განათლება დასავლეთის ქვეყნებში

ზრდასრულთა განათლების ისეთი ფორმები, როგორიც არის ზრდასრულთა არაფორმალური განათლება, დისტანციური სწავლება, განათლება ყველასათვის, განათლება სიცოცხლის მანძილზე, დამატებითი განათლება და სხვ. თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკული საქმიანობაა და უამრავი მკვლევარი მუშაობს თანამედროვე ეტაპზე მათი განვითარებისთვის.

- **The European Association for the Education of Adults (EAEA) -** ზრდასრულთა განათლების ევროპული ასოციაცია ტრანსნაციონალური საზოგადოებრივი გაერთიანებაა, რომლის მიზანია ზრდასრულთა განათლების საკითხებით დაკავებული ორგანიზაციების გაერთიანება და მათი საქმიანობის კოორდინირება.
- **The European Society for Research on the Education of Adults (ESR) -** ზრდასრულთა განათლების კვლევის ევროპული საზოგადოება - ავრცელებს ზრდასრულთა განათლების შესახებ თეორიული და ემპირიული კვლევის შედეგებს.
- **The Adult Education in South-Eastern Europe (EBIS) -** ზრდასრულთა განათლება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში დახმარებას უწევს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ზრდასრულთა განათლების სტრუქტურების ჩამოყალიბებაში. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია IშI-ის მიერ განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ.
- რუსეთის ფედერაციის 89 რეგიონიდან 79-ში საზოგადოება „ზნანიე“ თანამშრომლობს ზრდასრულთა საგანამანათლებლო სტრუქტურებთან პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სფეროში.
- dvv international-ის ფილიალი ტაშკენტში დახმარებას უწევს უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ზრდასრულთა განათლებას ახორციელებს რა ამ ქვეყნებში მრავალრიცხოვან პროექტებს.

სახალხო უნივერსიტეტები და სხვა ზრდასრულთა განათლების ცენტრები ევროპაში სამი ტიპის პროგრამაზე არიან კონცენტრირებული:

- ზოგადი განათლების სასკოლო პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია მათთვის, ვისაც მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვთ მიღებული.
- ისტორიის, იურიდიული, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების სასწავლო პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია მათთვის, ვისაც მიღებული აქვს ზოგადი განათლება.
- პროფესიულ-ტექნიკურ განათლების პროგრამა ყველასათვის, სადაც ასწავლიან, მაგალითად: მშენებლობის ტექნოლოგიებს, სარემონტო ტექნოლოგიებს, ბუღალტერიას, წიგნით ვაჭრობის საქმეს და სხვ.

გაიზარდა მოთხოვნა თემაზე ორიენტირებულ სასწავლო საგნებზე, რის საფუძველზეც გაიხსნა სასწავლო კურსები საბუნებისმეტყველო, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის საკითხების, ხელოვნებისა და კულტურის შესასწავლად. გაიზარდა ზრდასრულთა განათლების მიღების მსურველთა ასაკიც. ევროპის ქვეყნებში საპენსიო ასაკის ადამიანები ხშირად სწავლობენ ახალ უნარებს და საჭიროების ან სურვილის შემთხვევაში მომსახურების სფეროში იწყებენ მუშაობას.

ჩამოყალიბდა მეცნიერული მიმდინარეობაც, რომელიც მუშაობს ზრდასრულთა განათლების კვლევაზე და რომლის მთავარი ამოცანაა უფრო დეტალურად დააზუსტოს ზრდასრულთა განათლების მიზნები. მაგალითად, მიმდინარე მეცნიერულმა კვლევამ ევროპაში ჩამოაყალიბა სახალხო უნივერსიტეტების ოთხი მთავარი მიზანი:

- მოამზადონ მსმენელები სათანადო დონეზე, რათა მათ შეძლონ ცხოვრებასთან ადაპტირება;
- ასწავლონ მსმენელებს დამოუკიდებელი ინტელექტუალური საქმიანობა;
- დაეხმარონ მსმენელებს მოახდინონ თვითრეალიზაცია, გაერკვნენ საკუთარ ინტელექტუალურ მოთხოვნებში;
- მოამზადოს მსმენელები იმისთვის, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ურთიერთობების მექანიზმების მუშაობაში.

იმის გამო, რომ ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება უმაღლესი განათლების დასავლურ სახელმწიფო დაწესებულებებში, ზრდასრულთა განათლებამ მოახერხა, რომ დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებულიყო, რასაც ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით ჩვენს ქვეყანაზე.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში არაფორმალური განათლება ფართოდ გავრცელდა, როგორც ფორმალური განათლების შემავსებელი კომპონენტი. ტრადიციულად ასეთი ქვეყნების მთავრობის უმეტესობა ძირითად აქცენტს ბავშვთა განათლებაზე აკეთებს. აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში ზრდასრულთა განათლებაზე გაწეული ხარჯები ახალგაზრდების განათლებაზე გამოყოფილ თანხის მცირე ნაწილს შეადგენს. როგორც წესი, ზრდასრულთა

განათლება წერა-კითხვის გამავრცელებელი მასობრივი კამპანიების ფარგლებში ხორციელდება, რაც იშვიათ ხასიათს ატარებს. მოცემულ ვითარებაში არაფორმალური განათლება იმ მექანიზმს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საზოგადოებრივი რეფორმისა და ტრანსფორმაციის დაჩქარება. ზოგიეთი ქვეყანა უკვე აცნობიერებს, რომ ზრდასრულთა მოკლევადიანი განვითარება უფრო სწრაფად იძლევა შედეგს ქვეყნის აღმშენებლობასთან მიმართებით, ვიდრე ახალგაზრდების გრძელვადიანი განათლება. არასაკმარისად განათლებულ ან გაუნათლებელ საზოგადოებაში მცხოვრები ზრდასრულები უსარგებლონი არიან როგორც საკუთარი თავისათვის, ისე თავისივე თემისათვის. ამგვარი „უსარგებლობა“ და „არაპროდუქტიულობა“ მათი ცხოვრების ყველა ასპექტზე ახდენს ზეგავლენას.

მსოფლიო ბანკმა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში გამოიკვლია განვითარების გავლენა ჯანმრთელობაზე. კვლევის საგანი იყო ის, თუ რა ზემოქმედებას ახდენდა ზრდასრულ მშობელთა წიგნიერების დონე მათი შვილების საკვებით უზრუნველყოფასა და მოკვდაობაზე. უმეტეს შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება არსებობს დედის /მამის წიგნიერების დონესა და მისი პროგნოზირების მაჩვენებელს შორის, ბავშვის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და გამოკვებასთან მიმართებით ამ ქვეყნების დიდ ნაწილში მშობლების განათლება არაფორმალური სწავლების მეთოდების გამოყენებით ხორციელდება.

სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ დასავლეთში არაფორმალური განათლების სისტემები იქმნებოდა, რათა უმუშევართათავის გაეწიათ დახმარება, გადაელახათ ახალი ტექნოლოგიების შემოტანით შექმნილი ინოვაციური ბარიერები, დაეცვათ მოსახლეობა სოციალური იზოლაციისგან და სხვ. ამასთან, ზრდასრულთა განათლებას ეწეოდნენ იმ მიზნითაც, რომ ადამიანებს, ვისაც დრო გამოუთავისუფლდათ პენსიაზე გასვლისა თუ სხვა მიზეზის გამო და მათ, ვისაც სურთ ძალები მოსინჯონ სხვა დარგშიც, დამატებით იმ სამუშაო ადგილისა, საიდანაც ძირითად საარსებო საშუალებას იღებენ, მიეცეთ საშუალება მოახდინონ თვითრეალიზაცია.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები განსაკუთრებით პოპულარულია პატარა ქალაქებსა და სოფლებში, იქ, სადაც მოსახლეობა მოწყვეტილია ზრდასრულთა განათლების ცენტრებს შორი მანძილისა და დროის უკმარისობის გამო, სადაც დასაქმების და სოციალური იზოლაციის პრობლემა უფრო მწვავედ დგას. თუმცა თანამედროვე სკანდინავიური ქვეყნების და ავტონომიების ე.წ. “ჩრდილოური” მინისტრთა საბჭოს სტატისტიკური კვლევების ავტორების აზრით, ზრდასრულთა განათლება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ პროფესიული, ან სახელობო მომზადება და ამ სფეროს განხილვისას ე.წ. სოციალურ-კულტურულ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინებსაც იყენებენ (ანუ, მათი აზრით, ზრდასრულთა განათლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროფესიული/სახელობო გადამზადებით).

ზრდასრულთა განათლების თანმხლები სოციალურ-პედაგოგიური პრინციპები ბევრი სხვა ქვეყნის განათლების სისტემაში ცალკე თეორიად ყალიბდება და იმ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების საგნად იქცევა (მაგ. ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებში და რუსეთის ფედერაციაში), რომლებიც ზრდასრულთა განათლების სპეციალისტებს, ტრენერებს ამზადებენ. ამ ქვეყნებში მთავარ გამოწვევად რჩება ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობის გაზრდის აუცილებლობა. რეალობა გვიჩვენებს, რომ ზრდასრულთა სწავლება ხორციელდება უფრო ფორმალური სასწავლო გარემოს მიღმა, როგორც არაფორმალური, ისე ინფორმალური სწავლების გზით.

ევროკავშირი იუნესკოს რეგიონის მრავალი ქვეყნისთვის უმთავრესი ორგანოა, რომელიც ზრდასრულთა განათლების განვითარებას მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურება. ევროკავშირის შემადგენლობაში 27 სახელმწიფო შედის. ისლანდია და ნორვეგია მჭიდროდ თანამშრომლობენ ევროკავშირთან სწავლის პროგრამის კონტექსტში.

იუნესკოს წევრ ევროპის ქვეყნებში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ისრაელში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა და მათ შორის ზრდასრულთა განათლება, ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის სირთულეების წინააღმდეგ ერთ-ერთ უმთავრეს პასუხად მოიაზრება. ზრდასრულთა განათლების ვითარება და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნება:

- გლობალიზებული წარმოების, დისტრიბუციისა და საკომუნიკაციო პროცესების პირობებში წარმადობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის საჭიროება;
- ახალი საორგანიზაციო გამოცდილება;
- ტექნოლოგიური წინსვლა;
- სექტორული ცვლილებები;
- მოსახლეობის დაბერება;
- შრომითი რესურსისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა,შეუსაბამობა და მილიონობით მუშახელის კვალიფიკაციის დაბალი დონე;
- სოციალური ერთობის დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნების აუცილებლობა სოცდაზღვევის სუსტი სისტემისა და საზოგადოების დანაწევრების პრობლემის საპირისპიროდ;
- მაღალი და დაბალი შემოსავლის მქონე პირთა შორის არსებული დისპროპორციის ზრდა;
- მდგრადი განვითარების საჭიროება;
- ბუნებრივი რესურსების დაცვა.
- რეგიონში (ევროპა, ჩრდ. ამერიკა და ისრაელი) ზრდასრულთა განათლების პოლიტიკის საერთო მიმართულებასა და ძირითად ამოცანებში თანხვედრა

შეინიშნება, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებული მიდგომები, მეთოდები და საშუალებები. ვინაიდან ზრდასრულთა განათლების პოლიტიკა და პრაქტიკა, ფაქტობრივად, ყოველი ქვეყნისათვის განსხვავებულია, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ნებისმიერ ქვეყანაში გავლენას ახდენენ ზრდასრულთა განათლების მდგომარეობაზე:

• ფართოდ გავრცელებული სოციალურ-ეკონომიკური კულტურა, რომელიც მოიცავს წარმოდგენებს და ღირებულებებს, ზოგადად სახელმწიფოს როლთან მიმართებაში და კონკრეტულად, სწავლა-განათლებასთან დაკავშირებით.

• ფართოდ გავრცელებული შეხედულებები სწავლა-განათლების ფუნქციასთან დაკავშირებით - ამ შემთხვევაში, ზრდასრულთა განათლება ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკომომიკურ მიზნებთან და პრიორიტეტებთან მიმართებაში; ძალაუფლების როლებისა და საქმიანობის ოპტიმალური ბალანსი სამ ისეთ უმთავრეს ინსტიტუტს შორის, როგორიცაა სახელმწიფო, ბაზარი და სამოქალაქო საზოგადოება;

• ზრდასრულთა განათლების მართვის სისტემები, მათ შორის სოციალურ პარტნიორთა როლი.

• ეკონომიკური განვითარების დონე და სწავლა-განათლების სფეროში განხორცილებული ინვესტიციების რაოდენობა.

CONFINTEA V-დან მრავალი წლის გასვლის შემდეგ სადავო ხდება, თუ რაოდენ ზედმიწევნით მოხდა დასახული მიზნების შესრულება. 2002 წლის სოფიის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ბევრ ქვეყანას (რეგიონში) არ აქვს შემუშავებული ზრდასრულთა განათლების განვითარებისათვის საჭირო პოლიტიკური პრინციპები, ჩარჩოები და სტრუქტურები. მოთხოვნები მოიცავს ახალ კანონმდებლობას, ადეკვატურ ფინანსურ მხარდაჭერას, შესაბამის საორგანიზაციო სტრუქტურებს, ეფექტურ ადმინისტრაციულ სისტემებს, ხარისხის ჩარჩოებსა და პირობებს, რაც აუცილებელია წარმატებული პარტნიორობისათვის. 2006 წლის ევროკომისიამ განაცხადა,რომ "პოლიტიკის პრიორიტეტულობისა და რესურსების თვალსაზრისით, ზრდასრულთა განათლებამ ვერ მოიპოვა სათანადო აღიარება" ევროკავშირის ქვეყნებში (ევროკომისია 2006). იმავე წელს BUSINESSEUR-მა, რომელიც 34 ქვეყნის დამსაქმებელს წარმოადგენს, საზოგადოებას მოუწოდა: შეიქმნას მთელის სიცოცხლის მანძილზე სწავლის ერთიანი კონცეფცია; პოლიტიკური მიმართულებები, რომლებიც ფოკუსირებას მოახდენენ შესაძლებლობების განვითარებაზე გაზრდილი ინვესტიციების მოსაზიდად; მეტი ყურადღება დაეთმოს კონკრეტულ პროფესიულ უნარებს ან ჯგუფებს; პარტნიორობის მეთოდებს და ინფორმაციისა და დირექტივების ხელმისაწვდომობას (HIGAM 2006). 2007 წელს კომისიამ ხელმეორედ აღნიშნა, რომ "ზრდასრულთა განათლებას სჭირდება უფრო ფართო აღიარება პოლიტიკის პრიორიტეტულობისა და რესურსების თვალსაზრისით" (ევროკომისია 2007).

ზრდასრულთა განათლების სფეროში არსებული სირთულეები უფრო მრავლად გვხდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-სა და საქართველოში, სადაც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა-პოლიტიკურად კონტროლირებადი იერარქიული სისტემის რღვევის შემდეგ-პოლიტიკურ დღის წესრიგში პირველად პროფესიული განათლების სახით წარმოჩინდა, რათა გადაჭრილიყო უმუშევრობის მაღალი დონით და დაბალი ეკონომიკური აქტივობით გამოწვეული პრობლემები.მ წვავე საკითხები მოიცავს ნაკლოვანებებს ისეთ ასპექტებში, როგორიცაა: ზრდასრულთა განათლების სტატუსი, პოლიტიკა, კანონმდებლობა, სოციალურ პარტნიორთა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, რესუსრები, პროფესიული განათლებისა და შრომითი ბაზრის თანხვედრა, გამჭირვალეობა და კვალიფიციურობა, შრომითი რესუსრის უნარები,სოციალური და კულტურული მიზნებით, პოლიტიკის ყურადღება ზრდასრულთა განათლების მიმართ და კულტურის შესწავლა საზოგადოებაში. გარდა ამისა, ისრაელში შეინიშნება წერა-კითხვის სწავლების შესაბამისი ფორმების განვითარების საჭიროება, შრომითი კაპიტალის განვითარებისა და კულტურათაშორისი სოლიდარობის ხელშეწყობის აუცილებლობა. რაც შეეხება აშშ-ს, იქ ხაზგასმულია ზრდასრულთა ზოგადი (საბაზისო) და საშუალო განათლების სფეროებში ინვესტიციების გაზრდის საჭიროება.

ზრდასრულთა განათლების განვითარების ორი მხარე

• ზოგადად, ზრდასრულთა განათლება რეგიონში არსებობს განვითარების სპექტრის პარალელურად, ამავე დიაპაზონის ორი გამორჩეულად განსხვავებული მხარით.

• სპექტრის “დადებითი” მხარე
• ზრდასრულთა განათლება
• უზრუნველმყოფი კანონმდებლობით; პოლიტიკური მიმართულებებითა და სტრუქტურებით;
• დაფინანსებით;
• განათლების მოქნილი მიწოდებითა და მხარდაჭერით;
• მოსწავლეზე ორიენტირებული კვალიფიკაციის სისტემებით;
• პერსონალის საწყისი და უწყვეტი პროფესიული განვითარებით;
• საერთო მონიტორინგითა და შეფასებით
• მოქცეულია დაწყებით, საშუალო და უმაღლესი განათლების სექტორებთან ერთად მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ჩარჩოში. არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც საგანმანათლებლო პროგრამებში ზრდასრულთა ჩართულობისა და არაჩართულობის მაჩვენებელთა შორის სხვაობა შედარებით მცირეა. სპექტრის ამ მხარეს ზრდასრულთა წიგნიერების დონეები შედარებით მაღალია, ხოლო განათლების დაბალ საფეხურზე მყოფთ აქვთ კანონიერი უფლება, მიიღონ სკოლისშემდგომი კვალიფიკაციები საჯარო დაფინანსების

სპეციალიზებულ სასწავლო დაწესებულებების ქსელში.

•ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ჭეშმარიტი ფასეულობა სახელმწიფოს მიერ საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური პროექტი, რომლის მიზანია მრავალფეროვან კულტურათა დაკავშირება გაზრდილი სოციალური კაპიტალის მისაღებად.

•ხარისხი, მონიტორინგი და შეფასება გავლენას ახდენს პოლიტიკურ მიმართულებებზე, სტრუქტურებსა და კრიტერიუმებზე. შედეგად ვღებულობთ ზრდასრულთა განათლების ფართოდ ინტეგრირებულ, შედარებით შეუფერხებელ მიწოდებას, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს საზოგადოებრივ მიზნებთან და ამოცანებთან (სოციალური, კულტურული და ეკონომიკური) მიმართებაში, რაც საკმაოდ საინტერესოა ზრდასრულთათვის.

სპექტრის "ნაკლებად დადებითი" მხარე

სპექტრის მეორე მხარეს იმყოფებიან ის ქვეყნები, სადაც იდეოლოგიის, განვითარებისა და რესურსების გამო ზრდასრულთა განათლების მიწოდება შეზღუდულია და ძირითადად ბაზარზეა დამოკიდებული. ზრდასრულთა განათლების ასეთი პოლიტიკა არ განსხვავდება შრომის ბაზრის პოლიტიკისაგან. განათლების მიწოდება ხორციელედება სკოლებში, კურიკულუმები საჭიროებენ განახლებას, პერსონალს სწირდება უწყვეტი პროფესიული განვითარება და შეზღუდულია კავშირები შრომის ბაზართან. შეინიშნება არასაკმარისი ინვესტირება საბაზრო მექანიზმების არაეფეტურობის გამო, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის და ხელისუფლება არ ახორციელებს ან არ შეუძლია განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. ზრდასრულთა განათლება შეიძლება დამოკიდებული იყოს კერძო კომერციულ სექტორზე, სამოქალაქო საზოგადოებაზე და საბოლოო ჯამში, ინდივიდუალურ მოთხოვნაზე.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ არასრული საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებისათვის, რაც სკოლის მოდელს ეყრდნობა და არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.წერა-კითხვის სწავლება შეიძლება განკუთვნილი იყოს ეროვნული უმცირესობებისა და სხვა ჯგუფებისათვის.

სპექტრის ამ მხარეს არსებული ბევრი ქვეყანა აღნიშნავს, რომ არასაკმარისი დაფინანსების საფუძველს შეადგენს არა იდეოლოგიური შეხედულებები, არამედ ისტორიული მემკვიდრეობა და ფინანსების სიმწირე და მათი უმრავლესობა ცდილობს გაზარდოს ზრდასრულთა განათლების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ზრდასრულთა განათლების დაფინასება, მონაწილეობა, განათლების მიწოდება, ხარისხი

მრავალი ქვეყანა ისწრაფვის მიაღწიოს ბალანსს ზრდასრულთა განათლებაში იმის გათვალისწინებით თუ ვინ რატომ, რისთვის და ვისთვის გამოყოფს თანხებს. მონაცემები არასრულია, მაგრამ ქვეყნების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ერთი რამ ცხადია: სახელმწიფოს ინტერესი და ინვესტიცია სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და დამოკიდებულია იდეოლოგიაზე, მართვასა და რესურსებზე. უმრავლესობა აფინანსებს ე.წ. "მეორე შანსის მიცემას", რომელიც მოიცავს წერა-კითხვის შესწავლას და უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლებას ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული არხების მეშვეობით. საკუთარი განათლების დასაფინანსებლად ინდივიდების წახალისების მიზნით შეიმჩნევა მოთხოვნაზე ორიენტირებული სქემების ზრდა. ეს სქემები მოიცავს სახელმწიფოს, სოციალური პარტნიორებისა და სხვადასხვა წყაროების ერთობლიობას, რომლებსაც მივყავართ უშუალოდ მოსწავლემდე, ვიდრე საგანმანათლებლო დაწესებულებამდე.

ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებაში სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო და ჰუმანიტარული მრავალარხიანი დაფინანსება ნორმას წარმოადგენს. ფინანსური მხარდაჭერის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებაში მონაწილეობისას, ზოგადად შეინიშნება თვითდაფინანსების ტენდენცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე გვაქვს სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველ ფენებთან. ზრდასრულთა არაფორმალური განათლების მოთხოვნაზე ორიენტირებული სქემების არარსებობა, დასაქმების გარდა სხვა მიზნებისათვის, ჩიხში აქცევს რეგიონის ზრდასრულთა განმანათლებლებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ სოციალური კაპიტალის განვითარების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ადამიანური რესურსების განვითარების დაფინანსება.

ამ ქვეყნებში (ევროპა, ჩრ.ამერიკა და ისრაელი) მთავარ გამოწვევად რჩება ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობის აუცილებლობა. ყველა ქვეყნის რეალობა გვიჩვენებს, რომ ზრდასრულთა სწავლება ხორციელდება ფორმალური სასწავლო გარემოს მიღმა, ისევე როგორც არაფორმალური და ინფორმალური. ქვეყნების უმეტეს ნაწილში სამიზნე ჯგუფებად მიჩნეული არიან სოციალურად დაუცველი ზრდასრულები და მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო აფინანსებს ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებას, რადგან მას შესწევს უნარი მოიცვას მოწყვლადი ინდივიდებიც. დროისა და სხვა წინააღმდეგობების დასაძლევად სწავლების ორგანიზებას ყურადღება ეთმობა ინსტიტუციურ დონეზე. მოქნილობა არის მთავარი საორგანიზაციო პრინციპი იმ ქვეყნებისათვის, სადაც პრაქტიკაშია ინდივიდებზე გათვლილი კურსები, სწავლის დამოუკიდებელი შესაძლებლობები, სიმეტრიული პედაგოგიკა,

მოხერხებული ადგილმდებარეობა, სწავლის შესაძლებლობების დაგეგმვა და სწავლების სათანადო დაფინანსება. ბევრი ქვეყანა აფინანსებს კონსულტაციებს სწავლის განახლებასთან, კურსის დასრულებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. ქვეყანათა მცირე ნაწილში ზრდასრულებს აქვთ კანონიერი უფლება, მიიღონ საშუალო განათლების შესაბამისი კვალიფიკაციები. წერა-კითხვის შესწავლა ხშირად ითვლება არაფორმალურ განათლებად, მაგრამ შესაძლოა დაფინანსდეს ზრდასრულთა ფორმალური განათლების სახით. ბოლო წლებში ზოგიერთ ქვეყანაში ყურადღება ექცევა წიგნიერების განვითარებისათვის ჩარჩო-პირობების შექმნას, რომელიც მოიცავს კანონმებლობას, ინფრასტრუქტურას და სამოქმედო გეგმებს. ზოგიერთი ქვეყანა აღნიშნავს, რომ ზრდასრულთა წიგნიერების დონე არ იძლევა რაიმე სახის გარანტიებს. უწყვეტი პროფესიული განათლების პროვაიდერები დამსაქმებლები არიან მაშინ, როცა სახელმწიფო ძირითადად აფინანსებს საბაზისო პროფესიულ განათლებას უმუშევარი ზრდასრულებისათვის, შრომის ბაზრის პროგრამების ფარგლებში. ყველა სახის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ამოცანები ზრდასრულთა არაფორმალური განათლების საგანს განსაზღვრავენ. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორც ციფრული კომპეტენცია, ზრდასრულთა ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას მიეკუთვნება, თუმცა არაფორმალურ განათლებაში უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი. ენისა და კულტურის სწავლება მიგრანტებისათვის ან ეთნიკური უმცირესობებისათვის განსაზღვრული საბაზისო განათლება ჩვენი განსახილველი რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი. განათლებისა და გადამზადების ეფექტურობის ზრდა სტანდარტების გაუმჯობესებით უმეტეს ქვეყნებში მთავარ თემას წარმოადგენს. იქ, სადაც ზრდასრულთა განათლება სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ხორცილედება, შეესატყვისება ხარისხის უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებს, რომლებიც აღნიშნულ სასწავლებლებში გამოიყენება. სამუშაო ადგილებზე მიმდინარე უწყვეტ პროფესიულ მომზადებასთან მიმართებაში შეზღუდულია ხარისხზე ზრუნვა სახელმწიფო დონეზე. ეროვნულ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ზრდასრულთა ფორმალურ განათლებაში არსებობს სხვადასხვა სისტემური ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდები, რასაც ვერ ვიტყვით ზრდასრულთა არაფორმალურ განათლებაზე. პერსონალის პროფესიული განვითარება ზრდასრულთა განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის კრიტიკული კომპონენტია. იკვეთება შემდეგი ზოგადი სურათი: ნაკლები ყურადღება ექცევა ზრდასრულთა ფორმალური განათლების პერსონალის პირველადი ტრენინგის შინაარსისა და პროცესების განსაზღვრას და კიდევ უფრო ნაკლები - ზრდასრულთა არაფორმალური განათლების პერსონალისას. მაშინ, როცა უწყვეტი პროფესიული მომზადება უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე სპეციალური პირველადი პროფესიული მომზადება, ის

კვლავაც არაერთგვაროვანია და შემთხვევით ღონისძიებებად რჩება.

ზრდასრულთა განათლება აკადემიურ დისციპლინად გამოიყოფა, როგორც ბაკალავრიატის დონის შემდგომ, ისე უწყვეტ პროფესიულ მომზადებაში. განსახილველი რეგიონის ქვეყნების უმეტესობას არა აქვს კარგად გააზრებული, რომ ზრდასრულთა განათლებაში პროფესიული ამოცანების გადასაჭრელი სტანდარტული კომპეტენციები და უნარ-ჩვევები ნაწილობრივ სექტორის მრავალმხრივობით არის გამოწვეული. მცირეა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებმაც ზრდასრულთა განათლების პერსონალისათვის კომპეტენციათა პროფილები შეიმუშავეს. დანარჩენი ქვეყნები უფრო მეტად ისწრაფვიან "პროფესიონალიზაციისა" და "პროფესიონალიზმის" განვითარების იდეისაკენ, რითაც შორდებიან "პროფილისა" და "პროფესიის" ცნებებს. 2009 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ზრდასრულთა განათლების პერსონალის სტანდარტები.

მოკლედ მიმოვიხილოთ ზრდასრულთა განათლების ინსტიტუციურ მოწყობა და ზოგადად ევროპის ზრდასრულთა განათლებაში დღეს არსებული ტენდენციები რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, კერძოდ თანამედროვე სკანდინავიის ქვეყნებში, პოლონეთში, სლოვენიაში, დიდ ბრიტანეთში. ეს ტენდენციები ძირითადად ერთნაირია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისთვის, თუმცა ის ქვეყნები, რომლებიც ბოლო 20 წლის მანძილზე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ტრანსფორმაციას გადიან, ბევრად მეტ პრობლემებს აწყდებიან. აქედან გამომდინარე, ზრდასრულთა განათლების როლიც მათში მეტ დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენს, სადაც ყველაზე მეტად არის განვითარებული ზრდასრულთა განათლება.

დანიაში 1991 წელს მიიღეს ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის აქტი, რომელიც მომზადებული იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების და სათემო ორგანიზაციების მიერ და დაეფუძნა მათ მიერ გაწეული კვლევების და განვითარებისთვის წარმოებული მუშაობის შედეგებს.

ფინეთში ზრდასრულთა განვითარების ცენტრების მართავა რეგულირდება მათვე წესდებით. თუმცა მზადდება რეფორმა საკანონმდებლო ბაზაში ზრდასრულთა განათლების სფეროს გათვალისწინების მიზნით. არსებული კანონი განათლების შესახებ მოიცავს რამდენიმე მუხლს ზრდასრულთა განათლების რეგულირების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს სად და ვის მიერ შეიძლება ზრდასრულთა განათლების ორგანიზება.

ზრდასრულთა განათლება ფინეთში 1 000 დაწესებულებაში იმართება. აქედან ნაწილი დაკავებულია უშუალოდ ზრდასრულთა განთლებით, ხოლო ნაწილი ეწევა ორივე მიმართულებით განათლებას, როგორც ზრდასრულისთვის, ასევე მოზარდისთვისაც. ზრდასრულთა განათლების ცენტრები ფუნქციონირებენ უნივერსიტეტებში, პროფესიულ სასწავლებლების სპეციალურ ცენტრებში, იმ საშუალო სკოლებში, სადაც მაღალი კლასები სწავლობენ.

ფინეთში ზრდასრულთა განათლების კატეგორიები მათ მიზანზეა დამოკიდებული: (ა) საბაზო განათლება,(ბ) თვითმოტივირებული განათლება,(გ) შრომის ბაზარზე ორიენტირებული ტრენინგი და სხვა.

შვედეთში რეგულაციები ზრდასრულთა განათლების შესახებ თავმოყრილია კანონში სკოლის შესახებ (UFB SOS 1996) და მიზნობრივ ჯგუფებში გათავლისწინებული ყავს 19 წლიდან ზემოთ ასაკის ადამიანები. ე.წ SFI KOMVUX პროგრამაში მონაწილე უცხოელები და ემიგრანტები სწავლის საფასურისაგან განთავისუფლებულები არიან. ადგილობრივ მოსახლეობას ნაწილობრივ მუნიციპალიტეტი აფინანსებს, ნაწილობრივ თავად იხდიან საფასურს. შვედეთში ასევე არსებობს ამ მიზნით გრანტის მიღების პრაქტიკა კერძო სტრუქტურებისგან

პოლონეთში ოცი წლის დაწყებული რეორიენტაციის შემდეგ ჯერ საკმარისი დრო არ გასულია იმისათვის, რომ დავასკვნათ, მყარად დამკვიდრდა თუ არა ქვეყანაში უწყვეტი განათლების სტრუქტურები, რომელთაც შეუძლიათ ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების ფუნქციის შესრულება. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ზრდასრულთა განათლების ორგანიაზაციები, განსაკუთრებით კი ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან მოგებაზე ორიენტირებულინი, ცდილობენ, თავიანთი საქმიანობა მდგრადი გახადონ და შეძლებესდაგვარად გააფართოონ იგი. ამ მხრივ ძალზე სასარგებლოა ლიბერალური, საშუალო და უმაღლესი პოლიტიკის გატარება, ვინაიდან ეს იძლევა, სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ საშუალო და უმაღლეს დაწესებულებათა ჩამოყალიბეის საშუალებას. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებას ღებულობენ სახელმწიფოსგან (ადმინისტრირებისთვის), ხოლო სასწავლო პროგრამებს აფინანსებენ სწავლის გადასახადებით, ფინანსურ ბაზას სპონსორების საშუალებით ივსებენ.

პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა სოციალურმა სიტუაციამ პოლონეთში ძირფესვიანი ცვლილებები განიცადა 1989 წელს. ცვლილებები განხორციელდა ყველა სფეროში, განთლების ჩათვლით. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტების დანერგვის შედეგად უწყვეტი განათლების სექტორს სახელმწიფო დაფინანსება უმეტესწილად შეუსწყდა. ვინაიდან უწყვეტი განათლების დაწესებულებები თითქმის აღარ ღებულობდნენ დაფინანსებას სახელმწიფოსაგან, ისინი იძულებულნი გახდნენ ჩაბმულიყვნენ თავისუფალ კონკურენციაში და მოეხდინათ საკუთარი რესურირსების სრული მობილიზაცია თვითგადარჩენის მიზნით. ბევრი მათგანი დაიხურა, ზოგმა კი უწყვეტი პროფესიული მომზადების კუთხით გააგრძელა მუშაობა; ძირთადად ყურადღებას ამახვილებენ უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისურისა და გერმანულის სწავლებაზე. ზრდასრულთა განათლების სისტემისათვის ძალზე რთული აღმოჩნდა გარდამავალი პერიოდის შოკთან გამკლავება, ახალ და უფრო თანამედროვე ცოდნაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება,

ზრდასრულ ადამიანთათვის პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის, ასევე შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში დახმარების გაწევა. განათლების სამინისტროში ხელმძღვანელ პირთ ხშირი შეცვლა უარყოფითად მოქმედებდა უწყვეტი გადათლების განვითარებაზე. 1990 წლიდან მოყოლებული განათლების მინისტრი რვაჯერ შეიცვალა და თითოეულმა საკუთარი პრიორიტეტები წარმოადგინა. უკანასკნელი ათი წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ძალისხმევა უწყვეტი განათლების სტრუქტურების განსავითარებლად, რომლებიც პრობლემას გადაწყვეტენ რეგიონალურ დონეზე.

უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ტრანსფორმაცია, რომელსაც პოლონეთში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო განიცდიდა, ზრდასრულთა განათლების სპეციალისტებისაგან ინტელექტუალური ორინეტაციის ახლებურად მიმართვასა და აზროვნების ახალი გემოვნებებისათვის მორგებას მოითხოვდა. სწორედ ამ მოსაზრების საფუძველზე ასოციაციამ სპეციალიზირებული სემინარების ჩატარება დაიწყო ზრდასრულთა განათლების ორგანიზატორთა და მასწავლებელთათვის. სემინარის პირველ კურსს „ლუნა“ ეწოდა. ამას მოყვა საზაფხულო სკოლის კურსები ანდრაგოგიკის სფეროში. ასოციაციის საქმიანობა ძალზე ეფექტური და ნაყოფიერი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ის მსაწავლებლები, რომლებიც ამ კურსს ესწრებოდენენ შემდგომ თვითონ ატარებდნენ სემინარებს ზრდასრულთა განთლების შესახებ. ამ ტიპის საქმიანობა ამჟამადაც ასოციაციის საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ვარშავაში ზრდასრულთა განათლების სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ზრდასრულ განმანათლებელთა კლუბმა სახელწოდებით „ალი“. ამ კლუბმა, რომელიც სკანდინავიური, ამერიკული და ბრიტანული გამოცდილებებლის, ასევე სახალხო უნივერსიტეტების პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბდა, დიდი ხანი ვერ იარსება და მალევე დაიშალა. თუმცა კლუბის იდეა ჯერ კიდევ ცოცხალია და აღდგენის შემთხვევაში, ოღონდ მოდიფიცირებული ფორმით ალბათ საკმაოდ სასარგებლო გახდება ასოციაციის წევრთათავის. ასოციაციამ წარმატებულად გამოიყენა ახალი კანონმდებლობის თანახმად, გაჩენილი შესაძლებლობა; გახსნა კერძო სკოლები და უმაღლესი განათლების დაწესებულებები.

1994 წელს პოლონეთში დაარსდა სახალხო უნივერსიტეტების ეროვნული საბჭო სხვადასხვა ტიპის სახალხო უნივერსიტეტების ორგანიაზაციათა გასაერთიანებლად. საბჭოს აქვს კონსულტაციების ჩატარების უფლება–მოსილება, ფაქტიურად გამოცდილებათა და იდეათა გაცვლა-გამოცვლის ადგილს წარმოადგენს.

ყველზე მნიშვნელოვანი ცვლილებები პოლონეთს საგანმანათლებლო სისტემაში 1999 წლის რეფორმის დროს განხორციელდა. 1998 წლამდე

სახელმწიფო პოლიტიკა უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებით ძირითადად ორიენტირებული იყო უწყვეტი გადათლების ცენტრების ადმინისტრაციის ფინანსურ მხარდაჭერაზე და დისტანციური სწავლების სისტემის ჩამოყალიბებაზე. რეგიონალური რეფორმის დანერგვასთან ერთად, ახალმა მთავრობამ სკოლები და მათ განვითარებაზე პასუხისმგებლობა ადგილობროვ და რეგიონალურ თვითმმართველობებს გადააბარა. შესაძლებელია ამ ცვლილებებმა დადებითი შედეგები გამოიღოს უწყვეტი განათლებისათვის. ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ სამინისტოზე უკეთ შეაფასონ საზოგადოებრივი ან საზოგადოების მხარდაჭერით შექმნილი უწყვეტი განათლების დაწესებულებების საჭიროება. რა თქმა უნდა, შესაბამის მუნიციპალიტეტებს, ოლქებს და პროვინციებს თავიანთ განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ ამისთვის სათანადო ფინანსური რესურსები. მაგრამ განათლების ბიუჯეტი კვლავინდებურად დეფიციტს განიცდის და ჯერ კიდევ გასარკვევია, თუ როგორ განვითარდება განათლების სისტემა თვითმართველობის ორგანოთა მიერ მართვის შემთხვევაში.

საინტერესოა ფინეთში ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგმაც აჩვენა, რომ ზრდასრულთა განათლებაში ჩართული ადამიანების ბედნიერების ინდექსი ბევრად მაღალია იმ ადამიანებთან შედარებით, ვისაც ფორმალური განათლების ასაკიდან გამოსვლის შემდეგ დამატებითი განათლება აღარ მიუღიათ და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება უჭირთ. დიდ ბრიტანეთში ხანდაზმულთა შორის ჩატარებული კვლევის თანახმად კი საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართული მოხუცები უფრო ჯანმრთელები აღმოჩნდნენ, ვიდრე მათი პასიური თანატოლები. ანუ საკითხი დგას ასე - ადამიანებს ცხოვრების ყველა ეტაპზე სჭირდებათ იყვნენ რეალიზებულნი, მოტივირებულნი და აქედან გამომდინარე, ბედნიერნი - ვინ და როგორ ზრუნავს მათზე? რას სთავაზობს სახელმწიფო ასეთ ადამიანებს და რა შეუძლია მისცეს ზრდასრულთა განათლებამ მათ? ამ ადამიანთა უმეტესობას ადრეულ ასაკში მიღებული აქვთ სათანადო განათლება და შესაძლოა თავისი საქმის კარგი სპეციალისტებიც არიან, მაგრამ უსწრაფესად განვითარებული ცხოვრების მოთხოვნებს თავიანთი ცოდნით ვეღარ აკმაყოფილებენ. მათ აქვთ გამოცდილება, ენერგია, სურვილი დაეუფლონ ახალს, აიმაღლონ კვალიფიკაცია და შრომით ბაზარზე დღეს არსებული სტანდარტების შესაბამისი უნარები ჰქონდეთ; არიან აგრეთვე ადამიანები, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მიიღეს განათლება და ვერც რაიმე პროფესიას ან ხელობას ფლობენ, მაგრამ აქვთ ოჯახები, სჭირდებათ სამუშაო და საკუთარი თავის რეალიზება - რა შანსები აქვთ ასეთ ადამიანებს, სად მიიღონ მათთვის საჭირო განათლება, როგორ დაეუფლონ უნარებს, რომლის გარეშეც საზოგადოებაში თავის დამკვიდრება უჭირთ? - აი, ასეთი ადამიანების მხარდასაჭერად არის მოწოდებული ზრდასრულთა განათლება, ასეთი მნიშვნელოვანი მისიის მატარებელია იგი და ამ მისიის შესასრულებლად

ზრდასრულთა განათლების პროვაიდერებს ერთმანეთის გამოცდილებასთან ერთად სახელმწიფო და ბიზნესსტრუქტურების თანადგომა სჭირდებათ. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად ზრდასრულთა განათლება განიხილება როგორც პროფესიული განათლების გაგრძელება და გვაძლევს საშუალებას უკეთესი შედეგები მივიღოთ შრომით ბაზარზე, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია დასაქმებასთან, პროდუქტიულობასთან.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კიდევ ერთი კვლევის თანახმად, ზრდასრულთა განათლების განვითარების მიხედვით საქართველო მიეკუთვნება მეორე ჯგუფის ქვეყანათა რიგს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემდეგ და წინ უსწრებს აზერბაიჯანს, უკრაინას, ბელორუსიას. ევროპული გამოცდილება გვასწავლის, რომ საჭიროა ზრდასრულთა განმანათლებლებმა ჩამოაყალიბონ საკუთარ ქვეყანაზე და საზოგადოებაზე მორგებული და კონკრეტულად გაწერილი სტრატეგია, რომელიც სახელ-მწიფოს და ბიზნესსტრუქტურებს დაარწმუნებს ზრდასრულთა განათლების საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და კომერციულ ღირებულებებში.

სლოვენიაც, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ტრანსფორმირებადი ქვეყნების მსგავსად, იგივე პრობლემების და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა მან შეძლო შეენარჩუნებინა ძირითადი ბერკეტები განათლების სფეროში და თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად გარდაექმნა იგი. პროცესი კვლავაც გრძელდება და ზრდასრულთა განათლების როლიც მასში თანდათან მეტ მნიშვნელობას იძენს. განათლების ინდექსი სლოვენიაში, საზოგადოდ, მაღალია, თუმცა მისი მოსახლეობა ასაკოვანი ხდება და ის გამოწვევებიც, რომელთაც ზრდასრულთა განათლება პასუხობს, მეტ აქტუალობას იძენს. ამიტომ სახელმწიფოს დამოკიდებულება ზრდასრულთა განათლებისადმი, მისი მნიშვნელობისადმი ქვეყანაში, შესაბამისად ადექვატური და კოლეგიალურია. ზრდასრულთა განათლება სლოვენიაში სახელმწიფოს მიერ განათლების სისტემის ნაწილადაა აღიარებული და გამყარებულია კანონით. ხელისუფლებამ თავისი ხარჯებით მოიწვია საუკეთესო ექსპერტები და დააფინანსა აუცილებელი კვლევები. მათ შედეგებზე დაყრდნობით სპეციალისტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები ქვეყნის განათლების სისტემის და, კერძოდ, ზრდასრულთა განათლებისათვის, რაც დეტალურად გაიწერა ე.წ. "თეთრ წიგნში". მათ საფუძველზე 2004 წელს ზრდასრულთა განათლების შესახებ მიღებულ იქნა კანონი, რომელმაც ინსტიტუციონალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იურიდიული და ფინანსური საკითხები დაარეგულირა. 2007 წელს კანონში ცვლილებები შევიდა და ის ხარვეზები აღმოფხვრა, რომელიც რეალობამ კანონის მიღების შემდგომ დაგვანახა. ზრდასრულთა განმანათლებლების მიერ ყოველწლიურად გაწერილი გეგმის მიხედვით ხელისუფლება ზრდასრულთა განათლებაში მთელი რიგ პროგრამებს აფინანსებს, თუმცა არის პროგრამები, რომელთათ-

ვისაც დაფინანსების სხვა წყაროების მოძიებაა საჭირო.

საკანონმდებლო ბაზის გარდა სლოვენიის ზრდასრულთა განათლებაში კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გამართული საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურია, სადაც თავს იყრის საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე არსებული მონაცემები. მათი ცოდნა განათლების მოთხოვნა-მიწოდების საკითხის სწორად განსაზღვრას უზრუნველყოფს. ცენტრი კვალიფიციურ კონსულტაციას უწევს ზრდასრულებს, რათა საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე სწორად შეარჩიონ პროფესია და ის ცოდნა მიიღონ, რაც რეალურად წაადგებათ.

სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ დასავლეთში არაფორმალური განათლების სისტემები იქმნებოდა, რათა უმუშევართათავის გაეწიათ დახმარება, გადაელახათ ახალი ტექნოლოგიების შემოტანით შექმნილი ინოვაციური ბარიერები, დაეცვათ მოსახლეობა სოციალური იზოლაციისგან და სხვ. ამასთან, ზრდასრულთა განათლებას ეწეოდნენ იმ მიზნითაც, რომ ადამიანებს, ვისაც დრო გამოუთავისუფლდათ პენსიაზე გასვლისა თუ სხვა მიზაზის გამო და მათ, ვისაც სურთ ძალები მოსინჯონ სხვა დარგშიც, დამატებით იმ სამუშაო ადგილისა, საიდანაც ძირითად საარსებო საშუალებას იღებენ, მიეცეთ საშუალება მოახდინონ თვითრეალიზაცია.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები განსაკუთრებით პოპულარულია პატარა ქალაქებსა და სოფლებში, იქ, სადაც მოსახლეობა მოწყვეტილია ზრდასრულთა განათლების ცენტრებს შორი მანძილისა და დროის უკმარისობის გამო, სადაც დასაქმების და სოციალური იზოლაციის პრობლემა უფრო მწვავედ დგას. თუმცა თანამედროვე სკანდინავიური ქვეყნების და ავტონომიების ე.წ. "ჩრდილოური" მინისტრთა საბჭოს სტატისტიკური კვლევების ავტორების აზრით, ზრდასრულთა განათლება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხოლოდ პროფესიული, ან სახელობო მომზადება და ამ სფეროს განხილვისას ე.წ. სოციალურ-კულტურულ განათლებასთან დაკავშირებულ ტერმინებსაც იყენებენ (ანუ, მათი აზრით, ზრდასრულთა განათლება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროფესიული/სახელობო გადამზადებით).

ზრდასრულთა განათლების თანმხლები სოციალურ-პედაგოგიური პრინციპები ბევრი სხვა ქვეყნის განათლების სისტემაში ცალკე თეორიად ყალიბდება და იმ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების საგნად იქცევა (მაგ. ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში, მათ შორის ბალტიისპირეთის ქვეყნებში და რუსეთის ფედერაციაში), რომლებიც ზრდასრულთა განათლების სპეციალისტებს, ტრენერებს ამზადებენ. ამ ქვეყნებში მთავარ გამოწვევად რჩება ზრდასრულთა განათლებაში მონაწილეობის გაზრდის აუცილებლობა. რეალობა გვიჩვენებს, რომ ზრდასრულთა სწავლება ხორციელდება უფრო ფორმალური სასწავლო გარემოს მიღმა, როგორც არაფორმალური, ისე ინფორმალური სწავლების გზით.

ზრდასრულთა განათლება საერთაშორისო კონფერენციებზე და ზრდასრულთა განათლების სტრატეგია

ბოლონიის 1998 წლისა და პრაღის 2001 წლის დეკლარაციებში ევროპის ქვეყნებმა გამოაცხადეს განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნის აუცილებლობა, რასაც საქართველოც უერთდება და თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით, ეროვნული პროგრამის განხორციელების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2004 წლის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში წერს: "ევროკავშირის ქვეყნების ბოლო ათწლეულის აქტივობა განათლების სფეროში მიმართულია საერთო საგანმანათლებლო სივრცის საქმისაკენ. ამ მიზნით საჭიროა სტრუქტურული, შინაარსობრივი და საკანონმდებლო გარდაქმნები.

მათ შორის:

უნდა დაინერგოს დასავლეთ ევროპაში ბოლო დროს მეტად პოპულარული სტრატეგია „სწავლა სიცოცხლის მანძილზე", რაც პიროვნებას საშუალებას აძლევს კონკურენტუნარიანი გახდეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში, გაიადვილოს სოციალური ურთიერთობები, შეიქმნას თანასწორი შესაძლებლობები და გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი. საქართველო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო პროგრამაში „განათლება ყველასათვის", რაც საშუალებას მისცემს მას შეინარჩუნოს ის მიღწევები, რომელიც მას აქამდე ჰქონდა. უნდა შეიქმნას დისტანციური განათლების ცენტრები და საქართველომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სწავლებაში საკუთარი კურსებისა და მოდულების შეთავაზების გზით .

საქართველოს განათლების სამინისტროს აქტიური ჩართვა ზრდასრულთა განათლების განვითარების საქმეში ქმნის ახალ შესაძლებლობებს და ამ მიმართულების ფინანსური მხარდაჭერის პერსპექტივებს სახავს. ქართული პედაგოგიკის მეცნიერებმა თავისი წვლილი უნდა შეიტანონ განათლების სამინისტროს სამოქმედო გეგმაში დასახული სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელებაში, მათ შორის ზრდასრულთა განათლების განვითარების საქმეში.

ზრდასრულთა განათლების როლის ახლებურად გააზრებისთვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1997 წელს იუნესკოს ორგანიზებით ქალაქ ჰამბურგში გამართული ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილი მე-5 მსოფლიო კონფერენცია CONFINTEA V. ამ კონფერენციაზე საერთაშორისო ფორუმზე დაკარში (სენეგალი, 2000), გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის ეგიდით ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებზე, ზრდასრულთა განათლება მიჩნეულ იქნა XXI საუკუნის განვითარების საკვანძო ფაქტორად. ამ და სხვა კონფერენციების მონაწილეთა საერთო დასკვნა მდგომარეობდა იმაში, რომ ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს ბევრი პრობლემის მოგვარების,

კერძოდ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მუდმივად ცვალებად პირობებთან მოსახლეობის შეგუება-ადაპტაციის, უმუშევრად დარჩენილი და სოციალურ იზოლაციაში მოქცეული ადამიანებისთვის თვითგადარჩენისა და თვითრეალიზაციის, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის საშუალებას.
კონფერენციაზე მიღებული დეკლარაცია მოგვიწოდებს, რომ უნდა მოხდეს:

• ყველასათვის მუშაობის და მდგრად საარსებო საშუალებებზე უფლებების აღიარება.
• სამსახურზე ორიენტირებული ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა კონკრეტული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით და ამით შრომის ბაზარზე შეღწევადობისა და პროფესიული მობილურობის ხელშეწყობა.
• დამქირავებელსა და დაქირავებულებს შორის პარტნიორული თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.
• არაფორმალურ საფუძველზე მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების სრული აღიარების ხელშეწყობა.
• სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის ორიენტირებულ სამსახურზე შეღწევის მიზნით ზრდასრულთა განათლების სისტემაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
• სამუშაოზე ორიენტირებული ზრდასრულთა განათლების სისტემის ისეთი განვითარება, რომელიც განხორციელდება ისეთი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფა მოქალაქეთა უფლებების, საორგანიზაციო მშენებლობის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, სასურსათო უსაფრთხოების და რეპროდუქტიული ჯანდაცვის სფეროებში.

კონფერენციის დეკლარაციის მთავარი მოწოდება (მესიჯი) მდგომარობდა შემდეგში: “აქტიური და ინფორმირებული (განათლებული) მოქალაქეების ყოლის გარეშე შეუძლებელი იქნება მსოფლიოში არსებული გლობალური რისკების, ეკოლოგიური რისკების, ჯანმრთელობისთვის საშიში გავრცელებული დაავადებების, კულტურისთვის საშიში მოვლენების (რასიზმი, ქსენოფობია) თავიდან არიდება. მოქალაქეებს ახლავე, გადაუდებლად სჭირდებათ შეიძინიონ, ან გაიძლიერონ უნარი საკუთარი ინიციატივების გამოსავლენად. ვერ დაველოდებით იმ დროს, როცა ბავშვები წამოიზრდებიან. ამას 30 წელი დასჭირდება, ეს კი ძალიან დიდი დროა. აუცილებელია შემდგომი განათლების საშუალება მიეცეს ამჟამინდელ ზრდასრულ ადამიანებს, კაცებს და ქალებს. ზრდასრულთა განათლება დღეისთვის ცენტრალური საკითხია. ყველასათვის ნათელია, რომ ადამიანების შესაძლებლობა, პოტენცია და უნარი, ისწავლოს სიცოცხლის მანძილზე ახალი საუკუნის და ახალი მილენიუმის სწორად ფორმირების ამოცანის შესასრულებლად ცენტრალური საკითხებია. თითოეული მოქალაქის ავტონომიურობის, შემოქმედებითობის და თვითგამოხატულების უნარი დემოკრატიისთვის არა მარტო მიზანია, არამედ

პირობაც”.

2009 წელს CONFINTEA VI კონფერენციაზე ბრაზილიაში, სადაც საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა, ზრდასრულთა განთლებას ცოდნის ეკონომიკისთვის საჭირო ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში აქტიური როლის შესრულების აუცილებლობა ხაზგასმით გამოიკვეთა.

კონფერენციისთვის მზადების პროცესში საქართველოში შეიქმნა ზრდასრულთა განათლების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ინტერსექტორალური დიალოგი. მასში მონაწილეობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორების წამომადგენელი დაინტერესებული პირები და მისი მიზანი იყო ქვეყანაში ზრდასრულთა განათლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადება.

„ზრდასრულთა განათლების სტრატეგია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში“ შემუშავდა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2009 წლის 28 იანვარს ხელმოწერილი ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის იდეა ინტეგრირებულია საქართველოს მთავრობის პროგრამაში, საქართველოს მთავრობის ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებში განმტკიცებულია განათლების სისტემის მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობით, სადაც ხაზგასმულია სოციალური ინკლუზიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელობა.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასთან ეროვნული პროგრამის განხორციელების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2004 წლის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის თანახმად საქართველოში უნდა დაინერგოს დასავლეთ ევროპაში ბოლო დროის მეტად პოპულარული სტრატეგია „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე”, რაც პიროვნებას საშუალებას აძლევს კონკურენტუნარიანი გახდეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში, გაიადვილოს სოციალური ურთიერთობები, შეიქმნას თანასწორი შესაძლებლობები და გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი.

სტრატეგიის შექმნა და დამტკიცება გაწერილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს Fast Track Initiative(FII)-ის მოსამზადებელ ფაზაში შემუშავებულ სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. ამგვარად, “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ეროვნული სტრატეგიის“ შემუშავება პასუხობს როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მოთხოვნებს.

სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე მოიცავს განათლების როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მხარეებს და თვითგანათლებას, იწყება რა სკოლამდელი აღზრდით და ვრცელდება საუნივერსიტეტო განათლებაზე, სამუშაო ადგილზე პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვადასხვა ინტერესთა კურსებზე. წინამდებარე სტრატეგიის ძირითადი ფოკუსი

შემოიფარგლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმით-ზრდასრულთა არაფორმალური განათლება.

ტრენინგები, კვლევები და პროგრამები ზრდასრულთა განათლების სფეროში

განვითარებული და დემოკრატიის გზას შემდგარი განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობას შეგნებული აქვს ზრდასრულთა განათლების, როგორც ცენტრალური საკითხის მნიშვნელობა, ამიტომ ისინი აქტიურად არიან ჩაბმული ამ სისტემაში და ხელს უწყობენ მის განვითარებას დემოკრატიის ფორმირების, მოსახლეობის თვითრჩენისა თუ თვითრეალიზაციის მიზნით. ამ მიზნის განხორციელების ერთერთი საუკეთესო გზა კი, როგორც ზემოთ აღინიშნა ზრდასრულთა არაფორმალური განათლებაა, რომლის ერთერთი სახეობაც ზრდასრულთა ტრენინგებია.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ხშირად მხოლოდ ზრდასრულთა განათლების თეორიულ საფუძვლებს განიხილავენ მაშინ, როცა ზრდასრულთა განათლების დაწესებულების რეალური არსებობა მნიშვნელოვანწილად იმ ადამიანების ცოცხალ, პრაქტიკულ საქმიანობას წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის კურსების, სასწავლო პროგრამებისა და სემინარების ორგანიზებას ახდენენ. საქართველოს ხელისუფლება ხშირად მხარს უჭერს კერძო ინიციატივებს ქვეყანაში, ცდილობს შეზღუდოს სახელმწიფოს ჩარევა იქ, სადაც კერძო სექტორი უფრო კომპეტენტური და სანდო შეიძლება იყოს. იგივე მოხდა განათლების და ზრდასრულთა ტრენინგის სფეროშიც. კერძო ტრენინგ-პროვაიდერი ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთვნენ მასწავლებელთა განათლების პროცესებში მიმდინარე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად. მაგრამ პროვაიდერი ორგანიზაციების ტრენერებს არ მოეთხოვებათ სპეციალური უნარები, რასაც ზრდასრულთა სწავლების პროცესები მოითხოვენ.

CTC წარმოადგენს პირველ ქართულ ორგანიზაციას ზრდასრულთა განათლების სფეროში, რომელმაც 2004 წელს მიიღო საერთაშორისო ხარისხის მართვის სერტიფიკატი ISO-9001-2000. აქ ატარებენ კურსებს, სადაც ასწავლიან ზრდასრულთა სასწავლო პროგრამების შემუშავებას.

მაშინ, როცა თითქმის მთელ მსოფლიოში გამუდმებით ვითარდება ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა მიმართულება (ტრენინგები სხვადასხვა უნარებში, დისტანციური განათლება, ახალი საბაზო განათლება, სწავლის გაგრძელება, სწავლა სიცოცხლის მანძილზე, ზრდასრულთა არაფორმალური განათლება), საქართველოში მეტწილად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება მსგავსი პროგრამები. ამ მოძრობას უსისტემო ხასიათი აქვს და მხოლოდ რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფისკენ არის მიმართული. ზრდასრულთა განათლების კურსების ის მცირე რაოდენობა კი,

რაც ადგილობრივი იურიდიული, ან კერძო პირების მიერ შეიქმნა, ძვირადღირებულია და რეგიონებში სოციალურ იზოლიაციაში მოქცეულ მოსახლეობას მათზე ხელი არ მიუწვდება .

მასწავლებლების სასერტიფიკაცო გამოცდებისთვის მოსამზადებელი ტრენინგები, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამის ფარგლებშია ორგანიზებული თავისთავად წარმოადგენს ზრდასრულთა ტრენინგის მაგალითს და მისი ერთერთი მიზანი ასაკოვანი მასწავლებელბის განათლების თანამედროვე ბაზარზე მორგება. მაგრამ ერთია, როცა სახელმწიფო უმუშევრობის აღმოფხვრაზე ზრუნავს და მეორე - როცა ვსაუბრობთ ტრენინგის ეფექტურობაზე, რომ არაფერი ვთქვათ განათლების ხარისხზე. თუ განვიხილავთ ჩატარებული ტრენინგების შედეგებს და მასწავლებელთა ამ ტრენინგებისადმი დამოკიდებულების საკითხებს მივალთ დასკვნამდე, რომ ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსების მომზადება და ტრენინგის პროგრამების დადგენა სამთავრობო და ლიცენზირებულ არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა მოხდეს. როგორც აღმოჩნდა, ასეთი ორგანიზაცია დღეს მხოლოდ ერთია, სადაც ზრდასრულთა განათლების პრაქტიკოსებს ზრდასრულთა განათლების პრინციპებს აცნობენ და ტრენინგს უტარებენ ზრდასრულთა განათლების უნარებში.

მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა (მოსამზადებილი ტრენინგები) 2009 წელს დაიწყო. დაფინანსდა ტრენინგ-პროგრამები იმ საგნებში, რომლებითაც დაიწყო მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი. ესენია: პროგრამები განათლების საბაზოსაშუალო საფეხურის ქართულის, მათემატიკის და უცხო ენების მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები განხორციელდა საქართველოს მასშტაბით. სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის ინიციატივის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა გაიარა დაახლოებით 6500 მასწავლებელმა.

ჩატარდა კვლევა – ”ზრდასრულთა განათლებაში (კურსები, ტრენინგები) მოსახლეობის ჩართულობა და მათი ინფორმირების დონე” პირისპირ ინტერვიუების საფუძველზე. ცდის პირი იყო ზრდასრული მოსახლეობა. კვლევის არეალმა მოიცვა საქართველოს 9 ქალაქი: თბილისი, ბათუმი, რუსთავი, გორი, ახალციხე, მესტია, მცხეთა, ოზურგეთი, ქუთაისი.

ზრდასრული მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული ზრდასრულთა განათლების ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა ზრდასრულთა არაფორმალური განათლება, სწავლა სიცოცხლის მანძილზე, დისტანციური განათლება და სხვ. საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების, მათ შორის სკოლის მასწავლებელთა სერტიფიცირების მიზნების, სარგებელისა და შედეგების შესახებ. ინფორმირებულ საზოგადოებაზე დაფუძნებული ცოდნაზე აგებული ეკონო-

მიკა ბევრად წარმატებული და ეფექტური იქნებოდა ეკონომიკური და სოციალ-ლური გამოწვევების წინაშე. თავის მხრივ, წარმატებული ეკონომიკა კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საზოგადოების წევრების პროფესიული მხარდაჭერისა და თვითრეალიზაციის საქმეში.

არაფორმალური განათლების ოფიციალური სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს (თუმცა არსებობს ცალკეული კვლევები), ბევრ შემთხვევაში არაფორმალური განათლების დადასტურება საერთოდ არ ხდება რაიმე სერტიფიკატით/დოკუმენტით.

კვლევების საფუძველზეც კი შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა ევროპის ქვეყნების უმეტესობასთან შედარებით ნაკლებადაა ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

ცალკეული კვლევების მიხედვით, ზრდასრულთა განათლება პროგრამებში შედარებით დაბალია შემდეგი ჯგუფების ჩართულობა: ასაკოვანი ადამიანები, რეგიონის მაცხოვრებლები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; გენდერული განსხვავებები ამ მხრივ უმნიშვნელოა.

არის ცალკეული პროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით; პროგრამები ორიენტირებულია ზრდასრულთა განათლების სფეროში თანამედროვე ტენდენციებისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გაცნობაზე, მენტორინგზე და ზრდასრულთა განათლების სფეროს ანალიზზე.

ზრდასრულთა განთლება ჯერჯერობით არ არის განხილული ცალკე პროფესიად საქართველოში და უმაღლესი დაწესებულებები არ უშვებენ ამგვარი კვალიფიკაციით კურსდამთავრებულებს.

ამრიგად, დღეს საქართველოში ზრდასრულებს არაფორმალურ განათლებას ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები სთავაზობენ. მათ მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები დანიშნულების მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ა) ზრდასრულთა განათლება საკომპენსაციო ფუნქციით ახალ გარემო პირობებთან უკეთესი ადაპტაციისა და შრომის ბაზარზე კონკურენტობის ამაღლებისთვის (კომპიუტერული კურსები, მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის კურსები, სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსები ეთნიკური უმცირესობისათვის და ა. შ.);

ბ) ზრდასრულთა სამოქალაქო განათლება მდგრადი განვითარებისთვის, სამოქალაქო მშვიდობისა და ინტეგრაციისთვის, კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობიანი გადაჭრისთვის, აქტიური მოქალაქეობის წახალისებისთვის (თემები: დემოკრატია, ტოლერანტობა, გენდერი, გარემოს დაცვა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ა. შ).

ცალკეული კვლევების მიხედვით, ზრდასრულთა განათლება პროგრამ-

მებში შედარებით დაბალია შემდეგი ჯგუფების ჩართულობა: ასაკოვანი ადამიანები, რეგიონის მაცხოვრებლები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; გენდერული განსხვავებები ამ მხრივ უმნიშვნელოა. ახალგაზრდები მეტად არიან დაინტერესებული და ჩართული განათლებაში, ვიდრე შედარებით ასაკოვანი პირები.

ზრდასრულთა განათლება დედაქალაქში მცხოვრებთათვის უფრო მეტად ხელმისაწვდომია, ვიდრე რეგიონში მცხოვრებთათვის. ამის ერთ-ერთი მიზეზია სასაწავლო დაწესებულებების სიჭარბე დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში, ასევე სწავლებისა და ცხოვრების მარალი საფასური; მოკლევადიანი პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგ პროგრამების უმრავლესობა დედაქალაქში ტარდება (88 %), მხოლოდ მცირე ნაწილი დიდ ქალაქებში (12 %).

არის ცალკეული პროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით; პროგრამები ორიენტირებულია ზრდასრულთა განათლების სფეროში თანამედროვე ტენდენციებისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გაცნობაზე, მენტორინგზე და ზრდასრულთა განათლების სფეროს ანალიზზე.

რეფორმები განათლების არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სტრუქტურების განახლებით და ახალი ტექნოლოგიების შემოტანით. საჭიროა ძველ სისტემაში მიღებული განათლების მქონე პირების ახალ საბაზრო ეკონომიკასთან, ცოდნის ეკონომიკასთან ადაპტაციის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის გაკეთება რეგიონებში (რეფორმა ქვემოდან), სადაც მოსახლეობა სოციალურ იზოლაციაშია მოქცეული. საჭიროა განათლების ახალი მიმართულების გამოვლინება და ქვეყნის უზარმაზარი საგანმანათლებლო და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება ამ მიმართულებით, რათა ახალ შრომის ბაზარზე პროფესიონალური და ამავე დროს სათემო მობილიზაცია მოხდეს.

მაშინ, როცა თითქმის მთელ მსოფლიოში გამუდმებით ვითარდება ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა მიმართულება [ტრენინგები სხვადასხვა უნარებში (Training in Different Skills), დისტანციური განათლება (Distant Learning) და სხვ.], საქართველოში მეტწილად საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და სამინისტროების დონეზე ხორციელდება მსგავსი პროგრამები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფისკენ არის მიმართული. ზრდასრულთა განათლების კურსების ის მცირე რაოდენობა კი, რაც ადგილობრივი იურიდიული ან კერძო პირების მიერ შეიქმნა, ძვირადღირებულია და რეგიონებში მოსახლეობას მათზე ხელი არ მიუწვდება.

საქართველოში განათლების მესვეურებმა უნდა გამოიყენონ უკვე არსებული მეცნიერული ცოდნა ზრდასრულთა განათლების მიმართულებების შესახებ, დანერგონ ის სოციალურ პრაქტიკაში, გადააქციონ სასწავლო

დისციპლინად და მიაწოდონ მოსახლეობას სასწავლო პროცესების სახით.
<u>საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება</u>:

- ცოდნის ეკონომიკისა და ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის აღიარება;
- ზრდასრულთა განათლების მენეჯმენტის შექმნა და განვითარება;
- მასწავლებელთა (ზრდასრულთა) ტრენინგისა და მათი პოტენციალის გაზრდის მიმართულებით უფრო მკაფიო ხედვის ჩამოყალიბება და წინსვლა ამ მიმართულებით;
- ზრდასრულთა ტრენინგის პროვაიდერთა საქმიანობის ხარისხის მართვა და აღიარება;
- რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ზრდასრულთა განათლების ცენტრების შექმნა და ამ მიმართულებით კონკრეტული საქმიანობის მართვასა და თანამშრომლობას სათემო და მუნიციპალურ დონეზე;
- ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებში აქტიურ მონაწილეობა და მათი ორგანიზება საქართველოში;
- ანდრაგოგიკის კვლევა და პოპულარიზაცია.

საქართველოს განათლების სისტემა

ზოგადი განათლების სისტემა

საქართველოში ზოგადი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონებით: „ზოგადი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“; მოქმედი ეროვნულ სასწავლო გეგმით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და ხორციელდება სამ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო).

დაწყებითი განათლება მოიცავს 6 წელს და ხორციელდება I-VI კლასებში; საბაზო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება VII-IX კლასებში; საშუალო განათლება მოიცავს 3 წელს, ხორციელდება X-XII კლასებში. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და ავითარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. საბაზო განათლების მიღების შემდეგ გაიცემა საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი. სრული ზოგადი განათლების მიღების შემდეგ გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი
სკოლის საატესტატო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. საატესტატო გამოცდები ტარდება კომპიუტერული ადაპტური ტესტირების მეთოდით (CAT).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე პირს აქვს უფლება, გავიდეს სკოლიდან, ყველა საგანში მიღებული დადებითი შეფასების საფუძველზე სწავლა გააგრძელოს ზოგადი განათლების მესამე საფეხურზე ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით. 2018 წლის აპრილის თვის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 2085 საჯარო და 224 კერძო სკოლა.

პროფესიული განათლების სისტემა

საქართველოში პროფესიული განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებია:

ა) **პროფესიული კოლეჯი** – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბ) **საზოგადოებრივი კოლეჯი** – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს;

გ) **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება**, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;

დ) **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ხუთი საფეხურის კვალიფიკაცია.

დღეს პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამები ხორციელდება პროფესიული განათლების მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდება პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. კონკრეტული პროფესიული პროგრამის საფეხური განისაზღვრება პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით, რომელიც ასევე განსაზღვრავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ატესტატი, პროფესიული ტესტირების ჩაბარება და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული დამატებითი პირობები.

მეოთხე და მეხუთე საფეხურების პროფესიულ პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – ატესტატი

პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული დიპლომი.

უმაღლესი განათლების სისტემა

საქართველოში უმაღლესი განათლება რეგულირდება: საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“; „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სამსაფეხურიანია და ხორციელდება უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეებია:

ა**) კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის- საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

ბ) **სასწავლო უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

გ) **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი.

რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადების, ქართულ ენაში მომზადებისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები აღწერილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატზე - სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს.

პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით ხორციელდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში, მოიცავს 60 კრედიტს.

კურსდამთავრებულზე გაიცემა საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საგნობრივი კომპეტენციის დადატურება, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგნობრივი გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

მასწავლებლის განათლება, სამედიცინო განათლება, სტომატოლოგიური და ვეტერინარიული განათლება ხორციელდება ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამების საფუძველზე.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი, ხოლო დიპლომირებული სტომატოლოგის/ვეტერინარის/მასწავ-ლებლის საგანმანათლებლო პროგრამა – 300 -კრედიტიანი.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობაა სამაგისტრო გამოცდები. მიღების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მესამე საფეხურზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მიღების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

2018 წლის აპრილის თვის მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს 34 საჯარო და 37 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

რეფორმები ზოგადი განათლების სისტემაში

საქართველოს განვითარებისთვის პრიორიტეტულ საკითხთა შორის ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი განათლებას უკავია. ქვეყნის მუდმივი წინსვლის საფუძველი კარგად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდაა, ამიტომაც საქართველოს განათლებისა და მეცნირების სამინისტრო აქტიურად ახორციელებს რეფორმებს განათლების დონის ასამაღლებლად,როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები:

1. **საქართველო ჩართულია ბოლონიის პროცესში და არის ლისაბონის**

კონვენციის მონაწილე.

ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერით შესაბამისმა სახელმწიფოებმა გამოხატეს საერთო მზადყოფნა მონაწილეობა მიეღოთ უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებაში.

ამჟამად, ბოლონიის პროცესში ჩართულია ევროპის 47 ქვეყანა. საქართველო აღნიშნულ პროცესს შეუერთდა 2005 წელს, ბერგენის სამიტზე.

საქართველოს განათლების სისტემა (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) აბსოლუტურად შეესაბამება განათლების ევროპულ სტანდარტებს. სრული ზოგადი განათლების ატესტატი, პროფესიული კოლეჯის დიპლომი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომი აღიარებულია ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ.

2. მსოფლიო ბანკის მიერ ზოგადი განათლების დაფინანსების სქემა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა ფინანსდება ვაუჩერული სისტემით. 2011 წელს განხორციელებული სასკოლო ვაუჩერის კომპონენტების ცვლილებების შედეგად პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის არც ერთი სკოლა არ არის დეფიციტური.

საქართველოს სკოლების საერთო რაოდენობის 11 %-ს კერძო სკოლები წარმოადგენს.კერძო სკოლებში მოსწავლეების 10 % სწავლობს. ევროპის მასშტაბით, კერძო სკოლების რაოდენობით საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა.

3. **საქართველოში საჯარო სკოლა არის დეცენტრალიზებული**.

სკოლას მართავს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტსა და სკოლის შინაგანაწესს. ასევე ის ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორს. სკოლის სამეურვეო საბჭოს დირექტორობის სერტიფიცირებულ კანდიდატებს წარუდგენს განათლებისა და მეცნირების მინისტრი.

განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია საკმაოდ გავრცელებული ტენდენციაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ზოგადად, დეცენტრალიზაცია მართვაში განისაზღვრება როგორც გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილების გადაცემა ორგანიზაციული იერარქიის ზედა დონიდან ქვედა დონეზე.

4. 2011 წლიდან ყველა პირველკლასელი საქართველოს პრეზიდენტისაგან საჩუქრად იღებს პერსონალურ კომპიუტერს (ნეტბუკს), რომელშიც ჩატვირთულია მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამები და საგანმანათლებლო თამაშები ყველა საგანში.

5. 2011 წლიდან ამოქმედდა (ამჟამად უკვე 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა) ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის შექმნაშიც მონაწილეობას იღებდნენ პრაქტიკოსი პედაგოგები.
6. 2011 წლიდან სკოლებში ინგლისური ენა პირველი კლასიდან ისწავლება. მოსწავლეები ინგლისურ ენას სწავლობენ მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი საგამომცემლო სახლის „მაკ მილანის“ სახელმძღვანელოებით.
7. საქართველოში 2012 წლის იანვრიდან ამოქმედდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია მრავალფეროვანი და საჭირო სახელმძღვანელოები, როგორც მასწავლებლისთვის,ასევე მოსწავლეებისთვისაც. მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კორპორაცია „Intel”-თან თანამშრომლობით ამოქმედდა პროექტი Skoool.ge, სადაც თავმოყრილია დამხმარე ელექტრონული მასალები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში. ქართველი მოსწავლე-ებისთვის შეიქმნა და ფუნქციონირებს ელექტრონული რესურსები:
www.buki.ge
www.skoool.ge
www.el.ge
8. 2012 წლიდან ამოქმედდა პროგრამა **„ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“**. რომელიც გულისხმობს ქართული ენის გაძლიერებულად სწავლებას ქვემო ქართლსა და სამცხე ჯავახეთში. 500-მდე ქართველი მოხალისე პედაგოგი ქართულ ენასა და ლიტერატურას არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი, თანამედროვე სტანდარტებით შექმნილი, სახელმძღვანელოებით ასწავლიან. მოხალისეები ცხოვრობენ ადგილობრივ ოჯახებში და მოსახლეობასაც ეხმარებიან ქართული ენის შესწავლაში.
9. გამორჩეული და წარმატებული სწავლისათვის სკოლის მოსწავლეების წახალისება სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. მოსწავლეები, რომლებიც საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულ საგნებს დაძლევენ ათი ქულით გადაეცემათ ოქროსა და ვერცხლის მედლები და ატესტატი, ხოლო საბაზო საფეხურის სრულ ათოსან მოსწავლეებს საქართველოს პრეზიდენტი საჩუქრად პერსონალურ კომპიუტერს გადასცემს.

მოსწავლეებს ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადებში წარმატებული მონაწილეობით შესაძლებლობა ეძლევათ მოიპოვონ დიპლომი და ფულადი ჯილდო.
10. სრული ზოგადი განათლების ატესტატის მისაღებად საქართველოს ყველა მეთორმეტეკლასელი აბარებს საატესტატო გამოცდას რვა საგანში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში, მათემატიკაში, ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში.

სკოლის გამოსაშვები გამოცდები ტარდება კომპიუტერის მეშვეობით - Computer Adaptive Testing – GAT-ის მეთოდით.

11. სახელმწიფო ხელს უწყობს ინკლუზიური სწავლების განვითარებას, რაც აღიარებულია ნორვეგიის მთავრობის მიერ, რომელიც აქტიურ დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანას ამ მიმართულებით რეფორმის განხორციელებაში.
12. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მანდატურების პროექტის მიზანია სწავლის პერიოდში მშობლებს, შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია ჰქონდეთ. სკოლის მანდატურები საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსდნენ, აქვთ სპეციალური ფორმა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები.
13. მასწავლებელთა შეფასების ახალი სქემა

2014 წლიდან საჯარო სკოლის მასწავლებელთა განვითარებისა და შეფასების ახალი სქემა ამოქმედდა.

რეფორმები პროფესიული გ ანათლების სისტემაში

პროფესიული განათლების ახსნა შემდეგნაირად შეიძლება: ეს არის კონკრეტული პროფესია, რომელსაც სპეციალობად ირჩევ და სათანადო სპეციალობის დამადასტურებელ საბუთს ღებულობ, მაგრამ პროფესიული განათლების მიღების პროცესში ხდება არა მხოლოდ პროფესიის დაუფლება, არამედ გაცილებით მეტი, კერძოდ, კომპლექსური ინფორმაციისა და უნარ-ჩვევების შეთვისება. სწორედ ამიტომ პროფესიული განათლება იგივე სოციალურ ფუნქციას ასრულებს, რასაც განათლება მთლიანობაში, რომელშიც შედის სოციალიზაცია და პიროვნების აღზრდა-განვითარება სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საზოგადოებაში. პროფესიული განათლება შეიძლება სხვადასხვა ჩარჩოში განვიხილოთ: პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სოციოლოგიური და სხვა. პროფესიული განათლება ეს არის თეორიული განათლების შეძენა პრაქტიკასთან ერთად, როდესაც სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს. პროფესიული განათლების მიღება პიროვნებას სპეციალობის დაუფლებაში, დასახული მი-ზნების განხორციელებაში ეხმარება.

პროფესიული განათლება პიროვნებას არ ამზადებს მხოლოდ მომავალი შრომისუნარიანობისათვის, ეს ის პერიოდია, რომლის დროსაც ადამიანი სწავლობს, იღებს პროფესიას, კვალიფიკაციას და ეს არის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, რომელიც სავსეა არა მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდით, არამედ ხდება ახალგაზრდის ფორმირება და მომზადება მომავალი ცხოვრებისათვის, პერიოდი ნათელი და საინტერესო ურთიერთობებისათვის,

ახალი გატაცებებისათვის, აქტიური ცხოვრებისათვის. თუ ახალგაზრდა ერთ პროფესიულ სასწავლებელში ბევრად მეტს იღებს სოციალიზაციის თვალსაზრისით და მისი მისი განვითარება, ამავდროულად, უფრო ჩქარი ტემპით ხდება, ამ პროცესებს მხოლოდ დადებითად უნდა შევხედოთ და მის განვითარებას შევუწყოთ ხელი.

ძველად პროფესიულ სასწავლებლებში ისწავლებოდა პრინციპით: ,,გააკეთე ისე, როგორც მე ვაკეთებ", რაც მხოლოდ ერთი კონკრეტული საგნის შესწავლაზე იყო ორიენტირებული. დღესდღეობით კი ცოდნის მიღება არა მხოლოდ კონკრეტულ სპეციალობის დაუფლებით შემოიფარგლება, არამედ დამატებით ზოგად საგნებსაც სწავლობენ, რაც მათ შესაძლებლობებსა და პოტენციალს ზრდის.

ხდება არა მხოლოდ ერთი საგნის სწავლება, არამედ მომიჯნავე სასწავლო დისციპლინების ათვისებაც. აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლება დაკავშირებული იყო წარმოებასთან, სადაც ხდებოდა პრაქტიკის მიღება და არსებობდა დამსაქმებლის მოთხოვნა, რომელიც სტუდენტს ასაქმებდა, ბოლო წლებში აღნიშნული ტენდენცია აღარ არსებობს საწარმოების დახურვის გამო. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახება მოთხოვნილებაზე. ქვეყნის ეკონომიკური დონე ხშირად პროფესიული სასწავლებლების მნიშვნელობის გაუფასურებას განაპირობებს, რადგან ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში საწარმოების გაჩერებასა და ბაზრის მოთხოვნის შემცირებას იწვევს სხვადასხვა პროფესიის მუშახელზე და საბოლოოდ ხდება პროფესიული სასწავლებლების დახურვა და მისდამი ინტერესის დაკარგვა საზოგადოების მხრიდან.

პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელ ნორმებს შევხვდებით რიგ საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი და პირობები, მართვისა და დაფინანსების პრინციპები, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსი და აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები განსაზღვრულია საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ.

პროფესიული განათლების განვითარება მე-19 და მე-20 საუკუნეებში

საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში უკვე არსებობდა დაწესებულებები, სადაც ხდებოდა პროფესიების დაუფლება. სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები იწვევდა სპეც-ტექნიკური სკოლების შექმნას სოფლისა და ქალაქის მრეწველობის ცალკე დარგებისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. სახავდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის კვალიფიციური მუშაკების მოსამზადებლად, გამოჰქონდათ დადგენილებები სპეციალური

სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ ამ ღონისძიებათა და გადაწყვეტილებათაგან ბევრი არ ხორციელდებოდა ან ხორციელდებოდა ათეული წლების შემდეგ. ტექნიკურ სასწავლებელთა გახსნისა და სპეციალისტთა მომზადების საქმის მოუგვარებლობა ძალიან აფერხებდა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ზრდას. 40-იანი წლების დამდეგიდან ამიერკავკასიის მმართველ წრეებში განსაკუთრებულინ ყურადღება მიიქცია კომერციულმა განათლებამ. ვაჭრობისა და სავაჭრო დაწესებულებების განვითარება მართლაც მოითხოვდა კომერციის მუშაკთა მომზადებას, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა მათი მოსამზადებელი სკოლები, რის გამოც აუცილებელი ხდებოდა მსურველთა გაგზავნა რუსეთის კომერციულ სასწავლებელბში.

ქართველი განმანათლებლები კარგად გრძნობდნენ სამეურნეო-ტექნიკური პროგრესის საჭიროებას და ხალხს მოუწოდებდნენ ყოველი ღონე ეხმარათ პროფესიული განათლების გავრცელებისათვის. ილია ჭავჭავაძე ხალხს ურჩევდა, რომ თავიანთი წვლილი შეეტანათ პროფესიული სასწავლებლების დაარსებაში, რადგან თვლიდა რომ ქვეყნის გადარჩენისა და გაძლიერებისათვის ეს აუცილებელი პირობა იყო. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელის გაფართოების იდეას კავკასიის სასწავლო ოლქის მესვეურებიც უჭერდნენ მხარს, მაგრამ არა კეთილი განზრახვით არამედ იმ მოტივით, რომ დაბალი ფენების ახალგაზრდების ფართო სარბიელზე გასვლის შეფერხება სურდათ. მათი მიზანი იყო განათლებას ხელი კი არ შეეწყო ახალგაზრდის განვითარებისათვის არამედ, პირიქით მათი ერთფეროვნებაზე მიჯაჭვა მომხდარიყო. მიუხედავად წინააღმდეგობისა გარდა სპეციალური სახელოსნო სასწავლებლებისა, დაწყებით და საქალაქო სასწავლებლებთან იქმნებოდა სახელოსნო და სამეურნეო განყოფილებები, რომლებიც სპეციალურად დამუშავებული გეგმითა და პროგრამებით მუშაობდნენ. მნიშვნელოვანი იყო აგროტექნიკური ცოდნის გავრცელებაც. სოფელ წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრაში დააარსეს სასოფლო მეურნეობის სკოლა, მოსამზადებელი კურსითა და ფერმით, მიზანი იყო შეესწავლათ ადგილ-მამულის რიგიანი დამუშავება, ხეხილისა და ვენახის დაყენება და შენახვა, ბოსტნეულის მოყვანა და სხვა. სკოლის დამაარსებელი იყო ი. წინამძღვრიშვილი, რომელმაც თავდად გადასცა სკოლას მიწის ნაკვეთი და საჭირო ინვენტარი. 80-იან და განსაკუთრებით 90-იან წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქალთა პროფესიული განათლების ქსელი. 1897-წელს რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა ქალთა პროფესიულ-ტექნიკური განათლების პროექტი, რომლის მიხედვით უნდა მომზადებულიყო ოსტატი ქალები ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა დარგებში.

1959-1963 წლებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ყველა ტიპი რეორგანიზებულ იქნა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად და

მოექცნენ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის დაქვემდებარებაში. მართალია, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებები ჯერ კიდევ მუშათა კადრების მომზადების უწყებრივი სასწავლებლების უმეტესობა ვერ აწვდიდნენ საკმაო ოდენობის მუშათა კადრებს, მაგრამ მათ მიერ გამომუშავებული კადრები სულ უფრო მეტ ადგილს იჭერდნენ მრეწველობაში. სასწავლებელში მიდიოდნენ არასრული საშუალო, ზოგადი განათლების მქონე ბიჭები და გოგონები, იზრდებოდა სასწავლებელთა ქსელი და მოსწავლეთა კონტინგენტი. საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლები და სკოლები დაკომპლექტებულ იქნა მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა და ოსტატთა მიერ. პროფესიულ-ტექნიკური განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფტექნიკური განათლების საკავშირო სისტემის კურსების მუშაობას ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, კიევში, სარატოვსა და ორეხოვო-ზუევოში. არსებული კურსები დაამთავრა რამდენიმე ათეულმა მუშამ საქართველოდან. მსგავსი ერთვიანი კურსები არსებობდა თბილისშიც. მოსწავლეთათვის ტარდებოდა სემინარები, სადაც ხდებოდა ახალი ტექნიკის, მოწინავე მეთოდოლოგიის გაცნობა. საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემა კვალიფიციურ მუშახელს ამზადებდა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებისათვის.

1964 წელს პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებმა გაადიდეს ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ პროფესიების კვალიფიციურ მუშათა მომზადება და შეამცირეს იმ პროფესიათა მუშების მომზადება, რომლებზედაც მოთხოვნილება თანდათან მცირდებოდა. სასწავლებელში ფართოდ იყო გაშლილი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა, რისთვისაც განსაკუთრებით კარგი ნიადაგი შექმნა საშუალო სავალდებულო განათლების შემოღებამ. აღნიშნულმა გარემოებამ მკვეთრად შეცვალა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსული ახალგაზრდობის განათლების დონე. მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემას მუშაობაში გააჩნდა ნაკლოვანებებიც: საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა ახალი სასწავლებლების აშენებას და არასაკმარისი რაოდენობით გამოდიოდა სახელმძღვანელოები, რაც აბრკოლებდა განათლების ხარისხიანობას.

იაკობ გოგებაშვილი პროფესიული განათლების შესახებ

საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ი. გოგებაშვილს, რომელიც წერდა: „ჩვენი ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ჩვენ კი ძლიერ ღარიბები ვართ. რადა? იმიტომ, რომ მოვლა არ ვიცით ამ ბუნებისა. სხვებმა იციან ეს მოვლა, ერთი ათად მეტის გამორჩენის იმედი აქვთ, ფულს გვახარბებენ და ხელიდან გვაცლიან მიწა-წყალს ... თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა და, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან

აუცილებელი გახდება ... მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ცხოვრებისათვის, და როგორც ხე მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია" . აღნიშნული სიტყვებით გოგებაშვილი საზოგადოებას მოუწოდებდა სწავლისაკენ, რადგან სწორედ სწავლით შეიძლება გადარჩეს მიწა-წყალინ, რომელიც განადგურებულია. დამუშავებისათვის კი მნიშვნელოვანია პროფესიული განათლება, თუ როგორ მოხდეს ნიადაგის დამუშავება. მას სურდა პროფტექნიკურ სასწავლებლებში სასოფლო-სამეურნეო განათლების საკითხი უფრო მაღალ საფეხურზე დაეყენებინათ. გოგებაშვილის აზრით, სპეციალური სწავლა უძლურია თუ მას წინ არ უძღვის საზოგადო განვითარება, რომელიც მოსწავლეს ეხმარება ჩამოყალიბდეს სრულფასოვან ადამიანად. საჭირო იყო ადამიანი, რომელიც არ იქნებოდა მხოლოდ მანქანა-დანადგარი რომელიმე ქარხნისათვის არამედ იქნებოდა პიროვნება, ქართულად მოაზროვნე, განათლებული, რომელიც შეიარაღებული უნდა ყოფილიყო ნამდვილი სამეურნეო სწავლით.

ი. გოგებაშვილის აზრით, ადამიანი პროფესიულ ცოდნას შეგნებულად და მტკიცედ მხოლოდ მაშინ დაეუფლება, თუ ეს პროფესიული ცოდნა ზოგად განათლებასთან ერთად იქნება შერწყმული. პროფესიული განათლების საფუძვლად ზოგადი განათლება ისახებოდა, რომელიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო ყოველგვარი წოდებრიობისაგან. გოგებაშვილი თვლიდა, რომ საქართველოში განათლება წინ მიდიოდა, რადგან უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცდილობდა მიეღო განათლება. გოგებაშვილის აზრით, განათლება უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე, რაც არ უნდა კარგი იყოს განათლების პირობები და სასწავლო გარემო მშობლიური ენის გარეშე სკოლაც და ტექნიკური სასწავლებელიც ღარიბია. ი. გოგებაშვილი მიესალმებოდა ისეთ სასწავლო დაწესებულებებს, როგორიც იყო წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომლის ღირსებაც არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელება იყო, არამედ ის წარმოადგენდა ჭეშმარიტად პედაგოგიურ პრინციპებზე აგებულ სახალხო, ეროვნულ სკოლას.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები წარმატებით აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს ყირიმის სამეურნეო სასწავლებელში და ასევე წარმატებით აგრძელებდნენ სწავლას იქ. გოგებაშვილი ასევე ქვეყნის განვითარების საქმეში მნიშვნელოვნად მიიჩნევდა სამეურნეო და ტექნიკური განათლების განვითარებას. მეურნეობა მეტად რთული საგანია და მნიშვნელოვანია მისი შესწავლა, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულადაც. ბუნება მხოლოდ იმას ემორჩილება, ვინც იცავს მის კანონებს და იცის, როგორ გამოიყენოს მისი სიმდიდრე. ადამიანი, რომელმაც არ იცის ბუნების გამოყენება ის მდიდარ გარემოშიც კი შეიძლება შიმშილით მოკვდეს. ხოლო ღატაკი ბუნებაც კი შეიძლება ადამიანმა აქციოს სიმდიდრის წყაროდ, თუ მან ზედმიწევნით იცის, როგორ მოუაროს მას. გოგებაშვილი თვლიდა, რომ სასოფლო-სამეურნეო და პროფესიულ-ტექნიკური ცოდნის დაუფლება ცალკე,

სპეციალური პროფესიული სკოლის დაარსებას საჭიროებდა, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია სათანადო სპეციალური განათლებით შეიარაღებული კადრების აღზრდა. გოგებაშვილი მოითხოვდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საფუძვლიანად მომზადებულიყო ნიადაგი სპეციალური სამეურნეო და ტექნიკური განათლებისათვის. დაბალი სამეურნეო სასწავლებლების გვერდით იგი საჭიროდ თვლიდა ისეთი საშუალო და უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლების დაარსებას, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის მაღალ მეცნიერულ დონემდე აყვანას. იაკობ გოგებაშვილი კარგად ხედავდა, რომ მეფის ხელისუფლება განზრახ აბრკოლებდა ჩვენში საშუალო პროფესიული და უმაღლესი განათლების აღორძინების საქმეს, მაგრამ მას მით უფრო სწამდა მთელი ქართველი საზოგადოების დიდი მისზრაფებისა ამ განათლებისაკენ და სჯეროდა, რომ ხალხს არ დაუკარგავს მამა-პაპური ძალა და გამჭრიახობა.

საქართველოში არის ნაკლებობა მხვნელ-მთესველთა, ხელოსანთა, ეს იმიტომ, რომ ქართველი კაცის შეგნებაში ფასეულობათა გადაფასება მოხდა: ღირსეულ საქმეს უღირსად მიიჩნევენ, ხოლო უღირსს ღირსეულად. მშობლები მიიჩნევენ, რომ მისმა შვილმა უმაღლესი განათლება უნდა მიიღოს და არა პროფტექნიკული, რადგან მათ ვერ გაუგიათ მნიშვნელობა და ღირებულება მსგავსი განათლებისა. აღარ ახსოვთ ჩვენი წარსულინ და ის ღირსეული ოსტატები, ხელოსნები, ხიდების და ციხეების აღმშენებლები, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა დღემდე მოიყვანა .

რეფორმები პროფესიულ განათლებაში XXI საუკუნის საქართველოში

2004 წლიდან საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად ქვეყანამ საგრძნობი ეკონომიკური ზრდა განიცადა და ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო, მაგრამ 2008-წლის საომარი ოპერაციების გამო განვითარების ტემპი შეფერხდა. ეკონომიკური წინსვლა კვლავ განახლდა 2011-წელს და მთლიანი შიდა პროდუქტი 7%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საქართველო კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ბაზარზე ყოველ დღე ჩნდება ახალი მოთხოვნილებები, რომელიც საჭიროებს მაღალი დონის პროფესიონალს. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა პროფესიული განათლების განვითარება და კვალიფიკაციური პროფესიული კადრების მომზადებაა. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობის მიერ 2007 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი და პოზიტიური რეფორმების გატარება, რომელშიც ყველა დაინტერესებული პირი იყო ჩართული, მათ შორის იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა შორის აღსანიშნავია ევროკავშირის წარმომადგენლები, რომლებიც

საქართველოს ეხმარებოდნენ, როგორც მატერიალურად ასევე ადამიანური რესურსებითაც. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განვითარდა პროფესიულ სასწავლებელთა ინფრასტრუქტურა და აშენდა ახალი სასწავლებლები.

2013 წელს ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, შემუშავდა 2013-2020 წლების სტრატეგია, რომლის მიზანია მომდევნო ათწლეულში საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების მხარდაჭერა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა. აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, ასევე შემუშავდა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა, რომლითაც მოხდა იმ ძირითადი ამოცანების განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების განვითარებას. გასული წლების განმავლობაში, პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანი ოდენობის თანხებია გახარჯული. თანხების გახარჯვა მოხდა, როგორც ახალი სასწავლებლების მშენებლობაზე, ასევე არსებული სასწავლებლების რეაბილიტაციაზეც.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ინიციატივით განხორციელდა ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა პროფესიული სტანდარტების შემუშავება. ამ კომპონენტების ფარგლებში 2013 წელს განახლდა აგრარული, სამშენებლო, სატრანსპორტო, დიზაინისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგების 15-პროფესიული სტანდარტი. მოხდა თითოეული აღნიშნული პროფესიის პროფილის აღწერა, მათი მოვალეობები, ცოდნა, უნარ-ჩვევები, საჭირო ხელსაწყოები და პროფესიის განვითარების სამომავლო გეგმები. სამუშაო ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ პროფილის აღწერაში შედიოდნენ: დამსაქმებლები, დასაქმებულები, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები. თუმცა ეს პროცესი ახალი დაწყებულია და ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას. პროფესიული სტანდარტების ამ მეთოდოლოგიით შემუშავება ევროპასა და მსოფლიოში აპრობირებული წარმატებული მეთოდია, რადგან პროცესში ყველა დაინტერესებული მხარეა ჩართული და ხდება მათი შეხედულებების გათვალისწინება.

საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმა დღემდე გრძელდება. შესაბამისად, სამინისტრო პერიოდულად აახლებს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, სადაც პროფესიული განათლების განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. სტრატეგიის თანახმად, მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს ყველა რეგიონში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მინიმუმ ერთი კოლეჯის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო სახელმძღვანელოებით,

საერთო საცხოვრებლით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ამავე სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია ყველა საჯარო პროფესიული კოლეჯის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სასწავლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სამინისტროს აპარატის გარდა, პასუხისმგებელია სააგენტო, რომელიც შედის სამინისტროს მმართველობის ქვეშ და მის ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენს. სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, ინვენტარით და ტექნიკით მომარაგება.

2013 წლამდე სამინისტრო სტუდენტს დაფინანსებას აძლევდა მხოლოდ პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. პრიორიტეტული პროგრამების ნუსხას განსაზღვრავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული იყო პრიორიტეტული სასწავლო პროგრამები ცალკეული პროფესიული სასწავლებლისათვის, მათი პროფილიდან გამომდინარე.

პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამად განისაზღვრებოდა პროფესია, რომელიც მოთხოვნადი იყო მთლიანად ქვეყნისა თუ რეგიონულ შრომის ბაზარზე. შესაბამისად, პრიორიტეტული პროგრამების ნუსხა შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო რეგიონების მიხედვით. თუმცა, სამინისტრო არ ფლობდა საკმარის და სანდო ინფორმაციას ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ. ამის მიზეზი არის ის, რომ არც საქართველოს მთავრობას და არც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ ჰქონდა შემუშავებული შრომის ბაზრის კვლევის სტრატეგია, რის შედეგადაც აღნიშნულ პერიოდში არ განხორციელებულა საკმარისი კვლევები შრომის ბაზრის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით. რამდენიმე კვლევა ჩატარდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების (USAID, IOM, GiZ) მიერ, რის შედეგადაც მოხდა საქართველოს შრომის ბაზრის შესწავლა ცალკეული რეგიონის მიხედვით. თუმცა სამინისტროს არ გაუთვალისწინებია აღნიშნული კვლევების შედეგები, რადგანაც მათი თვალსაზრისით, ისინი ფრაგმენტული და არასისტემატური იყო.

აუდიტით დადგინდა, რომ კვლევების შედეგად იდენტიფიცირებული დამსაქმებლის მიერ მოთხოვნადი პროფესიები ნაწილობრივ ემთხვევა სამინისტროს მიერ პროფესიული კოლეჯებისათვის განსაზღვრულ სასწავლო პრიორიტეტებს, რიგ ასპექტებში კი შეუსაბამობებია.

პროფესიული სასწავლებლების მიერ ყველაზე ხშირად შეთავაზებული სასწავლო კურსებია:

- სამშენებლო სფერო
- სასტუმრო / ტურიზმისხვა
- ინფორმაციული ტექნოლოგიები

- ტექნიკოსი (ავტომობილისა და მანქანა-დანადგარების)
- სარესტორნო მომსახურება, კვება
- ტექსტილი

ასევე, მნიშვნელოვანი წილი მოდის ზოგად საოფისე უნარ-ჩვევებზე, როგორიცაა პერსონალური კომპიუტერის მოხმარება (ინფორმაციული ტექნოლოგიები), ბუღალტერია, მოლარისა და სასტუმროს საქმის მწარმოებლის კურსები.

შრომის ბაზარზე ყველაზე მზარდ და მოთხოვნად სფეროებად სახელდება სამშენებლო, სატრანსპორტო, ელექტროენერგიის, სარესტორნო მომსახურება, სამთო მრეწველობა, წყალმომარაგება, ტურიზმისა და სასოფლო სამეურნეო სფეროები, რომლებიც რიგ კომპონენტებში არ ემთხვევა სასწავლებლების მიერ შეთავაზებულ გადამზადების კურსებს. კერძოდ, არასაკმარისად ან საერთოდ არ ხდება ქიმიკოსებისა და ფარმაცევტების გადამზადება.

აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთ სფეროში მოთხოვნას შეესაბამება მიწოდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება არასაკმარისი და არადამაკმაყოფილებელია, რადგან ისინი ეუფლებიან ზოგად, და არა სპეციფიკურ უნარჩვევებს, რაც საკმარისი არ არის რთული სამუშაოების შესრულებისათვის

რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლების მიერ განხორციელებულ კვლევებს, დამსაქმებლების მიერ მოთხოვნა იკვეთება შემდეგი სფეროების სპეციალობებზე: ტექნიკოსი (ავტომობილებისა და სხვა მანქანა-დანადგარების), სამშენებლო სფერო, სასტუმრო საქმის მწარმოებელი, სარესტორნო საქმე და კვება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, და სამკერვალო სფერო. ამდენად, პროფესიული კოლეჯების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ძირითადად ემთხვევა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. თუმცა სამინისტრო პრიორიტეტების განსაზღვრისას სრულად არ ითვალისწინებს პროფესიული სასწავლებლებისა და სამოქალაქო სექტორის კვლევებს.

საქართველოში სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს 3 საინფორმაციო ცენტრი – თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ამ ცენტრების მთავარი ფუნქციებია:

- პირის ინფორმირება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის პირობებისა და ვადების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების პირობებისა და არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა;
- პროფესიული განათლების მიღების მსურველთა შესაბამის ბაზაში რეგისტრაცია.

ცენტრების ფუნქციონირების ერთ-ერთ პრობლემას 2013 წლამდე წარმოადგენდა ის, რომ არ არსებობდა რეგისტრაცია ინტერნეტ-გვერდების მეშვეობით. ერთადერთი გზა სასწავლებელში დასარეგისტრირებლად ან დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად საინფორმაციო ცენტრში სტუმრობა იყო, რაც რეგიონებში მცხოვრები სტუდენტებისათვის გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. დღეს აღნიშნული

პრობლემა აღარ დგას, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოში არსებული სისტემის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ საინფორმაციო ცენტრები ფუნქციურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ევროპის ქვეყნებში არსებული საინფორმაციო ცენტრებისაგან. კერძოდ, არა აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია შრომის ბაზრის შესახებ, არ თანამშრომლობენ პარტნიორ სახელმწიფოებთან, არ ზრუნავენ გაცვლით პროგრამებზე და ა.შ.

რეალობის იმ ფონზე, როდესაც ახალგაზრდობა თითქმის გაუცნობიერებლად ესწრაფვის უმაღლეს განათლებას და მისი მიღების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ დაუსაქმებელი რჩება, არსებობს განათლების ალტერნატიული და შრომის ბაზარზე პრაქტიკულად მორგებული ფორმა, რომელიც პარალელურ რეჟიმში თეორიულ ცოდნასაც იძლევა და საინტერეო პროფესიასაც შეგასწავლით მომავალი დასაქმების პერსპექტივით. გერმანულ რეალობაში მას **დუალური განათლება ჰქვია.** დუალური პროფესიული განათლება კარგად აპრობირებული და წარმატებული მეთოდია გერმანიაში, სადაც მცირე და საშუალო წარმოების რაოდენობა მრეწველობის 97%-ს შეადგენს, ხოლო მათში დასაქმებულთა უმეტესობა დუალურ განათლებაში მონაწილე ადამიანები არიან. დუალურ განათლებაში კონკრეტულ სპეციალობას ითვისებენ ხარისხიანად და აქვთ სწრაფი და ნაყოფიერი შედეგები. პროფესიული განათლების სხვა ფორმებთან შედარებით უფრო მოქნილ და მარტივ მეთოდად აღიარდა არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ მთელს ევროპასა და ამერიკაში. განათლების ამ მეთოდის მეშვეობით სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას სწავლის გაგრძელების და მუშაობის შესაძლებლობა ერთდროულად აქვს. ახალ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იგი ორ პარალელურ სივრცეში საწარმოსა და სასწავლებლის აუდიტორიაში ითვისებს: კვირის 3-4 დღე საწარმოშია, 2-3 დღე პროფესიული განათლების სკოლაში. სწავლის დასრულების შემდეგ მისი ცოდნა და შესაძლებლობები გამოცდაზე ფასდება და იღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს და წარმოჩენილი შედეგების მიხედვით ხდება მისი აყვანა საწარმოში. ეს არის შედარებით დაბალანაზღაურებადი კადრი, რომელზედაც ბაზარზე მოთხოვნა ბევრად მეტია, იმ ახალგაზრდებთან შედარებით, ვინც მართალია, უფრო ხანგრძლივი უმაღლესი განათლება მიიღო, მაგრამ მხოლოდ თეორიულ ცოდნას ფლობს და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნია. გერმანიაში ბიზნესის თითქმის ყველა

სფეროში შეაღწია დუალურმა პროფესიულმა განათლებამ. იგი 346 ძირითად და 46 ახალ პროფესიას მოიცავს და დღეს გერმანია მთელ ევროპაში ის ქვეყანაა, სადაც ყველაზე მაღალია დასაქმებული ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი. როგორ მივაღწიოთ მსგავს წარმატებას საქართველოში, სადაც ახალგაზრდების უმეტესობა სამწუხაროდ დაუსაქმებელია.

რამდენად შესაძლებელია დუალური პროფესიული განათლების საქართველოში დანერგვა? დუალური განათლების ექსპორტს გერმანია განიხილავს, როგორც დახმარებას ქვეყნისადმი და ასეთი თანამშრომლობისათვის მუდამ მზად არის, თუმცა სახელმწიფო ნების გარდა დუალური განათლების ხელშეწყობას და დამკვიდრებას ბიზნესის აქტუალური ჩართვა და მონდომებაც სჭირდება. სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს აღნიშნულ საკითხზე. იმართება შეხვედრები მსხვილ ორგანიზაციებთან და ცდილობენ მათ დაანახონ დუალური განათლების უპირატესობა და სარგებლობა. სამინისტრო აქტიურად მუშაობს ასევე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის პროფესიულ განათლებაში. ზოგიერთი პროფესიული სასწავლებელიუკვე ახორციელებს დუალურ განათლებას.

რეფორმები უმაღლესი გ ანათლების სისტემაში

უმაღლესი განათლება ეს ის საძირკველია, რასაც ძლიერი სახელმწიფო უნდა ემყარებოდეს. უმაღლესი განათლების სრულყოფა ქვეყანაში მძიმე ვითარების დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ახალი სოციალური ინსტიტუტების შექმნა ისეთი საბაზრო ეკონომიკისა და საპარლამენტო დემოკრატიის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კიდევ ერთხელ ცხადყოფს სათანადო მაღალი ხარისხის განათლების სისტემის საჭიროებას. რეფორმის პროცესის წარმატება დამოკიდებულია მართებულ სტრატეგიულ და ოპერატიულ დაგეგმვაზე, კომპეტენტურ განხორციელებაზე, გამჭვირვალე კონტროლსა და დამოუკიდებელ შეფასებაზე. თანამედროვე საზოგადოების მართვა რთული და კომპლექსური ამოცანაა. ბევრად უფრო რთულია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მართვა. წარმატებისათვის მას კომპეტენტური სახელმწიფო და კერძო სექტორის მმართველები ესაჭიროება. ლიდერებს სხვათა შთაგონების, სტრატეგიული დაგეგმვისა და ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, მაგრამ განხორციელება საშუალო რგოლის მენეჯერებზეა დამოკიდებული.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის პრობლემათა გააზრება და აღიარება მათი გადაჭრის გზაზე მხოლოდ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. ქვეყანათა უმრავლესობაში უმაღლესი განათლების სისტემები სახელმწიფო და კერძო სექტორის დაინტერესებულ მხარეთა მუდმივი კრიტიკული განხილვის

ობიექტია. მაგალითად, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციებში) ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა იმ მოდელზე, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების მოქმედების პრინციპს ოპტიმალურად შეუსაბამებდა საზოგადოების მოთხოვნებს. ამ ორგანიზაციის ახალმა წევრებმა მაგალითად, უნგრეთმა, გადაიღეს ეს პრინციპები. გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნებშიც ჯერ პრობლემის განსაზღვრა ხდებოდა, ხოლო შემდეგ იწყებოდა რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება. მართალია, გამოცდილებათა გაზიარება ძალიან სასარგებლოა, მაგრამ არ არსებობს უმაღლესი განათლების რეფორმირების უნივერსალური მოდელი. საქართველომ კარგად უნდა გააცნობიეროს, თუ რა უნდა, როგორ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მისი უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულებები.

მეცნიერული ცოდნა, ტექნოლოგია, ჩვენი წარმოდგენები სამყაროზე წინა დროსთან შედარებით განუზომლად სწრაფად ვითრადება. დღეს მიღებული კვალიფიკაცია ხვალ შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს ამიტომ, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის აუცილებლობა ყველაზე თანამედროვე მოთხოვნად იქცა. ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის შედეგად ზოგიერთი პროფესია გაქრება და მათ ნაცვლად ახლები გაჩნდება.

უმაღლეს განათლებას საქართველოში ღრმა და მდიდარი ტრადიციები აქვს. ჯერ კიდევ III საუკუნეში დაარსდა „კოლხეთის აკადემია'', უმაღლესი რიტორიკული სკოლა, ხოლო აღორძინების ხანაში XI-XII საუკუნეებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერები გაჩნდა, როგორც დასავლეთ (გელათის აკადემია), ასევე აღმოსავლეთ საქართველოში (იყალთოსა და გრემის). მონღოლთა, სპარსელთა და ოსმალთა შემოსევებმა საქართველოში დიდი ხნით შეწყვიტა და შეაჩერა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა-განვითარება. XVIII საუკუნეში მეფე ერეკლე II-ის მითითებით გაიხსნა თბილისის (1755 წ) და თელავის (1782 წ) სასულიერო სემინარიები, ხოლო 1876 წელს გორის სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის პედაგოგთა კადრების მომზადებაში. 1918 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. XX საუკუნის 30-იან წლებში თითქმის დასრულდა უმაღლესი განათლების სისტემის შექმნა საქართველოში. ყველა დიდ ქალაქში დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტები. დედაქალაქში თბილისის უნივერსიტეტის ფაკულტეტების ბაზაზე ორგანიზებული იყო სხვადასხვა ინსტიტუტები: სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ფიზიკური კულტურის და სხვა.

საბჭოთა მმართველობის პერიოდში განათლების სისტემაში არსებობდა ისეთი სახის პრობლემები, როგორიცაა: ჭარბი ცენტრალიზაცია, სტუდენტებისთვის პროფესიული კარიერის არჩევის შეზღუდული და ზედმეტად სპეციალიზებული შესაძლებლობა. ამ პერიოდში სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები ასრულებდნენ ზემდგომ უწყებებში მიღებულ

გადაწყვეტილებებს. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად მიმდინარეობდა ქართული კულტურის განვითარება და სამეცნიერო კადრების შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ "ინტელექტის გადინება "საქართველოდან ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ევროპასა და აშშ-ში მომუშავე ახალგაზრდები არ კარგავენ კავშირს მშობლიურ უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან. თანდათან ხდებოდა და ხდება რეფორმების გატარება, რამაც დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა და რა თქმა უნდა დღეს არსებული მდგომარეობა უმაღლეს სასწავლებლებში არ არის უმაღლესი წერტილი და შესაბამისად ხდება წინსვლა უფრო ნათელი მომავლისათვის.

უმაღლესი განათლება, ეს ხომ კომპლექსური სისტემაა. უმაღლესი განათლების სისტემას, როგორც ინსტიტუტმა, სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ საქმიანობაზე, დაისახოს უფრო მაღალი მიზნები, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი მუშაობა და გააუმჯობესოს სწავლების პროცესი. სწავლების პროცესი კი წარმოუდგენელია განათლების სწორი პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის გარეშე. ამ მხრივ საქართველოში სერიოზული პრობლემაა, რადგანაც საბჭოთა კავშირში განათლების ჯანსაღი პოლიტიკა არ არსებობდა, პედაგოგიკა იდეოლოგიზებული იყო და მოქმედებდა მართვა-დაგეგმვის უკიდურესად ცენტრალიზებული სისტემის შესაბამისად, მაშინ, როდესაც იუნესკოს კლასიფიკატორის 557 სხვადასხვა პროფესიიდან 47 საგანმანათლებლო პროფესია გამოიყოფა, საქართველოში ამის მესამედიც არ არსებობდა. ამის გამო, ქვეყანა განიცდის განათლების სფეროს თანამადროვე კვალიფიციურ მენეჯერთა ნაკლებობას. სწავლების აქამდე არსებული მეთოდები ნაკლებად უწყობდა ხელს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებასა და პრობლემების კომპეტენტურად დასმისა და გადაწყვეტის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ხდებოდა შინაარსის დახსომებაზე აქცენტის გაკეთება და თავისუფალი აზრის გამოხატვის ხელყოფა, რაც დღეს პრიორიტეტია სტუდენტის განვითარებისა.

ასევე, პროფესიის არჩევის შესაძლებლობები საქართველოში ძალზე მწირი იყო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოზარდები პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ არიან მზად საკუთარი პროფესიული ბაზის მოსაძებნად, ამიტომაც შესაბამის გადაწყვეტილებებს მათი მშობლები იღებდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენად ძლიერადაა სპეციალიზებული სასწავლო პროგრამა თუნდაც საშუალო განათლების დონეზე, ნათელი გახდება, თუ რატომ იზრდება მკვეთრად სწავლის ხარჯები, როცა მოზარდის ინტერესები და პრიორიტეტები იცვლება. სასწავლო გეგმების შინაარსი და მისი გადაცემის თეორია ნაკლებად შეესაბამებოდა ბაზრის ახალ მოთხოვნებს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ უარი თქვა საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობაზე და დაიწყო ტოტალიტარული საზოგადოებიდან ღია, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა,

გეგმიურ-ცენტრალიზებული და ადმინისტრაციულ-დირექტიული ეკონომიკის ნაცვლად კერძო საკუთრების დამკვიდრება და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა. ბუნებრივია, რომ ასეთი რადიკალური ცვლილებების განხორციელება განათლების სისტემის ტრანსფორმაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა და შესაბამისად დღის წესრიგში აქტუალურად დადგა განათლების სისტემის ძირეული რეფორმირება.

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი 1995 წელს დაიწყო, მაგრამ რეალური და კონკრეტული ნაბიჯების განხორციელება 2001 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკის ე.წ. „60 მილიონიანი“ კრედიტით დაფინანსებული „საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის“ ფარგლებში, რომელიც 3 ეტაპად იყო დაგეგმილი და 12 წელზე (2012 წლამდე) იყო გათვლილი. 2007 წელს აღნიშნულ პროგრამას საქართველოს მთავრობის მიერ „ილია ჭავჭავაძე“ დაერქვა.

უკანასკნელ წლებში უმაღლესი განათლების სისტემაში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება და რეფორმა მოხდა. 2004 წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა უმაღლესი განათლების სისტემის საკანონმდებლო რეგულაცია, ხოლო 2005 წელს საქართველო ბერგენის სამიტზე შეუერთდა ბოლონიის პროცესს.

ბოლონიის პროცესთან საქართველოს შეერთების მიზნით ქვეყანაში შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა: 2004 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ქართული უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციონალური აკრედიტაცია, აბიტურიენტთა უმაღლესებში ჩასარიცხად შემუშავდა გამჭვირალე და ობიექტური სისტემა, კერძოდ, 2005 წელს პირველად დაინიშნა ერთიანი ეროვნული გამოცდები და საგრძნობლად გაიზარდა განათლების სფეროს დაფინანსება.

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო უმაღლესი განათლების საერთო სტრუქტურის - სამ საფეხურიანი აკადემიური პროგრამების შემუშავება (სამსაფეხუროვანი სისტემა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) აკრედიტირებულ უნივერსიტეტებში.

დაინერგა სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა, მკვეთრად გაიზარდა უმაღლესი განათლების დაფინასება, შემოღებულ იქნა სტუდენტური სესხები და გრანტები, უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო განათლებისა და კვლევის ინტეგრაციის პროცესი და ა.შ.

2004 წელს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის მიღების შემდეგ, 2005 წელს დაწყებული რეფორმის შედეგად, რადიკალურად შეიცვალა უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემა. საბაზო დაფინანსებიდან მოხდა ე.წ. ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა, შემოღებულმა სწავლების სამსაფეხურიანმა სისტემამ და ECTS (European Credit Transfer and

Accumulation System) კრედიტების დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არსებული სისტემა

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში 2005-2006 სასწავლო წლიდან სტუდენტთა მიღება წარმოებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით. ასეთი გამოცდის მთავარი ორიენტირია უმაღლეს განათლებაზე დაშვების საერთო პრინციპი, რომლის წინაშეც ყველა აბიტურიენტი თანასწორია. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დაიშვება სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირი.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების ინტერესებს - საგამოცდო ტესტები არსებობს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენაზე - რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად და აფხაზურად. 2009-2010 სასწავლო წლიდან ერთიანი ეროვნული გამოცდებით (საერთო სამაგისტრო გამოცდები) მიღება დაიწყო ასევე მაგისტრატურის საფეხურზეც.

ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ხდება დაფინანსება და გრანტების გაცემა, გრანტი არის 30 %, 50%, 70% და 100% - იანი. თავდაპირველად, როდესაც გატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების რეფორმა, დაფინანსება ანუ გრანტის გაცემა ხდებოდა მხოლოდ ზოგადი უნარების შედეგების მიხედვით ანუ მხოლოდ უნარების ქულა წყვეტდა დაფინანსებას, ხოლო ბოლო პერიოდში შეიცვალა დაფინანსების ეს სისტემა და უკვე დაფინანსება ხდება ოთხივე საგნის ჯამური ქულის მიხედვით.

2005 წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყო **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შექმნა**, მას შემდეგ, რაც კანონმა "უმაღლესი განათლების შესახებ" განსაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის ცნება და საჭიროება. სამსახურები შეიქმნა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უმაღლეს სასწავლებლებშიც. სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესმა, რომლის ფარგლებშიც თვითშეფასების ანგარიშის მომზადება სწორედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს დაევალა.

შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი სისტემა, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნებს ყველაზე მეტად მიესადაგება. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და დაწესებულებების აკრედიტირების შედეგად ამ სასწავლებლის მიერ გაცემული ხარისხები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ. აკრედიტაციის მიღების წინაპირობაა ლიცენზიის ქონა და ხარისხის უზრუნველყოფის ერთი შემოწმება მაინც, რომელსაც ანგარიშის გამოქვეყნება მოჰყვება. აკრედიტაციაზე განაცხადი ყველა იმ არასახელმწიფო და სახელმწიფო უმაღლესმა საგანმანათლებლო ინსტიტუტს შეაქვს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია სახლმწიფო სასწავლო გრანტების მიღებაზე. ამ პროცესის მიზანია უმაღლესი განათლების ბაზრის

გამჭვირვალობის მიღწევა, პოტენციალურ სტუდენტთათვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალების მიცემა. ის სასწავლებლები, რომლებიც თავს არიდებენ ან ვერ გადიან აკრედიტაციას, არ აქვთ უფლება მოემსახურონ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სტუდენტებს. თუმცა მათ შეუძლიათ მუშაობის გაგრძელება. გარდა ამისა, მათ საშუალება ეძლევათ ხელახლა წარადგინონ განაცხადი მათი სტატუსის გადასინჯვის შესახებ

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შემადგენელი ნაწილია უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს არსებობა. საქართველოში განათლების სისტემის შემდგომი სრულყოფის, ისევე როგორც საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის მნიშნელოვანი ინსტრუმენტია **ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს** არსებობა. ჩარჩოზე მუშაობა საქართველოში 2007 წელს დაიწყო. 2007 წლის შემოდგომაზე საქართველოში მომზადდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამუშაო დოკუმენტი, რომელიც მოიაზრება, როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ნაწილი. ეს დოკუმენტი ადგენს საფეხურების/დონეების საერთო ათვლის წერტილებს; აღწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ლოგიკურ ურთიერთკავშირს; ხელს უწყობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფას და კვალიფიკაციების აღიარებას როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით; უზრუნველყოფს კვალიფიკაციების გამჭვირვალობასა და გაგებას.

კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო აღწერს უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სწავლის შედეგებს 5 კრიტერიუმის საფუძველზე:

- **ცოდნა და გაცნობიერება;**
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;**
- **არგუმენტირებული დასკვნის უნარი;**
- **კომუნიკაციის უნარი;**
- **სწავლის უნარი**.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განისაზღვრება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის 120/ნ ბრძანებით. დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის, პროფესიული დიპლომის, დიპლომის მისაღებად.

ეს დოკუმენტი ადგენს საფეხურების/დონეების საერთო ათვლის წერტილებს; აღწერს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ლოგიკურ ურთიერთკავშირს; ხელს უწყობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფას და კვალიფიკაციების აღიარებას როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით; უზრუნველყოფს კვალიფიკაციების გამჭვირვალობასა და გაგებას.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანია:

ა) ქვეყანაში არსებულ კვალიფიკაციათა ურთიერთკავშირის აღწერა;

ბ) სტუდენტების, დამსაქმებლებისა და აკადემიური პერსონალისათვის

არსებული კვალიფიკაციების გაგების გაადვილება;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა არსებული

საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და ახალი საგანმანათლებლო

პროგრამების დაგეგმვის პროცესში;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების მხარდაჭერა და

უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება;

ე) სტუდენტზე ორიენტირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბების

საფუძვლის შექმნა;

ვ) საერთაშორისო დონეზე თავსებადობისა და შესადარობის უზრუნველყოფა,

ასევე კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების

ურთიერთაღიარების პროცესის გაადვილება;

ზ) სტუდენტების მობილობის წახალისება და ხელშეწყობა;

თ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავების საფუძველია საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004), რომლის თანახმადაც, უმაღლესიგანათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო წარმოადგენს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსშემადგენელ დოკუმენტს, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებულიუმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია. საქართველოს უმაღლესი განათლებისკვალიფიკაციები შედგება უმაღლესი განათლების სამი საფეხურის კვალიფიკაციებისაგან. ამავდროულად, პირველი საფეხურის ფარგლებში არსებობს დიპლომირებულისპეციალისტის პროგრამა. საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსტრუქტურულად უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის

კვალიფიკაციების ჩარჩოსთანშესაბამისობაშია და იოლად გასაგებია საერთაშორისო დონეზე. რაც შეეხება კვალიფიკაციების აღწერას, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ბოლონიის პროცესის „დუბლინის დესკრიპტორად“ ცნობილი დოკუმენტი.

სწავლების შედეგების გაზომვის პრაქტიკა.კრედიტების სისტემის შემოღება თავისთავად გულისხმობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაზომვას წინასწარ ცნობილი და გაზიარებული კრიტერიუმების მიხედვით. ყველა უნივერსიტეტის სილაბუსებში მოცემული უნდა იყოს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები. ისევე როგორც სწავლის შედეგების სექცია, ეს ნაწილიც ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებისათვის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს.

კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემაზე გადასვლა ქართულ უსდ-ებში ფორსირებული წესით განხორციელდა 2005-2006 წლებში, რადგანაც ECTS არსებობა 2006 წელს ჩატარებული ინსტიტუციური აკრედიტაციის მოთხოვნას წარმოადგენდა. შესაბამისად ამჟამად აკრედიტირებული უსდ-ების 100%-ში დანერგილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა.

უმაღლესი განათლების სისტემის შესაბამისობა ბოლონიის პროცესთან. ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ამოცანის - ადვილად გასაგები და შესადარებელი კვალიფიკაციების შემოღება-რეალიზაციის მიზნით უმაღლესი სასწავლებლების აბსოლუტურ უმრავლესობაში შემოღებულია **დიპლომის დანართი**, სადაც დეტალურად არის გაწერილი სტუდენტის მიერ გავლილი საგნები, დაგროვილი ECTS კრედიტები და სხვა საჭირო პრაქტიკული ინფორმაცია. კრედიტების დაგროვება ხდება ტრანსფერის ევროპული ECTS სისტემის საფუძველზე. დიპლომის დანართი უნდა გაიცეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. დიპლომის დანართი გაიცემა უფასოდ.

ეროვნული დიპლომის დანართის ფორმატი არ განსხვავდება ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს დიპლომის დანართის ფორმებისაგან.

განათლების სისტემის ევროპულ სივრცესთან დაახლოების პროცესებმა გაზარდა **სტუდენტთა მობილობის** მაჩვენებელი საზღვარგარეთ და ამით ბოლონიის პროცესის კიდევ ერთი ამოცანის რეალიზაციის ხელშეწყობა ხდება.

სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსება (სახელმწიფო სასწავლო გრანტი). უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ფინანსდება ერთ სტუდენტზე გათვლილი მოდელით. 2005 წელს საქართველოში ფორმალურად გაუქმდა უფასო უმაღლესი განათლება და ამავე წლიდან ამუშავდა მერიტოკრატიული და სოციალური გრანტების პროგრამა. ორივე მათგანი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უ.ს.დ) სწავლის საფასურის

სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას ითვალისწინებს. საგულისხმოა ის, რომ გრანტები გაიცება კერძო უსდ-ში სწავლის გაგრძელების მსურველებზეც. ანუ, საქართველოს განათლების სისტემაში დანერგილი ვაუჩერული დაფინანსების სისტემა უმაღლეს განათლებაზეც იქნა მორგებული. 2005 წლიდან მერიტოკრატიული გრანტები სრულად აფინანსებდა სახელმწიფო უსდ-ში სწავლის გადასახადს. 2006 წლიდან მოხდა გრანტების დივერსიფიკაცია 100%, 70%, 50% და 30%-იან გრანტებად, რაც, შესაბამისად გულისხმობს ჩამოთვლილი პროცენტის დაფარვას სწავლის გადასახადიდან სახელმწიფოს მიერ.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი არის სახელმწიფოს მიერ სტუდენ-ტისათვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია აკრედიტებულ უმაღ-ლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად.

სახელმწიფო გრანტები ენიჭებათ სტუდენტებს, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე მიიღეს მაღალი შეფასება. სტიპენდიების გადანა-წილება ხდება დამსახურების მიხედვით, ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულების მიმღებ სტუდენტებს შორის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთეულისათვის სახელმწიფო **სამეცნიერო-კვლევითი გრანტის** გაცემა ხდება კონკურსის საფუძველზე. საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილია ორი სამეცნიერო ფონდი: 1. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (www.gnsf.ge); 2. ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი - რუსთაველის ფონდი (www.rustaveli.org.ge).

კერძო დაფინანსება (თანადაფინანსება). სახელმწიფო სასწავლო გრანტის ფარგლებში იფარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი სწავლის საფასური დადგენილი სასწავლო გრანტის თანხის ფარგლებში. თუ სასწავლებლის მიერ დადგენილი საფასური სახელმწიფოს მიერ დადგენილზე მეტია, ასეთ შემთხვევში დამატებით საფასურს ფარავს საკუთრივ სტუდენტი (ბაკალავრი, მაგისტრი). დოქტორანტი სრულად ფარავს სწავლების საფასურს, ვინაიდან დოქტორანტურის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (დოქტორანტზე სახელმწიფო გრანტი) არ ხორციელდება.

სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამები. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ (2005) ფაქტიურად გამორიცხა კორუფციის, როგორც შემაფერხებელი ფაქტორის გავლენა უმაღლესი განათლების ხელმისაწვომობაზე. გარდა ამისა, მაღალმთიანი რეგიონების, კონფლიქტის რეგიონების, უმცერესობების წარმომადგენელთათვის, ომში დაღუპულთა შვილებისა და დევნილთათვის გაიცემა სახელმწიფო სოციალური გრანტები. სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის დახმარება ხორციელდება, ძირითადად, ბაკალავრიატის დონეზე. თუმცა, კონფლიქტის

ზონიდან დევნილი და იქ მცხოვრები მოსახლეობის შემთხვევაში, სახელმწიფო დახმარება ვრცელდება სამივე საფეხურის სტუდენტებზე.

მობილობა. მობილობის პროცესი არეგულირებს სტუდენტის გადასვლას ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში. მობილობის პროცესი წელიწადში ხორციელდება ორჯერ - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრში - ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. მობილობის მსურველად რეგისტრაციის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით და რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში. სტუდენტს ერთი უმაღლესი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლის უფლება პირველი სასწავლო წლის გავლის შემდეგ ეძლევა.

მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია აღიაროს სტუდენტის მიერ აკრედიტებულ რეჟიმში დაგროვებული კრედიტები. თუ დაწესებულების ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, დაწესებულებაში ჩარიცხვისას პრიორიტეტი ენიჭებათ იმ მსურველებს, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

საქართველოში ევროპელი სტუდენტებისა და პროფესორების ჩამოსვლისათვის სავიზო პრობლემები არ არსებობს. ევროკავშირის მოქალაქეებისათვის მოქმედებს უვიზო რეჟიმი.

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობა (როგორც ქართველების გასვლა, ასევე უცხოელების შემოსვლა), როგორც წესი, ან თვითდაფინანსებით, ან რომელიმე უცხოური დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით ხორციელდება. უცხოეთში სწავლის დაფინანსების ყველაზე გავრცელებული ფორმაა თვითდაფნანსება.

რეფორმები ასევე გატარდა **ზრდასრულთა განათლების** მიღების და სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე სტრატეგიის მხრივ. ორივე რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ რეფორმების საშუალებით ყველა ადამიანს ეძლევა უფლება მიიღოს განათლება და გააგრძელოს სწავლა სასურველი პროფესიის მიხედვით, განივითაროს სხვადასხვა უნარები და დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაში, ამ რეფორმების მიხედვით ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერ ასაკში მიიღოს ცოდნა.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში **„მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“** იმპლემენტაციის მიზანია: ლოკალური და რეგიონული მოთხოვნების დაკმაყოფილება, საქართველოს ცალკეული რეგიონების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების, ევროინტეგრაციის ხელშეწყობა;საქართველოს უნივერსიტეტებში

ზრდასრულთა განათლების პერსპექტივის განვითარება და მათი გარდაქმნა „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ დაწესებულებებად.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის ამოცანებია:

ა) ბოლონიის პროცესის ერთ–ერთი ძირითადი პრინციპის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, საქართველოს უნივერსიტეტების ინტეგრაციას საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში;

ბ) უნივერსიტეტების ეკონომიკური გაძლიერება დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენით;

გ)აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დასაქმების ხელშეწყობა;

დ)საზოგადოების ფართო ფენების მომსახურებით უნივერსიტეტის როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება;

ე)საქართველოს მოქალაქეების დასაქმებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფებისთვის ზრდასრულთა განათლების, სპეციალობის შეცვლის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული განვითარების შესაძლებლობით;

ვ)რეგიონის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშეწყობა;

ზ)საქართველოს უნივერსიტეტების კურიკულუმის შემდგომი რეფორმირება, სწავლების ფორმებისა და მეთოდების ადაპტაცია „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ მოთხოვნებისადმი;

თ)საზოგადოების (მათ შორის საუნივერსიტეტო წრეების) დამოკიდებულების შეცვლა ზრდასრულთა განათლების მიმართ.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ იმპლემენტაციის მოსალოდნელი შედეგები:

ა) მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, ევროპული გამოცდილების გაზიარება, საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს უნივერსიტეტების ინტეგრაციის დაჩქარება;

ბ)საქართველოს უნივერსიტეტების შემოსავლების ზრდა, რაც პოზიტიურად უნდა აისახოს მათ მატერიალურ–ტექნიკურ ბაზაზე, სწავლებისა და კვლევის ხარისხზე.

გ) საქართველოს უნივერსიტეტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

დ) საზოგადოებაში უნივერსიტეტების მიმართ ნდობის, მათი გავლენის გაძლიერება;

ე) საქართველოს მოქალაქეების დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;

ვ) რეგიონის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ზ) საუნივერსიტეტო კურიკულუმის, სწავლების ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, მათი მოდერნიზაცია;

თ) გარდატეხა საზოგადოების ცნობიერებაში – ზრდასრულთა განათლების სფეროს პრესტიჟის ამაღლება;

მართვის ახალი მოდელი, რომელიც არჩევითობის პრინციპს დაეფუძნა, ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ავტონომიურობასა და საქმიანობის გამჭვირვალეობას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მართვის ახალ მოდელზე გადავიდნენ. სასწავლო პროცესზე და რექტორის არჩევაზე აკადემიური საბჭოა პასუხისმგებელი, წარმომადგენლობითი საბჭო კი, რომლის 30 %-ს სტუდენტები შეადგენენ, ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს იღებს.

ამრიგად, ბოლონიის პროცესის ძირითადი ამოცანები შემდეგში მდგომარეობს: უმაღლესი განათლების ევროპული სისტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ევროპელ მოქალაქეთა დასაქმების უზრუნველსაყოფად იოლად გასაგები და შეჯერებული ხარისხების მიღება, მათ შორის დიპლომის დანართის დანერგვის გზით.

მეორე ამოცანას წარმოადგენს ისეთი სისტემის შემოღება, რომელიც ორ ძირითად ციკლზე იქნება დაფუძნებული - ხარისხის მინიჭებამდე და ხარისხის მინიჭების შემდგომ პერიოდებზე. მეორე ციკლზე გადასვლა პირველი, სამწლიანი ციკლის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ხარისხი, რომელიც კურსდამთავრებულს პირველი ციკლის დამთავრების შემდეგ მიენიჭება, უნდა მოქმედებდეს ევროპის შრომის ბაზარზეც, როგორც შესაბამისი დონის კვალიფიკაცია. მეორე ციკლს მაგისტრის ხარისხის და/ან დოქტორის ხარისხის მიღება მოჰყვება, როგორც ეს ევროპის ქვეყნების უმრავლესობაშია მიღებული.

კიდევ ერთი ამოცანა ECTS ტიპის - გამსვლელი ქულების ხელახალი ჩათვლის ევროპული სისტემის, როგორც მსხვილმასშტაბიანი სტუდენტური მობილურობის მხარდამჭერი საშუალების - დანერგვაში მდგომარეობს. გამსვლელი ქულების დაგროვება შესაძლებელი იქნება ასევე არა უმაღლესი განათლების ფარგლებში, მათ შორის მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პირობებში, თუ ეს ქულები დაინტერესებული უნივერსიტეტების მიერ იქნება აღიარებული. ასევე ეფექტური და თავისუფალი წინსვლისას დაბრკოლებების გადალახვის გზით მობილურობის ხელშეწყობაა. იგი გულისხმობს იმას, რომ სტუდენტებმა ერთი სემესტრი მაინც უნდა გაატარონ სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში, რაც გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით გამოხატება.

მრავალი სტუდენტი საქართველოდან აქტიურადაა ჩაბმული გაცვლით პროგრამებში და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში იღებენ

იქაურ გამოცდილებას. ბოლონიის პროცესის განვითარებაში უდიდესი როლი ეკისრებათ სტუდენტებს. განათლების ახალი სისტემა სტუდენტებზეა ორიენტირებული, ამიტომაც შეიქმნა სტუდენტთა ეროვნული კავშირები (ESIBI), რომლების საკუთარი უფლებებისათვის იბრძვიან. სტუდენტთა მობილობას სტიმულს აძლევს სხვადასხვა სახელმწიფო და რეგიონალური პროგრამები. ბევრი ქვეყანა ამ სფეროში დებს ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს. ამ მხრივ ცნობილია ევროპული პროგრამა **„ერაზმუს+”,** რომელსაც 1987 წელს ევროპის საერთო ბაზრის შექმნის ხელშეწყობის მიზნით ჩაეყარა საფუძველი და მიზნად ისახავდა და ისახავს დღესაც უმაღლესი განათლების ევროპული მოდელის შექმნას. სტუდენტთა გაცვლა განიხილება, როგორც სპეციალისტებითა და კვალიფიციური მუშახელით ევროპის ერთიანი ბაზრის უზრუნველყოფის საშუალება. სტუდენტთა მობილობის ორგანიზებული სქემების გარდა არსებობს სტუდენტთა სპონტანური გადაადგილება.

ბოლონიის პროცესი მიზნად ისახავს ასევე უმაღლეს განათლებაში აუცილებელი ევროპული თვალსაზრისის ხელშეწყობას, განსაკუთრებით სასწავლო გეგმების განვითარების, ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის კუთხით, სწავლების მობილური და ერთობლივი პროგრამების სქემების თვალსაზრისით, პრაქტიკული მომზადებისა და სამეცნიერო კვლევების ჩატარების კუთხით.

ერთიან ევროპულ საგანმანათლებო სივრცეში გაერთიანების ერთ-ერთი მთავარ პირობას წარმოადგენს „ბოლონიის პროცესში" ჩართული უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) თავ-სებადობა.

ჩვენი უნივერსიტეტებისათვის სწორედ ეს არის მთავარი პრობლემა, რადგან დღევანდელი სასწავლო პროგრამები ყველა შემთხვევაში შეიძლება ვერ პასუხობდეს ევროპულ მოთხოვნებს. ევროპის უნივერსიტეტებთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების გარეშე კი შეუძლებელი იქნება „ბოლონიის პროცესით" გათვალისწინებული კრედიტ საათების ტრანსფერის, დიპლომების ურთიერთცნობის, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ევროპის საგანმანათლებო სივრცის ფარგ-ლებში მობილობის შესაძლებლობლობის რეალიზაცია.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის თანამშრომელთა, სტუ-დენტების და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა რომ არა, არ იარსებებდა განვითარების ძირითადი მიმართულებების შექმნის მოტივაციაც. მათი დახმარების გარეშე საქართველოში ვერც კი დაუშვებდნენ შორს მიმა-ვალი რეფორმის განხორციელების შესაძლებლობას. გასულ ათწლეულებში დონორ ორგანიზაციებს უკიდურესად მძიმე პირობებში მოუხდათ ახალი სისტემის საფუძვლებისათვის გზის გაკვლევა. მაგალითად, ევროკავშირი აფი-ნანსებს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის TACIS/TEMPUS-

/ERASMUS+ პროგრამის საშუალებით, რომელიც მიმართულია ევროპულ და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობის ხელ-შეწყობაზე.

აშშ-ს გაცვლითმა პროგრამებმა, როგორებიცაა: „აირექსი" (IREX), „მასკი" (MUSKIE) და „ფულბრაიტი" (FULBRIGHT), დააფინანსა ასობით სასწავლო და კვლევითი სტიპენდია აშშ-ს უნივერსიტეტებში. გერმანელმა „დაადმა" (DAAD) და „ჰუმბოლტმა" (HUMBOLDT STIFTANG) წამოიწყო მსგავსი დახმარების პროგრამა სწავლისა და სამეცნიერო მუშაობისთვის გერმანიის უნივერსიტეტებში. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა „ევროკავშირი" და "მსოფლიო ბანკი", აქტიურადაა ჩაბმული საერთაშორისო საუნივერსიტეტო თანამშრომლობისა და ტექნიკური დახმარების პროგრამებში და საკუთრივ ამ პროგრამის შემუშავებისა და დაფინანსებაში. ასევე მრავლადაა სხვა დონორი ორგანიზაციები, მათ შორის "UNESCO", „ევროსაბჭო", სხადასხვა ფონდები, პროფესიული ორგანიზაციები.

იკვეთება სტუდენტების ახალი როლი. თანამედროვე საზოგადოებრივი უნივერსიტეტის გარდამავალი როლის აღწერისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „მთავარი ამოცანაა სტუდენტების გარდაქმნა ისე, რომ მათ ესმოდეთ საკუთარი როლი სამყაროში". სწავლების წარმატებული პროგრამები მოიცავს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას საკუთარი და სხვადასხვა კონცეფციის შემუშავებას, რის მეშვეობითაც თვითშემეცნებისა და თვითკონტროლის ახალ გზებს პოულობენ.

სწორედ სტუდენტების მობილობა, ხარისხის უზრუნველყოფა, სისტემის სასწავლებლის მართვაში სტუდენტების მონაწილეობა, სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე არის გლობალურ, თანამედროვე, ევროპულ სივრცეში ჩართვა, რაც „ბოლონიის პროცესითაა" ცნობილი და ეს საბოლოო ჯამში მოგვცემს ნათელ, ხელმისაწვდომ და საინტერესო განათლების სისტემას.

გამომდინარე იქიდან, რომ უმაღლესი განათლების სისტემა მსოფლიოში არა უცვლელი, არამედ დინამიური სისტემაა, მუდმივად ხდება მისი სრულყოფა და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამდენად, აუცილებელია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამაც ფეხი აუწყოს მსოფლიო განათლების რიტმს და გახდეს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული. დღეისათვის საწარმოო პრაქტიკის პრობლემა უმაღლესი სასწავლებლების დიდ ნაწილში კვლავაც დგას. ამასთან, სუსტია კავშირი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის.

მნიშვნელოვანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაცია უმაღლესი სასწავლებლებისადმი, რომ პრაქტიკის დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვროს მისი მიზნები, მეთოდიკა, სამუშაო გარემო, ის ცოდნა და უნარები, რომლებსაც სტუდენტი პრაქტიკის დასრულების შედეგად მიიღებს. ამასთან, აუცილებლად უნდა განისაზღვროს

შეფასების ადეკვატური სისტემა. აუცილებელია მეცნიერებაზე დახარჯული ფინანსური რესურსების მოცულობის გაზრდა და მეტი ეროვნული სამეცნიერო გრანტების ხელმისაწვდომობა.

პატარა ქვეყნებს სპეციფიკური პრობლემები აქვს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მეტ ძალისხმევას მოითხოვს მისი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ყოველმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და უცხოელ პარტნიორებთან სტაბილურობას და მშვიდობას განაპირობებს. ერთიან მსოფლიოში განათლებული ხალხები უკეთ ცხოვრობენ, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად. მათ არ აწუხებთ საფრთხე, რომელიც მშვიდობასა და კეთილდღეობას შეიძლება დაემუქროს. ისინი უკეთ შეძლებენ ამ საფრთხესთან გამკლავებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რომელიც საფუძვლად დაედო განათლების რეფორმას საქართველოში, გულისხმობდა საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობას საერთაშორისო სივრცეში. შესაბამისად, ბევრი მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ცვლილება საქართველოს განათლების სისტემაში განპირობებული იყო უფრო ფართო საერთაშორისო პროცესებით, შედეგად საქართველოში საკმაოდ სწრაფად ჩამოყალიბდა ბევრი ე.წ. ხედვის დოკუმენტი,რომელიც მოიაზრებდა კომპლექსურ ცვლილებებს სისტემის ყველა დონეზე. ნიშანდობლივია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობაც ქვეყნის განათლების სისტემის რეორგანიზაციაში შესაძლებელი გახდა საკმაოდ დიდი თანხების მობილიზება და ერთდროულად ბევრი მიმართულებით სექტორში სწრაფი და კომპლექსური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საყრდენს განათლებული საზოგადოება წარმოადგენს. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირებაა. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და მრავალი ინიციატივა განახორციელა. საქართველოში განათლების სისტემის რეფორმირების შედეგად საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა სისტემის ძირეული მახასიათებლები და მოიცვა ზოგადი განათლების სისტემის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი: სისტემის მართვის დეცენტრალიზაცია და დერეგულაცია, დაფინანსების ვაუჩერულ (ერ ჩაპიტა) პრინციპზე გადასვლა და სკოლების კონკურენტულ გარემოში მოქცევა, განათლების ეროვნული მიზნების დეტერმინაცია და სასწავლო გარემოს მოდერნიზაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემის შექმნა, სკოლების აკრედიტაცია, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის შექმნა,

პროფესიული განათლების სისტემა განვითარება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

განათლების სისტემა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად საჭიროებს რეფორმებს, დახვეწას, მოწესრიგებას. ვფიქრობ ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება, რაც უცილობლად დააყენებს ქართულ სახელმწიფოს თანამედროვე, წარმატებული, მოწინავე, განვითარებული ქვეყნების გვერდით.

Sociology of Education

A systematic sociology of education began with Émile Durkheim's work on moral education as a basis for organic solidarity and that by Max Weber, on the Chinese literati as an instrument of political control. It was after the Second World War, however, that the subject received renewed interest around the world: from technological functionalism in the US, egalitarian reform of opportunity in Europe, and human-capital theory in economics. These all implied that, with industrialization, the need for a technologically-skilled labour force undermines class distinctions and other ascriptive systems of stratification, and that education promotes social mobility. However, statistical and field research across numerous societies showed a persistent link between an individual's social class and achievement, and suggested that education could only achieve limited social mobility. Sociological studies showed how schooling patterns reflected, rather than challenged, class stratification and racial and sexual discrimination. After the general collapse of functionalism from the late 1960s onwards, the idea of education as an unmitigated good was even more profoundly challenged. Neo-Marxists argued that school education simply produced a docile labour-force essential to late-capitalist class relations.

Education can be conceptualized as a process and result of learning a particular system of knowledge, skills, ways of thinking, thereby ensuring the appropriate level of personal development. Education includes both the process of training and education in schools under the guidance of teachers, and self-education. Educated man - a person capable of thinking logically, having a certain level of intelligence, the desire for self-education to recover the missing links in the system of knowledge and raise their level of development.

Schools and universities have been undergone a centuries-old path of historical development. On the one hand, they had a significant influence on the accumulation, preservation and progress of culture and society in general and, on the other hand, felt the variety of dramatic changes taking place in society, science and culture of all countries and peoples. The initial period of development of schools, universities and other educational institutions goes back to the era of great civilizations.

The emergence of schools were in the era of transition from communal-tribal to a socially differentiated society. Despite the fact that the ancient civilization, as a rule, existed separately from each other, they were guided by a fundamentally common basis in the field of education rights. According to ethnography, preliterate period ended around the 3rd millennium BC and the cuneiform and hieroglyphic writing emerged as a means of transmitting information.

Emergence and development of writing acted most important factor in the genesis of the school. Since the letter became technically more complicated way of transferring information to the extent it required special training.

The first educational institutions of literacy, had different names.

For example, school literacy were named "houses tablets" in ancient Mesopotamia, and in the heyday of the Babylonian state, the name was changed into a "house of knowledge".

In ancient Egypt, the school emerged as a family institution, and later they began to appear in the temples, the palaces of kings and nobles.

In ancient India there were first family school and forest schools (around the guru-hermit met his faithful disciples, training took place outdoors). In the period of revival of Hinduism in India (II - VI century) two types of schools were organized in churches - primary (roofing) and the institution of higher level.

In China, the first school appeared in the 3rd millennium BC and the were called "siang" and "Sui".

In the Roman Empire trivial schools exested, the content of education was represented by trivium - grammar, rhetoric, dialectic, and grammar schools - institutions of higher stage, where the pupil was taught four subjects - arithmetic, geometry, astronomy, music, so such schools were called quadrivium. Trivium and quadrivium programs were the seven liberal arts. In the 6th century the rhetorical schools mainly prepared the speakers and lawyers for the Roman Empire.

Already in the early 1st century Christian church began to organize their own school of catechumens. Subsequently, at their base schools catechism had been established, later transformed into the cathedral and Episcopal schools. In the era of the formation of three-tier system of education in Byzantium religious and secular, private and public schools existed.

In the Islamic world there were two levels of education. Initial level to provide a religious school at the mosques, open to children of artisans, merchants, wealthy peasants (kitab). The second level of education was received in educational circles in the mosques (Fiqh and Kalam). There was studied Sharia (Islamic law) and theology, and Arabic philosophy, rhetoric, logic, mathematics, astronomy, medicine. In addition, there were four types of schools at primary and higher education: 1)schools Koran Quran (Arabic Qur'an, literally - reading), the main holy book of Muslims, a collection of sermons, ritual and legal precepts, spells and prayers, edifying stories and parables. 2) Persian schools, 3) schools of Persian language and the Koran, 4) Arabic school for adults.

In the Middle Ages (XIII - XIV cc.) craft guild schools and schools for the children of merchants and artisans were created in Europe, in which training was conducted in the native language. At the same time, there were urban schools for boys and girls. Except Latin they learned arithmetic, elements of case management, geography, technology, science. In the process of differentiation of urban schools Latin schools were significant which provide education of high type and served as a bridge between primary and higher education. For example, in France, such schools are called colleges. Over time they evolved into today's colleges and secondary educational institutions.

Development of Western European schools from the 15th to the first third of the 17th century is closely associated with the transformation of feudal society to an industrial one.

This transition has had some influence on the formation of three main types of schools, respectively, targeted at the elementary, high general and higher education.

In the Catholic and Protestant countries, the numbers of urban schools of primary education were growing, which were established by the authorities and religious communities. For example, small schools in France, the angular schools in Germany. In all Catholic parishes were opened Sunday schools for the lower strata of the population and primary schools for the nobility. And also were set up schools for the poor and pious. During the 15-17th centuries in the primary school a professional educator who has received special education and training gradually took the place of the priest, who had before the functions of a teacher. In connection with this the social position of teachers changed. Previously, he lived on the offerings from the community and parishioners. Since the end of XVI century, the teacher's work had been paid for by the community.

High schools of general education in the 15-17th centuries included:

• Urban (Latin) school, high school (in Strasbourg, Goldelberge and other cities);
• Grammar and public schools (in England at Winchester, Eton, London);
• Colleges (in France at the Sorbonne and the University of Navarra, in Bordeaux, Vendome, Metz, Chatillon, Paris, Toulouse);
• Schools Jerónimos (religious community of brothers, a common life);
• Noble (palace) schools (in Germany and Italy), Jesuit Jesuit schools - members of Catholic monastic order (in Vienna, Rome, Paris).

From the 17th to the 18th century in connection with the increased influence of secular education a school of classical type became the main form of learning. The first classical school focused on the study of ancient languages and literature:

• In Germany - City (Latin) school (in the future - a real school) and gymnasium;
• In England - grammatical and public (homes for children of the elite society) School;
• In France - College and Lyceum;
• In the United States - grammar school and academy.

In the 19th century in Western Europe and the U.S. laid the legislative foundations of the new school. Thus the class of the industrial bourgeoisie, the dominant society sought to strengthen its position in the long term future. The establishment of a national school system and the expansion of state involvement in the pedagogical process were realized in the leading industrial countries. State offices, boards, departments, committees, ministries of education were created. All educational institutions were subject to state control. During the 19th century, the differentiation of the school of classical and modern design was realized. Thus, were organized:

• The neo-classical high school, real school and a school of mixed type in Germany;
• Community Colleges and high schools in France;
• Academy and further education (high school) in the United States.

In ancient Greece one of the first prototypes of higher education was created. In the 6th century BC Plato organized a philosophical school in a grove near Athens, which

was named the Academy. Academy existed over a thousand years and was closed in 529. Aristotle created another educational institution - Likey at the temple of Apollo in Athens, where teaching process was focused on the study of philosophy, physics, mathematics and other sciences of nature. In the historical perspective – it was the predecessor of modern Lyceum.

In the Hellenistic era (308 - 246 BC) Museum was founded by Ptolemy (from the Latin. Museum - a place dedicated to the Muses). The basic sciences - mathematics, astronomy, philology, natural sciences, medicine, history were taught in the form of lectures. Archimedes, Euclid, Eratosthenes taught in Museum. This Museum was the most significant repository of books and other cultural values. Other versions of higher educational institutions in ancient Greece were philosophical schools and Ephebos. The end of two years of training in it gave the graduates the right to be full citizens of Athens.

In 425 in Constantinople was established Graduate School - Auditorium (from the Latin. Audiere - listen), which in the 9th century was called "Magnavra" (Golden House). The school was in complete subjection to the emperor and ruled out any possibility of self-government. At first training took place in Latin and Greek languages, and from the 17-18th centuries - only in the Greek language.

In the 15th century Latin was returned in the training program and so-called foreign languages were included there. In a famous school the ancient heritage, metaphysics, philosophy, theology, medicine, music, history, ethics, politics, jurisprudence were studied. Classes were conducted in the form of public debates. Most high school graduates were educated and became encyclopedic public and church leaders. For example, Cyril and Methodius, the creators of the Slavic writing, at one time studied in this school. Apart Magnavry in Constantinople other high schools acted: legal, medical, philosophical, patriarchal.

Almost simultaneously at homes of wealthy and prominent citizens of Byzantium began to estblish circles and salons - kind of house Academy, which brings people together around the intellectuals, philanthropists and influential philosophers. They were called "school every virtue and learning".

Church played a special role in the development of higher education. For example, the monastery high schools went back to the early Christian tradition. This is due to the domination of the church, the sphere of education reflects the religious ideologies.

In the Islamic world, the appearance of wisdom houses in Baghdad (in 800) was a notable event in the development of education. In houses of wisdom prominent scientists and their students gathered. They read and discussed literary works, philosophical and scientific works and essays, prepared manuscripts, lectures. In the 11-13th centuries in Baghdad, new higher education – madrass acted. Madrass was spread throughout the Islamic world, but the most famous was Nizameyi madrasas in Baghdad, opened in 1067. People got both religious and secular education. At the beginning of the 16th century in the Middle East a hierarchy of madrassas was in this form:

• Capital, opening the way for graduates to administrative career;
• Provincial, whose graduates tend to become officials.

A major cultural and educational center of the Islamic world was Muslim Spain (912 - 976 years). Higher School of Cordova, Toledo, Salamanca, Seville offered programs in all branches of knowledge - theology, law, mathematics, astronomy, history and geography, grammar and rhetoric, medicine and philosophy. Educational practice of the Islamic world, especially Arab, significantly influenced the development of higher education in Europe.

In India, Muslims were receiving higher education in the madrassas and monastic schools.

In China, during the "Golden Age" (3-10th Centuries) appeared university type schools. The graduates received a graduate degree in five classical treatises of Confucius, Confucius - Kung-tzu (born about 551 - died 479 BC. E.), The ancient Chinese philosopher, founder of Confucianism.: "Book of Changes", "The book of etiquette", "Spring and fall", "The book of poetry", "The book of history".

In Europe during the 12-15th centuries, universities were beginning to appear. However, in each country, this process took place in different ways. Typically, the system of church schools served as the source of origin of most universities.

At the end 11th and the beginning of the 12th century a number of departmental and monastery schools of Europe became the major training centers, which then became known as universities. For example, it appeared as University of Paris (1200), which has grown from an association of theological schools of the Sorbonne with medical and law schools. Similarly, the universities in Naples (1224), Oxford (1206), Cambridge (1231), Lisbon (1290).

Network of universities in Europe expanded rapidly. If the 13th century, there were 19 universities, in the 14th century, their number increased to 44. In the second half of the 13th century faculties, or colleges appeared in the universities. Faculties awarded the students with scientific degrees - first bachelor's degree (after 3 - 7 years of study under the guidance of Professor), and then - a master's or doctor's degree. Home-town associations and departments determined the life of the first universities and jointly selected the official head of the University - the Rector. Rector had a temporary mandate, that as a rule, lasted one year. The actual power in the university belonged to the faculty and friendly association. However, this situation had been changed by the end of the 15th century. The principal officials were appointed by the university authorities.

The earliest universities had only a few departments, but their specialization constantly deepened. For example, the University of Paris famous for its teaching of theology and philosophy, Oxford - canon law, Orléans - the civil law, universities in Italy - Roman law, the universities in Spain - Mathematics and Natural Sciences.

Over the centuries, until the end of XX century, a network of institutions of higher education was expanding rapidly, now representing a wide and diverse range of

specializations.

World education space unifies national educational systems of different types and levels according to the philosophical and cultural traditions, goals and objectives. Therefore, one should speak of the modern world education on the emerging as a single organism in the presence of each of the educational system of global trends.

In the world there are the following types of regions on the basis of mutual rapprochement and cooperation of educational systems:

The first type includes the regions that serve generators of integration processes. The clearest example of such region may serve as Western Europe. The idea of unity has become the touchstone of all the educational reforms of 1990 in Western European countries. The desire for approval "European identity" and "citizenship" was supported by a number of European projects in the areas of education and culture, as the promotion of national literatures, the expansion of teaching foreign languages, increase the network of libraries, the project "The European city of culture".

The second type consists of regions that are responding positively to the integration processes. This is particularly Latin America. The countries of Latin America participate in the implementation of a number of international projects with European countries.

The third type are those regions which are inert to the integration of educational processes.

This group includes most of Africa south of the Sahara (excluding South Africa), a number of South and South-East Asia, small island states Pacific and Atlantic oceans.

The fourth type includes the Arab countries, Eastern Europe and the former Soviet Union.

Thus, we see a trend of increasing role of education in society. Therefore, it is necessary to improve the whole system of education in the world, based on the demands of modern life.

The epoch of globalization has greatly influenced higher education system in every country of the world, and Georgia is not an exception. In the most of these countries the paradigms of university education have been completely changed, especially teaching norms, guidelines and motivations. The new type of university education has changed every component of the education structure. If before knowledge, science in general was considered as absolute and boundless value; now prevails the notion "useful knowledge". This is the knowledge focused on one concrete sphere and is oriented towards the result, which brings the immediate economic profit.

Change of the university system facilitates the creation of different virtual forms of education that resist fundamental knowledge. Fundamental knowledge is becoming inferior and does not represent the interest of the majority.

In the epoch of globalization universities have turned into economic corporations and are managed as corporations connected to the spread of production and knowledge. Every branch of the university structure is self-determined according to the competitive ability

and incomes. In many countries the teaching institution is considered as an independent player on education service market. State financial support covers only a part of the expenses, the rest amount has to be collected by universities from other relevant sources.

In university sphere the leaders become the persons who attract students by any means, who manage to receive grants from different funds and private donors. In the university system only those, who can not only develop a new kind of knowledge but also have the abilities to implement this knowledge into practice, will survive. From this point of view, it is necessary that each teacher has some skills in management.

Nowadays, there is a certain new explicit role of students. They are considered as the corporation "clients" in the status of buyers on an education service market offered by universities. And though some famous disciplinary restrictions connected to students still exist, the status of a student has been however changed. The university, as never before, is dependent on

Nowadays, universities and colleges in the world are managed by real managers. It is true that they have no academic degrees and knowledge, although they professionally perform somewhat different role. Nevertheless it leads us to greater losses in the knowledge sphere without any direct market circulation.

One of the main signs of the university system change is a subject-connection – the majority of traditional specialties doesn't attract the students any more. As it was mentioned before, the fundamental knowledge is no more attractive for the students and the university structure. In many universities the traditional faculty structure has opened university and interfaculty programs in order to stay alive.

Nowadays perspective employers often don't need the graduates of the universities who have received fundamental education. It is not required in modern companies and corporations. Necessary is the following: he/she must be able to adjust into another program, to gain some basic knowledge and a general level of culture.

Distant teaching programs, teleconferences and internet-based knowledge have acquired a great usage in the university education. Even traditional forms of teaching would become uninteresting without Internet and virtual libraries. Modern education system is unimaginable without internet. Computerization has reached quite impressive levels. University and faculty servers have become multi-purpose information portals and provide a user with relevant information. Thus, universities must be leaders in technique and technological progress that inform students about innovations existing in the teaching process and student life.

The epoch of globalization has also changed the education system of Georgia. Transfer of universities into a new system has begun since 1990-ies. Many private universities were established at that time, but the majority could not satisfy the requirements of labour market and the European education standards and therefore were closed. Today 61 accredited higher education institutions, which have passed the institutional accreditation, function in Georgia.

Teaching norms, guidelines, motivations and every comprising component of the university structure have been completely changed in Georgia. Teaching process is implemented according to the European system of credit transfers. The curricula and programs are being improved annually; that as a result gives the possibilities to universities for further improvement, although, there still exist certain risks. There've been created new favorable teaching conditions for students, scientific work as well as independent development. Of course, Georgian universities try to achieve goals somehow successfully. We hope the university education will gradually improve and become flexible in the future.

All over the world education is justly considered as the main tool for changing social status that as a rule leads us towards high incomes and status. With its help the social structure becomes more egalitarian**,** and unpleasant differences in the development of various social groups are truly weakened.

Education gives the person the possibilities to develop his/her abilities. Besides, education is often considered as the way to guarantee certain equality. Education is universal; it gives the youth knowledge and helps them occupy the deserving place in the society. It can soften the contrast existing in the level of material welfare and social condition. How real is it? Many sociological studies are dedicated to this research. The results of the research show that in many cases, education can reflect and prove existing inequality, rather than support its eradication.

Social researches, held in many countries, showed that social and family circumstances impact the results of school education, that later defines the level of incomes.

Due to different reasons, inequality in the possibilities of social mobility also existed before. Social inequalities in educational sphere begun since childhood lead us to social segregation of the people who have no possibilities to receive qualitative secondary and then higher education. Belonging to a certain property stratum is also very important after leaving school.

The representatives of less wealthy stratum have fewer possibilities to get special preparation for the entrance exams, they independently acquire special literature. The representatives of rich stratum are more pragmatically disposed than the entrants of other group representatives. In this case, the aims of education are: formation of state-committed elite which creates functioning blocks of the state mechanism, and formation of state-loyal masses that represents the base of this mechanism.

The development of conflicts among pupils at school proves certain gaps in the education system and training. It is necessary to give equal possibilities to the children of different cultures and social stratum. Socialization, family, fight, violence, terror – are strongly connected with each other. Moreover, poverty and low family culture may be quite harmful. This often causes injustice and violence. The pupils of different social stratum often quarrel. Eradication of violence in the family, society and state must be the

most important goal of the state education.

Gender inequalities are also sharply expressed in the educational system. School is the guarantee of social justice and rights, where both sex representatives have equal rights. Nonetheless, gender inequalities exist latently.

There exists a tight connection between education level and achievement of success at work. Though, the possibility of success is conditioned by the other factors, for example, social-economic status of the parents. Some sociologists think that the class belonging more greatly impacts the success in career than the education level. Of course, eradication of social inequalities will be possible, if the integration of less wealthy people, the poor and privilege people is reachable. The formation of healthy social climate at schools and higher institutions will make it possible. If education can't eradicate inequality among different social stratums, it must greatly soften the contrast existing in the level of material welfare and social condition.

In the recent years of the 20th century the system of education, as a result of difficult socio-economic and political upheavals was under the constant threat of destruction. Changing priorities in the socio-economic development of human civilization have caused a crisis of the traditional education system. One of the characteristics of the social phenomenon of the early XXI century - sustainable education - is the recognition of the fact that since its inception, the concept of sustainable education was built not merely as a theoretical innovation, detached from a real life as well as a scientific synthesis of new practical solutions in the process of learning. Changes in the economy, science and technology, social sphere caused new forms of learning, more responsive to the needs of modern society.

There is a change of educational paradigm in the society. The old paradigm: learning takes place mostly within the walls of higher education. New paradigm: learning and work are taking place in parallel and interconnected. The new paradigm is built on a system of sustainable education. Modern society (learning society) lives and develops in accordance with the concept of "education through life". This concept applies to the entire life cycle (from early childhood to retirement age). Traditional society lives on another principle: "Education for life".

In a traditional society the life is clearly divided into the period of study and the period of work and the presence of a diploma is a crucial determinant of employment opportunities. In modern societies learning and training is a lifelong process, which occurs in all social institutions, educational institutions, all integrated into one system.

Despite all the reforms in the education service, many challenges and problems remain. However, the concept of lifelong (sustainable) education should to be solve them in the nearest future.

An important feature of the development of education is its globality. This feature reflects the integration processes in the modern world, intense interactions between the states in different spheres of public life. Education became the category of the world

priorities.

Analyzing the trends of modern education, there are two global processes, which, on the one hand, confront each other, but on the other - are interrelated and mutually reinforcing. These are the diversification and internationalization processes of education. Diversification is connected to the organization of new schools, giving educational functions of public institutions, with the introduction of new areas of training, new courses and disciplines, the creation of interdisciplinary programs.

The aim of internationalization of education, is by contrast, the convergence of national systems, finding and development of common universal concepts and components of the common grounds, which form the basis of diversity of ethnic cultures, thereby contributing to mutual enrichment. The process of internationalization contributes to the development of national education systems, stimulating them to achieve the same high standards of education. With regard to the ways and means to achieve these standards, each country determines and selects them according to their needs, culture and educational traditions.

Any global problems of the contemporary state of the society will not be solved without radical changes in education sphere. This will be possible only by the integration of various systems of education, of course, with maintaining the basic national characteristics.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში. http://Eapnationalplatform.ge/ axalgazrdebis-dasaxmeba აფხაზავა რ., ბრეგვაძე თ., დეცენტრალიზაციის რეფორმის მიმდინარეობის შეფასება (კვლევის ანგარიში), 2008.
- ბაქრაძე ლ., ღლონტი ლ., პროფესიული განათლება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია. სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საქართველოს ფილიალი. თბ.,2006
- გაგუა ვ., სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმისშემდგომ საქართველოში. თბ., 1974.
- გოგებაშვილი ი., თხზულებანი, ტ. 2. თბ., 1954.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული სტანდარტები. http://eqe.ge/geo/education/profesional-education/occupational-standards-list
- განათლების სისტემა.

http://www.aeag.org.ge/data/file/225/01_Education%20system%20overview.pdf

- განათლების პოლიტიკის დოკუმენტი. www.nrp.ge/images/doc/ganatleba.docx
- პროფესიული განათლება საქართველოში/ მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები. თბ.,2013. http://sao.ge/files/auditi/efectianobis-angarishi/2014/angarishi.pdf.
- ევროკომისია, ევროკომისიის კომუნიკე. სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე და ევროპული რეალობა. 2001.
- კალჰუნი ქ., ლაითი დ.,. კელერი ს, სოციოლოგია, თავი 12. განათლება, თბ., 2008.
- ზრდასრულთა განათლება საქართველოში და CONFINTEA VI, თბ., 2009.
- ნონიაშვილი კ. კვლევის მეთოდები სოციოლოგიაში. თბ., 2015.
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004.
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005.
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. tpdc.ge/images/stories/pdf/prop_ganatleba.pdf
- საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანება: პროფესიული განათლების რეფორმის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე. http://mes.gov.ge/content.php?id=213&lang=geo

- AEAG, dvv international, პროფესიული განათლება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები; 2006. http://www.mes.gov.ge/date/138/VET%20Study%20ge.pdf
- GIZ, დაფინანსება-პოლიტიკის კვლევა. 2010 http://www.mes.gov.ge/uploads/Financing-policy%20Report-June%202010-Giz%20PSDP%20Geo.pdrf
- IOM (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ჩატარებული კვლევა), საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი 2010. http://www.mes.gov.ge/uploads/LMS-2010-Geo.pd
- ც. ანთაძე, ლ. ბაქრაძე, თ. ბრეგვაძე, ირინე დარჩია, ლ. ღლონტი, სტრატეგია ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების კონტექსტში, თბ., 2009. გვ. 20.
- საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, მონაცემთა ბაზა. მოამზადა და გამოსცა ორგანიზაციამ IZZ-DVV, Tb., 2004, ISBN 99928- 995- 4- 9
- ქეცბაია კ. განათლების სოციოლოგია. თბ., 2014.
- უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები . განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით). 2008. http://www.mes.gov.ge/upload/multi/geo/1231224818_reforma.pdf
- ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013. http://tpdc.ge/uploads/pdf_documents/tsliuri%20angarishi%202013celis1.pdf
- შინჯიაშვილი თ.. განათლების სოციოლოგიის საკითხები. თბ., 2009.
- Barr, R. & Tagg, J. From teaching to learning: A new paradigm for undergraduate education. *Change*, 27(6), 1995.
- Belousa, I. & and Stalke A. *Development and Reorientation of Education toward ustainability in Latvia after 1991*, Education & Sustainable Development: Fisrts Steps Toward Changes, Volume 2, 2007, Daugavpils Universitates.
- Belousa, I. Sustainable education and spirituality in the university: Looking for a way of complementation. *Journal of Teacher Education and Training*, 2002.
- Schofield, K. (1999). The Purposes of Education. Queensland State Education: 2010
- European Central for the Development of Vocational Traning, On the Way to 2020: Date for Vocational Education and Traning Policies, research Paper 31,2013.

- European Parliament and couneil, Recomendations on the Establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Traning; 2009.
- Liqian, Goo Yinan, Employment Rate of Vocational Graduates up Slightiy; Report. 2013.
- *Nenad Suzic*, Sociology of Education, 2001.
- The Salamanka statement and framework for action on special needs education. 1994 http://www.unesco.org/education/pdf/SALAMA_E.PDF
- Ярская В., Лошакова И, Зайцев Д.,. Шалаева Л,. Григорьева О., Социология Образования, Саратов, 2004.
- *Батурин В. К.,* Социология Образования, М., 2011
- *Ананишнв В.* М., Социология Образования, М., 2012
- Жуковская, З.Д. О концепции непрерывного образования / З.Д. Жуковская, Л.В. Квасова, В.Н. Фролов // Высшее образование сегодня. - 2007. - № 8.
- Кивва, Н. Социально-экономические проблемы непрерывного образования / Н. Кивва // Учитель. - 2006. - № 4.
- Константиновский 2008: Д. Л. Константиновский. Размыишления о социологии образования// Социологические исследования. 2008. №7.
- Купцов О.В. Непрерывное образование его структура. // Высшее образование в Европе. Том XVI. N1, 1991.
- Невежина М. М., Пушкарева Н. В. , Шарохина Е. В., Педагогика., М., 2005.
- Нечаев В. Я. Социология Образования, М., 1992.
- Покровский, Н. Е., Трансформация университетов, Журнал Социологии и социальной антропологии. 2004. Том .№4.VII
- Смельзер, Н., Социология, 1994.
- Соуза Э.Г. Университет ООН: глобальная миссия // Перспективы: вопросы образования. Париж: ЮНЕСКО, 1990" N3 .